

ნიკოლოზ მაისურაშვილი  
ქეთევან დიღმელაშვილი  
მარიკა მშვილდაძე  
მედეა ნონელია  
კოზა კოპერიძე  
ნინო ჯანაშვილი  
ნიკოლოზ ჩაღუნელი

# ფიქრისბორის

# სამართვანი



UDC (უაკ)902.2(479.221.1)ფ-665

მთავარი რედაქტორი ნიკოლოზ ანთიძე  
პასუხისმგებელი რედაქტორები: დავით ლომიტაშვილი, კონსტანტინე ფიცხელაური, დავით ქვიციანი  
რეცენზენტი ზურაბ ბრაგვაძე  
დიზაინი მაკა ნათაძე



დაიბეჭდა სს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატში“

© 2018 საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო  
NATIONAL AGENCY FOR CULTURAL HERITAGE PRESERVATION OF GEORGIA

ISBN 978-9941-8-0594-3

საქართველოს კულტურული  
მემკვიდრეობის დაცვის  
ეროვნული სააგენტო



NATIONAL AGENCY FOR  
CULTURAL HERITAGE  
PRESERVATION OF GEORGIA



საქართველოს მანათლებლის  
მინისტრის კულტურისა  
და სპორტის სამინისტრო

ნიკოლოზ მაისურაშვილი, ქეთევან დიღმელაშვილი, მარიაკა მშვილდაძე,  
მედეა ნონელია, კობა კობერიძე, ნინო ჯანაშვილი, ნიკოლოზ ჩადუნელი

# ფიქრისბორის სამაროვანი

თბილისი

2018

## შესავალი

ქ. მცხეთის ფიქრისგორა წარმოადგენს სხალტბა-შიომღვიმის ქედის აღმოსავლეთ განშტოებას და თავზე დაჰყურებს სამთავროს მონასტერს. ფიქრისგორის სამაროვანი სამთავროს ველის ნაწილია, რომელიც მოქცეულია ბაიათხევს, მონასტრის ხევს, კოდმანის ტაფობსა და მდ. არაგვს შორის. ამ გეოგრაფიულ საზღვრებში ფიქრისგორასთან ერთად მოქცეულია სამთავროს მონასტრის, სამთავროს სამაროვნის, ბაიათხევსის სამაროვნის, მცხეთის ცენტრალური მოედნის შემოგარენი და მცხეთის სამოსახლო უბნები. ამდენად, ფიქრისგორა მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების ბუფერულ არეალშია და წარმოადგენს მისი განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო ღირებულების შემადგენელ ნაწილს.

სამთავროს ველის კვლევა XIX ს. 70-იან წლებში დაიწყო, როცა ავსტრიელი მოყვარული არქეოლოგის ფრიდრიხ ბაიერნის მიერ გაითხარა 600-ზე მეტი სამარხი. 1938 წლიდან იწყება სამაროვნის სისტემური შესწავლა. ამ პერიოდიდან დღემდე სამთავროს სამაროვანზე გათხრილია ადრერკინის ხანის, გვიანანტიკური და ადრეშუასაუკუნეების ნამოსახლარები, საკულტო ნაგებობები და 5000-მდე სამარხი ბრინჯაოს ხანიდან შუა საუკუნეების ჩათვლით. სამთავროს ველზე აღმოჩენილი არქეოლოგიური ობიექტები სათანადო წესით იქნა შესწავლილი და შემდეგ, ქალაქის ურბანული განვითარებიდან გამომდინარე ალაგებული. საჩვენებლად და სამთავროს ველზე შესწავლილი ნამოსახლარისა თუ სამარხთა ტიპების აღსაქმელად კი შენარჩუნდა მხოლოდ სამთავროს სამაროვნის მცირე ნაწილი ბაიათხევსის ორივე ნაპირზე, სადაც XX ს. 70-იან წლებში შეიქმნა საპრევენციაციო სივრცე. დღეს სამთავროს სამაროვნის ეს ნაწილი ეროვნული მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია და დიდი მცხეთის არქეოლოგიური სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალის შემადგენელი ნაწილია.

ფიქრისგორა დღეს მთლიანად ათვისებულია როგორც მცხეთის მოსახლეობის საცხოვრისი. XX ს. 70-იან წლებში ფიქრისგორაზე აშენდა მცხეთის რაიონული საავადმყოფო (ამჟამად ის გადატანილია ქალაქის სხვა ნაწილში, ხოლო შენობა დანგრეულია). მშენებლობის დროს აღმოჩნდა სამარხები, რომლებიც 1975 წ. შეისწავლა მცხეთის მუდმივმოქმედა ექსპედიციამ (ხელმძღვ.: ა. აფაქიძე, რაზმის მეთაური თ. ჯღარკავა). განმედილ იქნა 12 სამარხი, რომელშიც აღმოჩენილი მასალა გადაეცა დიდი მცხეთის არქეოლოგიურ სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალს. ექსპედიციის მუშაობის ანგარიში გამოქვეყნებულ იქნა წიგნების სერიაში „მცხეთა“, ტ. II. თბ., 1978.

2014 წელს ფიქრისგორა კიდევ ერთხელ მოექცა არქეოლოგთა ყურადღების ქვეშ, როდესაც ფიქრისგორის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, კერძო მესაკუთრემ წამოიწყო სახლის მშენებლობა. მიწის სამუშაოების დროს გამოჩნდა რამდენიმე სამარხი, რამაც გამოიწვია არქეოლოგიური სამუშაოების დაწყება<sup>1</sup>. ექსპედიციამ (ხელმძღვ.: ნ. მაისურაშვილი, ანთროპოლოგი: ლ. ბითაძე, არქეოლოგები: ქ. დიღმელაშვილი, კ. კობერიძე, მხატვარ-არქიტექტორი: ლ. ფავლენიშვილი, ექსპედიციის წევრები: ნ. ჩადუნელი, ნ. ჯანაშვილი, მ. ნიკლაური, თ. გიუტაშვილი) გამოავლინა და შეისწავლა 64 სამარხი, რაც სამაროვნის დაახლოებით ნახევარს წარმოადგენდა. მეორე ნახევრის შესწავლა აღნიშნულ წელს ექსპედიციისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ მოხერხდა.

<sup>1</sup> თავიდანვე ცხადი იყო, რომ სამაროვანი დაზიანებული გახლდათ წლების წინ, როცა აქ ბეტონის საძირკველ-სარტყლები ჩაესხათ.

2016 წლის იანვარ-თებერვლის თვეში, უხვი ნალექებისგან წარმოქმნილი მიწის ეროზიული პროცესების შედეგად დაზიანდა სამარხთა ჯგუფი — რვა ქვაყუთი, ერთი სამარხი კი დაინგრა. აღნიშნულმა პროცესებმა აუცილებელი გახადა გადარჩენითი არქეოლოგიური სამუშაოების წარმოება, რის თაობაზეც საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს თავად მიმართა მესაკუთრემ. მათი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე დიდი მცხეთის არქეოლოგიური სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალის თანამშრომლებისაგან შექმნილმა ექსპედიციამ განაახლა სამაროვანზე მუშაობა<sup>2</sup>. აღნიშნულ წელს გამოვლენილ და შესწავლილ იქნა 99 სამარხი.

აღნიშნული სამი არქეოლოგიური კამპანიის შედეგად ფიქრისგორის სამაროვანი თითქმის სრულად იქნა შესწავლილი. ვინაიდან, ერთი მხრივ, ტერიტორია ჯერ ქალაქისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დანესებულებისთვის განკუთვნილი ადგილი იყო, ხოლო შემდეგ კერძო პირის საკუთრება, მეორე მხრივ კი სამაროვანზე შესწავლილი სამარხთა ტიპები არ განსხვავდებოდა სამთავროს ველზე შესწავლილი სამარხებისგან, შესაბამისად, სამეცნიერო თვალსაზრისით არ არსებობდა მათი შენარჩუნების აუცილებლობა, ისინი არქეოლოგიაში დამკვიდრებული სათანადო წესის დაცვით იქნა ალაგებული.

ფიქრისგორის სამარხებში აღმოჩენილი არქეოლოგიური ინვენტარი მრავლის მთქმელი აღმოჩნდა საქართველოს ისტორიის შესწავლისთვის და დადგა საკითხი, რომ ის ხელმისაწვდომი გამხდარიყო ფართო საზოგადოებისთვის.

ამასთან, სამაროვანზე აღმოჩენილმა მონეტების განძმა და საინტერესო გლიპტიკურმა ძეგლებმა მათი ცალკე კვლევის საჭიროება წარმოშვა (სასანური მონეტები შეისწავლა ქ.-მა მედეა ნონელიამ, გემები კი ქ.-მა მარიკა მშვილდაძემ. მათი კვლევის შედეგები ცალკე თავებადა წარმოდგენილი).

ამდენად, წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს დიდი მცხეთის ერთი უბნის — ფიქრისგორის სამაროვნის 1975, 2014 და 2016 წლების არქეოლოგიური კვლევის შედეგებს.

<sup>2</sup> ექსპედიციის წევრები: ნ. მაისურაშვილი (ექსპედიციის ხელმძღვანელი, არქეოლოგი) ქ. დიღმელაშვილი (არქეოლოგი), კ. კობერიძე (არქეოლოგი), ნ. ჩადუნელი (არქეოლოგი), შ. ხეცურიანი (არქეოლოგი), ო. ბენაშვილი (არქეოლოგი), ლ. ბითაძე (ანთროპოლოგი), ნ. ჯანაშვილი (ხელოვნებათმცოდნე), მ. ნიკლაური (მუზეუმ-ნაკრძალის კოლექციათა ატრიბუციის სპეციალისტი), რ. ბერიძე (მხატვარ-არქიტექტორი).

## შიქრისბორის სამარხთა აღწერილობა

### 1975 წ. აღმოჩენილი სამარხები

1975 წლის ექსპედიციის ანგარიში და სავსე დოკუმენტაცია, რომელიც მცხეთის მუდმივმოქმედი ექსპედიციის ბაზაზე ინახება, ნაკლებია. ამიტომ, მონაცემების სრულად აღდგენა ვერ შეეძლო.

#### სამარხი №1

ორმოსამარხია ქვიშაქვის 4 ფილით გადახურული. გამართულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე. საკრძალავი ორმოს ზომებია:  $1.1 \times 0.7$  მ. სამარხში დაეკრძალათ ხუთი ინდივიდი, ყველა თავით დასავლეთით. პოზის დადგენა ვერ მოხერხდა ძვლების არეულობის გამო. (ტაბ. V<sub>1-2</sub>)

სამარხში აღმოჩნდა შემდეგი ინვენტარი<sup>3</sup>:

1. საკინძები ბრინჯაოსი (ტაბ. V<sub>3</sub>). 2 ცალი. ღერო მრგვალგანივკვეთიანია და წვეროსკენ შევიწროვებული. ყელზე სარტყელი აქვს გაკეთებული, რომელზეც წამოცმულია ძონის ბურთული მძივი. ერთი მთელია, მეორე კი ღეროში გატეხილი. საკინძები პატინირებულია. ინვ. №1 (მმ №11294)

2. საკინძები ბრინჯაოსი (ტაბ. V<sub>4</sub>). 2 ცალი. მრგვალგანივკვეთიანი ღერო წვეროსკენ თანაბრად შევიწროვებულია. ყელი დაბრტყელებული აქვს და მასზე წამოცმულია გიშრის ფიგურული თავი. ის ბრტყელია, მართკუთხა ფორმის, რომლის უკანა ნახნაგი გლუვია, წინა ნახნაგზე კი რვიანის ფორმის ხვეულია ამოღარული. ორნამენტის შიდა წრეები ჭვირულია. გიშრები შემკული ყოფილა ორ-ორი მარგალიტის მძივით. საკინძები პატინირებულია, ერთი ღეროში გატეხილი. სიგრძე — 8 სმ, გიშრის თავის ზომებია:  $1.5 \times 1.0 \times 0.4$  სმ. ინვ. №2 (მმ №11295)

3. კილიტები ოქროსი (ტაბ. V<sub>5</sub>). 2 ცალი. წარმოადგენს ნახევარსფეროს, რომელზეც შიდა მხრიდან ოქროს ყუნწია დარჩილული. წონა: 0.19-0.27 გრ. ინვ. №3 (მმ №4482)

#### სამარხი №2

ქვასამარხია. შეკრულია ქვიშაქვის ექვსი ფილით: გრძივ კედლებად ორ-ორი ფილაა გამოყენებული. გადახურული იყო ჩბანურად სამი ფილით. გამართულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე. სამარხის ზომებია:  $2.05 \times 1.1$  მ. სამარხში დაკრძალული იყო ერთი მიცვალებული, გულაღმა გამოტილი, თავით დასავლეთით. ცალი ხელი ბოქვენზე ედო, მეორე ტანის გასწვრივ. მარჯვენა ფეხი ოდნავ მოხრილი ქონდა.

სამარხში აღმოჩნდა:

<sup>3</sup> დოკუმენტაციაში არაა მითითებული რომელ მიცვალებულს ეკუთვნოდა ინვენტარი.

1. საკინძი რკინისა (ტაბ.V<sub>9</sub>). თავზე წამოცმულია ბრინჯაოს ვარდულებში მოქცეული მოოქროვილი მძივი. დამტვრეული 4 ნაწილად. დაჟანგულია და პატინირებული. ინვ.№4 (მმ№11296)

### სამარხი №3

ორმოსამარხია, ქვიშაქვის 3 ფილით გადახურული. დამხრობილია დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ. სამარხის ზომებია: 1.65×0.75×0.5 მ. სამარხში დაუკრძალავთ ხუთი მიცვალებული, ყველა თავით დასავლეთით. დაკრძალვის პოზის დამხრობა არ მოხერხდა ძვლების ძლიერი დაზიანების გამო (ტაბ.V<sub>7-8</sub>)

სამარხში აღმოჩნდა შემდეგი ინვენტარი<sup>4</sup>:

1. სასაფეთქლე რგოლი ბრინჯაოსი (ტაბ.V<sub>9</sub>). დამზადებულია მრგვალგანივკვეთიანი მავთულისგან. გატეხილია ორ ნაწილად. პატინირებულია, ნაწილობრივ განმენდილი. დმ — 4.5 სმ. ინვ.№5 (მმ№11297)

2. დანისპირი რკინისა (ტაბ.V<sub>10</sub>). კოროზირებული და 3 ნაწილად გატეხილი. სიგრძე — 9 სმ, სიგანე — 1-1.5 სმ. ინვ.№6 (მმ№11298)

3. საკინძი რკინისა (ტაბ.V<sub>11</sub>). თავი შემკული აქვს ბრინჯაოს ვარდულებში მოქცეული პასტის მრგვალი მძივით. ნაკლულია. შემორჩენილი ნაწილი გატეხილია ორად. დაჟანგული და პატინირებულია. სიგრძე — 6.5 სმ. ინვ.№7 (მმ№11299)

4. საკინძი ძვლის (ტაბ.V<sub>12</sub>). ნემსისებური ღეროთი. უთავო. გატეხილია 3 ნაწილად. სიგრძე — 10 სმ. ინვ.№8 (მმ№11300)

5. საკინძი ძვლის (ტაბ.V<sub>13</sub>). დომინოსებური თავით, ნემსისებური ღეროთი. გატეხილია 4 ნაწილად. სიგრძე — 13.5 სმ. ინვ.№9 (მმ№11301)

6. საკინძი რკინის (ტაბ.V<sub>14</sub>). შემორჩენილია ღეროს ნაწილი. დაჟანგული. ინვ.№10 (მმ№11302)

7. ბეჭედი რკინის (ტაბ.V<sub>15</sub>). რკალი მრგვალგანივკვეთიანია. მასზე დარჩილული იყო მრგვალი ფარაკი თუ თვალბუდე (დაჟანგულობის გამო არ ირკვევა). გატეხილია ორ ნაწილად. ძლიერ დაჟანგულია. ფარაკის დმ — 2 სმ, რკალის დმ — 2.2 სმ. ინვ.№11 (მმ№11303)

### სამარხი №4

ორმოსამარხია ქვიშაქვის ფილებით გადახურული. გამართულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე. სამარხის ზომებია: 1.3×0.7×0.25 მ. სამარხში დაუკრძალავთ სამი მიცვალებული. ძვლები ძლიერ არეული იყო (ტაბ.VI<sub>1-2</sub>).

სამარხში აღმოჩნდა შემდეგი ინვენტარი<sup>5</sup>:

1. მშვილდსაკინძი რკინის (ტაბ.VI<sub>3</sub>). ბუდემთლიანია, მუხლისკენ აზიდული მშვილდით. მუხლზამბარიანია (?). სიგრძე — 6 სმ, სიმაღლე — 2.5 სმ. ინვ.№12 (მმ№11304)

2. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ.VI<sub>4</sub>). მთლიანადსხმული. ღერო მრგვალგანივკვეთიანია და ბოლოსკენ წანვეტებული. ყელზე შემოუყვება ნიბო, თავი წარმოადგენს ბრინჯაოს ბრონეულის ნაყოფის გამოსახულებას. პატინირებულია, ოდნავ დეფორმირებული. სიგრძე — 7.5 სმ. ინვ.№13 (მმ№14311)

3. საკინძები ბრინჯაოსი (ტაბ.VI<sub>5</sub>). 2 ცალი (წყვილი). მთლიანადსხმული. ღერო მრგვალგანივკვეთიანია, ბოლოსკოსკენ წანვეტებული. ყელზე დისკოა გაკეთებული, მის თავზე კი ჭვირული რგოლია. საკინძები პატინირებულია და გატეხილი სამ-სამ ნაწილად. სიგრძე — 8.5 სმ. ინვ.№14 (მმ№11305)

<sup>4</sup> დოკუმენტაციაში არაა მითითებული რომელ მიცვალებულს აღმოაჩნდა ინვენტარი.

<sup>5</sup> დოკუმენტაციაში არაა მითითებული რომელ მიცვალებულს ეკუთვნოდა ინვენტარი.

4. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ.VI<sub>6</sub>). ღერო მრგვალგანივკვეთიანია, ბოლოსკენ წაწვეტილებული. თავი შემკული ქონდა მარგალიტის ჯვრისებურად განლაგებული სამი მძივით. ახლა შემორჩენილია ორი მარგალიტი. საკინძი პატინირებულია და დამტვრეული 4 ნაწილად. სიგრძე — 6.3 სმ. ინვ.№15 (მმ№11306)
5. საკინძები ბრინჯაოსი (ტაბ.VI<sub>3</sub>). შემორჩენილია ღერაკების სახით. დამტვრეული და პატინირებულია. უდიდესის სიგრძე — 8.7 სმ. ინვ.№16 (მმ№11307)
6. მშვილდსაკინძი რკინის (ტაბ.VI<sub>9</sub>). ბუდემთლიანი, თანაბრად მოხრილი მშვილდით. დაშლილია და ძლიერ დაჟანგული. ინვ.№17 (მმ№11308)
7. საკინძების ნატეხები რკინისა (ტაბ.VI<sub>9</sub>). ერთს თავი შემკული აქვს სარდიონის წახნაგოვანი კასრისებური მძივით, რომელიც ბრინჯაოს ვარდულზეა დასმული, მეორეს და მესამეს ჰქონიათ მარგალიტის მძივის თავები, მეოთხეს კი თავზე წამოცმული აქვს ბრინჯაოს ვარდულებში მოქცეული ლურჯი პასტის ცრემლისებრი წახნაგოვანი მძივი. ინვ.№18 (მმ№11309)
8. სანელსაცხებლე მინისა. პირი ოდნავ გადაშლილი ჰქონია, ყელი მაღალი და ვიწრო, ძირისკენ ოდნავ გაფართოებული, რომელიც მსხლისებური ფორმის მუცელში გადადიოდა. ძირი მრგვალი და უქუსლო ჰქონდა. მთლიანადაა დამტვრეული და ირიზებული. ინვ.№19 (მმ№14312)
9. მძივები გრანატისა (ტაბ.VI<sub>10</sub>) ბურთულა ფორმის. 48 (43 ცალია რეალურად) ცალი. სხვადასხვა ზომისაა. ინვ.№20 (მმ№14313)
10. მძივები გაურკვეველი მინერალის (ტაბ.VI<sub>10-11</sub>). 4 ცალი: კასრისებური (2 ცალი) და წვეთისებური (2 ცალი) ფორმის. პატინირებული. ინვ.№21 (მმ№11310)
11. ბეჭედი ოქროსი (ტაბ.VI<sub>12</sub>). რკალი მრგვალგანივკვეთიანია, მირჩილულია მრგვალ თვალბუდეზე, რომელშიც ლურჯი პასტის თვალი მჯდარა. ბეჭდის დმ — 1.5 სმ, სიმაღლე — 2 სმ, ბუდის დმ — 0.9 სმ. წონა — 2.37 გრ. ინვ.№22 (მმ№4481)
12. საკინძი ოქროსი და სპილენძის შენადნობისა (ტაბ.VI<sub>13</sub>). ღერო მრგვალგანივკვეთიანია, რომელიც შესმულია საკინძის თავში. თავი წარმოადგენს ოქროს ფურცლისგან დამზადებულ სამყურა ფოთლისებურ თვალბუდეს, რომელშიც ჩასმულია გრანატის თვალი. თვალბუდეს გარშემო ცვარას მწკრივი შემოსდევს. საკინძი დაზიანებულია: ღერო ნაკლები, თავის მხარეს ცვარას ბურთულები მოცვეთილი. საკინძის თავის სიგრძე — 1.1 სმ, სიგანე — 1.2 სმ, მთლიანი წონა — 0.99 გრ. ინვ.№23 (მმ№4483)

### სამარხი №5

ქვასამარხია ქვის ფილებით გადახურული. გამართულია დასავლეთიდან-აღმოსავლეთისაკენ. სამარხის ზომებია: 0.82×0.55×0.4 მ. დაკრძალული იყო ბავშვი, თავით დასავლეთით. ძვლები ცუდადაა დაცული (ტაბ.VI<sub>14-15</sub>).

სამარხი უინვენტაროა.

### სამარხი №6

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის ოთხი და გადახურულია 3 ფილით. სამარხი გამართულია დასავლეთიდან-აღმოსავლეთისაკენ. მისი ზომებია: 1.8×1×1 მ. სამარხში დაკრძალული იყო სამი მიცვალებული, სამივე თავით დასავლეთით. ადრე დაკრძალული ორი მიცვალებული მიუწევიათ სამხრეთისკენ და განთავისუფლებულ ადგილას დაუკრძალავთ ერთი მიცვალებული გულაღმა, გამოტილი, მარცხენა ფეხი ოდნავ მოხრილი აქვს, ხელები მუცელზე ჰქონდა დაკრეფილი (ტაბ.VII<sub>1</sub>).

სამარხში აღმოჩნდა:

1. საკინძები რკინისა (ტაბ.VII<sub>2</sub>), 2 ცალი. თავი შემკულია ბრინჯაოს ვარდულებში მოქცეული



მომწვანო ფერის ცრემლისებური მინის მძივით. დამტვერეულია და დაჟანგული. აღმოაჩნდა ბოლოს დაკრძალულ მიცვალებულს. ინვ.№25 (მმ№11311)

### სამარხი №7

ქვასამარხია. შეკრულია ოთხი ქვიშაქვის და გადახურულია ასეთივე სამი ფილით. გამართულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე. სახურავის დასავლეთის ფილა ჩაქცეულია. სამარხის ზომებია: 1.7×1×0.65 მ. სამარხში დაუკრძალავთ ოთხი მიცვალებული, გულაღმა გამოტოლი თავით დასავლეთით. (ტაბ.VII<sub>3</sub>)

სამარხში აღმოჩნდა<sup>6</sup>:

1. საკინძი რკინის (ტაბ.VII<sub>4</sub>). ღერო მრგვალგანივკეთიანია. თავი შემკულია ლურჯი პასტის ბურთულა მძივით, რომელიც ბრინჯაოს ვარდულებშია ჩასმული. დამტვერეულია 4 ნაწილად. თავის სიგრძე — 2 სმ. ინვ.№26 (მმ№11312)

### სამარხი №8

ქვასამარხია. შეკრულია ქვიშაქვის ოთხი და გადახურულია ასეთივე სამი ფილით. დამხრობილია დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ. ქვები კარგადაა დამუშავებული. კიდეები ამოვსებულია გაჯით. იატაკი თიხით და კირხსნართაა მოსწორებული. სამარხის ზომებია: 2.2×1.35×0.65 მ. სამარხში დაეკრძალათ ერთი ზრდასრული, გულაღმა გამოტოლი, თავით დასავლეთისკენ. ხელებიდან ერთი მკერდზე ედო, მეორე კი მენჯზე. (ტაბ.VII<sub>5,6</sub>)

სამარხი უინვენტაროა.

### სამარხი №9

ქვასამარხია. გამართულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე. სამარხის ზომებია: 1.5×0.7×0.7 მ. დაკრძალულია ერთი მიცვალებული გულაღმა გამოტოლი, თავით დასავლეთით.

სამარხში აღმოჩნდა შემდეგი ინვენტარი:

1. საკინძი რკინის (ტაბ.VII<sub>7</sub>). შემორჩენილია მხოლოდ ღეროს სამი ნაწილი. დაჟანგულია. აღმოჩნდა თავთან. ინვ.№27 (მმ№11313)

2. საკინძი რკინის (ტაბ.VII<sub>8</sub>). ღერო მრგვალგანივკეთიანია. თავი შემკულია ბრინჯაოს ვარდულებში მოქცეული მოთეთრო მინის კასრისებური მძივით. გატეხილია 4 ნაწილად. თავის სიგრძე — 2 სმ. აღმოჩნდა თავთან. ინვ.№28 (მმ№11314)

### სამარხი №10

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის ოთხი ფილით და გადახურულია სამით. დამხრობილია დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ. სამარხის ზომებია: 2.1×1.5×0.7 მ. სამარხში დაკრძალულია სამი მიცვალებული, ყველა გულაღმა, გამოტოლი, თავით დასავლეთისკენ. (ტაბ.VIII<sub>1</sub>)

სამარხში აღმოჩნდა<sup>7</sup>:

1. სანელსაცხებლე მოთეთრო მინისა (ტაბ.VIII<sub>2</sub>). პირის კიდე შიგნით აქვს ჩაკეცილი, პირი ოდნავ გადაშლილი, ყელი ფართო და საშუალო სიმაღლის, რომელიც თანაბრად გადადის ოდნავ გამოზურცულ მსხლისებურ ტანში. ძირი ბრტყელი და ოდნავ შეზნექილი აქვს. ირიზებულია. სიმაღლე — 3.3 სმ, ყელის სიმაღლე — 1.8 სმ, პირის დმ — 1.4 სმ, ფსკერის დმ — 2 სმ. ინვ.№29 (მმ№11315)

<sup>6</sup> დოკუმენტაციაში არაა მითითებული რომელ მიცვალებულს ეკუთვნოდა ინვენტარი.

<sup>7</sup> დოკუმენტაციაში არაა მითითებული რომელ მიცვალებულს ეკუთვნოდა ინვენტარი.

## სამარხი №11

ქვაყუთია. შეკრულია ქვიშაქვის ოთხი ფილით და გადახურულია სამით. სამარხი გამართულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე მცირედ ჩრდილოეთისკენ გადახრით. სამარხის კუთხეებში სიციარიელის შესავსებად გამოყენებულია პატარა ქვები. სამარხის ზომებია: 2.2×1.05×0.68 მ. სამარხში დაეკრძალათ ერთი მიცვალებული, გულაღმა, გაშოტილი, თავით ჩრდილო-დასავლეთით. ხელები ტანის გასწვრივ ქონდა ჩამოშვებული. (ტაბ.VIII<sub>3,4</sub>)

სამარხში აღმოჩნდა შემდეგი ინვენტარი:

1. ბეჭედი ვერცხლის (ტაბ.VIII<sub>5</sub>). რკალი ოვალური ფორმისაა, მხრები მეტ-ნაკლებად კუთხოვანი. რომბისებური ფარაკის თავები დამაგრებულია ფოთლისებურ (გულის მოყვანილობის) ორგან გახვრეტილ ფირფიტაზე. გატეხილია, ფარაკი და რკალი განცალკევებულია. ბეჭდის დმ — 1.5 სმ. ინვ.№30 (მმ№11316)
2. საკინძების ფრაგმენტები რკინისა (ტაბ.VIII<sub>6</sub>). ერთს თავი შემკული ქონია მარგალიტის მრგვალი მძივითა და ბრინჯაოს ვარდულებით. ღერაკები დამტვრეული და დაჟანგულია. ინვ.№31 (მმ№11317)
3. საკინძები რკინისა (ტაბ.VIII<sub>7</sub>). 2 ცალი. თავი შემკული ქონიათ ბრინჯაოს ვარდულებითა და მინის ბურთულა მძივით. ინვ.№32 (მმ№11318)

## სამარხი №12

ქვასამარხია. შეკრულია კარგად დამუშავებული ქვიშაქვის ოთხი ფილით და გადახურულია სამით. გამართულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე მცირედ ჩრდილოეთისკენ გადახრით. სამარხის ზომებია: 2.25×1.35×1 მ. სამარხში დაკრძალული იყო ორი მიცვალებული. ჯერ დაუკრძალავთ ჩრდილოეთით ხოლო შემდეგ სამხრეთით. ორივე ინვა გულაღმა გაშოტილი, თავით დასავლეთით. ჩრდილოეთით დაკრძალულ მიცვალებულს მარჯვენა ხელი მოხრილი აქვს და გულზე უდევს, ხოლო მარცხენა ბოქვენზე. მარჯვენა ფეხი ოდნავ მოხრილი აქვს. სამხრეთით დაკრძალულ მიცვალებულს ხელები მუცელზე აქვს დანყობილი (ტაბ.VIII<sub>8,9</sub>).

სამარხში აღმოჩნდა შემდეგი ინვენტარი<sup>8</sup>:

1. სასაფეთქლე რგოლი ბრინჯაოსი (ტაბ.VIII<sub>10</sub>). დამზადებულია მრგვალგანივკვეთიანი მავთულისგან. თავები ერთმანეთზე ჰქონდა გადადებული. პატინირებულია და ორად გატეხილი. დმ — 4 სმ. ინვ.№33 (მმ№11319)
2. მძივები 22 ცალი (ტაბ.VIII<sub>11</sub>). 8 ცალი მილაკისებური პასტისაა, 11 ცალი კასრისებური პასტაა, ერთი ცალი ბურთულა ლურჯი პასტისა, ერთიც — ბურთულა სარდიონისა. ინვ.№34 (მმ№11320)
3. აბზინდა ბრინჯაოსი (ტაბ.VIII<sub>12</sub>). ერთწილადი. ჩარჩო მართკუთხედის ფორმისაა, ფარაკი — მომრგვალებული და ნაისრული. შუაში გაკეთებულ ნახვრეტში დამაგრებულია მოკაუჭებული ბრტყელი ენა. პატინირებული, განმენდილი. სიგრძე — 1.5 სმ. ინვ.№35 (მმ№11321)
4. სასაფეთქლე რგოლი ბრინჯაოსი (ტაბ.VIII<sub>13</sub>). დამზადებულია მრგვალგანივკვეთიანი მავთულისგან. პატინირებულია და 5 ნაწილად გატეხილი. დმ — 3.5 სმ. ინვ.№36 (მმ№11322)
5. მშვილდსაკინძი რკინისა, რკინის ენით (ტაბ.VIII<sub>14</sub>). ჭვინტიანია. ბუდემთლიანი, თანაბრად მორკალული მშვილდით. რკინის ენის ნაწილი მოტეხილი აქვს. პატინირებული და დაჟანგულია. სიგრძე — 4 სმ, სიმაღლე — 1.5 სმ. ინვ.№37 (მმ№11323)
6. საკინძის ღეროს ნატეხები რკინისა (ტაბ.VIII<sub>15</sub>). დაჟანგული. ინვ.№38 (მმ№11324)

<sup>8</sup> დოკუმენტაციაში არაა მითითებული რომელ მიცვალებულს ეკუთვნოდა ინვენტარი.

## 2014 წ. გათხრილი სამარხები

### სამარხი №1

ქვაყუთია. დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძზე. შედგენილია 4 ქვიშაქვის ფილით და გადახურულია 3 ფილით. დაზიანებულია: არ შემორჩა სახურავის დას. ფილა. სამარხის ზომებია:  $1.94 \times 1.04 \times 1$  მ. სამარხი აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 0.92 მ სიღრმეზე. სამარხი სავსე იყო მიწით. სამარხი კოლექტიურია. დაკრძალულია 6 მიცვალებული, მათ შორის 2 ბავშვია. სავარაუდოდ ერთ პერიოდში უნდა დაეკრძალათ, რადგან მათ შორის მიწის ფენები არ შეიმჩნევა. ყველა თავით დას.-ითაა დასვენებული, სამი გულაღმაა გამოტილი, დანარჩენი არ იკითხება. სამარხი უინვენტაროა (ტაბ. IX<sub>1-2</sub>).

### სამარხი №2

ქვაყუთია. დამხრობილია დას-აღმ. ღერძზე. კედლები თითო ფილითაა შედგენილი, გადახურულია 3 ფილით. მისგან მხოლოდ აღმ. ფილა შემორჩა. სამარხის ზომებია:  $2.08 \times 0.97 \times 1.0$  მ. იატაკი თიხატყეპნილია. ქვაყუთი მიწით იყო სავსე. სამარხი კოლექტიურია – დაკრძალულია 3 მიცვალებული: სამხრეთით და ჩრდილოეთით მამაკაცები (№1 და 3), შუაში – 20-25 წლის დედაკაცი (№2). ყველა თავით დასავლეთით, გულაღმა, გამოტილი. "№1 მიცვალებული სამხრეთ კედელთან მიუწევიათ №2 მიცვალებულის დაკრძალვისას. თავის მხრივ, ესეც ქვედა კიდურებით სამხრეთ კედელთან მიუწევიათ როცა №3 მიცვალებული დაუკრძალავთ. №3, ჩრდილოეთით დაკრძალულ მიცვალებულს მარცხენა ხელი წელის გასწვრივ უდევს, მარჯვენა კი — მუცელზე (ტაბ. IX<sub>3-4</sub>).

სამარხში აღმოჩნდა:

1. საკინძი რკინისა (ტაბ. IX<sub>5</sub>). თავი წარმოადგენს ბრინჯაოს ვარდულებში მოქცეულ მარჯნის მძივს. ნაკლული. შემორჩენილი სიგრძე — 3.6 სმ. აღმოჩნდა №2 მიცვალებულის ძვლებში. ინვ. №1.
2. საკინძი ბრინჯაოსი, ბურთულა თავით (ტაბ. IX<sub>7</sub>). ყელზე შემოსდევს ნიბო. პატინირებული. სიგრძე — 11.2 სმ. აღმოჩნდა №2 მიცვალებულის თავთან. ინვ. №2.
3. საკინძის ღერაკები რკინისა (ტაბ. IX<sub>8</sub>), 2 ცალი. ერთს შერჩენილი აქვს ბრინჯაოს ვარდული. დაჟანგული და ნაკლულია. სიგრძე — 6.3-6.6 სმ. აღმოჩნდა №2 მიცვალებულის ძვლებში. ინვ. №3.
4. საკინძის თავი რკინისა (ტაბ. IX<sub>9</sub>). თავზე ბუდისთვის გაკეთებული აქვს სამაგრი შვერილები (როგორც ჩანს, უნდა ჰქონოდა მასში ჩასმული მრგვალი თვალი). ნაკლული, დაჟანგული. სიგრძე — 2 სმ. აღმოჩნდა №3 მიცვალებულის თავთან. ინვ. №4.
5. სამაჯური რკინისა (ტაბ. IX<sub>9</sub>). წარმოადგენს განივკვეთში მრგვალი მავთულისგან დამზადებულ რგოლს. ნაკლულია — შემორჩენილია ნახევარი. რკალის დმ — 5.2 სმ. აღმოჩნდა №3 მიცვალებულის მკერდთან. ინვ. №5.

### სამარხი №3

ქვაყუთია. დამხრობილია აღმ.-დას. ღერძზე. კედლებად თითო დამუშავებული ფილაა. გადახურულია 3 ფილით. სამარხის ზომებია:  $1.73 \times 1.15 \times 0.84$  მ. მასში მიწა მცირე რაოდენობით იყო ჩასული. დაკრძალული იყო სამი მიცვალებული, სამივე გულაღმა, გამოტილი, თავით დას.-ით. ჯერ დაუკრძალავთ სამხრეთის მიცვალებული (№1), შემდეგ — ჩრდილოეთისა (№2), ხოლო ბოლოს მათზე, შუაში, დაუსვენებიათ მესამე — 25 წლის მამაკაცი (№3). ამ უკანასკნელის ფეხები განზიდული და ოდნავ მოხრილია, ხელებიც ადრე დაკრძალულ მიცვალებულებზე აქვს გადადებული. სამარხის იატაკი თიხატყეპნილია (ტაბ. IX<sub>10-11</sub>).

სამარხში აღმოჩნდა:

1. მშვილდსაკინძი ბრინჯაოსი (ტაბ. IX<sub>15</sub>). რკინის ენით. მუხლსახსრიანი, ბუდემთლიანი, ჭვინტიანი. პატინირებულია. სიგრძე — 4.4 სმ, სიმაღლე — 1.6 სმ. აღმოჩნდა №1 მიცვალებულის მკერდის არეში. ინვ. №6.
2. საკინძი ბრინჯაოსი, ბურთულა თავით (ტაბ. IX<sub>12</sub>). ყელზე შემოსდევს ორმაგი ნიბო. პატინირებული. სიგრძე — 8.5 სმ. აღმოჩნდა №1 მიცვალებულის მარცხენა გვერდთან. ინვ. №7.
3. საკინძი რკინის (ტაბ. IX<sub>13</sub>), მარჯნის ბურთულა მძივითა და ბრინჯაოს ვარდულებით შემკული. გატეხილი 3 ნაწილად. დაუანგულია. აღმოჩნდა №1 მიცვალებულის წელთან. ინვ. №8.
4. საკინძი რკინისა (ტაბ. IX<sub>14</sub>). თავი შემკულია ბრინჯაოს ვარდულზე დამაგრებული ბრონეულის ნაყოფის ფორმის მარჯნით. ნაკლულია. დამტვრეული. თავის სიგრძე — 1.5 სმ. აღმოჩნდა №2 მიცვალებულის ტორსთან. ინვ. №9.

#### სამარხი №4

ქვაყუთია. შედგენილია ოთხი ქვით და გადახურულია ბანურად. სამარხი დამხრობილია აღმ.-დას. ღერძზე, ოდნავ გადახრილი ჩრდ.-სკენ. სამარხი მთლიანად მიწით იყო სავსე. დაზიანებულია: აკლია სახურავი და აღმ. კედელი. მისი შემორჩენილი ზომებია: 1.80×1.12×1.2 მ. სამარხში დაკრძალული იყო ორი მიცვალებული, მათგან ერთი 50 წლის დედაკაცი. ძვლები არეული და მიხვეტილი იყო ჩრდ. კედელთან, ამდენად პოზა არ დგინდება, თუმცა შეგვიძლია ვთქვათ, რომ თავით დასავლეთით იყო დაკრძალული (ტაბ. X<sub>1-2</sub>).

სამარხი უინვენტაროა.

#### სამარხი №5

ქვაყუთია. სამარხი დამხრობილია აღმ.-დას. ღერძზე, ჩრდ.-ისკენ გადახრილი. დაზიანებულია: შემორჩენილია მხოლოდ სამხრეთის და დასავლეთის კედლები, საერთოდ არ შემორჩა სახურავი (მხოლოდ აღმ. პატარა ფილა იყო ჩავარდნილი სამარხშივე მიწით ამოვსების შემდეგ). ქვაყუთის ზომებია: 2.13×0.92×0.78 მ. სამარხში დაკრძალული იყო ორი მიცვალებული. ორივე გულაღმა გამოტილი, თავით დას.-კენ. №1, პირველად დაკრძალული მიცვალებული შუაშია დასვენებული, ხელები სრულად მოკეცილი, მხრებზე აქვს დანყობილი. №2 მიცვალებული, მამაკაცი, მასზეა დასვენებული გარდიგარდმო, თავით ჩრდ.-დას.-საკენ. მარჯვენა ხელი მუცელზე უდევს, მარცხენა — მკერდზე. ჩონჩხი ძლიერ დაზიანებულია (ტაბ. X<sub>3-4</sub>).

სამარხი უინვენტაროა.

#### სამარხი №6

კომბინირებულია: ნაგებია სხვადასხვა მასალით — ფილებით, ქვიშაქვით, რიყის ქვით, აგურით (აგურის ზომებია: საშუალო სიგანე — 28 სმ, სიგრძე — 35-38 სმ, სისქე — 6 სმ), დულაბად გამოყენებულია სილა და კირი. გადახურულია ქვიშაქვის ფილებით. დამხრობილია აღმ.-დას. ღერძზე, ჩრდილოეთისკენ გადახრილი. სამარხის დას. და აღმ. კედლებად გამოყენებულია ქვიშაქვის კარგად დამუშავებული, ნარიბანდებიანი ფილები. გრძივ კედლებზე შიგნიდან შემორჩენილია შელესილობის კვალი. სამარხის ზომებია: 2.5×1.9×1.05 მ. (შიდა ზომებია: 2.1×0.92×0.75 მ). გადახურული იყო 5 ქვით, რომელთაგან აღმ. ფილის ზომებია: 0.87×1.15×0.20 მ, დანარჩენები კი თითქმის თანატოლია: 1.30×0.33×0.20 მ.

სამარხში 0,65 მ სიღრმეზე დასვენებული იყო მამაკაცი (№4), დიაგნალზე, გულაღმა გამოტილი, თავით სამხ.-დას.-ით. ხელები მუცელზე ქონდა დაკრეფილი. მარჯვენა წვივთან აღმოჩნდა ბიზანტიური ოქროს მონეტა იმპერატორისა და ქრისტეს გამოსახულებით. ამ მიცვალებულის ქვეშ დაახლოებით 5 სმ სისქის თიხნარი ფენაა, რაზეც უშუალოდ დასვენებულია №4 მიცვალებული (დროის დანალექი თუ სპეციალურად მოწყობილი იატაკი?!). ამ ფენის ქვეშ დაკრძალულია ორი

მიცვალეული: ჩრდ.-ით ბავშვი (№2), გულაღმა, გამოტილი, თავით დას.-ით, ხელები მენჯზე აქვს დაწყობილი. სამხ.-ით დასვენებულია დედაკაცი (№3), ასევე გულაღმა, თავით დას.-ით. მათ ქვეშ, სამარხის ჩრდ. ნაწილში დაკრძალული იყო კიდევ ერთი ზრდასრული (№1), რომლის ჩონხიდან მხოლოდ კიდურების ძვლებია შემორჩენილი (ტაბ. X<sub>5-8</sub>).

სამარხში აღმოჩენილი მასალიდან მონეტის გარდა, ყველა №3 მიცვალეულის კუთვნილი უნდა იყოს.

სამარხში აღმოჩნდა:

1. მონეტა ოქროსი (ტაბ. X<sub>9</sub>). ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე VIII-ისა (1025-1028 წწ.). ავერსზე იმპერატორის გამოსახულებაა სკიპტრითა და გვირგვინით. მხრიდან მხრამდე შემოსდევს ლეგენდა. რევერსზე მაცხოვრის გამოსახულებაა მკერდამდე, რომელსაც ასევე შემოსდევს ლეგენდა. დმ — 2.5 სმ, სისქე — 0.1 სმ, წონა — 4.42 გრ. აღმოჩნდა №4 მიცვალეულის მარჯვენა წვივის თავთან. ინვ. №23.
2. ბეჭედი ოქროსი (ტაბ. X<sub>10</sub>). ბეჭდის რკალი გაფართოებულია და ნიბოიანი. რკალზე მირჩილულია კვადრატული თვალბუდე, რომელშიც პირამიდის ფორმის მომწვანო ფერის მინის თვალი ზის. რკალის დმ — 2 სმ, მხრის სიგანე — 0.5 სმ, თვალბუდის სიგანე — 0.6 სმ, წონა — 3.8 გრ. აღმოჩნდა №3 მიცვალეულის მარჯვენა ხელთან. ინვ. №24.
3. ბეჭდის თვალი სარდიონისა (ტაბ. X<sub>11</sub>). თვალი ნაკვეთილი კონუსია, რომლის ზედაპირზეც გამოსახულია მორიელი (?) სიმაღლე — 0.5 სმ, დმ — 1 სმ. აღმოჩნდა №24 ინვენტართან ერთად. ინვ. №25.
4. საკიდი ოქროსი (ტაბ. X<sub>12</sub>). წარმოადგენს რგოლზე მირჩილულ საკიდს, რომელზეც ჩამოკიდებულია ოქროსავე ღერაკი. ღერაკზე წამოცმულია ბიკონუსური ოქროს ბურთულა, მწვანე პასტის თვალი და ოქროს ორი ვარდული. სიგრძე — 2 სმ, დმ — 0.7 სმ, ბურთულის დმ — 0.7 სმ, წონა — 1.23 გრ. აღმოჩნდა №3 მიცვალეულის ტანის არეში (სამხრეთ კედელთან). ინვ. №26.
5. თვალბუდე ბეჭდისა (ტაბ. X<sub>13</sub>), ვერცხლის. ოვალური ფორმის თვალბუდეს ოთხივე მხარეს უზის თითო ვერცხლისავე კოპი. შესაძლოა მირჩილული ყოფილიყო ბრინჯაოს ღეროზე, რადგან შემჩენილი აქვს პატინირებული ბრინჯაოს ნამცეცები. თვალბუდეში ძონის ამობურცული თვალი ზის. სიმაღლე — 0.4 სმ, სიგრძე — 1 სმ, წონა — 0.74 გრ. აღმოჩნდა №3 მიცვალეულის მარცხენა მხარეს, გემასა და ოქროს ბეჭედთან ერთად. ინვ. №27.
6. მძივები ძონისა (ტაბ. X<sub>14</sub>), სხვადასხვა ზომის, ნაწილობრივ დამუშავებული ფორმის. 61 ცალი. აღმოჩნდა №3 მიცვალეულის ტორსის არეში (სამხრეთ კედელთან). ინვ. №28.
7. მძივები მთის ბროლის (ტაბ. X<sub>16</sub>). მრავალწახნაგოვანი, თეთრი ფერის და სხვადასხვა ზომის, 12 ცალი. აღმოჩნდა №3 მიცვალეულის ტანის არეში (სამხრეთ კედელთან), ძონის და პასტის მძივებთან ერთად. ინვ. №29.
8. მძივები პასტის, კასრისებრი (ტაბ. X<sub>15</sub>), 2 ცალი. აღმოჩნდა №3 მიცვალეულის ტანის არეში (სამხრეთ კედელთან), ძონისა და მთის ბროლის მძივებთან ერთად. ინვ. №30.

### სამარხი №7

ქვაყუთია. დამხრობილია აღმ.-დას. ღერძზე, ოდნავ ჩრდილოეთისკენ გადახრილი. კედლები ოთხი ფილისგან შედგება, სახურავი კი სამი კარგად დამუშავებული ქვიშაქვის ფილით. სამარხის გარე ზომებია: 3.10×1.27×1.15 მ. მის კედლებსა და სახურავს შორის სიცარიელები შევსებული იყო რიყის ქვით. ქვაყუთის გრძივი კედლები დამუშავებული ფილებია. სამარხი უფრო მოკლეა (1.88×1.0 მ), ვიდრე მთლიანი სახურავის სიგრძე (მაგალითად, სახურავის დას. ფილა 20 სმ-ით სცილდება სამარხის კედლებს). სამარხი სანახევროდ მიწით იყო შევსებული. ფილების ახდის შემდეგ ცხადი გახდა, რომ იგი მეორადი გამოყენების იყო. ბოლო გამოყენებისას, სამარხის სახურავის ფილების სიძიმის და სიდიდის გამო, მიცვალეულის ჩასასვენებლად ქვაყუთის აღმოსავლეთის კედლის ფილა გადაუნევიათ, ასე შექმნილი სიცარიელიდან შეუსვენებიათ მიცვალეუ-

ლი და თავკედელი რომ ველარ გაუსწორებიათ, კედლებს შორის შექმნილი სივრცეებზე ქვიშაქვის პატარა ფილებით და იმ პერიოდის ღარიანი კრამიტით შეუვსიათ. ასეთი კრამიტები X-XI სს. ქართლის მოსახლეობის ყოფაშია გავრცელებული. იატაკი მინატკეპნილია. სამარხში დაკრძალული იყო 2 მიცვალებული, ორივე თავით დასავლეთით. პირველად დაკრძალული (№1) მიუხვეტავთ ჩრდ.-დას. კიდეში. მეორე (№2) გულაღმა წევს, ხერხემალში ოდნავ მოხრილი, მარჯვენა ხელი ტანის გასწვრივ უდევს, მარცხენა — ბოქვენზე. ძვლები ცუდი დაცულობისაა (ტაბ. XI<sub>1-2</sub>).

სამარხი უინვენტაროა.

### სამარხი №8

ქვაყუთია, შეკრულია ქვიშაქვის ოთხი ფილით და ბანურადაა გადახურული. გამართულია აღმ.-დას. გრძივ ღერძზე, ოდნავ ჩრდილოეთისკენ გადახრილი. სამარხის ზომებია: 2.0×1.02×0.8 მ. სამარხის სახურავიდან შემორჩა მხოლოდ ძლიერ დაზიანებული დასავლეთის ფილა. სამარხში ჩაქცეული იყო ქვიშაქვის ორი ფილა. მათგან ერთი, ჩამოვარდნილია დას. კედლიდან, რის გამოც ეს უკანასკნელი მიცვალებულის თავის ზემოთ თაღოვან ჭერს ქმნის. სამარხში დაკრძალულია 25-35 წლის დედაკაცი, გულაღმა გამოტილი, თავით დას.-ით, ხელები უწყვია მხრებზე (ტაბ. XI<sub>3-4</sub>).

სამარხში აღმოჩნდა:

1. საკიდი ოქროსი (ტაბ. XI<sub>5</sub>). აქვს ზარაკისებრი მოყვანილობა. წარმოადგენს ყუნწზე მიმაგრებულ ნახევარწრიულ ორმაგ ფურცელს, რომლებიც ერთმანეთთან ვიწრო ფირფიტითაა შეერთებული. წინა მხარეს, კიდეზე ჰორიზონტალურად და შუაში მართობულად მიჩნეული აქვს ჩალარული სარტყელი. სიმაღლე — 1.4 სმ, სიგანე — 1.2 სმ, წონა — 0.41 გრ. აღმოჩნდა მიცვალებულის თავის არეში. ინვ. №11.
2. საკიდი ოქროსი, ანალოგიური №11 ინვენტარისა. სიმაღლე — 1.4 სმ, სიგანე — 1.2 სმ, წონა — 0.52 გრ. აღმოჩნდა იქვე. ინვ. №12.
3. საყურე ოქროსი (ტაბ. XI<sub>6</sub>). ოქროს რგოლზე მიჩნეულია ყუნწი, რომელზეც ჩამოკიდულია ბრინჯაოს ღერძი. ღერძზე ასხმულია მარგალიტის და პასტის ბურთულა მძივები და მათი გამყოფი ოქროს ვარდულები. სიგრძე — 3.6 სმ, რგოლის დმ — 1.8 სმ, წონა — 1.42 გრ. აღმოჩნდა მარცხენა ყურის არეში. ინვ. №13.
4. საყურე ოქროსი (ტაბ. XI<sub>6</sub>). ინვ. №13-ის წყვილი. მისგან განსხვავდება მხოლოდ ოქროს რგოლზე მიჩნეული ბრინჯაოს დანამატით, რომლის დანიშნულება ჩვენთვის უცნობია. სიგრძე — 3.5 სმ, რგოლის დმ — 1.8 სმ, წონა — 1.7 გრ. აღმოჩნდა მარჯვენა ყურის არეში. ინვ. №14.
5. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ. XI<sub>7</sub>), რომლის თავი შემკულია მწვანე პასტის ცრემლისებური მძივით და ოქროს ვარდულით. ღერაკის 3 ნატეხია შემორჩენილი. აღმოჩნდა მიცვალებულის თავის არეში. ინვ. №15.
6. საყურის საკიდი (ტაბ. XI<sub>8</sub>). წარმოადგენს ბრინჯაოს ღერაკზე ასხმულ სარდონისა და მარგალიტის მრგვალ მძივებს, რომლებიც ერთმანეთისგან გამოყოფილია ოქროს ვარდულით. სიგრძე — 1.4 სმ. აღმოჩნდა მიცვალებულის თავის არეში. ინვ. №16.
7. საყურის საკიდი (ტაბ. XI<sub>8</sub>). ანალოგიური №16 ინვენტარისა. სიგრძე — 1.2 სმ. აღმოჩნდა იქვე. ინვ. №17.
8. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ. XI<sub>9</sub>), ბურთულა თავით. ყელზე შემოუყვება ნიბო. სიგრძე — 9.5 სმ. აღმოჩნდა მიცვალებულის თავის არეში. ინვ. №18.
9. მშვილდსაკინძი ბრინჯაოსი (ტაბ. XI<sub>10</sub>). მშვილდჩაბრილი, ბუდეაბმული, მუხლსახსრიანი. რკინის ენით. ქედზე მთლიანად აბმული ბუდის ბოლოა დახვეული. გატეხილია ორად. სიგრძე — 2.2 სმ, სიმაღლე — 1 სმ. აღმოჩნდა მიცვალებულის მუცლის არეში. ინვ. №19.
10. თვალბუდე ბეჭდისა (ტაბ. XI<sub>11</sub>). მრგვალი ფორმის რკინის ფირფიტოვანი ბუდეა. შიგ ჩასმული იყო მინის თხელი ფირფიტა. დაუანგულია. დმ — 2.5 სმ. აღმოჩნდა კუდაუსუნის ქვეშ. ინვ. №20.

11. მძივი (ტაბ. XI<sub>12</sub>) შედგენილი ძონის (43 ც.) და სარდიონის (41 ც.) სხვადასხვა ზომის ბურთულა თვლებისგან. ძონის მძივების დმ — 1-1.5 სმ, სარდიონის მძივების დმ — 0.2-0.7 სმ. მძივი თავის დროს სარდიონისა და ძონის თვლების მონაცვლეობით იყო შედგენილი. აღმოჩნდა მიცვალებულის ყელისა და მკერდის არეში. ინვ. №21.

### სამარხი №9

ქვაყუთია. შეკრულია ოთხი ფილით. გადახურვა ბანური ქონდა, სახურავი არ შემორჩა. სამარხი დამხრობილია აღმ.-დას. ღერძზე, ოდნავ ჩრდილოეთისკენ გადახრით. გარე ზომებია: 2.03×1.03×0.78 მ. სამარხში თიხატყეპნილ იატაკზე დაკრძალული იყო ერთი მიცვალებული, გულალმა, გამოტილი, თავით დას.-კენ. მუხლებში ოდნავ მოხრილი ფეხები გადახრილია სამხრეთისკენ. ხელები დაწყობილი აქვს ტანის გასწვრივ (ტაბ. XI<sub>12-14</sub>).

სამარხში ინვენტარი არ აღმოჩენილა.

### სამარხი №10

აკლდამაა. გამართულია აღმ.-დას. ღერძზე, მკვეთრად ჩრდილოეთისკენ გადახრით. ქვედა ნაწილი წარმოადგენს კირქვის კვადრებით ნაგებ და კირხსნართა და ტალახით შემტკიცებულ საკრძალავს, შემორჩენილია კვადრების სამი წყობა. მათ ზემოდან მოდის მინის 28 სმ-იანი კედელი (გავზომეთ აღმ. კედელზე), რომელზეც დალაგებულია ქვიშაქვის ფილები: აღმ. მხარეს ერთი ფილაა გარდიგარდმო დადებული, სამხრეთ კედელზე — ორი სიმაღლეზე, დას. კედელზე კი — სამი. რაც შეეხება ჩრდ. კედელს, ის არ შემორჩა. კვადრებიანი ნაგებობა უფრო განიერია. დროის რალაც მონაკვეთის შემდეგ ის არათანაბრად დაუვიწროვებიათ. კვადრებიანი ნაგებობა გადაკეთების შემდეგ გაუძარცვავთ, რადგან სახურავის ქვიშაქვის ფილები იქვეა გადანეული და სამხ. კედელზე მიყუდებული. სამარხის ზომებია: 2.07×1.35×0.95 მ.

აკლდამა წარმოადგენს კირქვის კვადრებით ნაგებ საკრძალავს, რომლითაც ამოყვანილია სამი წყობა. სამხრეთის კედლის პირველი წყობა დიდი კვადრებითაა შექმნილი, ისე რომ ერთგვარ პოსტამენტს ქმნის შემდეგი წყობისათვის. პირველი წყობის ქვების გარეთა კიდე ჩამოტეხილია, როგორც ჩანს, ეს მხარე არ იყო საფასადე: ჩრდილოეთი კედლის პირველ წყობაში გამოყენებულია კვადრების სამი შვერილი გადაბმისათვის. დანარჩენი ორი რიგი კვადრების მონაცვლეობითი წყობაა. აღმოსავლეთის კედელში ასეთი შვერილები არაა. კვადრებში ბევრია გამირებული ქვები, რომლებიც ცხადყოფს, რომ ისინი სხვა ნაგებობისთვის იყო დამზადებული (ან საერთოდაც სხვა ნაგებობაში იყო გამოყენებული და აქ მეორადი გამოყენებისათვის მოიტანეს). დას. კედელზე ქვატალახის ფენა მინიმალურია, მასზე ქვიშაქვის ნატეხები სიბრტყეზეა დაწყობილი. შემორჩენილია წყობის ერთი რიგი.

აკლდამის იატაკი მოკირწყლულია კირხსნართა და კენჭებით, რომელიც შემდეგ ჩაუჭრიათ ხის ჩასასვენებლის ჩასადგმელად. ჩასასვენებელი აკლდამის დიაგონალზეა ჩადგმული და შეკრულია რკინის გრძელი და მოკლე ლურსმნებით. დაკრძალულია ერთი მიცვალებული, გულალმა, გამოტილი, ხელები მუცელზე დაკრეფილი. ხელებთან იდო ხელჯოხის რკინის ბუნიკი, რომელიც ძალიან დაჟანგული იყო და აღება ვერ მოხერხდა. გულზე ეკიდა ვერცხლის თხელი ფირფიტისგან დამზადებული, მინიატურული ჯვარი, ბერძნული ტიპის, რომელიც აღების დროს დაიშალა. ამ ნივთმა ცხადყო, რომ მიცვალებული XIX ს. დაუკრძალავთ (ტაბ. XII<sub>1-5</sub>).

ცხადია, რომ კვადრებით ნაგები აკლდამა სულ მცირე ორჯერაა გამოყენებული.

### სამარხი №11

თიხის ფილასამარხია. გადახურულია ბანურად ქვიშაქვის და თიხის ფილებით. დამხრობილია აღმ.-დას. ღერძზე, ჩრდილოეთისკენ გადახრით. სამარხის თავსა და ბოლოში გამოყენებულია ორ-ორი ფილა, სიგრძეში — ოთხ-თხი ფილა. ფილები ჩანყობილია სიმაღლეზე. სამარხის თავკედლები შემაგრებულია ქვიშაქვის ქვებით. გადახურულია ორი ქვიშაქვის და ერთი თიხის ფილით.

სახურავი შუაშია ჩაქცეული. მისი ჩაქცევა უნდა გამოწვევია ჩრდ. გრძივ კედლებად დალაგებული ორი ფილის გადაქცევას სამარხში. დეფორმირებულია სამარხის სხვა ფილებიც. მისი ზომებია:  $1.74 \times 1.03 \times 0.6$  მ. სამარხი მინით იყო სავსე. იატაკი მინატკეპნილია. სამარხში დაკრძალულია ორი მიცვალებული, გულალმა, გაშოტილი, თავით დას.-ით. ორივე ზრდასრულია. ჯერ დაუკრძალავთ სამხრეთის მიცვალებული – 50-60 წლის მამაკაცი (№1), შემდეგ ჩრდილოეთით — 30-35 წლის მამაკაცი (№2). მეორის დაკრძალვისას პირველი მიუწევიათ სამხ. კედელთან. №2 მიცვალებული ხერხემალშია გადატეხილი (ზემოდან მერვე მალაზე). ხელები ულაგია ბარდაყის ძვალზე (ტაბ. XII<sub>6-7</sub>).

სამარხში აღმოჩნდა:

1. საკინძი რკინისა (ტაბ. XII<sub>8</sub>), ბურთულა თავით. დაყანგული. სიგრძე — 8.5 სმ. აღმოჩნდა №2 მიცვალებულის თხემთან. ინვ. №10.

### სამარხი №12

ქვაყუთია, ნაგებია ქვიშაქვის ოთხი ფილით. სახურავი არ არის შემორჩენილი. დამხრობილია აღმ.-დას. ღერძზე. სამარხის ზომებია:  $1.75 \times 0.8 \times 0.7$  მ. ქვაყუთი მთლიანად მინით იყო სავსე. მიცვალებულის ძვლები მიხვეტილია სამარხის სამხ.-დას. ნაწილში, ზედა ფენაშივე. მინის ფენის მთლიანად მოხსნის შემდეგ ცხადი გახდა, რომ სამარხი გაძარცვულია (ტაბ. XIII<sub>1-2</sub>).

სამარხი უინვენტაროა.

### სამარხი №13

ორმოსამარხია. გამართულია №14 სამარხის სახურავზე. შემორჩენილია ნაშთის სახით: არა აქვს სახურავი და კედლები. დაკრძალულია ერთი მიცვალებული, რომელიც დასვენებულია ზურგზე, სამხ.-დას.-დან ჩრდ.-აღმ.-ისკენ, ფეხები მოხრილი აქვს. თავი სამხ.-დას. აქვს მიქცეული, თუმცა ის მოცილებულია ტანს და მოშორებით დევს (ტაბ. XIII<sub>3</sub>).

სამარხი უინვენტაროა.

### სამარხი №14

ქვაყუთია. სამარხი უშუალოდ ებჯინება №10 აკლდამას. მის სახურავზე გამართული იყო №13 სამარხის ნაშთი. სამარხი დამხრობილია აღმ.-დას. ღერძზე. შედგენილი იყო ქვიშაქვის ფილებით, გადახურული სამი ფილით. დაზიანებულია: კედლებიდან შემორჩა მხოლოდ აღმ. კედელი, სახურავის ფილები კი ჩამტვრეულია სამარხში. ზომებია:  $2.17 \times 1.20 \times 0.60$  მ. იატაკი თიხატკეპნილია. დაკრძალული იყო ერთი მიცვალებული, მიხვეტილი ჩრდ.-დას. ნაწილში. აკლია თავის ქალა (ტაბ. XIII<sub>4-5</sub>).

სამარხი უინვენტაროა.

### სამარხი №15

ქვაყუთია. გამართულია აღმ.-დას. გრძივ ღერძზე, მკვეთრად ჩრდილოეთისკენ გადახრილ. ნაგებია ქვიშაქვის ოთხი ფილით. სახურავი არ შემორჩა, აღმოსავლეთის ფილა სამარხშია ჩავარდნილი. სამარხის ზომებია:  $2.30 \times 0.92 \times 1.0$  მ. იგი მინითაა სავსე. სამარხში დაკრძალული იყო დედა-კაცი, რომლის ძვლები მიხვეტილი იყო სამარხის დას. ნაწილში (ტაბ. XIII<sub>6-7</sub>).

სამარხი უინვენტაროა.



### სამარხი №16

ქვაყუთია. დამხრობილია აღმ.-დას. გრძივ ღერძზე, ოდნავ ჩრდილოეთისკენ გადახრით. შედგენილია ქვიშაქვის ოთხი ფილით. სახურავი ბანური უნდა ჰქონდა, რომელიც არ შემორჩენილა. ზომებია:  $2.0 \times 0.97 \times 0.76$  მ. დაკრძალულია ორი მიცვალებული, ორივე გულაღმა, გამოტილი, თავით დასავლეთით. №1 მიცვალებული მიუწევიათ ჩრდ. კედელთან (თავის ქალა არ შემორჩა). მეორე დაუკრძალავთ სამხრეთით, ხელები ტანის გასწვრივ (ტაბ. XIV<sub>1,2</sub>).

სამარხი უინვენტაროა.

### სამარხი №17

ქვაყუთია. გამართულია აღმ.-დას. გრძივ ღერძზე, მცირედ სამხრეთისკენ გადახრილი. დაზიანებულია: სახურავი ჩაქცეულია და დამტვრეული. გადახურული იყო სამი ფილით. სამარხის ზომებია:  $1.950 \times 1.02 \times 0.8$  მ. იატაკი თიხატყეპნილია. დაკრძალული იყო ორი მიცვალებული თავით დას.-ით. პირველი დაუკრძალავთ ჩრდილოეთისკენ და მიუწევიათ №2 მიცვალებულის დაკრძალვისას. №2 მიცვალებული გულაღმა გამოტილი, ხელები ტანის გასწვრივ აქვს დალაგებული (ტაბ. XIV<sub>3,4</sub>).

სამარხი უინვენტაროა.

### სამარხი №18

ქვაყუთია. შედგენილია ოთხი ფილით. სახურავის ფილები არ შემორჩა. სამარხი გამართულია აღმ.-დას. ღერძზე. მისი ზომებია:  $2.13 \times 1.09 \times 0.95$  მ. სამარხში დაკრძალულია ორი მიცვალებული, გულაღმა გამოტილი, თავით დასავლეთისკენ. ხელები დანყობილი ჰქონდათ ტანის გასწვრივ. ჯერ დაუკრძალავთ სამხრეთის მიცვალებული (№1), შემდგომ მეორე ჩრდილოეთით (№2) (ტაბ. XIV<sub>5-6</sub>).

სამარხში აღმოჩნდა:

№2 მიცვალებულის ყელთან მძივი პასტისა, რომელიც ალებისას დაიშალა. ამავე მიცვალებულს ჩატანებული ჰქონია მინის სანელსაცხებლე, რომლის მხოლოდ ფრაგმენტების დაფიქსირება მოხერხდა.

№1 მიცვალებულის მკერდთან მძივი ძონის (ინვ. №22), ბურთულა ფორმის (ტაბ. XIV<sub>7</sub>). დმ — 0.7 სმ.

### სამარხი №19

ქვაყუთია. დამხრობილია აღმ.-დას. ღერძზე. ნაგებია ქვიშაქვის ოთხი და გადახურულია 3 ფილით. დაზიანებული ჩანს. მინა ცოტაა ჩასული. მისი ზომებია:  $2.03 \times 0.95 \times 0.96$  მ. სამარხი სავსე იყო მიწით. მასში დაუკრძალავთ სამი მიცვალებული, ყველა თავით დას.-ით, აქედან პირველად დაკრძალული ორი მიცვალებული მიხვეტილია სამხ. კედელთან და მესამე დასვენებულია სამარხის შუაში, გულაღმა გამოტილი, ხელები ტანის გასწვრივ აქვს დანყობილი. იატაკად თიხის ფილაფენილია გაკეთებული. სამარხის შიდა ზომებია:  $1.8 \times 0.8 \times 0.96$  მ. (ტაბ. XV<sub>1-3</sub>).

სამარხში აღმოჩნდა მხოლოდ ერთი ნივთი:

1. მშვილდსაკინძი (?) რკინისა (ტაბ. XV<sub>4</sub>). ძლიერ ფრაგმენტული და დაჟანგული. იდო №2 მიცვალებულის მარცხენა მხართან. ინვ. №31.

### სამარხი №20

ქვაყუთია. დამხრობილია აღმ.-დას. ღერძზე, მცირედ ჩრდილოეთისკენ გადახრით. შედგენილია 4 ფილით და გადახურული — 3-ით. სამარხის კუთხეები შიგნიდან ამოლესილია კირხსნარით. კირხსნარი გამოუყენებიათ ასევე სახურავისა და კედლებს შორის სივრცეების შესავსებად. რის შედეგადაც კირხსნარი ჩაღვნილია იატაკზე და მიცვალებულის ძვლებზეც. სამარხის ზომებია:  $2.2 \times 0.98 \times 1.0$  მ. მასში მინა არ იყო ჩასული. დაუკრძალავთ ორი მიცვალებული, ორივე გულაღმა გაშოტილი, თავით დას.-ით. ხელები ტანის გასწვრივ ქონდათ დანყობილი, თავები ერთმანეთისკენ შებრუნებული, მარჯვენა-მარცხენა ხელჩაკიდებული. დაკრძალვა თანადროულია, ამიტომ ჩრდ. დაკრძალულ მიცვალებულს მივეციტ პირობითად №1, ხოლო სამხ. დაკრძალულს - №2. №1 მიცვალებული 40-45 წლის მამაკაცია, №2 — 25-30 წლის დედაკაცი (ტაბ.XV<sub>5-6</sub>).

სამარხი უინვენტაროა.

### სამარხი №21

ქვაყუთია. სამარხი შედგენილია ქვიშაქვის ოთხი ფილით, ქონდა ბანური გადახურვა. სამარხი დამხრობილია აღმ.-დას. ღერძზე. დაზიანებულია: სახურავის ფილებიდან მხოლოდ აღმ. ფილაა შემორჩენილი, ისიც სამარხში ჩაქცეული. დამტვრეული და ფრაგმენტულია სამხრეთის გრძივი კედელიც. სამარხის ზომებია:  $2.13 \times 0.95 \times 0.68$  მ. სამარხში დაკრძალულია ერთი მიცვალებული. ძვლები არეულია, თავის ქალა არ დადასტურდა (ტაბ.XV<sub>7-8</sub>).

სამარხი უინვენტაროა.

### სამარხი №22

ქვაყუთია. გამართულია აღმ.-დას. ღერძზე, ჩრდილოეთისკენ გადახრით. შედგენილია ოთხი ფილით და გადახურულია — სამით. სამარხის ზომებია:  $2.05 \times 1.15 \times 0.72$  მ. სამარხის იატაკი მინატკეპნილია. ქვაყუთში დაკრძალული იყო ოთხი მიცვალებული. ყველა თავით დასავლეთით. პირველი მიცვალებულის პოზა არ იკითხება, №2 და 3 მიცვალებულები დაკრძალულები არიან გულაღმა, გაშოტილი, №4 მიცვალებული კი მათზეა დასვენებული, ხელები დანარჩენების მკერდის არეზე უდევს, ფეხები კი ნაწილობრივ მოხრილი აქვს (ტაბ.XV<sub>9-10</sub>).

სამარხში აღმოჩნდა:

1. საკინძი ოქროსი (ტაბ.XV<sub>11</sub>), პატარა ბურთულა თავით. ორ ადგილას მოხრილი. წონა — 0.52 გრ. აღმოჩნდა №4 მიცვალებულის თავის ქალასთან. ინვ.№32.

### სამარხი №23

ქვაყუთია. შედგენილია ოთხი ფილით და თავზე ბანურად დახურულია სამი ფილით. გამართულია აღმ.-დას. გრძივ ღერძზე. დაზიანებულია: სახურავის მარტო შუა ფილაა შემორჩენილი. სამარხის ზომებია:  $1.63 \times 0.8 \times 0.75$  მ. იგი სავსე იყო მიწით. დაუკრძალავთ ორი მიცვალებული — ქალი და 3 წლის ბავშვი. ორივე გულაღმა გაშოტილი, თავით დასავლეთით. ჯერ დაუკრძალავთ ბავშვი სამხრეთით, შემდეგ — ქალი ჩრდილოეთით. მას ფეხები ოდნავ მოხრილი აქვს, ხელები ტანის გასწვრივ აქვს ჩამოშვებული (ტაბ.XVI<sub>1-2</sub>).

სამარხი უინვენტაროა.

### სამარხი №24

ქვაყუთია. გამართულია აღმ.-დას. ღერძზე, ჩრდილოეთისკენ გადახრით. შედგენილია ოთხი ფილით და გადახურულია — სამით. სამარხი დაზიანებულია: ჩატეხილია სამარხის სახურავის შუა ფილა. მისი ზომებია:  $2.06 \times 1.0 \times 0.95$  მ. იატაკად კენჭოვანი შემზადების შემდეგ მიწატეხილია გაკეთებული. სამარხში დაკრძალულია ორი მიცვალებული, გულაღმა გამოტილი, თავით დასავლეთით. ჩრდ. დაკრძალულ მიცვალებულს ხელები ტანის გასწვრივ, მენჯის ქვეშ აქვს დაწყობილი, სამხ. დაკრძალულს — ტანის გასწვრივ. ძვლები კარგადაა დაცული. ჯერ დაუკრძალავთ სამხრეთის მიცვალებული — ქალი (№1), შემდეგ კი მალევე მამაკაცი ჩრდილოეთით (№2) (ტაბ.XVI<sub>3-4</sub>).

სამარხში აღმოჩნდა:

1. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ.XVI<sub>5</sub>), ვარდული თავით. ნამოცმულია გიმრის კასრისებური, გოფრირებული მძივი. საკინძი ნაკლულია. მძივი — გატეხილი. საკინძის შემორჩენილი სიგრძე — 7 სმ, მძივის სიგრძე — 2.1 სმ, მძივის დმ — 1.4 სმ. აღმოჩნდა №1 მიცვალებულის თხემთან. ინვ.№33.
2. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ.XVI<sub>6</sub>), ძონისა და მარგალიტის ბურთულა თვლით. სიგრძე — 7.4 სმ. აღმოჩნდა №1 მიცვალებულის თხემთან. ინვ.№34.
3. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ.XVI<sub>7</sub>), ინვ.№34-ის ანალოგიური, აკლია მარგალიტის მძივი. ნაკლულია და გატეხილი. სიგრძე — 7.1 სმ. აღმოჩნდა იქვე. ინვ.№35.
4. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ.XVI<sub>8</sub>), 3 ცალი. თავები მარაოსებურადაა გაშლილი. ნაკლულია სამივე. სიგრძე — 4.2-4.4-4.6 სმ. აღმოჩნდა იქვე. ინვ.№36.
5. სანელსაცხებლე მინისა (ტაბ.XVI<sub>9</sub>). ბურთულა ტანით, მაღალი ყელით, გადაშლილი პირით, შიგნით ჩაკეცილი ბაკოთი. გატეხილია ორად. პატინირებული. სიმაღლე — 3.8 სმ, მუცლის დმ — 2.7 სმ, პირის დმ — 1.4 სმ, ყელის სიმაღლე — 1.3 სმ. აღმოჩნდა №2 მიცვალებულის მარჯვენა ბარძაყის ფოსოსთან. ინვ.№37.

### სამარხი №25

ქვაყუთია. დამხრობილია დასავლეთიდან აღმოსავლეთით, ჩრდილოეთისკენ გადახრით. შედგენილია ოთხი ქვიშაქვის ფილით და დახურულია — სამით. სამარხის ზომებია:  $2.08 \times 1.1 \times 1.25$  მ. იატაკი მიწატეხილია. დაკრძალულია ერთი ინდივიდი, გულაღმა გამოტილი, თავით დასავლეთით. ხელები ტანის გასწვრივ აქვს დაწყობილი. მარცხენა ხელი ოდნავ განზიდული და მოხრილი აქვს, მარჯვენა ფეხი კი ასევე ოდნავ მოხრილი (ტაბ.XVI<sub>10-11</sub>).

სამარხი უინვენტაროა.

### სამარხი №26

ქვაყუთია, შედგენილი ოთხი ფილით და გადახურული ბანურად ორით. გამართულია აღმ.-დას. გრძივ ღერძზე. დაზიანებულია: აღმოსავლეთის სახურავი ჩაშლილია. სამარხის ზომებია:  $1.15 \times 0.50 \times 0.60$  მ. სამხრეთ ნაწილში დაკრძალული იყო ერთი წლის ბავშვი, გულაღმა გამოტილი, თავით დასავლეთისკენ. როგორც ჩანს, სამარხი ორისთვის იყო გამზადებული, მაგრამ მეორე შემდეგ აღარ დაუკრძალავთ (ტაბ.XVII<sub>1-2</sub>).

სამარხი უინვენტაროა.

### სამარხი №27

ქვაყუთია. გამართულია აღმ.-დას. ღერძზე. შედგენილია ქვიშაქვის 4 ფილით, გადახურულია — 3-ით. შუა ფილა სამარხშია ჩავარდნილი. სამარხის კუთხეებში დარჩენილი სივარულიანი შევსებულია პატარა ქვებით. ქვაყუთის ზომებია:  $2.4 \times 0.95 \times 1$  მ. სამარხი კოლექტიურია. დაკრძალულია

ხუთი მიცვალებული დროის მონაცვლეობით. ფეხების მდებარეობით ოთხი გულაღმა გამოტილია დაკრძალული, თავით დასავლეთით. ერთი მიცვალებული მიხვეტილია სამხ.-აღმ. კუთხეში (ტაბ.XVII<sub>3-4</sub>).

სამარხი უინვენტაროა.

### სამარხი №28

ქვაყუთია. გამართულია აღმ.-დას. ღერძზე. შედგენილია ქვიშაქვის ოთხი ფილით და დახურულია — სამით. შუა ჩაქცეულია სამარხში. სამარხის ზომებია: 1.85×0.88×1.05 მ. სამარხი კოლექტიურია. დაკრძალულია შვიდი მიცვალებული. თითქმის ყველა თავით დასავლეთით. სამი მიცვალებული გულაღმა, გამოტილია, დანარჩენების ძვლები ერთმანეთშია არეული. იატაკად თიხის ფილები და კიდებმომტვრეული ბრტყელი კრამიტებია გამოყენებული, რომლებიც კირხსნარზეა დაწყობილი. ფილების ზომებია: 33×35 სმ, კრამიტის სიგანე ქვედა კიდეში — 34 სმ. კირხსნართაა ამოღესილი სამარხის ქვედა კუთხეებიც (ტაბ.XVII<sub>5-7</sub>).

სამარხი უინვენტაროა.

### სამარხი №29

ქვაყუთია. ყველაზე ჩრდილოეთითაა გამართული. დამხრობილია აღმ.-დას. ღერძზე. შეკრულია ოთხი ქვიშაქვის ფილით და დახურულია - ორით. სამარხი დაზიანებულია: აკლია კედლის აღმ. ფილა და ჩრდ. ფილის აღმოსავლეთი ნაწილი, არ აქვს სახურავის აღმ. ფილა. მისი ზომებია: 2.2×1.02×0.92 მ. სამარხი გაძარცვულია. ჩონჩხიდან მხოლოდ რამდენიმე პატარა ფრაგმენტი იყო დარჩენილი (ტაბ.XVII<sub>8-9</sub>).

### სამარხი №30

ქვაყუთია. გამართულია აღმ.-დას. ღერძზე. შედგენილია ოთხი ფილით და გადახურულია — სამით. სამარხი დაზიანებულია: დას. ფილა ჩამტვრეულია სამარხში. სამარხის ზომებია: 1.92×1.0×0.87 მ. გამართულია 0.75 მ-ის სიღრმეზე. იატაკი თიხატყეპნილია. ქვაყუთში დაკრძალული იყო სამი მიცვალებული, სამივე გულაღმა გამოტილი, თავით დასავლეთით. პირველად დაკრძალული (№1) ჩრდილოეთით მიუწევიათ. მეორე (№2) სამხრეთით დაუსვენებიათ. მესამე მიცვალებული კი (№3) შუაში დაუსვენებიათ. ეს უკანასკნელი ავადმყოფი უნდა ყოფილიყო — ფეხის ფალანგები ქონდა შეტყუებული (ტაბ.XVIII<sub>1-2</sub>)

სამარხში აღმოჩნა:

1. ბეჭედი ოქროსი (ტაბ.XVIII<sub>3</sub>). დაკეჭნილ მავთულოვან რკალზე, მირჩილულია ნაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმის, შუაში გაგანიერებული, ქვემოთა მხრიდან შედრეკილი თვალბუდე. მასში ზის ამოზურცული ორნახნაგოვანი ოვალური გრანატის თვალი. ბეჭდის რკალის სისქე — 0.15 სმ, რკალის დმ — 2 სმ, თვალბუდის სიგრძე — 1.3 სმ, თვალბუდის უდიდესი სიგანე — 0.6 სმ, სიმაღლე — 0.4 სმ, ბეჭდის წონა — 2.17 გრ. აღმოჩნდა №1 მიცვალებულის ხელის ფალანგზე. ინვ.№38.
2. საკინძი რკინისა (ტაბ.XVIII<sub>4</sub>). თავი შემკულია პასტის ბურთულა მძივით და ბრინჯაოს ვარდულით. დაჟანგული და ნაკლულია. აღმოჩნდა №2 მიცვალებულის თხემთან. ინვ.№39.
3. საკინძი რკინისა (ტაბ.XVIII<sub>5</sub>). ანალოგიური ინვ.№39-ისა. ნაკლული, გატეხილი. აღმოჩნდა იქვე. ინვ.№40.
4. საკინძი რკინისა (ტაბ.XVIII<sub>6</sub>), თავი შემკულია პასტის ბურთულა მძივით. გატეხილია სამად. დაჟანგული. აღმოჩნდა №3 მიცვალებულის ყელის არეში. ინვ.№41.
5. საკინძი ძვლისა (ტაბ.XVIII<sub>7</sub>). ყელზე კვადრატია გამოკვეთილი, რომელზეც ჯვარედინი ჭდეულია გაკეთებული. თავი მრგვალი საკიდის ფორმისაა (ეგვიპტურ გასაღებს გავს!). ნაკლულია. გატეხ-

ილია ორად. სიგრძე — 5.4 სმ. აღმოჩნდა №2 მიცვალებულის თავის ქალასთან. ინვ.№42.

6. თვალბუდე ბეჭდისა (ტაბ.XVIII<sub>გ</sub>). დამზადებულია რკინის ფირფიტისგან. მრგვალი. მჯდარა მინის თხელი ფირფიტა, რომლის ფრაგმენტებია შემორჩენილი. თვალბუდის დმ — 3.2 სმ, სისქე — 0.3 სმ. აღმოჩნდა №2 მიცვალებულის ბეჭის ქვეშ. ინვ.№43.

### სამარხი №31

ქვაყუთია. გამართულია აღმ.-დას. ღერძზე. შედგენილია ქვიშაქვის 4 ფილით და დახურული — სამით. სამარხის გრძივი კედლების დას. კიდეები და დას. კედელი გაცილებით დაბალი და დაზიანებულია. სამარხის ზომებია: 2.06×1.0×0.85 მ. იგი სავსეა მინით. დაკრძალულია ორი მიცვალებული. ერთი (№1) მიუხვეტავთ ჩრდ.-დას. ნაწილში, მეორე (№2) ნევს სამხრეთ ნაწილში გულაღმა, თავით დასავლეთისკენ, ხელები მხრებზე უწყვია, ფეხები მოკეცილი აქვს ჩრდილოეთისკენ (ტაბ.XVIII<sub>გ-10</sub>).

სამარხში აღმოჩენილი ინვენტარიდან მხოლოდ ერთი ბეჭედი (ინვ.№67) ეკეთა №2 მიცვალებულს. დანარჩენი კი მიხვეტილი მიცვალებულის კუთვნილია.

სამარხში აღმოჩნდა:

1. სანელსაცხებლე მოყავისფრო მინისა (ტაბ.XVIII<sub>11</sub>). პირი ოდნავ გადაშლილი აქვს, ბაკო შიგნით ჩაკეცილი. დაბალი ყელი ტანისკენ გარდამავალ ნაწილში დავინროვებულია. მოგრძო, მხრებდაქანებული და ვიწრო ტანი ქვემოთკენ თანდათანობით მსხვილდება და მრგვალი, გამოყოფილი ძირით სრულდება. ძირზე „ფხიანი“ ნაწიბური აქვს. ირიზებულია. სიმაღლე — 4.6 სმ, მუცლის დმ - 2.5 სმ, ყელის დმ — 0.7 სმ, პირის დმ — 1.3 სმ. აღმოჩნდა №1 მიცვალებულის ძვლებში. ინვ.№55.

2. სანელსაცხებლე მინისა (ტაბ.XVIII<sub>12</sub>), მომწვანო ფერის, სქელკედლიანი. პირი გადაშლილი და მცირედ შესქელებული აქვს, ყელი მაღალი აქვს, ძირისკენ თანდათანობით ვიწროვდება და სფერული ტანისაგან მკვეთრად გამოიყოფა. ძირი დაბრტყელებული აქვს. ძირზე ფხიანი ნაწიბური აქვს. სიმაღლე — 3.8 სმ, მუცლის დმ — 2.4 სმ, ყელის დმ — 0.8 სმ, პირი დმ — 1.3 სმ. აღმოჩნდა იქვე. ინვ.№56.

3. ბეჭედი აქატისა (ტაბ.XVIII<sub>13</sub>). შიგნიდან ბრტყელია, გარედან ამობურცული და შუაზე ნახნაგანი. მხრებთან ოდნავ გაფართოებულია. ნახნაგის ზედა ნაწილი ნაკვეთილია. დმ — 2 სმ, ფარაკის სიგანე — 0.5 სმ. აღმოჩნდა №1 მიცვალებულის ძვლებში. ინვ.№57.

4. ბეჭედი ქალცედონისა (ტაბ.XVIII<sub>14</sub>). შიგნიდან ბრტყელია, გარედან ამობურცული და გოფრირებული. მხრებთან ოდნავ გაფართოებული. ზედაპირი ნაკვეთილია. ბრტყელ და ოვალურ ზედაპირზე გემაა. გამოსახულია ნახევარმთვარე და რვაქიმიანი ვარსკვლავი. დმ — 2.4 სმ, ფარაკის სიგანე — 0.6 სმ. აღმოჩნდა - №1 მიცვალებულის ძვლებთან. ინვ.№58.

5. ბეჭედი სარდიონისა (ტაბ.XVIII<sub>15</sub>). შიგნიდან ბრტყელია, ზედა — ამობურცული. ოდნავ გაფართოებული მხრებით. ზედაპირი ნაკვეთილია, ოვალურ ფარაკზე გამოსახულია ბრონეულის ყვავილი. დმ — 2.3 სმ, ფარაკის სიგანე — 0.7 სმ. აღმოჩნდა იქვე. ინვ.№59.

6. ბეჭედი თაფლისფერი სარდიონისა (ტაბ.XVIII<sub>16</sub>). რკალი შიგნიდან ბრტყელია, გარედან ამობურცული. თანაბარი რკალი ზემოდან ნაკვეთილია. ბრტყელ, ოვალურ ზედაპირზე გამოსახულებაა — ათაშდანი (ცეცხლის საკურთხეველი). დმ — 2.3 სმ, სიგანე — 0.3 სმ. აღმოჩნდა იქვე. ინვ.№60.

7. ბეჭედი მწვანე მინისა (ტაბ.XVIII<sub>17</sub>). შიგნიდან ბრტყელია, გარედან ამობურცული. რკალი თანაბარი სისქისაა. პატინირებულია. დმ — 2 სმ, სიგანე — 0.4 სმ. აღმოჩნდა იქვე. ინვ.№61.

8. ბეჭედი ბრინჯაოსი (ტაბ.XVIII<sub>18</sub>). შემორჩენილია რკალი. წარმოადგენს ბრტყელ, კიდეებგახსნილ რგოლს, რომელზეც მირჩილული უნდა ყოფილიყო თვალბუდე. პატინირებული. დმ — 2.1 სმ, აღმოჩნდა №1 მიცვალებულის თავთან. ინვ.№62.

9. ბეჭედი რკინისა (ტაბ.XVIII<sub>19</sub>), ოვალურგანიკვეთიან რკალზე მირჩილული იყო მრგვალი თვალ-

ბუდე, რომელშიც მჯდარა მრგვალი, ამოზურცული და თავნაკვეთილი მინის (?) თვალი. თვალის ნაკვეთილ ზედაპირზე გამოსახულებაა. იკითხება სვასტიკა. ნაკლულია: შემორჩენილია ფარაკი და თვალი. ფარაკის დმ — 1.5 სმ, თვალის სიმაღლე — 0.5 სმ. თვალის დმ — 1.1 სმ. აღმოჩნდა იქვე. ინვ.№63.

10. ბეჭედი რკინისა (ტაბ.XVIII<sub>21</sub>). მრგვალ ღერაკზე არაპროპორციულად მირჩილულია მრგვალი თვალბუდე. თვალი დაკარგულია. ბეჭედი გატეხილი და დაჟანგულია. რკალის დმ — 2.1 სმ, თვალბუდის დმ — 2.1 სმ. აღმოჩნდა იქვე. ინვ.№64.

11. საკინძები ბრინჯაოსი (ტაბ.XVIII<sub>20</sub>), წყვილი. საკინძების თავები შემკულია მარგალიტის ბურთულა თვლებით. საკინძები გატეხილია. სიგრძე — 7 სმ. აღმოჩნდა იქვე. ინვ.№65.

12. მშვილდსაკინძი რკინის (ტაბ.XVIII<sub>23</sub>), ბრინჯაოს ჯაჭვითა და პასტის მძივებით. მშვილდსაკინძი მშვილდაპრტყელებული და განზიდულია, მუხლსახსრიანი. ნაკლული. მასზე აჩმული იყო ბრინჯაოს ჯაჭვი — საკიდი, რომელსაც ოთხი განშტოება აქვს. სამ მათგანზე, ბოლოში, წამოცმული იყო პასტის მძივი, ერთი სადა, მეორე ხალიანი, ხოლო მესამე დაფარული ხაზოვანი ორნამენტით. ფიბულის სიმაღლე — 1.9 სმ, მშვილდის სიგანე — 1.2 სმ, მძივის დმ — 0.9-1.7 სმ. აღმოჩნდა №1 მიცვალებულის თავთან. ინვ.№66.

13. ბეჭდის რკალი რკინისა (ტაბ.XVIII<sub>22</sub>). მრგვალგანიკვეთიანი. დაჟანგული. დმ — 2.1 სმ. ეკეთა №2 მიცვალებულს მარცხენა ხელზე. ინვ.№67.

### სამარხი №32

ქვაყუთია. გამართულია აღმ.-დას. ღერძზე. შედგენილია 4 ქვიშაქვის ფილით და გადახურულია — სამით. ჩამოტეხილი აქვს დას. ფილის კიდეები, ამიტომ შექმნილი სიცარიელები კუთხეებში შევსებულია ქვებით. სამარხი დაზიანებულია: ჩატეხილია სახურავის ქვები. მისი ზომებია: 1.96×1.03×1.0 მ. სამარხში დაკრძალულია ორი მიცვალებული, ორივე გულაღმა, გაშოტილი, თავით დასავლეთით. სამხრეთის მიცვალებულს ხელები ბოქვენზე აქვს დადებული, ჩრდილოეთისას — ტანის გასწვრივ. პირველად სამხრეთისა დაუკრძალავთ (№1), შემდეგ ჩრდილოეთისა (№2) (ტაბ.XIX<sub>1-2</sub>).

სამარხში აღმოჩნდა:

1. სანელსაცხებლე მინისა (ტაბ.XIX<sub>3</sub>), ღია მწვანე ფერის. სქელკედლიანი. პირი ოდნავ გადაშლილი აქვს, ბაკო შიგნით ჩაკეცილი. დაბალი ყელი ტანისკენ გარდამავალ ნაწილში დავინროვებულია. მოგრძო, მხრებდაქანებული და ვიწრო ტანი ქვემოთკენ თანდათანობით მსხვილდება და მრგვალი, გამოყოფილი ძირით სრულდება. ძირზე „ფხიანი“ ნაწიბური აქვს. ირიზებულია. სიმაღლე — 3.9 სმ, მუცლის დმ — 2.7 სმ. აღმოჩნდა №2 მიცვალებულის თავის მარჯვენა მხარეს. ინვ.№50.

2. სანელსაცხებლე მინისა (ტაბ.XIX<sub>4</sub>). აქვს გადაშლილი პირი და შიგნით ჩაკეცილი ბაკო, საშუალო სიმაღლის ყელი. ნაკლულია: მუცელი და ძირი არაა შემორჩენილი. გატეხილია ორ ნაწილად. პირის დმ — 2.1 სმ, ყელის სიმაღლე — 2.8 სმ. აღმოჩნდა №1 მიცვალებულის მარჯვენა ილლიაში. ინვ.№51.

3. საკინძი ძვლის (ტაბ.XIX<sub>5</sub>). ნაკვეთილი თავით. თანაბრადშექვლებული ღერაკით. ნაკლულია. გატეხილია ორად. სიგრძე — 5.9 სმ. აღმოჩნდა №2 მიცვალებულის თავთან. ინვ.№52.

### სამარხი №33

ქვაყუთია. გამართულია აღმ.-დას. ღერძზე, მცირედ ჩრდილოეთისკენ გადახრილი. შედგენილია 4 ქვიშაქვის ფილით და გადახურულია — სამით. მისი ზომებია: 2.0×1.1×1.1 მ. სამარხში დაკრძალული იყო 5 მიცვალებული. ყველა გულაღმა, გაშოტილი, თავით დასავლეთით. ყველაზე ბოლოს დაკრძალული (№5) ფეხებმოკეცილია დასვენებული. მის დროს დიდი ხნის დაკრძალული ჩანს ორი მიცვალებული, რომელთა ძვლები №3 მიცვალებულთან ერთად ჩრდილოეთით მიუწე-

ვიათ, ხოლო მათგან სამხრეთით დაკრძალულის ტანი პირიქით, სამხრეთისკენ. განთავისუფლებულ ადგილას დაუსვენებიათ №5 მიცვალებული, რომელსაც თავი ყველაზე სამხრეთით უდევს (ტაბ. XIX<sub>6-7</sub>).

სამარხში აღმოჩნდა:

1. ბეჭედი ბრინჯაოსი (ტაბ. XIX<sub>8</sub>), წყვილი. წარმოადგენს ოდნავ დაბრტყელებულ სადა რგოლს. პატინირებულია. დმ — 1.9-2 სმ. აღმოჩნდა №3 მიცვალებულის ხელის ფალანგზე. ინვ. №53.

2. საკინძების ღერაკები ბრინჯაოსი (ტაბ. XIX<sub>9</sub>), 2 ცალი. სიგრძე — 4.8-5.2 სმ. აღმოჩნდა №5 მიცვალებულის თავის ქვეშ. ინვ. №54.

№3 მიცვალებულის ბარდაყთან აღმოჩნდა რკინის ფიბულის ფრაგმენტი, რომელიც ძლიერი კოროზიის გამო დაიშალა.

### სამარხი №34

ქვაყუთია. გამართულია აღმ.-დას. ღერძზე. მასზე გადატარებულია ბეტონის სარტყელი, ამიტომ სრულად ვერ გამოვარჩინეთ და გარე ზომებიც ვერ ავიღეთ. შედგენილია ოთხი ქვიშაქვის ფილით და დახურულია — სამით. სამარხის შიდა ზომებია: 1.8×0.66×0.82 მ. დაკრძალული იყო სამი მიცვალებული, ყველა თავით დასავლეთისკენ. ყველაზე ადრე დაუკრძალავთ ჩრდილოეთ კედელთან მიწეული მიცვალებული (№1). მეორე დაუკრძალავთ სამხრეთის მიცვალებული (№2), გულაღმა გამოტილი. ხელები ტანის გასწვრივ ელაგა, ხოლო ფეხები მუხლებში ოდნავ მოხრილი და განზიდული ქონდა. ბოლოს, №1 მიცვალებულზე დაუსვენებიათ კიდევ ერთი (№3). ფეხებიდან ერთი გამლილი აქვს, მარჯვენა მუხლში მოხრილი და მეორეს მუხლის ქვეშ ამოღებული (ტაბ. XIX<sub>1-2</sub>).

სამარხში აღმოჩნდა:

1. გრაგნილი ვერცხლისა (ამულეტი?) (ტაბ. XIX<sub>12</sub>). თხელი ფირფიტა დახვეული. სიგანე — 2.4 სმ, ფირფიტის სისქე — 0.1 სმ. აღმოჩნდა №1 მიცვალებულის ძვლებთან. წონა — 2.61 გრ. ინვ. №44.

2. აბზინდა ბრინჯაოსი (ტაბ. XIX<sub>14</sub>), მრგვალ რგოლზე მიმაგრებულია მოძრავი ენა. სიგრძე — 2.6 სმ, რგოლის დმ — 1.4 სმ. აღმოჩნდა №1 მიცვალებულის ძვლებთან. ინვ. №45.

3. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ. XIX<sub>13</sub>). ლურსმნისებური თავით. ნაკლული, გატეხილი. სიგრძე — 6.6 სმ. აღმოჩნდა №2 მიცვალებულის თავის ჩრდილოეთ მხარეს. ინვ. №46.

### სამარხი №35

ქვაყუთია. დამხრობილია აღმ.-დას. ღერძზე, მცირედ ჩრდილოეთისკენ გადახრით. მასზე გადატარებულია ბეტონის სარტყელი, ამიტომ სრულად ვერ გამოვარჩინეთ და გარე ზომებიც ვერ ავიღეთ. შედგენილია ოთხი ქვიშაქვის ფილით და დახურულია — სამით. შიდა ზომებია: 1.70×0.66×0.70 მ. სამარხში დაკრძალულია ორი მიცვალებული, ორივე გულაღმა გამოტილი, თავით დასავლეთით. ძვლები მიწეულ-მოწეულია. პირველად დაუკრძალავთ სამხრეთის (№1), შემდეგ ჩრდილოეთის (№2) მიცვალებული (ტაბ. XX<sub>1-2</sub>).

სამარხში აღმოჩნდა:

1. მშვილდსაკინძი რკინის (ტაბ. XX<sub>3</sub>), მუხლსახსრიანი, ჩადრეკილი ქედით, აბმული ბუდით. სიგრძე — 4.7 სმ, სიმაღლე — 1.9 სმ. აღმოჩნდა №2 მიცვალებულის წელის არეში. ინვ. №47.

2. საკინძის ფრაგმენტები რკინისა (ტაბ. XX<sub>4</sub>), დამტვრეული, დაჟანგული. აღმოჩნდა №2 მიცვალებულის თავის არეში. ინვ. №48.

### სამარხი №36

ქვაყუთია. გამართულია აღმ.-დას. ღერძზე. შედგენილია ოთხი ფილით, სახურავი სამი ფილის უნდა ჰქონოდა. დაზიანებულია: დამტვერულია სახურავის შუა და დას. ფილები. კედლის ქვის პირები უსწორმასწორო და არათანაბარი სიმაღლისაა, შექმნილი სიცარიელები შევსებულია რიყის ქვებით. სამარხის ზომებია:  $2.0 \times 0.79 \times 0.82$  მ. იატაკი თიხატკეპნილია. სამარხში დაკრძალული იყო ერთი მიცვალებული, გულაღმა გამოტილი, თავით დასავლეთით. ხელები დანყობილი ქონდა მხრებზე (ტაბ. XX<sub>5-6</sub>).

სამარხში აღმოჩნდა:

1. ბეჭედი რკინისა (ტაბ. XX<sub>7</sub>), მრგვალი ფარაკით. დაჟანგული, ნაკლული. ფარაკის დმ — 1.4 სმ. ეკეთა მარცხენა ხელზე. ინვ. №49.

### სამარხი №37

ქვაყუთია. გამართულია აღმ.-დას. ღერძზე. შედგენილია ოთხი ქვიშაქვის ფილით და გადახურულია ორი ფილით. სამარხის კუთხეები ამოღესილია ტალახით. ქვაყუთის ზომებია:  $2.37 \times 1.28 \times 1.6$  მ. იატაკი 1.4 მ-ის სიღრმეზეა გამართული. სამარხში დაკრძალულია სამი მიცვალებული, სამივე გულაღმა გამოტილი, თავით დასავლეთით. ჯერ დაუკრძალავთ სამხრეთის მიცვალებული (№1), შემდეგ მის ჩრდილოეთით (№2) და ბოლოს ამ მიცვალებულზე დაუსვენებიათ მესამე (№3). №1 მიცვალებულს ხელები ტანის გასწვრივ აქვს ჩამოშვებული, №2 მიცვალებულს მარცხენა ტანის გასწვრივ უდევს, მარჯვენა კი თავთან (თავის ქვეშ უნდა დებოდა, რადგან ფალანგები იქ დაფიქსირდა), №3 მიცვალებულს კი ხელები მუცელზე ქონდა დაკრეფილი, მარჯვენა ფეხი ოდნავ მოხრილი (ტაბ. XX<sub>8-9</sub>).

სამარხში აღმოჩნდა:

1. საკინძი ოქროსი და სპილენძის შენადნობისა (ტაბ. XX<sub>10</sub>). ორნილადი: თავი წარმოადგენს ოქროს ოთხკუთხედ თვალბუდეს. ზურგის და პირის ფირფიტა ერთმანეთთან მიმაგრებულია გვერდითა ნახნაგზე დარჩილული წვრილი სარტყლით, რომელზეც გვერდებზე დასმულია 13-14 ცვარას ბურთულა. ზურგი სადაა, პირი მხარეს გაკეთებულია ორი ბუდე, მთავარ ბუდეში ზის გრანატის თვალი, ხოლო მის თავზე, პატარა ბუდეში ჩასხმულია ლურჯი პასტა. თვალბუდეს ქვემოთა ნახნაგზე გაკეთებული აქვს ოქროსავე მუხლი, რომელშიც სპილენძის ღერაკია გაყრილი. საკინძის სპილენძისავე ღერო ამ მუხლშია შესმული და სიმაგრისათვის ოქროს თვალბუდეშია ჩამაგრებული. ღერო გატეხილია სამ ნაწილად. თვალბუდის სიგრძე — 1.4 სმ, სიგანე — 1.3 სმ, სისქე — 0.4 სმ, თვალის სიგრძე — 1 სმ, თვალის სიგანე — 0.7 სმ, საკინძის სიგრძე — 9.2 სმ, წონა — 3.05 გრ. აღმოჩნდა №1 მიცვალებულის თავის ქალის ქვეშ. ინვ. №70.

2. საკინძი ოქროსი და სპილენძის შენადნობისა (ტაბ. XX<sub>11</sub>). ინვ. №70-ის წყვილი. განსხვავება მხოლოდ სახსარშია. პირველისგან განსხვავებით, ამას სამი გაცალკეებული რგოლი აქვს მირჩილული, რომელთა შორის საკინძის სპილენძის ღეროა შესმული და სპილენძისავე ღერაკით დამაგრებული. თავის დროსვე დაზიანებულია საკინძის ღერო და სახსარში მისი მიმაგრებისთვის ოქროს შუა რგოლსა და სპილენძის ღეროზე შემოუხვევიათ სპილენძის მავთული. ღერო მომტვერულია. თვალი ამოვარდნილი. თვალბუდის სიგრძე — 1.4 სმ, სიგანე — 1.3 სმ, სისქე — 0.35 სმ, საკინძის სიგრძე — 7.6 სმ, წონა — 2.83 გრ. აღმოჩნდა იქვე. ინვ. №71.

3. საკინძი ოქროსი (ტაბ. XX<sub>12</sub>). ორნილადი. ღერო სპილენძის შენადნობია. მასზე დასმულია სპილენძის საყრდენი რგოლი, რომელზეც დარჩილულია ოქროს დაფანჯრული, ოვალური, ოთხნახნაგიანი ფუყე ბურთულა. თითოეულ ნახნაგზე ამოჭრილია თვალის ფორმის ბუდე, რომელშიც ინკრუსტაციის წესით ჩასმული იყო გრანატის ასეთივე ფორმის თვლები. საკინძი ბოლოვდება მარგალიტის პატარა მძივით. საკინძი დაზიანებულია: ამოვარდნილია სამი თვალი და გატეხილია სპილენძის ღერო. საკინძის სიგრძე — 10.2 სმ, ოქროს ბურთულის სიგრძე — 0.9 სმ, დმ — 0.7 სმ, წონა — 1.17 გრ. აღმოჩნდა იქვე. ინვ. №72.

4. საკინძი ოქროსი (ტაბ. XX<sub>13</sub>). ორნილადი: სპილენძის ღეროზე წამოცმულია ოქროს გავარსიანი



(ცრუცვარას) მავთულით გაკეთებული ბიკონუსური ქვირული ბურთულა. ბურთულის შუა ნაწილი მავთულის სარტყელია, რომელზეც პროპორციულად მიმაგრებულია ოთხფურცელა ვარდულები. საკინძი ბოლოვდებოდა პატარა მარგალიტის მძივით. საკინძი დაზიანებულია: ბურთულა დეფორმირებულია, ღერო გატეხილი, მარგალიტის მძივი მომძვრალი. საკინძის სიგრძე — 5.7 სმ, ოქროს ბურთულის სიგრძე — 0.75 სმ, დმ — 0.75 სმ, წონა — 0.54 გრ. ღეროზე შემორჩენილია ქსოვილის კვალი. აღმოჩნდა იქვე. ინვ.№73.

5. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ. XX<sub>14</sub>), მარგალიტის მძივით. გატეხილია სამ ნაწილად. სიგრძე — 5 სმ. შემორჩენილი აქვს ქსოვილის კვალი. აღმოჩნდა იქვე. ინვ.№74.

6. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ. XX<sub>15</sub>), ცრემლისებური თავით. ნაკლული. პატინირებული. სიგრძე — 4.5 სმ, თავის დმ — 0.5 სმ. აღმოჩნდა იქვე. ინვ.№75.

7. ბეჭედი თაფლისფერი აქატისა (ტაბ. XX<sub>16</sub>). შიდა მხარე სწორია, გარეთა ამობურცული. მხრებთან გაგანიერებული. ზედა მხარე წაკვეთილია და ოვალურ სწორ ზედაპირზე ფრინველის (იხვი ?) გამოსახულებაა მოცემული, რომლის წინ და ზურგთან ორი ჯვარია მოცემული. ბეჭდის დმ — 2.7 სმ, ზედაპირის სიგანე — 0.8 სმ. №1 მიცვალებულს ეკეთა მარცხენა ხელზე. ინვ.№76.

8. ბეჭედი აქატისა (ტაბ. XX<sub>17</sub>). შიდა მხარე სწორია, გარეთა ამობურცული. ზედა მხარე წაკვეთილია და სწორი ოვალა ფარაკად გაკეთებული. დმ — 2.7 სმ, წაკვეთილი ზედაპირის სიგანე — 0.7 სმ. აღმოჩნდა იქვე. ინვ.№77.

**სამარხი №38**

ქვაყუთია. გამართულია აღმ.-დას. ღერძზე, მცირედ ჩრდილოეთისკენ გადახრილი. შედგენილია ოთხი ქვიშაქვის ფილით და გადახურულია ბანურად სამი ფილით. კედლის ფილების კიდეების უსწორმასწორობის გამო დარჩენილი სიცარიელები შევსებულია ქვითა და მიწით. მისი ზომებია: 1.9×0.84×0.94 მ. სამარხში დაკრძალულია ერთი მიცვალებული გულაღმა გამოტილი, თავით დასავლეთით. ხელები ტანის გასწვრივ აქვს დალაგებული. დაკრძალულია სამარხის ჩრდ. მხარეს, რაც იმას ნიშნავს, რომ სამარხი ორისთვის იყო გამიზნული, მაგრამ მეორე აღარ დაუკრძალავთ (ტაბ. XXI<sub>1-2</sub>).

სამარხი უინვენტაროა.

**სამარხი №39**

ქვაყუთია. გამართულია აღმ.-დას. ღერძზე. შედგენილია ოთხი ქვიშაქვის ფილით და გადახურულია ბანურად სამი ფილით. კედლის ფილების კიდეების უსწორმასწორობის გამო დარჩენილი სიცარიელები შევსებულია ქვითა და მიწით. სამარხი დაზიანებულია: არ შემორჩა სახურავის აღმ. ფილა. სამარხის ზომებია: 1.98×1.05×0.85 მ. სამარხი გაძარცვულია. ძვლები არეული და ნაკლული (ტაბ. XXI<sub>3-4</sub>).

სამარხი უინვენტაროა.

**სამარხი №40**

ქვაყუთია. გამართულია აღმ.-დას. ღერძზე. შედგენილია ოთხი ფილით და გადახურული — სამით (დას. ფილა არაა შემორჩენილი). სამარხის ზომებია: 2.0×0.85×1.05 მ. იგი მიწითაა სავსე (ტაბ. XXI<sub>5-6</sub>). დაკრძალულია ერთი მიცვალებული, გულაღმა, გამოტილი, თავით დასავლეთით. მარჯვენა ხელი განზე აქვს განეული და იდაყვი ოდნავ მოხრილი. მიცვალებულს თავთან აღმოაჩნდა ბრინჯაოს საკინძი:

1. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ. XXI<sub>7</sub>). შემორჩენილია თავის ბოლო, პატარა საყრდენი ბურთულით. გატეხილია 4 ნაწილად. აღმოჩნდა მიცვალებულის თავთან. სიგრძე — 6.1 სმ. ინვ.№81.

### სამარხი №41

ორმოსამარხის ნაშთია. გამართულია აღმ.-დას. ღერძზე. გადახურული იყო ქვიშაქვის ფილებით. შემორჩენილია მხოლოდ სამარხის დას. ნაწილი და სახურავის ერთი ფილა. დასაკრძალავი ორმოს სიგანე 40 სმ-ია. შემორჩენილი სიგრძეა 25 სმ. სამარხში დაკრძალული იყო მცირეწლოვანი, რომლის ძვლები შემორჩენილი იყო ფრაგმენტულად და შესაბამისად, დაკრძალვის პოზა ვერ დადგინდა (ტაბ. XXII<sub>8-9</sub>).

სამარხი უინვენტაროა.

### სამარხი №42

ქვაყუთია. გამართულია აღმ.-დას. ღერძზე, მცირედ ჩრდილოეთისკენ გადახრილი. შედგენილია ოთხი ქვიშაქვის ფილით და დახურული — სამით. სამარხის ზომებია: 2.0×1.0×0.87 მ. მისი თიხატკეპნილი იატაკი 1.07 მ-ზეა გამართული. სამარხში დაკრძალულია ორი მიცვალებული, ორივე გულაღმა გაშოტილი, თავით დასავლეთისკენ. ხელები ტანის გასწვრივ ულაგიათ. პირველი დაუკრძალავთ სამხრეთის მიცვალებული (ტაბ. XXII<sub>1-2</sub>).

სამარხში აღმოჩნდა:

1. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ. XXII<sub>3</sub>), წყვილი. თავი გირჩის გამოსახულებაა. სიგრძე — 9.4 სმ. ერთი გატეხილია. აღმოჩნდა №2 მიცვალებულის თავის ქალასთან. ინვ. №68.
2. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ. XXII<sub>4</sub>), წყვილი. თავები შემკულია სარდიონისა და მარგალიტის მძივებით. სიგრძე — 6.1 სმ. აღმოჩნდა იქვე. ინვ. №69.

### სამარხი №43

ქვაყუთია. დამხრობილია დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ. შედგენილია ქვიშაქვის ოთხი ფილით და გადახურულია — სამით. სახურავის დასავლეთი ფილის დას. კიდეში სისწორისათვის შეყუდებულია ქვიშაქვის პატარა ფილა. ქვაყუთის ზომებია: 2.56×1.1×0.7 მ. სამარხში დაკრძალულია ორი მიცვალებული, ორივე გულაღმა, გაშოტილი, თავით დასავლეთისკენ. ხელები ტანის გასწვრივ აქვთ დანყობილი. სამხრეთით დაკრძალულია 50 წლის მამაკაცი, ჩრდილოეთით — ბავშვი (ტაბ. XXII<sub>5-6</sub>).

სამარხში აღმოჩნდა:

1. სანელსაცხებლე მინისა (ტაბ. XXII<sub>7</sub>), მწვანე ფერის. აქვს ოდნავ გადაშლილი პირი და შიგნით ჩაკეცილი ბაკო, დაბალი ყელი ტანისკენ გარდამავალ ნაწილში დავინროვებულია. მოგრძო, მხრებდაქანებული და ვიწრო ტანი ქვემოთკენ თანდათანობით მსხვილდება და მრგვალი, გამოყოფილი ძირით სრულდება. ძირზე „ფხიანი“ ნაწიბური აქვს. ირიზებულია. სიმაღლე — 9.6 სმ, მუცლის დმ — 3.3 სმ, ყელის დმ — 1.1 სმ, პირის დმ — 1.7 სმ. აღმოჩნდა კაცის მარჯვენა ხელის მტევანთან (ხელში ეჭირა). ინვ. №78.
2. რკინის საკინძების ფრაგმენტები (ტაბ. XXII<sub>8</sub>). შემორჩენილი აქვთ ქსოვილის კვალი. ძალიან დაჟანგული და ნაკლულია. 9 ფრაგმენტი. აღმოჩნდა კაცის თავთან. ინვ. №79.
3. ჭვირული დისკო რკინისა (ტაბ. XXII<sub>9</sub>), შუაში ჯვარია ჩასმული. დმ — 1 სმ. აღმოჩნდა იქვე. ინვ. №80.

### სამარხი №44

ქვაყუთია. გამართულია აღმ.-დას. ღერძზე. შედგენილია ქვიშაქვის ოთხი და გადახურულია სამი ფილით. სამარხის ზომებია: 2.05×1.05×0.95 მ. მასზე გადატარებულია ბეტონის სარტყელი, ამიტომ გარე ზომების აღება ვერ ხერხდება. დაკრძალულია ერთი მიცვალებული, გულაღმა გაშოტილი, თავით დასავლეთით. ხელები ტანის გასწვრივ აქვს დანყობილი. იატაკი წვრილკენჭო-

ვანია (ტაბ. XXII<sub>10-11</sub>).

სამარხი უინვენტაროა.

### სამარხი №45

ქვაყუთია. გამართულია აღმ.-დას. ღერძზე. შედგენილია ქვიშაქვის ოთხი ფილით და გადახურულია სამით. სახურავის ფილებს შორის სიცარიელები შევსილია რიყის ქვებით. სამარხის ზომებია: 1.9×0.9×0.98 მ. სამარხში დაკრძალული იყო ერთი მიცვალებული, ზრდასრული, გულალმა გამოტილი, თავით დასავლეთისაკენ, ხელები ტანის გასწვრივ (ტაბ. XXIII<sub>1-2</sub>).

სამარხი უინვენტაროა.

### სამარხი №46

ქვაყუთია. გამართულია აღმ.-დას. ღერძზე. შედგენილია ქვიშაქვის ოთხი ნაკლებად დამუშავებული ფილით და გადახურულია ორით. გამართულია №45 სამარხის გვერდით, ჩრდილოეთ მხარეს. სამარხის ზომებია: 2.05×0.95×0.87 მ. სამარხში დაკრძალულია ერთი მიცვალებული, გულალმა გამოტილი, თავით დასავლეთისაკენ. ხელები ტანის გასწვრივ აქვს ჩამოშვებული. იატაკი მიცვალებულის მხრებამდე მინატკეპნილია, მხრებიდან დას. კედლის ძირამდე კი კენჭებითა და კირხსნარით მოუკირნყლავთ (ტაბ. XXIII<sub>3-4</sub>).

სამარხი უინვენტაროა.

### სამარხი №47

ქვაყუთია. გამართულია აღმ.-დას. ღერძზე. შედგენილია ქვიშაქვის ოთხი ფილით და დახურულია – სამით. მდებარეობს №48 და №49 სამარხების პარალელურად, მათგან ჩრდილოეთით. სამარხის ზომებია: 1.95×1.0×0.85 მ. დაკრძალულია ოთხი მიცვალებული: სამი ზრდასრული და ერთი მცირეწლოვანი. ყველა თავით დასავლეთით. სამი მიცვალებული მიხვეტილია ჩრდ. კედელთან და ცარიელ ადგილას დაკრძალულია ბავშვი გულალმა, გამოტილი (ტაბ. XXIII<sub>5-6</sub>).

სამარხში აღმოჩნდა:

1. სამაჯური ბრინჯაოსი (ტაბ. XXIII<sub>7</sub>). წარმოადგენს ბრინჯაოს სამი მავთულის გრებილს, რომელიც შეკრულია თავისივე რგოლითა და კაუჭით. დმ — 4.9 სმ, გრებილის სისქე — 0.5 სმ. აღმოჩნდა ბავშვის ძვლებში. ინვ. №82.
2. საკინძი რკინისა (ტაბ. XXIII<sub>10</sub>). თავი შემკულია ლურჯი პასტის მძივით და ბრინჯაოს 2 ვარდულით. აკლია ღერო. დაჟანგულია. სიგრძე — 2.9 სმ. აღმოჩნდა იქვე. ინვ. №83.
3. ზარაკი ბრინჯაოსი (ტაბ. XXIII<sub>9</sub>), რკინის ენით. აკლია ყუნწი. დმ — 2 სმ, სიმაღლე — 1.4 სმ. აღმოჩნდა მიხვეტილი მიცვალებულის ძვლებში. ინვ. №84.
4. კვირისტავი ძვლისა (ტაბ. XXIII<sub>8</sub>). ზედაპირი ქდეული კოპებითა და კონცენტრული ღარებითაა ორნამენტირებული. დმ — 2.3 სმ, სისქე — 0.5 სმ, ნახვრეტის დმ — 0.5 სმ. აღმოჩნდა იქვე. ინვ. №85.
5. მძივი მინისა (ტაბ. XXIII<sub>11</sub>), ხალიანი. აღმოჩნდა იქვე. ინვ. №86.

### სამარხი №48

ქვაყუთია. გამართულია აღმ.-დას. ღერძზე. შედგენილია ქვიშაქვის ოთხი ფილით და გადახურულია სამით. სამარხის ზომებია: 1.63×1.04×0.9 მ. სამარხში დაკრძალულია ოთხი მიცვალებული (მათ შორის ერთი 20-25 წლის მამაკაცია, ერთი 30-35 წლის დედაკაცი), ყველა თავით დასავლეთით. სამი მიხვეტილია ჩრდ. კედელთან, ერთი, ბოლო, დაკრძალულია სამხ. ნაწილში გულალმა, გამოტილი, ხელები მუცელზე აქვს დაკრეფილი (ტაბ. XXIV<sub>1-2</sub>).

სამარხში აღმოჩენილი ინვენტარი:

1. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ. XXIV<sub>3</sub>). თავი შემკულია ცრემლისებური, 8 ნახნაგოვანი ლაჟვარდისფერი პასტის მძივით. სიგრძე — 8.4 სმ, მძივის სიგრძე — 1.7 სმ, დმ — 1.1 სმ. აღმოჩნდა მიხვეტილი მიცვალებულის ძვლებში. ინვ. №87.
2. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ. XXIV<sub>4</sub>). ორკაპა თავით, რომელიც შემკულია მწვანე პასტის ბურთულა მძივებით. გატეხილია ორად. სიგრძე — 8 სმ. აღმოჩნდა №4 მიცვალებულის წელის არეში. ინვ. №88.
3. საკინძი ძვლისა (ტაბ. XXIV<sub>5</sub>), ხელის გამოსახულებიანი თავით. გატეხილია ორად. სიგრძე — 8 სმ. აღმოჩნდა №4 მიცვალებულის თავის არეში. ინვ. №89.

### სამარხი №49

ქვაყუთია. გამართულია აღმ.-დას. ღერძზე. შედგენილია ქვიშაქვის ოთხი ფილით და გადახურულია სამი ფილით. სამარხის ზომებია: 2.06×1.0×0.95 მ. დაკრძალულია 4 მიცვალებული. მათგან სამის დაკრძალვის პოზა იკითხება, ერთის არა. დაკრძალულები არიან გულაღმა გამოტილი, თავით დასავლეთით. ბოლოს დაკრძალულს (№4) ხელები მუცელზე აქვს დაკრეფილი, ხოლო ფეხები გადაჯვარედინებული. მასზე ადრე დაკრძალულები მიუწევიათ ჩრდილოეთით და სამხრეთით (ტაბ. XXIV<sub>6-7</sub>).

სამარხი უინვენტაროა.

### სამარხი №50

ორმოსამარხია ქვის ფილებით გადახურული. გამართულია აღმ.-დას. ღერძზე. გადახურულია ქვის ფილით. სამარხი ნახევრად დანგრეულია: ქრილში ჩანს ძვლები. სამარხის ორმოს სიგანეა 40 სმ. სამარხში დაკრძალულია 6 წლის ბავშვი გულაღმა გამოტილი, თავით დასავლეთისკენ. შემორჩენილი იყო წელს ზემოთა ნაწილი (ტაბ. XXIV<sub>8-9</sub>).

სამარხი უინვენტაროა.

### სამარხი №51

ორმოსამარხია. გადახურულია თიხის ფილებით. გამართულია აღმ.-დას. ღერძზე. სამარხის ზომებია: 1.25×0.65 მ. დაკრძალული იყო ბავშვი, რომლის ძვლებიდან მხოლოდ თავის ქალის ფრაგმენტები შემორჩა (ტაბ. XXV<sub>1</sub>).

სამარხი უინვენტაროა.

### სამარხი №52

ქვაყუთია. დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთით, ჩრდილოეთისკენ გადახრილი. შედგენილია ოთხი ფილით და გადახურულია სამით. სამარხის ზომებია: 2.23×1.0×1.25 მ. მიწა მცირე რაოდენობით იყო ჩასული. დაკრძალული იყო ორი მიცვალებული, ორივე გულაღმა, გამოტილი, თავით დასავლეთისკენ. №1 მიცვალებული ჩრდილოეთითაა მონეული, №2 სამხრეთით დაუწვენიათ, ხელები ტანის გასწვრივ აქვს დანყობილი (ტაბ. XXV<sub>2-3</sub>).

სამარხში აღმოჩნდა:

1. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ. XXV<sub>4</sub>), ჯვრის გამოსახულებიანი თავით. ნაკლული, დაჟანგული. სიგრძე — 2.3 სმ. აღმოჩნდა №2 მიცვალებულის თავთან. ინვ. №90.
2. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ. XXV<sub>5</sub>). გატეხილია სამად. პატინირებული. სიგრძე — 8 სმ. აღმოჩნდა იქვე. ინვ. №91.

### სამარხი №53

ქვაყუთია. დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთით, ჩრდილოეთისკენ გადახრილი. შედგენილია ოთხი ფილით და გადახურულია სამით. დაუმუშავებელი ფილებითაა ნაგები, კიდეები უსწორმასწოროა. სამარხის ზომებია:  $2.1 \times 1.05 \times 1.1$  მ. იატაკი მინატკეპნილია. დაკრძალულია ერთი მიცვალებული გულაღმა, გამოტილი, თავით დასავლეთით. ხელები ტანის გასწვრივ აქვს დანყობილი (ტაბ. XXV<sub>6-7</sub>).

სამარხი უინვენტაროა.

### სამარხი №54

ქვაყუთია. დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთით. შედგენილია ოთხი ფილით და გადახურულია სამით. კარგად დამუშავებული ფილებითაა ნაგები. კუთხეებში სიცარიელები ამოვსებულია კარგად მორგებული რიყის ქვებით და ტალახით. სამარხის ზომებია:  $1.9 \times 1.45 \times 0.87$  მ. სამარხში დაკრძალულია სამი მიცვალებული სამივე გულაღმა, გამოტილი, თავით დასავლეთით. ორი მიცვალებული მიხვეტილია ჩრდ. კედელთან. №3 მიცვალებული სამხრეთ ნაწილში დაუკრძალავთ. ხელები დანყობილი აქვს მენჯის თავზე (ტაბ. XXV<sub>8-9</sub>).

სამარხში აღმოჩნდა:

1. საკინძი ვერცხლისა (ტაბ. XXV<sub>10</sub>), წყვილი. ბურთულა თავით. ნაკლებები. სიგრძე — 3-4.8 სმ, ნონა — 2.02 გრ. დაფიქსირდა №1 მიცვალებულის თავის ქალასთან. ინვ. №92.

### სამარხი №55

ქვაყუთია. დამხრობილია აღმ.-დას. ღერძზე, ჩრდილოეთისკენ გადახრილი. დაზიანებულია: შემორჩენილია ჩრდ. და სამხ. ფილები. სამარხის შემორჩენილი ზომებია:  $1.01 \times 0.5 \times 0.36$  მ. დაკრძალულია ბავშვი. თავით დასავლეთით უნდა ყოფილიყო დაკრძალული. შემორჩენილია მხოლოდ ფეხის ორი ძვალი (ტაბ. XXVI<sub>1-2</sub>).

სამარხი უინვენტაროა.

### სამარხი №56

ქვაყუთია. გამართულია აღმ.-დას. ღერძზე. შედგენილია ქვიშაქვის ოთხი ფილით, რომლის ზედაპირზე, ნიველირებისთვის დალაგებულია ქვიშაქვის პატარა ქვები. გადახურული იყო სამი ფილით. სამარხი დაზიანებულია: შემორჩენილია სახურავის მხოლოდ აღმ. ფილა, რომელიც სამარხშია ჩავარდნილი. იგი შედის ცემენტის კედლის ქვეშ. ამიტომ სრულად გამოჩენა არ მოხერხდა. სამარხის ზომებია:  $1.9 \times 1.05 \times 0.76$  მ. მიცვალებული ჩასვენებული იყო ხის კუბოთი, რომელიც ფეხებთან ვინროვდებოდა. კუბო დახურული იყო. ფიცრებს გადაკრული ქონდა ქსოვილი (მაქმანისებრი). ძვლები ფიცრებს იყო მიკრული (ტაბ. XXVI<sub>3-4</sub>). ცხადია, სამარხი XIX ს. ხელახლა გამოყენებული.

სამარხი უინვენტაროა.

### სამარხი №57

ქვაყუთია. გამართულია აღმ.-დას. ღერძზე. შედგენილია ოთხი ქვიშაქვის ფილით და გადახურულია — სამით. სამარხის ზომებია:  $1.8 \times 1.1 \times 0.92$  მ. სამარხში დაკრძალული იყო სამი მიცვალებული, ყველა გულაღმა გამოტილი, თავით დასავლეთით. ორი მიცვალებული მიწვეული იყო ჩრდ. კედელთან, ერთი (№3) დასვენებული იყო განთავისუფლებულ სამხრ. ნაწილში. მარჯვენა ხელი ტანის გასწვრივ ქონდა ჩამოშვებული, მარცხენა - მენჯის ქვეშ ედო. ფეხებში ოდნავ მოხრილია (ტაბ. XXVI<sub>5-6</sub>).

სამარხში აღმოჩნდა:

1. ბეჭედი ოქროსი (ტაბ. XXVI<sub>7</sub>). რკალი წარმოადგენს გავარსიან მავთულს (ცრუცვარა), რომელიც მხრებთან დაბრტყელებულია და ზედ დარჩილულია კვადრატული თვალბუდე. თვალბუდეში ზის კვადრატულივე მწვანე პასტის თვალი. თვალბუდის ორივე მხარეს, მხრებზე დარჩილულია მრგვალი თვალბუდე, რომელშიც მარგალიტის თვლებია ჩასმული. რკალის დმ — 2.2 სმ, თვალბუდის სიგანე — 0.9 სმ, თვალბუდის სიმაღლე — 0.3 სმ, ბეჭდის წონა — 3.6 გრ. აღმოჩნდა №2 მიცვალებულის ბარძაყის თავთან. ინვ. №93.
  2. ბეჭედი ვერცხლისა (ტაბ. XXVI<sub>10</sub>). ბრტყელ, შუაში ღარით გაყოფილ რკალზე დარჩილული იყო მრგვალი თვალბუდე, რომელშიც იჯდა ლურჯი მინის მრგვალი და ბრტყელი თვალი. ნაკლული, გატეხილი. რკალის დმ — 1.9 სმ, რკალის სიგანე — 0.4 სმ, თვალის დმ — 0.7 სმ, წონა — 0.9 გრ. აღმოჩნდა №2 მიცვალებულის ბარძაყის თავთან. ინვ. №94.
  3. ბეჭედი კომბინირებული (ტაბ. XXVI<sub>6</sub>): რკალი მრგვალგანივკვეთიანი ბრინჯაოს რგოლია, რომელზეც მიჩილულია ოვალური მაღალი თვალბუდე. თვალი დაკარგულია. ბეჭდის დმ — 2.2 სმ, თვალბუდის სიგრძე — 1 სმ, თვალბუდის სიგანე — 0.7 სმ, თვალბუდის სიმაღლე — 0.4 სმ. აღმოჩნდა იქვე: როგორც ჩანს, ინვ. №94-თან ერთად ეკეთა თითზე, რადგან ბეჭდები რკალებით გადაჭდობილი აღმოჩნდა. ინვ. №95.
  4. ბეჭედი რკინისა (ტაბ. XXVI<sub>6</sub>). ბეჭდის რკალი ფართოვდება და გადადის სწორ, წაგრძელებულ ფარაკში. ზედ გამოსახულება იყო თუ არა, დაჟანგულობის გამო, უცნობია. ბეჭდის დმ — 2.4 სმ, ფარაკის სიგანე — 1 სმ, ფარაკის სიგრძე — 2 სმ. აღმოჩნდა №1 მიცვალებულის ხელის ფალანგზე. ინვ. №96.
  5. მონეტა ვერცხლისა (ტაბ. LXXI<sub>97</sub>). პეროზ შაჰისა. ავერსზე მისი გამოსახულებაა, რევერსზე — ათაშდანი ორ მცველთან ერთად. დმ — 2.6 სმ, სისქე — 0.1 სმ, წონა — 3.48 გრ. ინვ. №97.
  6. მონეტა ვერცხლისა (ტაბ. LXXI<sub>98</sub>). პეროზ შაჰისა. ავერსზე მისი გამოსახულებაა, რევერსზე — ათაშდანი ორ მცველთან ერთად. დმ — 2.6 სმ, სისქე — 0.1 სმ, წონა — 3.4 გრ. ინვ. №98.
  7. მონეტა ვერცხლისა (ტაბ. LXXI<sub>99</sub>). პეროზ შაჰისა. ავერსზე მისი გამოსახულებაა, რევერსზე — ათაშდანი ორ მცველთან ერთად. დმ — 2.65 სმ, სისქე — 0.2 სმ, წონა — 3.9 გრ. ინვ. №99.
  8. მონეტა ვერცხლისა (ტაბ. LXXI<sub>100</sub>). პეროზ შაჰისა. ავერსზე მისი გამოსახულებაა, რევერსზე — ათაშდანი ორ მცველთან ერთად. დმ — 2.8 სმ, სისქე — 0.15 სმ, წონა — 3.57 გრ. ინვ. №100.
  9. მონეტა ვერცხლისა (ტაბ. LXXI<sub>101</sub>). პეროზ შაჰისა. ავერსზე მისი გამოსახულებაა, რევერსზე — ათაშდანი ორ მცველთან ერთად. დმ — 2.8 სმ, სისქე — 0.15 სმ, წონა — 3.89 გრ. ინვ. №101.
  10. მონეტა ვერცხლისა (ტაბ. LXXI<sub>102</sub>). პეროზ შაჰისა. ავერსზე მისი გამოსახულებაა, რევერსზე — ათაშდანი ორ მცველთან ერთად. დმ — 2.9 სმ, სისქე — 0.15 სმ, წონა — 3.79 გრ. ინვ. №102.
  11. მონეტა ვერცხლისა (ტაბ. LXXI<sub>103</sub>). პეროზ შაჰისა. ავერსზე მისი გამოსახულებაა, რევერსზე — ათაშდანი ორ მცველთან ერთად. დმ — 2.8 სმ, სისქე — 0.15 სმ, წონა — 3.75 გრ. ინვ. №103.
  12. მონეტა ვერცხლისა (ტაბ. LXXI<sub>104</sub>). პეროზ შაჰისა. ავერსზე მისი გამოსახულებაა, რევერსზე — ათაშდანი ორ მცველთან ერთად. დმ — 2.7 სმ, სისქე — 0.15 სმ, წონა — 3.89 გრ. ინვ. №104.
  13. მონეტა ვერცხლისა (ტაბ. LXXI<sub>105</sub>). პეროზ შაჰისა. ავერსზე მისი გამოსახულებაა, რევერსზე — ათაშდანი ორ მცველთან ერთად. დმ — 2.6 სმ, სისქე — 0.15 სმ, წონა — 3.92 გრ. ინვ. №105.
- ყველა მონეტა, ერთმანეთზე მიწყობილი, აღმოჩნდა №2 ბარძაყის თავთან, ვერცხლისა და ბრინჯაოს ბეჭდებთან ერთად. როგორც ჩანს, მონეტები ხელში ეჭირა მიცვალებულს.

### სამარხი №58

ქვაყუთია. გამართულია აღმ.-დას. ღერძზე, ჩრდილოეთისკენ გადახრილ. შედგენილია ოთხი კვიშაქვის ფილით და გადახურულია — სამით. სამარხის ზომებია: 2.0×1.0×0.95 მ. იატაკის

შემზადება კენჭოვანია. დაკრძალულია ერთი მიცვალებული გულადმა, გამოტილი, თავით დასავლეთით. ხელები ტანის გასწვრივ აქვს ოდნავ განზიდული. მიცვალებული 35-40 წლის მამაკაცი (ტაბ. XXVI<sub>12-13</sub>).

სამარხში აღმოაჩნდა:

1. საყურე ოქროსი (ტაბ. XXVI<sub>14</sub>), წინიბოსებრი. გასაყრელთან ოდნავ გახსნილია. ქვედა ნაწილში ფართოვდება და ოთხნახნაგად იშლება. დმ — 2.5 სმ, სიმაღლე — 1.4 სმ, წონა — 3.9 გრ. აღმოჩნდა მიცვალებულის თავის ქალასთან, მარჯვენა მხარეს. ინვ. №106.

### სამარხი №59

ქვაყუთია. გამართულია აღმ.-დას. ღერძზე, ჩრდილოეთისკენ გადახრივ. შედგენილია ოთხი ფილით და გადახურული — სამით. გადაბმის კუთხეები მიწითა და კირხსნართაა ამოლესილი მიცვალებულის დაკრძალვამდე. სამარხი დაზიანებულია: ჩამტვრეულია დას. ფილა. სამარხის ზომებია: 1.9×0.86×0.8 მ. სამარხის იატაკად კენჭოვან შემზადებაზე გაშლილი სილაა გამოყენებული. სამარხში დაკრძალულია 25-30 წლის მამაკაცი გულადმა გამოტილი, თავით დასავლეთისკენ, მარჯვენა ფეხით ოდნავ მუხლში მოხრილი. ხელები ტანის გასწვრივ აქვს ჩამოშვებული (ტაბ. XXVII<sub>1-2</sub>). უინვენტაროა.

### სამარხი №60

ქვაყუთია. გამართულია აღმ.-დას. ღერძზე, ჩრდილოეთისკენ გადახრივ. შედგენილია ოთხი ფილით და გადახურული — სამით. სამარხი დაზიანებულია: ჩამტვრეულია შუა ფილა. სამარხის ზომებია: 1.95×1.16×0.86 მ. იატაკი სილაფენილია. დაკრძალულია სამი მიცვალებული, სამივე გულადმა გამოტილი, თავით დასავლეთით. ორი მიწეულია სამხრეთის კედელთან და მესამე ფეხებგანზიდულია დაკრძალული. ხელებიდან მარჯვენა მენჯზე უდევს, მარცხენა — ტანის გასწვრივ (ტაბ. XXVII<sub>3-4</sub>).

სამარხი უინვენტაროა.

### სამარხი №61

ორმოსამარხია გადახურული ქვიშაქვის სამი ფილით. გამართულია აღმ.-დას. ღერძზე. მდებარეობს ბეტონის კედლის ქვეშ. სამარხის გამოჩენის დროს, კედლის ქრილიდან მიწის ჩამოშლისას ისე დაზიანდა, რომ ორმოს სრული ზომების აღება ვერ შეეძლო (სიგრძე -1.3 მ). საკრძალავი ორმო ჩაჭრილია კონგლომერატში, მისი სიგანე ემთხვევა ჩონჩხის სიგანეს. დაკრძალულია მოზარდი, გულადმა გამოტილი, თავით დასავლეთით. ფეხები მოხრილი აქვს სამხრეთისკენ. ხელები მენჯზე უწყვია (ტაბ. XXVII<sub>5-6</sub>).

სამარხი უინვენტაროა.

### სამარხი №62

ორმოსამარხია. დამხრობილია დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ, მცირედ ჩრდილოეთისკენ გადახრივ. გადახურულია ქვიშაქვის ორი ფილით. სამარხის გარე ზომებია: 1×0.75 მ. დაკრძალულია 45-50 წლის დედაკაცი, გულადმა გამოტილი, თავით დასავლეთით. ხელები ტანის გასწვრივ აქვს ჩამოშვებული (ტაბ. XXVII<sub>7-8</sub>).

სამარხი უინვენტაროა.

### სამარხი №63

ქვაყუთია, ოთხი ქვიშაქვის ფილით შედგენილი, რომელთაგან აღმ. კედელი უჩვეულოდ სქელია (41 სმ). სამარხი გამართულია აღმ.-დას. ღერძზე. დაზიანებულია: არ აქვს სახურავი. მისი ზომებია:  $2 \times 1.25 \times 0.72$  მ. სამარხის მინატკეპნილი იატაკი 87 სმ სიღრმეზეა გამართული. ქვაყუთიდან მიწის სანახევროდ ამოღების შემდეგ (40 სმ-ის სიღრმეზე) გამოჩნდა, რომ სამარხის სახურავის შუა ქვა შიგ იყო ჩავარდნილი, მაშინ, როცა მისი მეორადი გამოყენება სცადეს. ჩავარდნილი ქვა აღარ ამოულიათ და მის სამხრეთით დარჩენილ ცარიელ ადგილას დაუკრძალავთ მამაკაცი გულაღმა გაშოტილი, თავით დასავლეთით. ხელები მენჯზე ქონდა დანყობილი. მიცვალებულის ძვლებისა და სახურავის ფილის ამოღების შემდეგ, რამდენიმე სანტიმეტრიანი ფენის ქვეშ გამოჩნდა კიდევ სამი მიცვალებულის ძვლები. ყველა თავით დასავლეთი იყო დაკრძალული. პირველად დაუკრძალავთ სამხრეთ ნაწილში, მეორე მიცვალებული მის გვერდით, სამარხის ჩრდილოეთ ნაწილშია დასვენებული, შემდეგ ორივე მიუწევიათ სამხ. ნაწილისკენ და განთავისუფლებულ ჩრდილოეთ ნაწილში დაუკრძალავთ მესამე, ჩრდილოეთისკენ ფეხებმოკეციით (ტაბ. XXVIII<sub>1-3</sub>).

სამარხი უინვენტაროა.

### სამარხი №64

ქვაყუთია. გამართულია აღმ.-დას. ღერძზე, მცირედ ჩრდილოეთისკენ გადახრით. შედგენილია ოთხი ქვიშაქვის ფილით და გადახურულია სამი ფილით. სამარხის ნაწილი სცილდება საკვლევ მონაკვეთს, ამიტომ მისი სრულად გამოჩენა არ მოხერხდა. ზომებია:  $1.18 \times 0.89 \times 0.12$  მ. სამარხი გაძარცვულია. მხოლოდ მხრის, წინამხრის და წვივის ცალკეული ფრაგმენტებია დარჩენილი (ტაბ. XXVIII<sub>4-5</sub>).

სამარხი უინვენტაროა.

## 2016 წელს გათხრილი სამარხები

### სამარხი №65

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის 4 და გადახურულია 3 ფილით<sup>9</sup>. გამართულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე. სიცარიელები კუთხეებში რიყის ქვითა და ტალახითაა შევსებული. ჩრდ. კედლის სიმაღლე დაბალი გამოსულა, ამიტომ ამოუვსიათ რიყისა და ნატეხი ქვით. სამხრეთის კედლის დას. კიდე ხელმეორედ გამოყენებისას ჩამოუტეხავთ და შემდეგ შეუვსიათ ტალახითა და ქვით. გამოყენებული ყოფილა კირხსნარი. სამარხის ზომებია:  $2.12 \times 1.1 \times 0.7$  მ (შიდა ზომები:  $1.92 \times 0.86 \times 0.97$  მ). იატაკი თინატკეპნილია. სამარხში დაკრძალული იყო სამი მიცვალებული. ჯერ დაუკრძალავთ ბავშვი, რომელიც მიუწევიათ ჩრდ-ის კედელთან. შემდეგ ჩრდილოეთით დაუკრძალავთ დედაკაცი, ბოლოს კი სამხრეთით — მამაკაცი. ყველა დაკრძალული იყო გულაღმა, გაშოტილი, თავით დასავლეთით. ქალს ხელები მუცელზე ქონდა დანყობილი, მამაკაცს — მარცხენა ხელი - ბოქვენზე, ხოლო მარჯვენა - ტანის გასწვრივ (ტაბ. XXVIII<sub>6-7</sub>).

<sup>9</sup> სამარხის სრულად გამოჩენა ვერ მოხერხდა, რადგან ნაწილობრივ შედის სხვა კერძო მესაკუთრის ტერიტორიაზე.



სამარხში აღმოჩნდა:

1. ქარქაშის სალტეები ბრინჯაოსი (ტაბ. XXVIII<sub>გ</sub>). ორი ცალი. ბრტყელი ფირფიტაა მოხრილი და მანჭვლით დამაგრებული. ზედაპირი შემკულია ორ რიგად განლაგებული რელიეფური კოპებით. სიგრძე — 3-3.9 სმ. სიგანე — 0.8-1 სმ. შერჩენილი აქვს ხის ნაშთი. აღმოჩნდა მამაკაცის თავის ქალის ქვეშ. ინვ. №208.
2. აბზინდა ბრინჯაოსი (ტაბ. XXVIII<sub>დ</sub>). ორნილადი: ქამარზე დასამაგრებელი ფარაკი მრგვალია, აქვს შუაში გაჭრილი ენა, რომელიც ორადაა გაკეცილი და მასთან მიმაგრებულია მანჭვლით. ენაში მოძრავადაა შესმული მრგვალი აბზინდის რკალი და ენა, რომელიც თავთან მოკაუჭებულია და აბზინდის რკალზე ზემოდან გადადის. პატინირებულია. სიგრძე — 4.2 სმ, სიგანე (დმ) — 2 სმ. აღმოჩნდა იქვე. ინვ. №209.
3. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ. XXVIII<sub>ი</sub>). მრგვალგანივკვეთიან ღეროზე წამოცმულია ბრინჯაოს ვარდულეებში ჩასმული მარჯნის კასრისებური ფორმის მძივი. პატინირებული. სიგრძე — 12.5 სმ. აღმოჩნდა დედაკაცის თავის მარცხენა მხარეს. ინვ. №210.
4. საკინძი რკინის (ტაბ. XXVIII<sub>პ</sub>). შემორჩენილია თავი, რომელიც შედგენილია ბრინჯაოს ვარდულეებითა და მარჯნის ბრონეულის ყვავილის ფორმის მძივით. სიგრძე — 3.3 სმ. აღმოჩნდა იქვე. ინვ. №211.
5. საკინძი რკინისა (ტაბ. XXVIII<sub>რ</sub>). შემორჩენილია თავი, რომელიც შედგენილია ბრინჯაოს ვარდულეებითა და მარჯნის კასრისებური მძივით. სიგრძე - 2.3 სმ. აღმოჩნდა დედაკაცის თავის მარცხენა მხარეს. ინვ. №212.

### სამარხი №66

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის 4 და გადახურულია 3 ფილით<sup>10</sup> (დას. ფილა: 0.86×0.42×0.11 მ). გამართულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე, ჩრდილოეთისკენ გადახრილ. სამარხის კუთხეებში სივარდილები შეეხსოთ რიყის ქვითა და ტალახით. სამარხის ზომებია: 0.95×0.8 მ (შიდა ზომები: 1.95×0.76×0.72 მ). იატაკი თიხატყეპნილია. სამარხში დაკრძალული იყო სამი ზრდასრული. პირველი მიცვალებულის ძვლები მიხვევტათ სამარხის დასავლეთ კედელთან, შემდეგ დაეკრძალათ სამარხის სამხრეთ ნაწილში ქალი, გულალმა, გამოტილი, თავით დასავლეთით, მარცხენა მენჯზე ედო, მარჯვენა კი — იდაყვში მოხრილი მხარზე. სულ ბოლოს ჩრდილოეთ ნაწილში დაუსვენებიათ მამაკაცი, ისიც გულალმა, გამოტილი, თავით დასავლეთით. მარჯვენა ხელი განზე განეული მეორე მიცვალებულის ტანზე ედო, ხოლო მარცხენა ხელი — მკერდზე. მარჯვენა ფეხი ოდნავ მოხრილი მეორე მიცვალებულის ფეხზე ედო (ტაბ. XXIX<sub>1-2</sub>).

სამარხი უინვენტაროა.

### სამარხი №67

სამარხის ნაშთი. შემორჩენილი იყო მხოლოდ დასავლეთის ნაწილი. ადრეშუა საუკუნეების ქვასამარხი XIX ს. გამოუყენებიათ ხელმეორედ. ეს დაადასტურა აქ ხის კუბოს ნაშთებმა, რომლის ალაგების შემდეგ, ქვემოთ გამოჩნდა ორი მიცვალებულის ძვლები. ორივე დაკრძალული იყო თავით დასავლეთით. ჯერ დაუსვენებიათ სამარხის ჩრდილოეთ ნაწილში მიხვეტილი მიცვალებული, ხოლო შემდეგ სამხრეთით დაუსვენებიათ მეორე ზრდასრული გულალმა გამოტილ მდგომარეობაში. მარჯვენა ხელი ტანის გასწვრივ ედო, ხოლო მარცხენა — მუცლის არეში. იატაკად თიხატყეპნილი იყო გამოყენებული (ტაბ. XXIX<sub>3-4</sub>).

სამარხში აღმოჩნდა:

1. ბეჭედი ბრინჯაოსი (ტაბ. XXIX<sub>5</sub>). რკალი თანდათან გადადის ოვალურ, დაბრტყელებულ ფარაკ-

<sup>10</sup> სამარხის სრულად გამოჩენა არ მოხერხდა სხვის კუთვნილ მიწის ნაკვეთში მდებარეობის გამო.

ში, რომელზეც ცხოველის სტილიზებული გამოსახულებაა დატანილი. გამოსახულება ძალიან სქემატურია და ანაბეჭდზე დაბალ რელიეფს იძლევა. დმ — 2 სმ, ფარაკის სიგანე — 0.6 სმ. აღმოჩნდა №2 მიცვალებულის მარჯვენა ხელის შუა თითზე. ინვ.№184.

2. დანა რკინისა (ტაბ. XXIX<sub>6</sub>). ოდნავ მოხრილი პირით. დაჟანგული და გატეხილია სამ ნაწილად. სიგრძე — 7.6 სმ, სიგანე — 1.5 სმ. აღმოჩნდა მიხვეტილი მიცვალებულის თავის ჩრდილოეთ მხარეს. ინვ.№185.

### სამარხი №68

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის 4 და გადახურულია 3 ფილით<sup>11</sup> (აღმ. ფილა: 0.99×1.1×0.2 მ). გამართულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე. სამარხის კუთხეებში დარჩენილი სიცარიელები ამოვსებულია რიყის ქვითა და ტალახით. სამარხის ზომებია: 1.07×1.15 მ (შიდა ზომები: 2.03×0.9×1.02 მ). იატაკი თიხატკეპნილია. სამარხში დაკრძალული იყო 8 ზრდასრული მიცვალებული გულაღმა, გამოტილი, თავით დასავლეთით. პირველად დაკრძალული 4 მიცვალებულის ძვლები სამარხის სამხრეთ კედელთანაა მინეული და შემდეგ დაკრძალულია კიდევ ოთხი. ამათგან ერთი, ფეხებში მკვეთრად ჩრდილოეთისკენ მოხრილი დაუსვენებიათ. სამარხის გამოყენების თითოეული შემთხვევა ძლიერ ახლო პერიოდებში უნდა მომხდარიყო (ტაბ. XXIX<sub>7-8</sub>).

სამარხში აღმოჩნდა:

1. ბეჭედი ბრინჯაოსი (ტაბ. XXIX<sub>9</sub>). წარმოადგენს ბრტყელგანივკვეთიან რგოლს. პატინირებულია. დმ — 1.8 სმ. აღმოჩნდა სამარხის ცენტრალურ ნაწილში დაკრძალული მიცვალებულების ძვლებში. ინვ.№181.
2. რგოლი ბრინჯაოსი (ან ვერცხლის) (ტაბ. XXIX<sub>10</sub>). წარმოადგენს თხელი ფირფიტის თავებგახსნილ რკალს. დმ — 1.2 სმ, სიგანე — 0.4 სმ. აღმოჩნდა სამარხის ცენტრალურ ნაწილში დაკრძალული მიცვალებულების ძვლებში. ინვ.№182.
3. რგოლი ბრინჯაოსი (ტაბ. XXIX<sub>11</sub>). წარმოადგენს მრგვალგანივკვეთიან თავებგახსნილ რგოლს. დმ — 2.1 სმ. აღმოჩნდა სამარხის ცენტრალურ ნაწილში დაკრძალული მიცვალებულების ძვლებში. ინვ.№183.

### სამარხი №69

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის 4 და გადახურულია 3 ფილით<sup>12</sup> (აღმ. ფილა: 0.82×1.0×0.13 მ). გამართულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე, ჩრდილოეთისკენ გადახრილი. სამარხის კუთხეებში დარჩენილი სიცარიელები ამოვსებულია რიყის ქვითა და ტალახით. ასევეა შევსებული სამხრეთის კედლის დასავლეთი ნაწილიც. სამარხის ზომებია: 0.98×0.95 მ (შიდა ზომები: 2.0×0.77×0.86 მ). იატაკი თიხატკეპნილია. სამარხში დაკრძალული იყო ორი ზრდასრული. მეორის დაკრძალვის დროს პირველი მიცვალებული მიუხვეტავთ აღმოსავლეთ ნაწილში. მეორე (დედაკაცი) დაკრძალული იყო მარცხენა მხარეს ხელ-ფეხმოკეცით, თავით დასავლეთისკენ (ტაბ. XXX<sub>1-2</sub>).

სამარხი უინვენტაროა.

### სამარხი №70

ორმოსამარხია. გადახურულია ქვიშაქვის ორი ფილით (დას. ფილა: 0/82×0.7×0.08 მ; აღმ. ფილა: 0.77×0.48×0.11 მ). გამართულია დას.-აღმ. ღერძზე. სამარხის ზომებია: 1.17×0.8×0.64 მ (შიდა ზომები: 1.1×0.75 მ). სამარხის იატაკად კარგად მოტკეპნილი მიწაა. სამარხში დაკრძალული იყო

<sup>11</sup> სამარხის სრულად გამოჩენა ვერ მოხერხდა, რადგან ნაწილობრივ შედის სხვა კერძო მესაკუთრის ტერიტორიაზე.

<sup>12</sup> სამარხის სრულად გამოჩენა არ მოხერხდა სხვის კუთვნილ მიწის ნაკვეთში მდებარეობის გამო.

4-5 წლის ბავშვი, გულალმა, გაშოტილი, თავით დასავლეთისკენ, ხელები ტანის გასწვრივ ქონდა დალაგებული (ტაბ. XXX<sub>3-4</sub>).

სამარხში აღმოჩნდა:

1. მძივი პასტის (ტაბ. XXX<sub>5</sub>). სფერული ფორმის. შავი ფერის ზედაპირზე ცისფერი ფერით ტალღური ორნამენტია მოცემული. დმ — 1.1 სმ. აღმოჩნდა გულ-მკერდის არეში. ინვ. №107.
2. სამაჯური რკინის (ტაბ. XXX<sub>6</sub>). დაჟანგული და ნაკლულია. წარმოადგენს მრგვალგანივკვეთიან რგოლს. დმ — 3.6 სმ. აღმოჩნდა იქვე. ინვ. №108.
3. მძივები პასტის (ტაბ. XXX<sub>7</sub>): 2 ცალი — მოშავო ფერის სფეროსებრი და კასრისებრი (ზომები: დმ — 0.6 სმ, სიგრძე — 0.5-0.6 სმ), 1 ცალი — თეთრი ფერის, კასრისებრი (დმ — 0.7 სმ, სიგრძე - 0.9 სმ). აღმოჩნდა იქვე. ინვ. №109.

### სამარხი №71

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის 4 და გადახურულია 3 ფილით. დაზიანებულია: სახურავის დას. ფილა სამარხშია ჩამტვრეული (აღმ. ფილა:  $0.85 \times 1.12 \times 0.16$  მ; შუა ფილა:  $1.1 \times 0.63 \times 0.2$  მ). გამართულია დას.-აღმ. ღერძზე. სამხრეთის კედლის დას. კიდე ხელმეორედ გამოყენების დროს ჩამოუტეხავთ და შემდეგ შეუვსიათ ქვიშაქვის ქვით. კუთხეებში დარჩენილი სიცარიელები შევსებულია ქვითა და ტალახით. სამარხის ზომებია:  $1.8 \times 1.1 \times 0.72$  მ (შიდა ზომები:  $1.7 \times 0.8 \times 0.9$  მ). იატაკი თიხატკეპნილია. სამარხში დაკრძალული იყო 3 ზრდასრული გულალმა, გაშოტილი, თავით დასავლეთით. ადრე დაკრძალული ორი მიცვალებული მიუწევიათ ჩრდილოეთისკენ და შემდეგ სამხრეთისკენ დაუკრძალავთ ქალი, რომელსაც ხელები ტანის გასწვრივ ქონდა დაწყობილი (ტაბ. XXX<sub>8-9</sub>). სწორედ მას აღმოაჩნდა ინვენტარი:

1. საკინძები ძვლის (ტაბ. XXX<sub>10</sub>). წყვილი. სადა, შემსხვილებული და წაკვეთილი თავით. დამტვრეულია. აღმოჩნდა ბოლოს, სამხრეთით დაკრძალული ქალის თავის გარშემო. ინვ. №115.
2. საკინძების ფრაგმენტები რკინისა (ტაბ. XXX<sub>11</sub>). ძლიერ დამტვრეული, ნაკლული და დაჟანგულია. აღმოჩნდა იქვე. ინვ. №116.

### სამარხი №72

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის 5 და გადახურულია 3 ფილით (აღმ. ფილა:  $1.1 \times 0.92 \times 0.13$  მ; შუა ფილა:  $1.02 \times 0.6 \times 0.14$  მ; დას. ფილა:  $0.9 \times 0.57 \times 0.16$  მ). გამართულია დას.-აღმ. ღერძზე. სამარხი დაზიანებულია: სამხრეთის კედლის დას. ფილა თავის დროსვე ჩავარდნილა სამარხში. სახურავის ფილებს ქვეშ შეყუდებულია ნატეხი ფილები. სამარხის ზომებია:  $2.1 \times 1.1 \times 0.7$  მ (შიდა ზომები:  $1.7 \times 0.75 \times 0.95$  მ). იატაკი თიხატკეპნილია. სამარხში დაკრძალული იყო 1 ზრდასრული გულალმა, გაშოტილი, თავით დასავლეთით. ხელები ტანის გასწვრივ ეწყო (ტაბ. XXXI<sub>1-2</sub>).

სამარხში ინვენტარი არ აღმოჩენილა.

### სამარხი №73

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის 4 და გადახურულია ასეთივე 2 ფილით. დაზიანებულია: სამარხშია ჩავარდნილი სახურავის დას.-ის ფილა და ჩრდ.-ის კედლის კიდე (დას. ფილა:  $1.1 \times 0.84 \times 0.12$  მ; აღმ. ფილა:  $0.93 \times 0.83 \times 0.12$  მ). გამართულია დას.-აღმ. ღერძზე. სამარხის კიდეებში სიცარიელები ამოვსებულია ტალახითა და ქვით. სამარხის ზომებია:  $2.0 \times 0.96 \times 0.82$  მ (შიდა ზომები:  $1.62 \times 1.0 \times 0.85$  მ). იატაკად თიხაა მოტკეპნილი. სამარხში დაკრძალული იყო კაცი, გულალმა გაშოტილი, თავით დასავლეთისკენ. ხელები ტანის გასწვრივ ეწყო. დაკრძალული იყო გარდიგარდმო, რათა ჩატეულიყო (როგორც ჩანს, სხვისი სამარხი გამოუყენებიათ) (ტაბ. XXXI<sub>3-4</sub>).

სამარხი უინვენტაროა.

### სამარხი №74

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის ფილებით და გადახურული იყო ასეთივე მასალით. გამართულია დას.-აღმ. ღერძზე. სამარხის ზომებია:  $2.0 \times 0.95 \times 0.65$  მ (შიდა ზომები:  $1.82 \times 0.75$  მ). სამარხი დაზიანებული იყო — არ შემორჩა სახურავი. სამარხის იატაკად კარგად მოტკეპნილი მინაა. სამარხში დაკრძალული იყო 3 ზრდასრული მიცვალებული. პირველად დაკრძალულის თავი აღმ. ნაწილში აღმოჩნდა, მეორედ დაკრძალულის ძვლები - დასავლეთ ნაწილში, ხოლო მესამე სამარხის შუაში იყო დაკრძალული. ამ უკანასკნელის ძვლები თავთან ერთად დალაგებული იყო პატარა ზომის ქვებზე — თითქოს, მხოლოდ ძვლები დაუკრძალავთო (როგორც ბერსუმას სამარხში) (ტაბ. XXXI<sub>5-6</sub>).

სამარხი უინვენტარო აღმოჩნდა.

### სამარხი №75

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის 4 და გადახურულია 3 ფილით (აღმ. ფილა:  $1.05 \times 1.14 \times 0.14$  მ; შუა ფილა:  $1.27 \times 0.5 \times 0.14$  მ). გამართულია დას.-აღმ. ღერძზე. სამარხი დაზიანებულია: აკლია სახურავის დას. ფილა. ჩრდ. კედლის დას. კიდე ჩამოუტეხავთ ხელმეორედ გამოყენებისას და შემდეგ შეუვსიათ ნატეხი ქვით. კუთხეებში დარჩენილი სივარულიელები შევსებულია ქვითა და ტალახით. სამარხის ზომებია:  $2.2 \times 1.27 \times 0.7$  მ (შიდა ზომები:  $1.76 \times 0.84 \times 0.9$  მ). იატაკი თიხა-ტკეპნილია. სამარხში დაკრძალული იყო 3 მიცვალებული: პირველად დაკრძალული მიუწევიათ სამხრეთისკენ, ხოლო მეორე ჩრდილოეთისკენ დაუკრძალავთ. ორივე გულაღმა, გაშოტილ მდგომარეობაში იყო დასვენებული, თავით დასავლეთით. №2 მიცვალებულს ხელები ტანის გასწვრივ აქვს დალაგებული. ბოლოს ჩრდ. ნაწილში კიდევ ერთი დაუსვენებიათ. მისი ძვლებიდან შემორჩენილი იყო მხოლოდ ქვედა კიდურები (ტაბ. XXXI<sub>7-8</sub>).

სამარხში აღმოჩნდა:

1. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ. XXXI<sub>9</sub>). 2 ცალი. ორკაპა თავი შემკულია ბრინჯაოსავე საყრდენზე ნამოცმული სარდიონის სფერული მძივებითა და მარგალიტის იოტებით. ნაკლული და პატინირებულია. შემორჩენილი სიგრძე — 3.1-4.3 სმ. აღმოჩნდა №1 მიცვალებულის თავის არეში. ინვ. №117.
2. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ. XXXI<sub>11</sub>). ჯვრისებრი თავით, რომელიც შემკული იყო მარგალიტის სფერული მძივებით. პატინირებული, აკლია ერთი მარგალიტის მძივი. სიგრძე — 6.5 სმ. აღმოჩნდა იქვე. ინვ. №118.
3. საკინძი რკინისა (ტაბ. XXXI<sub>10</sub>). მრგვალგანივკვეთიანი ღერო ყელთან შემსხვილებულია და დაბოლოებულია ნიჩბისებური თავით. ნაკლული და დაჟანგულია. სიგრძე - 3.4 სმ. აღმოჩნდა იქვე. ინვ. №119.

### სამარხი №76

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის 4 და გადახურულია ასეთივე 2 ფილით (დას. ფილა:  $0.77 \times 0.48 \times 0.11$  მ; აღმ. ფილა:  $0.78 \times 0.57 \times 0.1$  მ). გამართულია დას.-აღმ. ღერძზე. სამარხის ზომებია:  $0.85 \times 0.72 \times 0.55$  მ (შიდა ზომები:  $0.72 \times 0.63 \times 0.37$  მ). იატაკი თიხისაა. სამარხში დაკრძალული იყო ბავშვი. ძვლები არეული და ფრაგმენტულია, რის გამოც დამხრობა არ ირკვევა (ტაბ. XXXII<sub>1-2</sub>).

სამარხში ინვენტარი არ აღმოჩნდა.

### სამარხი №77

ორმოსამარხის ნაშთია. დაზიანებულია. არ აქვს სახურავი. დამხრობა არ ირკვევა. სამარხის შემორჩენილი ზომებია:  $1.3 \times 1.05$  მ. იატაკი მინატკეპნილია (ტაბ. XXXII<sub>3-4</sub>).

სამარხში ძვლები და ინვენტარი არ აღმოჩენილა.

### სამარხი №78<sup>13</sup>

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის 4 და გადახურულია 3 ფილით (აღმ. ფილა:  $1.03 \times 0.94 \times 0.07$  მ). გამართულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე. სამარხის ზომებია:  $2.14 \times 1.03 \times 0.7$  მ (შიდა ზომები:  $1.99 \times 0.68 \times 0.8$  მ). იატაკი თიხატყეპნილია. სამარხში დაკრძალული იყო რვა მიცვალებული, ყველა თავით დასავლეთით. შვიდი მიეხვევათ სამარხის ჩრდილოეთ და დასავლეთ ნაწილში. ბოლოს დაეკრძალათ ზრდასრული გულაღმა გამოტილი, ხელები მენჯზე ქონდა დალაგებული (ტაბ. XXXII<sub>5-6</sub>).

სამარხში აღმოჩნდა:

1. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ. XXXII<sub>8</sub>). თავი შემკული აქვს პასტის ხუთნახნაგა მწვანე ფერის ცილინდრული მძივით და მარგალიტის იოტით. პატინირებული და გატეხილია ორ ნაწილად. სიგრძე — 6.8 სმ. აღმოჩნდა მიხვეტილი მიცვალებულების ძვლებში. ინვ. №186.
2. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ. XXXII<sub>9</sub>). თავი შემკული აქვს მინისებური პასტის ცრემლის ფორმის მძივით, რომელზეც მარგალიტის პატარა მძივია დასმული. პატინირებულია და გატეხილი სამ ნაწილად. მძივის დმ — 0.8 სმ. აღმოჩნდა მიხვეტილი მიცვალებულების ძვლებში. ინვ. №187.
3. საკინძი რკინის (ტაბ. XXXII<sub>10</sub>). მთლიანადსხმული. სფერული თავით. დაჟანგული. სიგრძე — 5.7 სმ. აღმოჩნდა მიხვეტილი მიცვალებულების ძვლებში. ინვ. №188.
4. ბეჭედი სარდიონის (ტაბ. XXXII<sub>7</sub>). რკალს გარედან მთლიანად ნიბო შემოსდევს. ერთი მხარე ნაკვეთილია და გემისთვის გამზადებული. დმ — 2.3 სმ. ფარაკის სიგანე — 0.6 სმ. აღმოჩნდა სამარხის ჩრდ. კედელთან მიხვეტილი მიცვალებულის ფალანგის ძვლებთან. ინვ. №189.

### სამარხი №79

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის 4 და გადახურულია 3 ფილით (აღმ. ფილა:  $1.18 \times 0.9 \times 0.14$  მ; შუა ფილა:  $1.16 \times 0.55 \times 0.18$  მ; დას. ფილა:  $1.1 \times 0.6 \times 0.14$  მ). გამართულია დას.-აღმ. ღერძზე, მკვეთრად ჩრდილოეთისკენ გადახრილი. სამარხის ზომებია:  $2.18 \times 1.18 \times 0.7$  მ (შიდა ზომები:  $1.7 \times 0.84 \times 1.0$  მ). იატაკი თიხატყეპნილია. სამარხში დაკრძალული იყო 3 მიცვალებული, ყველა თავით დასავლეთისკენ. ორი მიუხვეტავთ ჩრდილოეთისკენ და შემდეგ დაუკრძალავთ მესამე სამხრეთისკენ გულაღმა, გამოტილი, მარჯვენა ხელი მხარზე უდევს, მარცხენა — მკერდზე (ტაბ. XXXII<sub>11-12</sub>).

სამარხში ინვენტარი არ აღმოჩნდა.

### სამარხი №80

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის 4 და გადახურულია 3 ფილით (აღმ. ფილა:  $1.2 \times 0.8 \times 0.18$  მ; შუა ფილა:  $1.26 \times 0.65 \times 0.11$  მ; დას. ფილა:  $1.36 \times 0.55 \times 0.14$  მ). გამართულია დას.-აღმ. ღერძზე. ჩრდილოეთის ფილის დას. კიდე ხელმეორე გამოყენების დროს ჩამოუტეხავთ და სიცარიელე შეუვსიათ ქვიშაქვის ფილით. ჩატეხილია სამხრეთის კედლის შუა ნაწილიც, რის გამოც სახურავის შუა ქვა დაქანებულია. სამარხის ზომებია:  $1.95 \times 1.2 \times 0.85$  მ (შიდა ზომები:  $1.75 \times 0.7 \times 0.88$  მ). იატაკი თიხატყეპნილია. სამარხში დაკრძალული იყო 3 ზრდასრული გულაღმა, გამოტილი, თავით დასავლეთით. ადრე დაკრძალულები სამხრეთით მიუწევიათ და მერე დაუკრძალავთ მესამე. სამარხში რომ ჩაეტიათ, ამ უკანასკნელისთვის ფეხები მუხლებში მცირედ მოუხრიათ. მარცხენა ხელი იდაყვი აქვს მოხრილი და სახის წინ დადებული (ტაბ. XXXIII<sub>1-2</sub>).

სამარხი უინვენტაროა.

<sup>13</sup> სამარხი სცილდებოდა საკვლევი მონაკვეთის ფარგლებს, ამიტომ მისი სრულად გამოჩენა არ მოხერხდა.

### სამარხი №81

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის 4 და გადახურულია ასეთივე 3 ფილით. სახურავი დაზიანებულია — შუა ფილა სამარხშია ჩატეხილი (დას. ფილა:  $1.13 \times 0.7 \times 0.1$  მ; აღმ. ფილა:  $1.3 \times 0.9 \times 0.14$  მ). გამართულია დას.-აღმ. ღერძზე. გრძივი კედლების დას. კიდეები ჩამოუტეხავთ ხელმეორე გამოყენების დროს და შემდეგ ქვიშაქვის ფილებითვე შეუვსიათ. სამარხის ზომებია:  $2.07 \times 1.3 \times 0.9$  მ (შიდა ზომები:  $1.7 \times 0.8 \times 0.8$  მ). იატაკი თიხატკეპნილია. სამარხში დაკრძალული იყო 3 მიცვალებული გულაღმა, გაშოტილი, თავით დასავლეთისკენ. ჯერ დაუკრძალავთ ზრდასრული სამარხის ჩრდილოეთ ნაწილში, შემდეგ ის მცირედ მიუწევიან ჩრდ. კედლისკენ და სამხრეთ ნაწილში დაუსვენებიათ მამაკაცი. ბოლოს კი პირველ მიცვალებულზე დაუსვენებიათ მოზარდი (ტაბ. XXXIII<sub>3,4</sub>).

სამარხში აღმოჩნდა:

1. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ. XXXIII<sub>5</sub>). 2 ცალი. მრგვალგანივკვეთიანი ღერო ყელთან დაბრტყელებულია და სრულდება ნიჩბისებური თავით. დაბრტყელებული ყელი შემკულია ნაჭდევეებით. ნაკლული, გატეხილი და პატინირებულია. სიგრძე — 5.6-6.5 სმ. აღმოჩნდა პირველად დაკრძალული მიცვალებულის თავის არეში. ინვ. №110.
2. საკინძი რკინისა (ტაბ. XXXIII<sub>6</sub>). შემორჩენილია მხოლოდ ღერო. დაჟანგული. სიგრძე — 6.5 სმ. აღმოჩნდა იქვე. ინვ. №111.

### სამარხი №82

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის 5 ფილით გადახურული იყო ასეთივე ფილებით. სამარხი დაზიანებულია: სახურავიდან შემორჩა მხოლოდ დასავლეთის ფილა, დანარჩენი სამარხშია ჩატეხილი (დას. ფილა:  $1.26 \times 0.85 \times 0.11$  მ). გამართულია დას.-აღმ. ღერძზე. სამარხის ზომებია:  $2.0 \times 1.1 \times 0.85$  მ (შიდა ზომები:  $1.76 \times 1.1 \times 1.05$  მ). იატაკი თიხატკეპნილია. სამარხში დაკრძალული იყო 2 ზრდასრული გულაღმა, გაშოტილი, თავით დასავლეთისკენ. ხელები მუცელზე ქონდათ დანყობილი. დაკრძალვა თანადროულია. სამხრეთით დაკრძალული კაცი უნდა იყოს. ძვლები ცუდად იყო დაცული. ამას დაემატა ისიც, რომ სამარხის განმენდის დროს ჩრდ.-ის კედელი სამარხში ჩანვა და ძვლები კიდევ უფრო დააზიანა (ტაბ. XXXIII<sub>7,8</sub>).

სამარხში ინვენტარი არ აღმოჩენილა.

### სამარხი №83

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის 4 და გადახურულია 3 ფილით. გამართულია დას.-აღმ. ღერძზე. სამარხი ნაწილობრივ საკვლევი მონაკვეთის მიღმა გრძელდება, რის გამოც მისი სრულად გამოჩენა და ზომების აღება ვერ მოხერხდა. დაზიანებულია — სახურავის აღმოსავლეთის და შუა ფილები ჩატეხილია. სამარხის ზომებია:  $2.0 \times 1.15 \times 0.74$  მ (შიდა ზომები:  $1.9 \times 0.94 \times 0.79$  მ). იატაკი თიხატკეპნილია. სამარხში დაეკრძალათ 3 მიცვალებული, გულაღმა, გაშოტილ მდგომარეობაში, თავით დასავლეთით. პირველად დაეკრძალათ ქალი სამარხის სამხრეთ ნაწილში, შემდეგ მის გვერდით დაუსვენებიათ ბავშვი, ბოლოს კი ჩრდილოეთ ნაწილში - კაცი, რომელსაც ხელები ბოქვენზე აქვს დანყობილი (ტაბ. XXXIII<sub>9-10</sub>).

სამარხში აღმოჩნდა:

1. სანელსაცხებლე მინის (ტაბ. XXXIII<sub>11</sub>). თეთრი ფერის, სქელკედლიანი. აქვს გადაჭრილი პირი, მაღალი ძაბრისებრი ყელი და ბურთისებრი მუცელი. უქუსლოა. სიმაღლე — 5.1 სმ, პირის დმ — 1.5 სმ, მუცლის დმ — 3.3 სმ. აღმოჩნდა ქალის ბარდაყებს შორის. ინვ. №141.

### სამარხი №84

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის 4 და გადახურულია 3 ფილით (აღმ. ფილა:  $1.23 \times 0.82 \times 0.12$  მ; დას. ფილა:  $1.1 \times 0.83 \times 0.1$  მ). გამართულია დას.-აღმ. ღერძზე. დაზიანებულია: სახურავის შუა ფილა სამარხშია ჩატეხილი. სამარხის ზომებია:  $2.1 \times 1.23 \times 0.9$  მ (შიდა ზომები:  $1.78 \times 0.7 \times 0.84$  მ). იატაკი თიხატეხილია. სამარხში დაეკრძალათ 3 მიცვალებული თავით დასავლეთისკენ. პირველად დაკრძალული ორი ჩრდილოეთის მხარეს მიუხედავად, შემდეგ კი სამხრეთით მესამე დაუკრძალავთ გულაღმა, გაშოტილი, მუხლებში მკვეთრად განეული ფეხებით (ტაბ. XXXIV<sub>1,2</sub>).

სამარხი უინვენტარო აღმოჩნდა.

### სამარხი №85

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის 4 და გადახურულია 3 ფილით (აღმ. ფილა:  $1.04 \times 0.96 \times 0.1$  მ; შუა ფილა:  $1.22 \times 0.74 \times 0.18$  მ). გამართულია დას.-აღმ. ღერძზე. სამარხი დაზიანებულია: აკლია სახურავის დასავლეთის ფილა. სამარხის ზომებია:  $2.13 \times 1.22 \times 0.72$  მ (შიდა ზომები:  $1.9 \times 0.73 \times 0.84$  მ). იატაკი თიხატეხილია. სამარხში დაეკრძალათ 2 მიცვალებული. ძვლები ძლიერ არეული და მიხვეტილი იყო დასავლეთ ნაწილში. მიცვალებულებიდან ერთი მოზარდი ყოფილა (ტაბ. XXXIV<sub>3,4</sub>).

სამარხში აღმოჩნდა:

1. დანა ბრინჯაოს ტარით და რკინის პირით (ტაბ. XXXIV<sub>5</sub>). ტარზე სამაგრი შვერილი აქვს შერჩენილი. გატეხილია, ნაკლულია, პატინირებული და დაჟანგული. სიგრძე -10.5 სმ, ტარის სიგრძე — 5.3 სმ, სიგანე -1.5 სმ. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. ინვ.№122.
2. ნივთი ბრინჯაოსი (ტაბ. XXXIV<sub>6</sub>). წარმოადგენს ბრტყელ სწორ ღერაკს, რომელსაც ზედაპირზე ორი ღარი გასდევს. ზურგზე ემჩნევა მირჩილვის სამი კვალი. სიგრძე — 4.9 სმ, სიგანე — 0.5 სმ. აღმოჩნდა სამარხის შუაში. ინვ.№123.
3. ბეჭედი ბრინჯაოსი (ტაბ. XXXIV<sub>14</sub>). მრგვალგანივკვეთიან რკალზე დარჩილულია მაღალი, მრგვალი თვალბუდე, რომელშიც თვალი მჯდარა. თვალი არ შემორჩა. პატინირებულია, თვალბუდის რკალი დაზიანებული და ნაკლულია. რკალის დმ — 2 სმ, თვალბუდის დმ — 1 სმ, თვალბუდის სიმაღლე — 0.4 სმ. აღმოჩნდა ჩრდილოეთით დაკრძალულ მიცვალებულს. ინვ.№124.
4. კვირისტავი ძვლის (ტაბ. XXXIV<sub>15</sub>). ზედაპირი ამოზურცული და ორნამენტირებულია: კიდესა და ნახვრეტის გარშემო შემოუყვება ორი კონცენტრული ღარი, რომელთა შორის სივრცეში სამი „თვალედა“ გაკეთებული. დმ — 1.9 სმ, ნახვრეტის დმ — 0.4 სმ. აღმოჩნდა ჩრდილოეთით დაკრძალულ მიცვალებულს. ინვ.№125.
5. მილაკი ოქროსი (ტაბ. XXXIV<sub>7</sub>). ნაკლული. შემორჩენილი სიგრძე — 1 სმ, დმ — 0.5 სმ. აღმოჩნდა იქვე. ინვ.№126.
6. საკინძები ბრინჯაოსი (ტაბ. XXXIV<sub>8</sub>). სამკაპა თავით. 2 ცალი. შედგება ბრინჯაოს ვარდულებში მოქცეული მარგალიტის სფერული მძივებით. ნაკლული, პატინირებული და დაშლილია. შემორჩენილი სიგრძე — 1.9-2.1 სმ. აღმოჩნდა იქვე. ინვ.№127.
7. საკინძები ბრინჯაოსი (ტაბ. XXXIV<sub>9</sub>). 2 ცალი. თავი შემკული აქვს ბრინჯაოს ვარდულებში ჩასმული პასტის ცილინდრულ-წახნაგოვანი ცისფერი მძივით. თავზე დასმული აქვს მარგალიტის იოტი. გატეხილი, ნაკლული და პატინირებულია. შემორჩენილი სიგრძე — 3.4-4.4 სმ, მძივის დმ — 0.5 სმ, მძივის სიგრძე — 1.1-1.2 სმ. აღმოჩნდა იქვე. ინვ.№128.
8. ბეჭდის თვალბუდე რკინისა (ტაბ. XXXIV<sub>13</sub>). წარმოადგენს მრგვალ ბრტყელ ოდნავ კიდეაკეცილ ბუდეს, რომელშიც მინის ბრტყელი თვალი იჯდა. შემორჩენილია მისი მხოლოდ ფრაგმენტი. დმ — 2.6 სმ. დაჟანგულია და ნაკლული. აღმოჩნდა იქვე. ინვ.№129.
9. საკინძი რკინისა (ტაბ. XXXIV<sub>10</sub>), რომელიც ბოლოვდება ბრინჯაოს პატარა ვარდულით. სიგრძე — 4.6 სმ. ნაკლული და დაჟანგულია. ტანზე შერჩენილი აქვს ქსოვილის ნაშთი. აღმოჩნდა იქვე. ინვ.№130.

10. საკინძი ბიმეტალური (ტაბ. XXXIV<sub>11</sub>): ღეროს ნახევარი ბრინჯაოსია, ზედა ნახევარი კი — რკინისა, რომელიც გირჩისებურად შემსხვილებული რკინისავე თავით სრულდება. სიგრძე — 13.5 სმ. დაჟანგულია. აღმოჩნდა იქვე. ინვ. №131.

11. სამაჯური რკინისა (ტაბ. XXXIV<sub>12</sub>). თავებგახსნილი მრგვალგანივკვეთიანი რგოლია. გატეხილი, ნაკლული და დაჟანგულია. დმ — 6 სმ. აღმოჩნდა სამარხის ალაგებისას. ინვ. №132.

### სამარხი №86

ქვასამარხია<sup>14</sup>. შედგენილია ქვიშაქვის ფილებით და გადახურულია ასეთივე 3 ფილით (შუა ფილა: 0.44×1.25×0.12 მ. აღმ. ფილა: 0.65×1.0×0.13 მ). გამართულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე. სამარხის თავ-ბოლოდ გამოყენებულია ქვიშაქვის თითო ფილა. ჩრდილოეთის კედელი ერთი გრძელი და მასზე ტალახით ამოშენებული სიგანეზე დადებული ფილისგან შედგება, ხოლო სამხრეთის კედლად ქვიშაქვის ორი და ასევე რიყისა და ნატეხი ქვით ტალახზე ამოშენებული კომბინაციაა გამოყენებული. სამარხის ზომებია: 1.24×0.83 მ (შიდა ზომები: 1.7×0.77×0.65 მ). იატაკი თიხატკეპნილია. სამარხში დაკრძალული იყო ერთი ზრდასრული გულაღმა გაშოტილი, თავით დასავლეთით. ხელები ტანის გასწვრივ ელაგა (ტაბ. XXXIV<sub>16-17</sub>).

სამარხი უინვენტაროა.

### სამარხი №87

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის 4 და გადახურულია 3 ფილით (დას. ფილა: 0.56×1.12×0.11 მ. შუა ფილა: 0.4×1.28×0.18 მ. აღმ. ფილა: 0.7×1.18×0.2 მ). გამართულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე, მცირედ სამხრეთისკენ გადახრით. კუთხეებსა და სახურავს შორის სიცარიელები რიყის ქვითა და ტალახითაა შევსებული. სამარხის ზომებია: 1.95×1.28×0.92 მ (შიდა ზომები: 1.6×0.66×0.76 მ). იატაკი თიხატკეპნილია. სამარხში დაკრძალული იყო ორი ზრდასრული და ერთი მოზარდი, ყველა გულაღმა, გაშოტილი, თავით დასავლეთით. პირველად დაუკრძალავთ მოზარდი სამარხის სამხრეთ ნაწილში, შემდეგ სამარხის ცენტრალურ ნაწილში — ზრდასრული, ბოლოს კი ჩრდილოეთით დარჩენილ ცარიელ ადგილას დაუსვენებიათ მეორე ზრდასრული (ქალი), ფეხებით ოდნავ მარცხნივ მოხრილი (ტაბ. XXXV<sub>1-2</sub>).

სამარხში აღმოჩნდა:

1. ბეჭედი (?) რკინის (ტაბ. XXXV<sub>3</sub>). წარმოადგენს მრგვალგანივკვეთიან რგოლს ერთგან გამსხვილებულს (ფარაკი?). ნაკლული, ძლიერ დაჟანგული და გატეხილია. დმ — 2 სმ. აღმოჩნდა ქალის თეძოსთან. ინვ. №213.

2. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ. XXXV<sub>4</sub>). სფერული თავით. პატინირებული. სიგრძე — 6.6 სმ. აღმოჩნდა ქალის თავის ქალასთან. ინვ. №214.

3. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ. XXXV<sub>4</sub>). სფერული თავით. ნაკლული და პატინირებული. სიგრძე — 2.6 სმ. აღმოჩნდა ქალის თავის ქალასთან. ინვ. №215.

### სამარხი №88

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის 4 და გადახურულია 3 ფილით (სახურავის ფილები დამტვრეულია). გამართულია დას.-აღმ. ღერძზე. კედლების კიდეები ჩამოტეხილია, ამიტომ სიცარიელები შევსებულია რიყის ქვითა და ტალახით. ასევე პატარა ქვიშაქვის ფილებია შედებული სამარხის სახურავის ფილებს ქვეშ, რაც სამარხის ხელმეორე გამოყენების შემდეგ უნდა გაეკეთებინათ. სამარხის ზომებია: 2.1×1.2×1.1 მ (შიდა ზომები: 1.8×0.8×0.76 მ). იატაკად თიხამ-

<sup>14</sup> სამარხი სცილდებოდა საკლავი მონაკვეთის ფარგლებს, ამიტომ მისი სრულად გამოჩენა არ მოხერხდა.



ინა მოუტკეპნავთ. სამარხი ორ სხვადასხვა ქრონოლოგიურ პერიოდშია გამოყენებული: პირველად დაკრძალულია საკმაოდ ძვალმსხვილი მამაკაცი გულაღმა გამოტილი, თავით დასავლეთით. ხელები ტანის გასწვრივ ულაგია. ხერხემალზე წანაზარდები აქვს. დაუკრძალავთ სამხრეთის მხარეს და ამდენად, ჩრდ. ნაწილი ცარიელი დაუტოვებიათ. მეორე ქრონოლოგიურ პერიოდში, რომელიც მინის ფენის სისქის მიხედვით, კარგად უნდა ყოფილიყო დაშორებული პირველისგან, სამარხში კიდევ ორი ზრდასრული დაუკრძალავთ, თავით დასავლეთით, გულაღმა გამოტილი. სამხრეთით გოლიათური აღნაგობის კაცია დასვენებული. ჩრდილოეთით - ასევე მამაკაცი. ორივე მიცვალებულს ხელები მხრებზე ქონდათ დანყობილი (ტაბ. XXXV<sub>5-7</sub>).

სამარხი უინვენტარო აღმოჩნდა.

### სამარხი №89

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის 4 და გადახურულია 3 ფილით (აღმ. ფილა:  $1.06 \times 0.93 \times 0.25$  მ; შუა ფილა:  $1.1 \times 0.59 \times 0.18$  მ; დას. ფილა:  $1.09 \times 0.5 \times 0.13$  მ). გამართულია დას.-აღმ. ღერძზე, მცირედ სამხრეთისკენ გადახრით. სახურავის ფილები კიდებში დაზიანებულია. სამარხის ზომებია:  $2.22 \times 1.1 \times 0.92$  მ (შიდა ზომები:  $2.0 \times 0.82 \times 0.85$  მ). იატაკი თიხატკეპნილია. სამარხში დაკრძალული იყო ზრდასრული, გულაღმა, გამოტილი, თავით დასავლეთით. მარჯვენა ტანის გასწვრივ ქონდა ჩამოშვებული, მარცხენა — ბოქვენზე ედო. სამარხი ორისთვის გაემზადებინათ, რადგან, დაკრძალული ჩრდილოეთის კედელთან იყო დასვენებული (ტაბ. XXXV<sub>8-9</sub>).

სამარხში ინვენტარი არ აღმოჩნდა.

### სამარხი №90

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის 4 და გადახურულია 3 ფილით (აღმ. ფილა:  $1.17 \times 0.96 \times 0.18$  მ; შუალა ფილა:  $1.18 \times 0.5 \times 0.17$  მ; დას. ფილა:  $1.08 \times 0.7 \times 0.17$  მ). გამართულია დას.-აღმ. ღერძზე, მცირედ ჩრდილოეთისკენ გადახრით. სამხრეთის ფილის დას. კიდე ხელმეორე გამოყენების დროს ჩამოუტეხავთ და შემდეგ შეუვსიათ სხვა ქვებით. სამარხის ზომებია:  $2.1 \times 1.18 \times 0.86$  მ (შიდა ზომები:  $1.68 \times 0.7 \times 0.8$  მ). იატაკი თიხატკეპნილია. სამარხში დაეკრძალათ 2 მიცვალებული, ორივე გულაღმა, გამოტილი, თავით დასავლეთით. ჯერ დაუკრძალავთ სამხრეთის მიცვალებული, რომელიც მალევე მიუწევიათ კედლისკენ და შემდეგ დაუკრძალავთ ჩრდილოეთით მამაკაცი. მას მარცხენა ხელი ბოქვენზე ედო, ფეხები კი მუხლებში მკვეთრად განზღული ჰქონდა (ტაბ. XXXV<sub>10-11</sub>).

სამარხი უინვენტაროა.

### სამარხი №91

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის 4 და გადახურულია 3 ფილით (აღმ. ფილა:  $1.24 \times 0.84 \times 0.18$  მ; შუა ფილა:  $1.1 \times 0.46 \times 0.12$  მ; დას. ფილა:  $1.05 \times 0.54 \times 0.15$  მ). გამართულია დას.-აღმ. ღერძზე. სამარხის სამხრ. კედლის დას. კიდე ხელმეორე გამოყენების დროს მთელს სიმაღლეზე ჩამოუჭრიათ და შემდეგ შეუვსიათ ტალახითა და ქვით. სამარხის ზომებია:  $1.8 \times 1.24 \times 0.78$  მ (შიდა ზომები:  $1.5 \times 0.7 \times 0.93$  მ). იატაკი მოტკეპნილი თიხისაა. სამარხში დაეკრძალათ 3 მიცვალებული გულაღმა, გამოტილი, თავით დასავლეთით. ორი ზრდასრული მიუწევიათ სამხრეთისკენ და ჩრდილოეთისკენ დაუკრძალავთ ბავშვი. (ტაბ. XXXVI<sub>1-2</sub>).

სამარხი უინვენტარო აღმოჩნდა.

### სამარხი №92

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის 4 და გადახურულია 3 ფილით (აღმ. ფილა:  $1.15 \times 0.8 \times 0.14$  მ; შუა ფილა:  $1.25 \times 0.44 \times 0.13$  მ; დას. ფილა:  $1.06 \times 0.62 \times 0.08$  მ). გამართულია დას.-აღმ. ღერძზე. კუთხეებში დარჩენილი სიცარიელები შევსებულია ქვიშაქვით, რიყის ქვითა და ტალახით. სა-

მარხის ზომებია:  $2.0 \times 1.25 \times 0.95$  მ (შიდა ზომები:  $1.8 \times 0.9 \times 0.88$  მ). იატაკი თიხატყეპნილია. სამარხში დაეკრძალათ ერთი ზრდასრული (მამაკაცი), გულალმა, გამოტილი, თავით დასავლეთისკენ. ხელები ტანის გასწვრივ ქონდა დალაგებული (ტაბ. XXXVI<sub>3-4</sub>).

სამარხში აღმოჩნდა:

1. საყურე ბრინჯაოსი (ტაბ. XXXVI<sub>5</sub>). თავგახსნილი რგოლია, შუაში ოდნავ შემსხვილებული. პატინირებულია. დმ — 1.3 სმ, რკალის დმ — 0.3 სმ. აღმოჩნდა მიცვალებულის თავის ქალასთან, მარცხენა მხარეს. ინვ. №133.

### სამარხი №93

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის 4 და გადახურულია 3 ფილით (აღმ. ფილა:  $1.25 \times 0.93 \times 0.15$  მ; შუა ფილა:  $1.27 \times 0.35 \times 0.17$  მ; დას. ფილა:  $1.18 \times 0.67 \times 0.1$  მ). გამართულია დას.-აღმ. ღერძზე. კუთხეებში დარჩენილი სიცარიელები შევსებულია ქვითა და ტალახით. სამარხის ზომებია:  $2.12 \times 1.27 \times 1.0$  მ (შიდა ზომები:  $1.75 \times 0.82 \times 1.0$  მ). იატაკი თიხატყეპნილია. სამარხში დაეკრძალათ 2 ზრდასრული გულალმა გამოტილი, თავით დასავლეთისკენ. ხელები ტანის გასწვრივ ქონდათ დალაგებული. ჩრდილოეთით დაკრძალული მიცვალებული ქალია, სამხრეთით დაკრძალული — კაცი (ტაბ. XXXVI<sub>6-7</sub>).

სამარხში აღმოჩნდა:

1. საკინძები ბრინჯაოსი (ტაბ. XXXVI<sub>8</sub>). 2 ცალი. თავი შემკულია მარგალიტის იოტებში მოქცეული პასტის ცრემლისებური მწვანე ფერის მძივით. პატინირებულია. ერთი მთელია, მეორე ნაკლული. სიგრძე — 8.4 სმ, მძივის სიგრძე — 1.3-1.5 სმ. აღმოჩნდა ჩრდილოეთით დაკრძალული მიცვალებულის, ქალის, თავის მარჯვენა და მარცხენა მხარეს. ინვ. №134.

2. ბეჭედი ვერცხლის (ტაბ. XXXVI<sub>11</sub>). მრგვალგანივკვეთიან რკალზე სიგანეზე დარჩილია მოოქროვილი მართკუთხა ფორმის მაღალი თვალბუდე, რომლის თავისუფალ ნახნაგებზე დამაგრებული იყო მარგალიტის იოტები (ამჟამად ერთი მომძვრალია). თვალბუდეში მაღალი, ამოზურცულ-ზედაპირიანი ძონის თვალი ზის. რკალი პატინირებულია. რკალის დმ — 2 სმ, რკალის სისქე — 0.2 სმ, თვალბუდის ზომები:  $0.4 \times 0.8 \times 0.3$  სმ, ბეჭდის წონა: 2.43 გრ. ეკეთა ქალს მარცხენა ხელზე. ინვ. №135.

4. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ. XXXVI<sub>9</sub>). თავი შემკულია პასტის ცილინდრულ-ნახნაგოვანი თეთრი მძივით, რომელიც ჩასმულია ოქროს ვარდულებში. პატინირებულია. სიგრძე — 9 სმ, მძივის სიგრძე — 1 სმ, მძივის დმ — 0.6 სმ. აღმოჩნდა მიცვალებულის (ქალის) თავთან, მარცხენა მხარეს. ინვ. №136.

5. სამაჯური მინის (ტაბ. XXXVI<sub>10</sub>). მრგვალგანივკვეთიანი რგოლია. ირიზებული. დმ — 4.5 სმ, რკალის სისქე — 0.5 სმ. აღმოჩნდა მიცვალებულის (ქალის) მარჯვენა ხელთან. ინვ. №137.

### სამარხი №94

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის 4 და გადახურულია 3 ფილით (დას. ფილა: არ იზომება; შუა ფილა:  $0.63 \times 1.37 \times 0.13$  მ. აღმ. ფილა:  $0.78 \times 1.0 \times 0.15$  მ). გამართულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე. სამარხის სამხრ. კედელი დაბალი მოსულა, ამიტომ დასავლეთ ნაწილში ზემოდან ადევს მეორე ფილა. ჩრდილოეთის კედლის დას. ნაწილი ჩამოტეხილია და შევსებულია რიყის ქვითა და ტალახით. სამარხის ზომებია:  $1.92 \times 1.37 \times 1.07$  მ (შიდა ზომები:  $1.64 \times 0.75 \times 0.84$  მ). იატაკი თიხატყეპნილია. სამარხში დაკრძალული იყო ოთხი მიცვალებული, ყველა გულალმა, გამოტილი, თავით დასავლეთით. პირველი ორი თანადროულად დაუკრძალავთ. შემდეგ კი კიდევ ორი დაუსვენებიათ მათზე სამხრეთით დაკრძალულ ბოლო მიცვალებულს ფეხები მარცხენა მხარეს აქვს მოხრილი (ტაბ. XXXVII<sub>1-2</sub>).

სამარხში აღმოჩნდა:

1. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ. XXXVII<sub>3</sub>). თავი შემკული აქვს პასტის ლურჯი სფერული მძივით.

პატინირებულია. აკლია წვეტი. სიგრძე — 6 სმ. აღმოჩნდა პირველად დაკრძალულის თავის ქალასთან. ინვ.№190.

2. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ. XXXVII<sub>4</sub>). თავი შემკული აქვს მარგალიტის თეთრი სფერული მძივითა და ბრინჯაოს ვარდულით. ერთი ვარდული დაკარგულია. პატინირებული, ნაკლული, გატეხილი. სიგრძე — 6 სმ. აღმოჩნდა იქვე. ინვ.№191.

3. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ. XXXVII<sub>5</sub>). თავი შემკული აქვს პასტის ხუთნახნაგა ცილინდრული ლურჯი მძივით და ბრინჯაოს ვარდულებით. პატინირებული, ნაკლული და გატეხილია ორ ნაწილად. სიგრძე — 5 სმ. ინვ.№192.

4. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ. XXXVII<sub>6</sub>). მოხრილი თავით. გატეხილია, ნაკლული და პატინირებული. სიგრძე — 6 სმ. აღმოჩნდა სამარხის შუაში, თავის ქალის ქვეშ. ინვ.№193.

### სამარხი №95

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის 4 და გადახურულია ასეთივე 3 ფილით. სამარხი დაზიანებულია: აღმ. და შუა ფილები სამარხშია ჩაცვენილი (დას. ფილა:  $1.05 \times 0.71 \times 0.14$  მ), ჩასულია მიწა. გამართულია დას.-აღმ. ღერძზე. სამარხის ზომებია:  $1.95 \times 0.95 \times 0.6$  მ (შიდა ზომები:  $1.7 \times 0.8 \times 0.8$  მ). იატაკად მოტყეპნილი თიხაა გამოყენებული. სამარხში დაკრძალული იყო 2 ზრდასრული გულალმა, თავით დასავლეთით. ჯერ დაუკრძალავთ სამარხის ჩრდილოეთ ნაწილში ქალი, ტანის გასწვრივ ჩამოშვებული ხელებით. მეორე მიცვალებულის — მამაკაცის დაკრძალვისას ის ჩრდ. კედელთან მიუწევიათ. მეორე მიცვალებულს ფეხები მოხრილი ქონდა მარჯვენა მხარეს, ხელები კი ეწყო ტანის გასწვრივ (ტაბ. XXXVII<sub>7-8</sub>).

სამარხში აღმოჩნდა:

საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ. XXXVII<sub>9</sub>). 2 ცალი. ნიჩბისებურად დაბრტყელებული თავი ბურთულაზეა დასმული. ყელზე ნიბო შემოსდევს. ნაკლული და პატინირებულია. შემორჩენილი სიგრძე — 2-4.4 სმ. აღმოჩნდა №2 მიცვალებულის მენჯის ძვალთან. ინვ.№112.

### სამარხი №96

ქვასამარხია. შედგენილი და გადახურულია ქვიშაქვის ფილებით. დაზიანებულია: დას. ფილა სამარხშია ჩატეხილი (აღმ. ფილა:  $1.05 \times 0.85 \times 0.1$  მ), სავსეა მიწით. სამარხი გამართულია დას.-აღმ. ღერძზე. სამარხის გრძივი კედლები ორ-ორი ფილისგან შედგება. პატარა ზომის ფილები დას. კიდეშია ჩამატებული. გარდა ამისა, სამხრ. კედლის დას. კიდე ჩამოტეხილია ხელმეორედ გამოყენების დროს. სამარხის ზომებია:  $2.0 \times 1.3 \times 0.75$  მ (შიდა ზომები:  $1.86 \times 0.77 \times 0.85$  მ). იატაკად მოტყეპნილი თიხაა გამოყენებული. სამარხში დაკრძალული იყო ექვსი მიცვალებული — მოზარდები და ზრდასრულები. ძვლები ძლიერ ცუდად იყო დაცული. სულ პირველად დაკრძალული მიეხვეტათ სამხრეთ-დასავლეთ კიდეში. დანარჩენები კი ერთმანეთზე იყვნენ დასვენებულები, თავით დასავლეთით, გულალმა, გაშოტილ მდგომარეობაში (ტაბ. XXXVII<sub>10-11</sub>).

სამარხში აღმოჩნდა:

1. საკინძის თავები (ტაბ. XXXVII<sub>12</sub>). 2 ცალი. თავი შემკულია ბრინჯაოს ვარდულებში მოქცეული პასტის ცრემლისებურ-ნახნაგოვანი ფორმის ცისფერი ფერის მძივით. მძივის ზომები:  $1.1 \times 1.1$  სმ. აღმოჩნდა №1 მიცვალებულის (მიხვეტილის) თავის ქალასთან. ინვ.№113.

2. საკინძის თავი (ტაბ. XXXVII<sub>13</sub>). შედგენილია ბრინჯაოს ვარდულებში მოქცეული პასტის სფერული ფორმის ლურჯი მძივით. პატინირებული და ირიზებულია. შემორჩენილია მხოლოდ თავი. სიგრძე — 1.7 სმ. აღმოჩნდა იქვე. ინვ.№114.

### სამარხი №97

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის 4 და გადახურულია 3 ფილით (შუა ფილა:  $1.03 \times 0.43 \times 0.14$  მ; დას. ფილა:  $1.1 \times 0.56 \times 0.12$  მ). გამართულია დას.-აღმ. ღერძზე. დაზიანებულია — აღმოსავლეთის ფილა ჩამტვრეული. სამარხის სამხრეთი კედლის დასავლეთი კიდე ჩამოტეხილია ხელმეორე გამოყენებისას და შემდეგ შეესებული ქვიშაქვისავე პატარა ფილით და ტალახით. სამარხის ზომებია:  $1.9 \times 1.1 \times 0.8$  მ (შიდა ზომები:  $1.74 \times 0.8 \times 0.7$  მ). იატაკი თიხატკეპნილია. სამარხში დაეკრძალათ 2 მიცვალებული თავით დასავლეთით. პირველად დაკრძალულის ძვლები მიუწევ-მოუწევიათ, ფეხის ძვლები გამოუყენებიათ აღმოსავლეთის ნიშნულად და შემდეგ დაუკრძალავთ მეორე მამაკაცი, გულაღმა გამოტილი (ტაბ. XXXVII<sub>14-15</sub>).

სამარხი უინვენტაროა.

### სამარხი №98

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის 4 და გადახურულია 3 ფილით (აღმ. ფილა:  $1.1 \times 0.84 \times 0.11$  მ; შუა ფილა:  $1.15 \times 0.42 \times 0.12$  მ). გამართულია დას.-აღმ. ღერძზე. დაზიანებულია — სახურავის დას. ფილა სამარხშია ჩავარდნილი. სამარხის ზომებია:  $2 \times 1.15 \times 0.94$  მ (შიდა ზომები:  $1.9 \times 0.9 \times 0.9$  მ). იატაკი თიხატკეპნილია. სამარხში დაეკრძალათ 2 მიცვალებული გულაღმა, გამოტილი, თავით დასავლეთისკენ. პირველად დაუკრძალავთ მოზარდი და შემდეგ მიუწევიათ სამხრეთისკენ. მეორედ დაუკრძალავთ ზრდასრული მამაკაცი, გულაღმა, გამოტილი, ხელები ტანის გასწვრივ ქონდა დალაგებული (ტაბ. XXXVIII<sub>1-2</sub>).

სამარხში ინვენტარი არ აღმოჩენილა.

### სამარხი №99

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის 4 და გადახურულია 3 ფილით (აღმ. ფილა:  $0.7 \times 1.2 \times 0.14$  მ; შუა ფილა:  $1.17 \times 0.4 \times 0.14$  მ; დას. ფილა:  $1.2 \times 0.66 \times 0.17$  მ). გამართულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე. კარგადაა დაცული. სამარხის დასავლეთის ფილა ვიწრო მოსულა და შეუვსიათ ქვითა და მიწით. სამარხის ზომებია:  $1.95 \times 1.2 \times 0.65$  მ (შიდა ზომები:  $1.75 \times 0.8 \times 0.82$  მ). იატაკი თიხატკეპნილია. სამარხში დაკრძალული იყო ერთი ზრდასრული (ქალი) გულაღმა, გამოტილი, თავით დასავლეთისკენ. ხელები ტანის გასწვრივ ქონდა დალაგებული (ტაბ. XXXVIII<sub>3,4</sub>).

სამარხი უინვენტაროა.

### სამარხი №100

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის 4 და გადახურულია 3 ფილით (შუა ფილა:  $0.54 \times 1.13 \times 0.15$  მ; დას. ფილა:  $0.5 \times 1.09 \times 0.14$  მ). გამართულია დას.-აღმ. ღერძზე, მცირედ სამხრეთისკენ გადახრით. დაზიანებულია: სახურავის აღმ. ფილა სამარხშია ჩატეხილი. სამარხის ხელმეორედ გამოყენებისას უნდა ჩამოემტვრიათ გრძივი კედლების დასავლეთი და დასავლეთი თავკედლის კიდეები. სამარხის ზომებია:  $2.0 \times 1.2 \times 0.84$  მ (შიდა ზომები:  $1.95 \times 0.8 \times 0.87$  მ). იატაკი თიხატკეპნილია. სამარხში დაეკრძალათ 3 მიცვალებული, ყველა თავით დასავლეთით. ადრე დაკრძალული ორი ზრდასრული სამარხის ჩრდილოეთ კედელთან მიუწევიათ და ბოლოს სამხრეთისკენ დაუკრძალავთ მამაკაცი გულაღმა, გამოტილი, ხელები ტანის გასწვრივ ქონდა დალაგებული (ტაბ. XXXVIII<sub>5-6</sub>).

სამარხში აღმოჩნდა:

1. აბზინდა ბრინჯაოსი (ტაბ. XXXVIII<sub>8</sub>). წარმოადგენს ოვალურ რგოლს ზედ გადასული, დაბრტყელებულ-მოკაუჭებული ენით. პატინირებული. ზომები:  $2 \times 2.4$  სმ. აღმოჩნდა №3 მიცვალებულის ბოქვენთან. ინვ. №142.
2. საკინძები ბრინჯაოსი (ტაბ. XXXVIII<sub>9</sub>). 3 ცალი. მრგვალგანივკვეთიანი ღერო დაბოლოებულია პატარა ბურთულა თავით. პატინირებული. ერთი გატეხილია და ნაკლული. სიგრძე — 4.5-6.1 სმ. აღმოჩნდა ჩრდილოეთ კედელთან მიწეული მიცვალებულის თავთან. ინვ. №143.

### სამარხი №101

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის 4 და გადახურულია 3 ფილით (აღმ. ფილა:  $0.89 \times 0.77 \times 0.13$  მ; შუა ფილა:  $0.47 \times 1.2 \times 0.12$  მ; დას. ფილა:  $1.02 \times 0.53 \times 0.09$  მ). გამართულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე. სამარხის ჩრდილოეთი კედლის დას. კიდე ხელმეორედ გამოყენების დროს ჩამოუტეხავთ და შეუვსიათ თავისივე ნატეხი ქვითა და მიწით. სამარხის ზომებია:  $1.76 \times 1.2 \times 0.8$  მ (შიდა ზომები:  $1.64 \times 0.73 \times 0.85$  მ). იატაკი თიხატყეპნილია. სამარხში დაკრძალული იყო დედა-კაცი გულაღმა, გამოტილი, თავით დასავლეთისკენ. ხელები ტანის გასწვრივ ქონდა დალაგებული. მარჯვენა ფეხი მუხლში მოხრილია და გადადებულია მარცხენაზე (ტაბ. XXXIX<sub>1-2</sub>). სამარხში აღმოჩნდა:

1. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ. XXXIX<sub>3</sub>). თავი ნიჩბისებურია, რომლის ძირშიც ჭვირული კვადრატია. პატინირებული და გატეხილია. სიგრძე — 8.2 სმ. აღმოჩნდა მიცვალებულის თავის ქალასთან. ინვ. №174.
2. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ. XXXIX<sub>4</sub>). თავი ჯვრისებური აქვს, რომლის ღერაკებზე მარგალიტის მძივებია წამოცმული. პატინირებულია. ერთი მძივი მომძვრალი აქვს. სიგრძე — 6.7 სმ. აღმოჩნდა მიცვალებულის თავის ქალასთან. ინვ. №175.
3. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ. XXXIX<sub>5</sub>). ჯვრისებურთავიანი, რომლის სამივე ღერძზე წამოცმულია ცისფერი მინის სფერული მძივები. ირიზებული და პატინირებულია. გატეხილია სამ ნაწილად. სიგრძე — 7.7 სმ. აღმოჩნდა იქვე. ინვ. №176.
4. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ. XXXIX<sub>6</sub>). თავი შემკული აქვს სარდიონის სფერული მძივით. პატინირებული. სიგრძე — 6.7 სმ. აღმოჩნდა მიცვალებულის თავის ქალასთან. ინვ. №177.
5. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ. XXXIX<sub>7</sub>). სფეროსებრი თავის ქვეშ, ყელზე მკვეთრი ნიბო შემოსდევს. პატინირებულია. სიგრძე — 7.6 სმ. აღმოჩნდა იქვე. ინვ. №178.
6. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ. XXXIX<sub>7</sub>). ზემოაღწერილის ანალოგიური. პატინირებულია და გატეხილი ორ ნაწილად. სიგრძე — 7.5 სმ. აღმოჩნდა იქვე. ინვ. №179.

### სამარხი №102

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის 4 ძალიან თხელი და გადახურულია 3 ასეთივე ფილით (აღმ. ფილა:  $1.05 \times 0.73 \times 0.13$  მ). გამართულია დას.-აღმ. ღერძზე. სამარხი ძლიერ დაზიანებულია: სახურავიდან შემორჩენილია მხოლოდ აღმ. ფილა, სამარხს აკლია სამხრეთის ფილის აღმოსავლეთის ნაწილი. სამარხის ზომებია:  $1.75 \times 1.05 \times 1.02$  მ (შიდა ზომები:  $1.68 \times 0.74 \times 0.8$  მ). სამარხი სავსე იყო მიწით, რომელშიც ჩაყოლილი იყო თანამედროვე სამშენებლო ბეტონის ნატეხები, ქვიშაქვის ქვები და ძაღლის ძვლები, რაც იმას ნიშნავს, რომ სამარხი უახლოეს წარსულში საკმაოდ დაზიანდა. იატაკად კონგლომერატზე კარგად მოტყეპნილი თიხაა გამოყენებული. სამარხში დაკრძალული იყო ორი მიცვალებული. პირველი მიცვალებული მოზარდია. ჩონჩხი ძლიერ დაზიანებული და მინეულია ჩრდილოეთის კედლისკენ. №2 მიცვალებული (ქალი) დაკრძალულია სამარხის ცენტრალურ ნაწილში, გულაღმა გამოტილი, თავით დასავლეთით. მარჯვენა ხელი იდაყვი მკვეთრად მოხრილი უდევს გულ-მკერდის არეში, მარცხენა კი — ტანის გასწვრივ (ტაბ. XXXIX<sub>8-9</sub>).

სამარხში აღმოჩნდა:

1. საკინძი ძვლის. ორად გატეხილი. აღმოჩნდა №2 მიცვალებულის თავის ქალასთან. ინვ. №150.
2. საკინძი ძვლის (ტაბ. XXXIX<sub>10</sub>). თავისკენ შემსხვილებულია და შემკულია რომბისებრი ორნამენტით. ორად გატეხილი და ნაკლულია. სიგრძე — 9.6 სმ. აღმოჩნდა №2 მიცვალებულის თავის ქალასთან. ინვ. №151.
3. საკინძი რკინის (ტაბ. XXXIX<sub>11</sub>), ბურთულა თავით. ორად გატეხილი და დაჟანგული. სიგრძე — 7.5 სმ. აღმოჩნდა იქვე. ინვ. №152.

### სამარხი №103

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის 4 და გადახურულია 3 ფილით (დას. ფილა: არ შემორჩა; შუა ფილა:  $0.43 \times 1.13 \times 0.12$  მ. აღმ. ფილა:  $0.82 \times 1.25 \times 0.11$  მ). გამართულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე, მცირედ სამხრეთისკენ გადახრილ. სამარხის კედლებსა და სახურავსა და კედლებს შორის სიცარიელები რიყის ქვითა და ტალახითაა შევსებული. სამარხის ზომებია:  $1.95 \times 1.25 \times 0.82$  მ (შიდა ზომები:  $1.74 \times 0.8 \times 0.86$  მ). იატაკი თიხატკეპნილია. სამარხი დაზიანებულია: ჩაქცეულია სახურავის დასავლეთის ფილა, რის შედეგადაც დაზიანდა მიცვალებულის ძვლები. ჩონჩხები დაშლილია და ფრაგმენტულადაა შემორჩენილი. დაკრძალულია 6 მიცვალებული. თავით დასავლეთისკენ. 4 მიცვალებული ჩრდილოეთის კედლისკენ მიუხვეტავთ, სამხრეთით კი დაუკრძალავთ ორი ბავშვი გულაღმა გამოტილ მდგომარეობაში (ტაბ. XXXIX<sub>12-13</sub>).

სამარხში აღმოჩნდა:

1. საკინძი რკინისა (ტაბ. XXXIX<sub>14</sub>). თავი შემკული აქვს ბრონეულის ნაყოფის ფორმის მარჯნის მძივით, რომელიც ბრინჯაოს ვარდულებშია ჩასმული. ნაკლულია, პატინირებული და დაჟანგული. შემორჩენილი სიგრძე — 3.4 სმ. აღმოჩნდა სამარხის ალაგებისას სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ინვ. №216.

2. საკინძი რკინის (ტაბ. XXXIX<sub>15</sub>), გამსხვილებული თავით. ნაკლული. დაჟანგული. შემორჩენილი სიგრძე — 7.3 სმ. აღმოჩნდა სამარხის ალაგებისას სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ინვ. №217.

### სამარხი №104

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის 5 ფილით. დაზიანებულია — სახურავის ქვები სამარხშია ჩამტვრეული. გამართულია დას.-აღმ. ღერძზე. სამხრეთი კედლის დას. კიდე ხელმეორე გამოყენების დროს ჩამოუტეხავთ. სამარხის ზომებია:  $1.95 \times 0.70 \times 0.66$  მ (შიდა ზომები:  $1.8 \times 0.7 \times 0.8$  მ). იატაკი თიხატკეპნილია. სამარხში დაკრძალული იყო 2 ზრდასრული, ორივე გულაღმა, გამოტილი, თავით დასავლეთისკენ. ჯერ დაუკრძალავთ ძლიერ მოხუცი ქალი მიენიათ ჩრდ.-ისკენ და შემდეგ დაუკრძალავთ საკმაოდ მაღალი კაცი. მარჯვენა ხელი სახესთან ქონდა მიტანილი, მარცხენა მუცელზე ედო. ფეხები ოდნავ მოხრილია მუხლებში, იმისთვის რომ მიცვალებული ჩატეულიყო (ტაბ. XXXIX<sub>16-17</sub>).

სამარხი უინვენტაროა.

### სამარხი №105

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის 4 და გადახურულია 3 ფილით (შუა ფილა:  $1.27 \times 1.03 \times 0.15$  მ; დას. ფილა:  $1.3 \times 0.42 \times 0.16$  მ). გამართულია დას.-აღმ. ღერძზე. სამარხი დაზიანებულია: გატეხილია და ნაწილობრივ სამარხშია ჩავარდნილი სახურავის აღმ. ფილა. სამარხის სამხრ. ფილის დასავლეთი კიდე ხელმეორედ გამოყენების დროს ჩამოუტეხავთ და შემდეგ სიცარიელე შეუვსიათ ჩამონატეხი ქვით. სამარხის ზომებია:  $2.07 \times 1.26 \times 0.67$  მ (შიდა ზომები:  $1.63 \times 0.83 \times 1.1$  მ). იატაკად კონგლომერატზე კარგად მოტკეპნილი თიხაა გამოყენებული. სამარხში დაეკრძალათ 4 მიცვალებული. მათგან სამი გულაღმა, გამოტილი, თავით დასავლეთით დაუსვენებიათ. პირველად დაკრძალული მიუწევიათ ჩრდილოეთისკენ და ისე დაუკრძალავთ სამხრეთით მეორე(დედა-კაცი). მას ხელები ტანის გასწვრივ ქონდა დალაგებული. მესამე ზრდასრული ჩრდილოეთით მიწვეულ მიცვალებულზე დაუკრძალავთ. მეოთხე (გვიან დაკრძალული) მიცვალებული მიხვეტილია პირველი სამი მიცვალებულის თავის ქალებზე, სამარხის დასავლეთ თავკედელთან (ტაბ. XL<sub>1-2</sub>). სამარხში აღმოჩნდა მხოლოდ რკინის საკინძის ღერაკები:

1. საკინძების ღერაკები რკინისა (ტაბ. XL<sub>3</sub>). 4 ცალი. ძლიერ დაჟანგული და ნაკლული. სიგრძე — 3.8-6.9 სმ. აღმოჩნდა სამხრეთით დაკრძალული დედაკაცის თავის ქალასთან. ინვ. №144.

### სამარხი №106

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის 4 და გადახურულია 3 ფილით (აღმ. ფილა:  $1.0 \times 0.77 \times 0.1$  მ; შუა ფილა:  $1.1 \times 0.53 \times 0.12$  მ; დას. ფილა:  $1.21 \times 0.67 \times 0.14$  მ). გამართულია დას.-აღმ. ღერძზე. სამარხის ზომებია:  $1.96 \times 1.1 \times 0.76$  მ (შიდა ზომები:  $1.8 \times 0.58 \times 0.85$  მ). იატაკად კარგად მოტკეპნილი თიხა კონგლომერატზე. სამარხში ერთი ზრდასრული იყო დაკრძალული გულაღმა გამოტილი, თავით დასავლეთით. ხელები ტანის გასწვრივ ქონდა დალაგებული (ტაბ. XL<sub>4-5</sub>).

სამარხი უინვენტაროა.

### სამარხი №107

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის 4 და გადახურულია 3 ფილით (აღმ. ფილა:  $1.2 \times 0.78 \times 0.05$  მ; შუა ფილა:  $1.17 \times 0.61 \times 0.09$  მ; დას. ფილა:  $0.9 \times 0.56 \times 0.07$  მ). გამართულია დას.-აღმ. ღერძზე. სამარხის სახურავსა და კედლებს შორის შექმნილი სივრცეები შევსილი იყო ქვითა და ტალახით. სამარხის ზომებია:  $1.96 \times 1.17 \times 0.74$  მ (შიდა ზომები:  $1.68 \times 0.68 \times 0.82$  მ). იატაკად კონგლომერატზე კარგად მოტკეპნილი თიხა გამოყენებული. სამარხი ინდივიდუალურია. დაკრძალულია ზრდასრული ქალი გულაღმა, გამოტილ მდგომარეობაში, თავით დასავლეთით, ფეხები მუხლებში მკვეთრად განზიდული აქვს. ხელები ტანის გასწვრივ უწყვია (ტაბ. XL<sub>6-7</sub>).

სამარხში აღმოჩნდა:

1. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ. XL<sub>8</sub>), ბრონეულის ნაყოფის ფორმის მარჯნის თავითა და ოქროს ვარდულებით. გატეხილია ორ ნაწილად. სიგრძე — 7.1 სმ. აღმოჩნდა მიცვალებულის თავის ქალასთან. ინვ. №153.
2. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ. XL<sub>9</sub>). ზემოაღწერილის ანალოგიური. ნაკლული. პატინირებული. სიგრძე — 7 სმ. აღმოჩნდა იქვე. ინვ. №154.
3. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ. XL<sub>10</sub>), თავი შემკული აქვს მარჯნის სფერული მძივით. პატინირებულია და გატეხილი სამ ნაწილად. სიგრძე — 7.1 სმ. აღმოჩნდა მიცვალებულის თავთან. ინვ. №155.
4. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ. XL<sub>11</sub>). მთლიანად სმული. ნიჩბისებურთავიანი. პატინირებულია. სიგრძე — 7.3 სმ. აღმოჩნდა მიცვალებულის თავთან. ინვ. №156.

### სამარხი №108

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის 4 და გადახურულია 3 ფილით, რომელთაგან შუა ფილა არ შემორჩა (აღმ. ფილა:  $0.97 \times 0.5 \times 0.1$  მ; დას. ფილა:  $0.96 \times 0.7 \times 0.08$  მ). გამართულია დას.-აღმ. ღერძზე. სამარხის ჩრდილოეთი ფილის დასავლეთი კიდე ხელმეორე გამოყენებისას ჩამოუტეხავთ და ტალახით და ქვით ამოუფსიათ. სამარხის ზომებია:  $1.96 \times 1.02 \times 1.2$  მ (შიდა ზომები:  $1.87 \times 0.8 \times 0.87$  მ). იატაკი თიხატკეპნილია. სამარხში დაკრძალულია 4 მიცვალებული. ძვლები ძლიერ არეულია. ორი მიცვალებული მიხვეტილია ჩრდ. კედელთან. დანარჩენი ორი დაკრძალულია გულაღმა, გამოტილი, თავით დასავლეთით. ბოლოს დაკრძალულ მიცვალებულს ფეხები მარჯვენა მხარეს აქვს მოხრილი (ტაბ. XL<sub>12-13</sub>).

სამარხი უინვენტაროა.

### სამარხი №109

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის 4 და გადახურულია 3 ფილით (აღმ. ფილა:  $1.0 \times 1.0 \times 0.18$  მ; შუა ფილა:  $1.04 \times 0.51 \times 0.13$  მ; დას. ფილა:  $0.63 \times 1.04 \times 0.12$  მ). გამართულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე. სამარხის კუთხეებში შექმნილი სივრცეები ამოვსებულია ქვითა და ტალახით. კარგადაა დაცული. სამარხის ზომებია:  $2.2 \times 1.04 \times 0.9$  მ (შიდა ზომები:  $1.83 \times 0.72 \times 0.71$  მ). იატაკი თიხატკეპნილია. სამარხში დაკრძალული იყო ორი ზრდასრული გულაღმა გამოტილი, თავით დასავლეთისკენ. ჩრდილოეთით დაკრძალულ მიცვალებულს ხელები უწყვია ბოქვენზე. სამხრეთით დაკრძალულს კი — მუცლის არეში (ტაბ. XL<sub>1-2</sub>).

სამარხი უინვენტაროა.

### სამარხი №110

ფილასამარხია. გვერდითა კედლებად და სახურავად გამოყენებულია თიხის ფილები (ფილების ზომებია:  $0.3 \times 0.3 \times 0.04$  მ), თუმცა გრძივი კედლის შუაში ორი ფილის გადაბმის ადგილას ჩადგმულია ქვის პატარა ნატეხები. გამართულია დას.-აღმ. ღერძზე. დაზიანებულია — სახურავის ფილები დამტვრეული და არეული იყო. სამარხის ზომებია:  $0.73 \times 0.35 \times 0.2$  მ (შიდა ზომები:  $0.64 \times 0.2 \times 0.26$  მ). იატაკად სილაა მოტკვეპნილი. სამარხში დაეკრძალათ მცირეწლოვანი ბავშვი თავით დასავლეთისკენ. პოზა არ ირკვევა (ტაბ. XLI<sub>3-5</sub>).

სამარხში ინვენტარი არ აღმოჩენილა.

### სამარხი №111

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის 4 და გადახურულია 3 ფილით (აღმ. ფილა:  $1.02 \times 0.6 \times 0.1$  მ; შუა ფილა:  $1.04 \times 0.55 \times 0.09$  მ; დას. ფილა:  $1.1 \times 0.55 \times 0.12$  მ). გამართულია დას.-აღმ. ღერძზე, მცირედ ჩრდილოეთისკენ გადახრილ. სამარხის სამხრეთი ფილის დასავლეთი კიდე ხელმეორედ გამოყენების დროს ჩამოუტეხავთ და შემდეგ სიცარიელე შეუვსიათ ქვიშაქვისავე ფილებით. სამარხის ზომებია:  $2.0 \times 1.1 \times 0.93$  მ (შიდა ზომები:  $1.8 \times 0.86 \times 1.1$  მ). იატაკად კონგლომერატზე კარგად მოტკვეპნილი თიხაა გამოყენებული. სამარხში დაუკრძალავთ ორი მიცვალებული, ორივე გულაღმა, გაშოტილი, თავით დასავლეთით. პირველად დაკრძალული ჩრდილოეთის კედლისკენ მიუწევიათ და განთავისუფლებულ ადგილას დაუსვენებიათ ქალი. ამ უკანასკნელს მარცხენა ხელი ბოქვენზე უდევს, მარჯვენა კი ტანის გასწვრივ. სამარხში აღმოჩენილი ინვენტარი სწორედ ქალს ეკუთვნოდა (ტაბ. XLI<sub>6-7</sub>).

სამარხში აღმოჩნდა:

1. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ. XLI<sub>8</sub>). თავი შემკულია მარგალიტის (თუ პასტის) სფერული მძივით და მარგალიტის იოტით. პატინირებულია და გატეხილი. სიგრძე — 6.9 სმ. აღმოჩნდა №2 მიცვალებულის თავთან, მარცხენა მხარეს. ინვ. №145.
2. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ. XLI<sub>9</sub>). თავი შემკულია წითელი სარდიონის ცრემლისებური მძივითა და მარგალიტის იოტით. პატინირებული, გატეხილი და ნაკლულია. სიგრძე — 7.5 სმ. სარდიონის დმ — 0.7 სმ. აღმოჩნდა №2 მიცვალებულის თავთან, მარჯვენა მხარეს. ინვ. №146.
3. საკინძები ბრინჯაოსი (ტაბ. XLI<sub>10</sub>). 2 ცალი. თავი შემკულია პასტის ცილინდრულ-წახნაგოვანი თეთრი მძივი. პატინირებული. ერთი გატეხილია. სიგრძე — 7.8 სმ. მძივის სიგრძე — 1.6 სმ, მძივის დმ — 0.5 სმ. აღმოჩნდა №2 მიცვალებულის თავთან, მარჯვენა და მარცხენა მხარეს, პირველი ორი საკინძის ზევით. ინვ. №147.

### სამარხი №112

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის 4 და გადახურულია 3 ფილით (აღმ. ფილა:  $1.1 \times 0.7 \times 0.13$  მ; დას. ფილა:  $1.15 \times 0.54 \times 0.12$  მ). გამართულია დას.-აღმ. ღერძზე, ჩრდილოეთისკენ გადახრილ. სამარხი დაზიანებულია: სახურავის შუა ფილა შიგნითაა ჩამტვრეული. სამარხის ჩრდ. ფილის დასავლეთი კიდე ხელმეორედ გამოყენების დროს ჩამოუტეხავთ და შემდეგ სიცარიელე შეუვსიათ სხვადასხვა ქვით. სამარხის ზომებია:  $1.88 \times 1.15 \times 0.78$  მ (შიდა ზომები:  $1.78 \times 0.64 \times 0.84$  მ). იატაკად კონგლომერატზე კარგად მოტკვეპნილი თიხაა გამოყენებული. სამარხში დაუკრძალავთ 2 ზრდასრული (ორივე მამაკაცი), ორივე გულაღმა, გაშოტილი, თავით დასავლეთისკენ. პირველად დაკრძალული, რომელსაც ფეხები წვივებში გადაჯვარედინებული ქონდა, მიუწევიათ ჩრდილოეთისკენ და შემდეგ დაუკრძალავთ სამხრეთით მეორე მიცვალებული. ხელები ორივეს მუცლის არეში ეწყობთ (ტაბ. XLI<sub>11-12</sub>).

სამარხში აღმოჩნდა:



1. საყურე ბრინჯაოსი (ტაბ. XL<sub>14</sub>). თავგახსნილი რგოლია, ტანშემსხვილებული. პატინირებულია. დმ — 1.4 სმ, რკალის უდიდესი სისქე — 0.3 სმ. აღმოჩნდა ჩრდ. დაკრძალული მიცვალებულის თავთან, მარცხენა მხარეს. ინვ. №148.

2. საყურე ბრინჯაოსი (ტაბ. XL<sub>13</sub>), ზემოაღწერილის ანალოგიური. დმ — 1.6 სმ, რკალის უდიდესი სისქე — 0.4 სმ. აღმოჩნდა სამხ. დაკრძალული მიცვალებულის თავთან, მარჯვენა მხარეს. ინვ. №149.

### სამარხი №113

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის 4 და გადახურულია 3 ფილით (დას. ფილა: არ იზომება; შუა ფილა: 0.48×1.16×0.11 მ. აღმ. ფილა: 0.71×1.0×0.2 მ). გამართულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე. გრძივი კედლები სიგრძეში ორ-ორი ფილითაა შედგენილი. სიმაღლეშიც, ჩრდილოეთის კედელს მეორე ფილა ადევს, რის გამოც ამოშენებულის შთაბეჭდილებას ტოვებს (ზუსტად ისევე, როგორც №86 სამარხის შემთხვევაში). სივრცეების შესავსებად ტალახია გამოყენებული. სამარხის ზომებია: 2.1×1.16×1.95 მ (შიდა ზომები: 1.9×0.67×0.72 მ). იატაკი თიხატყეპნილია. სამარხში დაკრძალული იყო ზრდასრული გულაღმა, გაშოტილი, თავით დასავლეთით. ხელები ტანის გასწვრივ ქონდა დალაგებული (ტაბ. XLII<sub>1-2</sub>).

სამარხში ინვენტარი არ აღმოჩენილა.

### სამარხი №114

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის 4 და გადახურულია 3 ფილით (აღმ. ფილა: 0.93×1.2×0.12 მ; შუა ფილა: 1.35×0.49×0.16 მ; დას. ფილა: 1.05×0.69×0.1 მ). გამართულია დას.-აღმ. ღერძზე, მცირედ სამხრეთისკენ გადახრით. სამარხის ჩრდილოეთი კედლის დასავლეთი კიდე ხელმეორედ გამოყენების დროს ჩამოუტეხავთ და შემდეგ სივრცე შეუვსიათ ჩამონატეხი ქვით. გრძივ კედლებსა და დასავლეთ კედელს შორის ჩადგმულია კარგად გათლილი ქვიშაქვის ქვები. სამარხის ზომებია: 2.1×1.35×0.8 მ (შიდა ზომები: 1.85×0.8×1.0 მ). იატაკად კარგად მოტყეპნილი თიხაა გამოყენებული. კედლებზე შეიმჩნევა კირხსნარის ნალვენი. სამარხში დაკრძალული იყო ერთი მიცვალებული გულაღმა გაშოტილი თავით დასავლეთით. მარჯვენა მუცლის არეში ედო, მარცხენა — ტანის გასწვრივ. მიცვალებული სამარხის სამხრეთ ნაწილშია დაკრძალული, ჩრდილოეთის ნაწილი თავისუფალი დაუტოვიათ მეორე მიცვალებულისთვის, მაგრამ აღარ დაუკრძალავთ (ტაბ. XLII<sub>3-4</sub>).

სამარხში აღმოჩნდა:

1. რკინის ნივთის ფირფიტის ფრაგმენტები (ტაბ. XLII<sub>5</sub>). რალაცაზე იყო დაკრული. ძლიერ დაჟანგული, დაშლილი და ნაკლულია. აღმოჩნდა თავსა და დასავლეთის კედელს შორის. ინვ. №157.

2. სანელსაცხებლე მინისა (ტაბ. XLII<sub>6</sub>). უქუსლო, ნაგრძელებული გოფირირებული ტანით. ყელი მაღალი და ცილინდრული უნდა ქონოდა. ნაკლულია (არ შემორჩა ყელ-პირი) და ირიბებული. დმ — 2.3 სმ. აღმოჩნდა მიცვალებულის მარცხენა მხართან. ინვ. №158.

### სამარხი №115

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის 4 და გადახურულია 3 ფილით (აღმ. ფილა: 0.74×1.1×0.1 მ; შუა ფილა: 1.17×0.53×0.11 მ; დას. ფილა: 0.62×1.1×0.09 მ). გამართულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე, მკვეთრად ჩრდილოეთისკენ გადახრით. სამარხის კუთხეებში დარჩენილი სივრცეები ამოვსებულია რიყის ქვითა და ტალახით. ჩრდ. კედლის დასავლეთი კიდე ხელმეორედ გამოყენების დროს ჩამოუმტვრევიათ და შემდეგ ისევ ამოშენებიათ. სამარხის ზომებია: 1.9×1.27×0.79 მ (შიდა ზომები: 1.74×0.64×0.75 მ). იატაკი თიხატყეპნილია. სამარხში დაკრძალული იყო სამი მიცვალებული: ორი ზრდასრული და ერთი ბავშვი. სამივე გულაღმა, გაშოტილი, თავით დასავლეთისკენ. ხელები ტანის გასწვრივ ქონდათ დალაგებული. პირველად დაკრძალ-

ული მიცვალებული სამხრეთის კედელთან მიუწვდება, შემდეგ განთავსდებიან ადგილას დაუკრძალავთ მეორე მიცვალებული, ხოლო ბოლოს, ჩრდილოეთ ნაწილში დაუსვენებიათ ბავშვი (ტაბ. XLII<sub>7-გ</sub>).

სამარხში ინვენტარი არ აღმოჩენილა.

### სამარხი №116

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის 4 და გადახურულია 3 ფილით (აღმ. ფილა:  $1.14 \times 0.47 \times 0.1$  მ; შუა ფილა:  $1.0 \times 0.7 \times 0.5$  მ; დას. ფილა:  $0.7 \times 1.2 \times 0.15$  მ). გამართულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე, ჩრდილოეთისკენ გადახრილი. სამარხის კუთხეებში დარჩენილი სივრცეები ამოვსებულია რიყის ქვითა და ტალახით. სამხრეთი კედლის დასავლეთი კიდე ხელმეორედ გამოყენების დროს ჩამოშორებულია და შემდეგ ისევ ამოუშენებიათ ნატეხი ქვითა და ტალახით. სამარხის ზომებია:  $1.75 \times 1.2 \times 0.5$  მ (შიდა ზომები:  $1.59 \times 0.63 \times 0.7$  მ). იატაკი თიხატყეპნილია. სამარხში დაკრძალული იყო ერთი ზრდასრული ინდივიდი გულაღმა, გამოტილი, თავით დასავლეთისკენ. მარჯვენა ხელი იდაყვში აქვს მოხრილი და მხარზე უდევს, მარცხენა კი — მენჯზე (ტაბ. XLII<sub>9-10</sub>).

სამარხში აღმოჩნდა:

1. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ. XLII<sub>11</sub>). სფეროსებრი თავით. გატეხილი და პატინირებული. სიგრძე — 6 სმ. აღმოჩნდა თავის არეში. ინვ. №180.

### სამარხი №117

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის 4 და გადახურულია 3 ფილით (შუა ფილა:  $0.4 \times 1.14 \times 0.13$  მ. აღმ. ფილა:  $0.66 \times 1.15 \times 0.09$  მ). გამართულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე. სამხრეთის კედლის დასავლეთი კიდე ნაკლულია, ამიტომ ამოუშენებიათ ნატეხი ქვითა და ტალახით. სამარხის ზომებია:  $2.04 \times 1.1 \times 0.85$  მ (შიდა ზომები:  $1.8 \times 0.73 \times 0.81$  მ). იატაკი თიხატყეპნილია. სამარხში დაკრძალული იყო ერთი ზრდასრული გულაღმა, გამოტილი, თავით დასავლეთით. ხელები ტანის გასწვრივ აქვს დანყობილი.

სამარხი უინვენტაროა.

### სამარხი №118

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის 4 კარგად დამუშავებული ფილით და გადახურულია 3-ით (დას. ფილა:  $0.57 \times 1.26 \times 0.13$  მ. შუა ფილა:  $0.5 \times 1.3 \times 0.11$  მ. აღმ. ფილა:  $0.78 \times 1.1 \times 0.1$  მ). გამართულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე, მცირედ სამხრეთისკენ გადახრილი. სამარხის დას. კედლის ძირში მოწყობილია 20 სმ სიგანის და 11 სმ სიმაღლის ქვიშაქვის სასთუმალი. გრძივი კედლების ძირში მთელ სიგრძეზე ქვიშაქვის ფილებით გაკეთებულია თაროები (სიგანე — 15-20 სმ, სიმაღლე — 30-34 სმ). კედლების კუთხეები, სახურავისა და კედლების გადაბმის ადგილები, ასევე სასთუმალი და თაროები მთლიანად გადალესილია კირხსნარით. სამარხის გარე ზომებია:  $1.84 \times 1.3 \times 1.13$  მ (შიდა ზომები:  $1.84 \times 0.87 \times 1.1$  მ). იატაკი შავი კენჭოვანი სილით იყო მოგებული. სამარხში დაკრძალული იყო ერთი ზრდასრული, გულაღმა, გამოტილი, თავით დასავლეთით. ხელები მუცელზე ქონდა დაკრეფილი (ტაბ. XLIII<sub>1-3</sub>; LXXV).

სამარხში ინვენტარი არ აღმოჩენილა.

### სამარხი №119

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის 4 და გადახურულია 3 ფილით (დას. ფილა: არ იზომება; შუა ფილა:  $0.4 \times 1.27 \times 0.14$  მ. აღმ. ფილა:  $0.87 \times 1.18 \times 0.12$  მ). გამართულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე. ფილები კარგადაა დამუშავებული. კუთხეებში სივრცეები რიყის ქვითა და ტალახითაა შევსებული. ჩრდ. და სამხრ. კედლის დასავლეთი კიდეები სიმაღლეში შევსებულია

ქვიშაქვის სიგანეზე დადებული ქვით და ტალახით. სამარხის ზომებია:  $1.97 \times 1.27 \times 0.92$  მ (შიდა ზომები:  $1.79 \times 0.94 \times 0.91$  მ). იატაკი თიხატკეპნილია. სამარხში დაკრძალული იყო 5 მიცვალებული: 4 ზრდასრული და 1 ბავშვი. პირველად დაკრძალული ინდივიდი მიხვეტილი იყო სამარხის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. მეორე დასვენებული იყო სამარხის სამხრეთ ნაწილში გულაღმა, გამოტილი, თავით დასავლეთისკენ. მარჯვენა ხელი მენჯზე ედო, ფეხები მუხლებში განზიდული ქონდა. მესამე ზრდასრული დაეკრძალათ მის ჩრდილოეთით ასევე გულაღმა, გამოტილი, თავით დასავლეთისკენ. ფეხები მარცხენა მხარეს ქონდა ოდნავ მოხრილი. მასზე შემდეგ დაუკრძალავთ თოთო ბავშვი, თავით დასავლეთით (ძვლები თითქმის არ შემორჩა, რის გამოც პოზა არ დგინდება). ბოლოს კი სამხრეთით დაკრძალულ მიცვალებულზე, ტანის ქვედა ნაწილში დაუსვენებიათ მეხუთე ზრდასრული და სამარხში რომ ჩაეტიათ, ფეხები მუხლს ქვემოთ მოუხრიათ მარჯვნივ (ტაბ. XLIII<sub>4გ</sub>).

სამარხში აღმოჩნდა:

1. მშვილდსაკინძი ბრინჯაოსი (ტაბ. XLIII<sub>1გ</sub>). ჯვრისებრი ტიპის. ბუდეაბმულია, მუხლსახსრიანი, ჭვინტიანი. მშვილდი ჩახრილი აქვს, დაუყვება ქედი. პატინირებული. სიგრძე — 3.9 სმ, სიმაღლე — 1.5 სმ. აღმოჩნდა ბავშვის თავთან, ჩრდილოეთის ზრდასრული მიცვალებულის ხერხემლის არეში. ინვ. №194.
2. სამაჯურის ფრაგმენტები რკინისა (ტაბ. XLIII<sub>1გ</sub>). წარმოადგენს მოხრილ ბრტყელგანივკვეთიან რკალს, ფარაკისებურ ოვალის ფორმის ჩანართებით. ფრაგმენტული, გატეხილი და დაჟანგულია. რკალის სიგანე — 0.7 სმ, ფარაკისებური ჩანართების სიგანე — 1.1-1.4 სმ. აღმოჩნდა იქვე. ინვ. №195.
3. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ. XLIII<sub>7</sub>). თავი შემკული აქვს ბრინჯაოს ვარდულებში ჩასმული მარჯნის ბრონეულის ყვავილის ფორმის მძივით. სიგრძე — 8 სმ. მძივის სიგრძე — 2 სმ. პატინირებულია. აღმოჩნდა ბავშვის თავთან. ინვ. №196.
4. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ. XLIII<sub>გ</sub>). თავზე წამოცმულია მწვანე სფერული ქვა, რომელიც ბოლოვდება ოქროს ვარდულით. ნაკლული. პატინირებული. დმ — 1.3 სმ. აღმოჩნდა იქვე. ინვ. №197.
5. სტილოსი (?) ძვლის (ტაბ. XLIII<sub>გ</sub>). თავ-ბოლო წაწვეტილებული წკირია. ნაკლულია და გატეხილია სამ ნაწილად. სიგრძე — 12.8 სმ. აღმოჩნდა სამხრ. დაკრძალული ზრდასრულის ხერხემალსა და ბავშვის თავს შორის. ინვ. №198.
6. ბეჭედი რკინისა (ტაბ. XLIII<sub>1გ</sub>). შესქელებული ფარაკით. ნაკლული და ძლიერ დაჟანგული. დმ — 2.3 სმ. აღმოჩნდა სამხრეთით დაკრძალული მიცვალებულის მარჯვენა ხელზე. ინვ. №199.
7. საყურეები ბრინჯაოსი (ტაბ. XLIII<sub>1გ</sub>), თავებგახსნილი, ტანშესქელებული რგოლი. წყვილი. დმ — 1.8 სმ. პატინირებული. აღმოჩნდა სამხრეთით დაკრძალული ზრდასრულის თავის ქალის ქვეშ. ინვ. №200.
8. საკინძი რკინისა (ტაბ. XLIII<sub>10</sub>). თავი შემკული აქვს პასტის მწვანე ცილინდრული და მარგალიტის მძივით. დაჟანგული. სიგრძე — 4.4 სმ. აღმოჩნდა ჩრდილოეთით დაკრძალული მიცვალებულის თავის ქალასთან. ინვ. №201.
9. საბეჭდავი ბრინჯაოსი (ტაბ. XLIII<sub>15</sub>). სფერული ფორმის, ერთი გვერდი წაკვეთილი აქვს და მასზე ამოკვეთილია ქურციკის გამოსახულება მარჯვენა პროფილში. ანაბეჭდზე დაბალ რელიეფს იძლევა. საბეჭდავი გახვრეტილია ზონარის გასაყრელად. პატინირებულია, რის გამოც გამოსახულება ცუდად იკითხება. დმ — 1.4 სმ. აღმოჩნდა მიხვეტილი მიცვალებულის ძვლებში. ინვ. №202.
10. საყურე ოქროსი (ტაბ. XLIII<sub>14</sub>). წარმოადგენს ოქროს რგოლს შესაკრავით, რომელზეც მირჩილულია ორი საკიდი, მასზე ჩამოკიდულია ბრინჯაოსა და ოქროს ღერაკები, რომელზეც ოქროს რგოლი, სარდიონისა და მარალიტის მძივებია ასხმული. დმ — 1.6 სმ, სიგრძე — 3 სმ. წონა — 1.64 გრ. აღმოჩნდა მიხვეტილი მიცვალებულის ძვლებში. ინვ. №203.
11. საკინძი ოქროსი (ტაბ. XLIII<sub>11</sub>). გატეხილია სამ ნაწილად. მრგვალგანივკვეთიანი ბრინჯაოს

ღერო შესმულია ოქროს ფურცლისგან დამზადებულ თავში. ყელზე წიბო აქვს შემოკრული. თავი ზარაკისებურია, შესაძლოა შიგ თვალი მჯდარიყო. კედლები ფილიგრანული წესით ვოლუტებითა და ცვარას ბურთულებითაა მორთული. თავის სიგრძე — 1.3 სმ, სიგანე — 0.9 სმ, წონა — 0.72 გრ. აღმოჩნდა იქვე. ინვ.№204.

12. საკინძი ოქროსი (ტაბ.XLIII<sub>12</sub>). ნაკლული, პატინირებული. მრგვალგანივკვეთიან ბრინჯაოს ღეროზე დარჩილულია ოქროს ცრუცვარათი დაფარული ტინროვანი ბუდე, რომელშიც პასტის ნახნაგოვანი შინდის ნაყოფის მოყვანილობის თვალი ზის. ბუდის სიმაღლე — 2.3 სმ, დმ — 0.9 სმ. აღმოჩნდა მიხვეტილი მიცვალებულის ძვლებში. ინვ.№205.

13. საკინძი ოქროსი (ტაბ.XLIII<sub>13</sub>). ნაკლული, დაჟანგული. ზემოაღწერილის ანალოგიური, მხოლოდ ღერო რკინის აქვს. ბუდის სიმაღლე — 2.4 სმ, დმ — 0.9 სმ. აღმოჩნდა იქვე. ინვ.№206.

14. ბეჭედი რკინის (ტაბ.XLIII<sub>20</sub>). რკალგახსნილი. მრგვალგანივკვეთიანი ღერო გადადის მრგვალი ფორმის ფარაკში. ძლიერ დაჟანგული. დმ — 1.9 სმ. აღმოჩნდა მიხვეტილი მიცვალებულის ძვლებში. ინვ.№207.

### სამარხი №120

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის 4 და გადახურულია 4 ფილით (დას. ფილა: 0.86×0.42×0.11 მ). გამართულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე, სამხრეთისკენ გადახრით. ძლიერ დაზიანებულია: სახურავი ჩამტვერული აქვს, სავსეა მიწით. სამარხის კუთხეებში დარჩენილი სიცარიელებები ამოვსებულია რიყის ქვითა და ტალახით. სამარხის ზომებია: 1.88×1.02×0.56 მ (შიდა ზომები: 1.2×0.84×0.67 მ). იატაკი თიხატკეპნილია. სამარხში დაკრძალული იყო ხუთი მიცვალებული თავით დასავლეთით. ბოლო ჯერზე სამარხის გამოყენების დროს, წინა მიცვალებულები დიდი ხნის დაკრძალულები ყოფილან, რადგან მათი სამხრეთით მიხვეტისას, თავის ქალები ხელუხლებლად დაუტოვებიათ. ჩრდილოეთით მეხუთე იყო დაკრძალული გულაღმა, გამოტილი, თავით დასავლეთით (ტაბ.XLIV<sub>1-2</sub>).

სამარხი უინვენტარო იყო.

### სამარხი №121

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის 5 და გადახურულია 3 ფილით (აღმ. ფილა: 0.73×1.04×0.11 მ; შუა ფილა: 1.17×0.45×0.11 მ დას. ფილა: 1.1×0.66×0.12 მ). გამართულია დას.-აღმ. ღერძზე. სამარხის სამხრეთი კედელი ერთი მთავარი და მისი შემავსებელი პატარა ქვიშაქვის ფილები-სგან შედგება. ისინი დასავლეთ ნაწილშია ჩადგმულ-დამატებული ხელმეორედ გამოყენების დროს. კედლებში დარჩენილი სიცარიელები შევსებულია ქვითა და ტალახით. სამარხის ზომებია: 1.9×1.17×0.87 მ (შიდა ზომები: 1.67×0.93×1.05 მ). იატაკად კარგად მოტკეპნილი თიხაა. სამარხში დაკრძალულია 4 მიცვალებული ყველა გულაღმა, გამოტილ მდგომარეობაში, თავით დასავლეთით. მათგან ორი ზრდასრული ქალია (ჯერ ჩრდილოეთის კედლის ძირში დაუსვენებიათ - №1, შემდეგ მის სამხრეთით - №2), რომლებიც შემდეგ მიუწვევიათ გვერდზე და დაუკრძალავთ ბავშვი. სულ ბოლოს კი ამ ბავშვზე კიდევ ერთი ბავშვი დაუსვენებიათ (ტაბ.XLIV<sub>3-4</sub>).

სამარხში აღმოჩნდა:

1. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ.XLIV<sub>6</sub>), თავი შემკული აქვს მინის თხუთმეტნახნაგა ცისფერი მძივით. პატინირებული და ირიზებული. სიგრძე — 8.2 სმ. აღმოჩნდა №2 მიცვალებულის თავთან. ინვ.№159.

2. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ.XLIV<sub>7</sub>). ზემოაღწერილის ანალოგიური. გატეხილი. პატინირებული, ირიზებული. სიგრძე — 7.3 სმ. აღმოჩნდა იქვე. ინვ.№160.

3. საკინძი რკინის (ტაბ.XLIV<sub>8</sub>). თავი ნიჩბისებურად აქვს დაბრტყელებული. დაჟანგული და გატეხილი. სიგრძე — 11.4 სმ. აღმოჩნდა იქვე. ინვ.№161.

4. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ.XLIV<sub>9</sub>). თავი შემკული აქვს ცისფერი პასტის შვიდნახნაგა ცილინდრული მძივით, რომელსაც თავზე უნდა ქონოდა მარგალიტის იოტი, მაგრამ აღარ შემორჩა. პატინირებულია. გატეხილია სამ ნაწილად. სიგრძე - 9.5 სმ, მძივის დმ — 0.5 სმ, მძივის სიგრძე — 2 სმ. აღმოჩნდა იქვე. ინვ.№162.
5. საკინძის თავი (ტაბ.XLIV<sub>14</sub>). წარმოადგენს ცისფერი პასტის 7 ნახნაგა ცილინდრულ მძივს, რომელსაც თავზე დასმული აქვს მარგალიტის იოტი. დმ — 0.5 სმ. სიგრძე — 2 სმ. აღმოჩნდა იქვე. ინვ.№163.
6. საკინძების ლერაკები რკინისა (ტაბ.XLIV<sub>5</sub>). 6 ცალი. ძლიერ დაჟანგული. სიგრძე — 4.1-6.7 სმ. აღმოჩნდა იქვე. ინვ.№164.
7. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ.XLIV<sub>10</sub>). თავი შემკული აქვს პასტის მწვანე ცილინდრული ფორმის მძივით და ოქროს ვარდულით. პატინირებული, გატეხილი ორ ნაწილად. სიგრძე — 6.3 სმ. აღმოჩნდა №1 მიცვალებული ქალის თავის არეში. ინვ.№165.
8. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ.XLIV<sub>11</sub>). თავზე წამოცმულია მძივად დამუშავებული ნიჟარა. პატინირებული. სიგრძე — 5.1 სმ. აღმოჩნდა №1 მიცვალებული ქალის თავის არეში. ინვ.№166.
9. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ.XLIV<sub>13</sub>). თავი შემკული აქვს პატარა მარგალიტის მძივით. პატინირებული და გატეხილია სამ ნაწილად. სიგრძე — 6.5 სმ. აღმოჩნდა იქვე. ინვ.№167.
10. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ.XLIV<sub>12</sub>). ზემოაღწერილის ანალოგიური. პატინირებული და გატეხილი სამ ნაწილად. სიგრძე - 5.8 სმ. აღმოჩნდა იქვე. ინვ.№168.

### სამარხი №122

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის 4 და გადახურულია 3 ფილით. გამართულია დას.-აღმ. ღერძზე. სამარხი დაზიანებულია: სახურავის დასავლეთი ფილა ნაკლულია, შუა ფილა კი სამარხშია ჩატეხილი (აღმ. ფილა: 1.06×0.88×0.15 მ). სამარხის სამხრეთის კედლის დას. ნაწილი ხელმეორედ გამოყენების დროს ჩამოუტეხავთ, შექმნილი სიცარიელე კი შემდეგ შეუვსიათ ქვითა და ტალახით. დაზიანებულია დასავლეთი კედელიც. კუთხეები შევსებულია ქვითა და ტალახით. სამარხის ზომებია: 2.1×1.06×0.95 მ (შიდა ზომები: 1.86×0.78×0.7 მ). იატაკი მიწატკეპნილია.

სამარხი მრავალჯერაა გამოყენებული. მიცვალებულები სამ ფენად აღმოჩნდნენ დაკრძალულნი. სულ ზედა ფენაში დაუკრძალავთ სამი მიცვალებული: ერთი მიხვეტილი იყო სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, ორი კი დაუსვენებიათ გულაღმა გამოტილი, თავით დასავლეთისკენ. აქედან ჯერ სამხრეთის მხარეს დაუკრძალავთ, შემდეგ კი ჩრდილოეთის მხარეს. ძვლები ძლიერ ცუდად იყო დაცული, რაც სამარხის დაზიანებით უნდა იყოს გამოწვეული. ძვლების ქვეშ დაახლოებით 10 სმ-იანი მიწის ფენა იყო (დაახლოებით 0.8 მ სიღრმეზე სამარხის სახურავიდან), რომლის მოხსნის შემდეგ გამოჩნდა კიდევ ოთხი მიცვალებულის ჩონჩხი. ყველა დაკრძალული იყო გულაღმა, გამოტილი, თავით დასავლეთისკენ. ჩრდილოეთის კედელთან დაკრძალული იყო ბავშვი. ამ ფენაში, სამარხის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა თიხის ქოთნის პირის ფრაგმენტი. გამომწვარია მოყავისფრო-მოწითალოდ და გამურულია ცეცხლში მოხვედრისგან. პირი მკვეთრად გადაშლილია, საშუალოდ გამოყოფილი ყელი აქვს, რომელიც მკვეთრი ხაზით გადადის მუცელში. ქოთანი ადრეშუა საუკუნეების მცხეთაში გავრცელებული ჭურჭლის ტიპური ნიმუშია. როგორც ჩანს, ეს ფრაგმენტი ამ მიცვალებულთა დაკრძალვის დროს აღმოჩნდა სამარხში. ამ ფენის აღების შემდეგ გამოჩნდა კიდევ სამი მიცვალებულის ჩონჩხი. ერთი მიხვეტილია ჩრდილოეთ კედელთან. დანარჩენი ორი კი ერთმანეთზე დაუკრძალავთ ერთნაირ პოზაში — გულაღმა გამოტილი, თავით დასავლეთით, მკვეთრად განზიდული ფეხებით. ზემოდან დაკრძალულ მიცვალებულს ხელები მუცელზე ელაგა (ტაბ.XLIV<sub>15-16</sub>).

სამარხში აღმოჩენილი ინვენტარი სწორედ ამ, პირველად დაკრძალულ მიცვალებულთა ძვლებში აღმოჩნდა.

1. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ.XLIV<sub>17</sub>). თავი შემკული აქვს ოქროს ვარდულებში ჩასმული ცისფერი პასტის სფერული მძივით. ნაკლული და პატინირებულია. შემორჩენილი სიგრძე — 2.1 სმ, დმ —

0.9 სმ. აღმოჩნდა შუაში დაკრძალული მიცვალებულის თავთან. ინვ.№169.

2. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ.XLIV<sub>17</sub>). ზემოაღწერილის ანალოგიური. სიგრძე — 0.8 სმ, დმ — 0.9 სმ. აღმოჩნდა იქვე. ინვ.№170.

3. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ.XLIV<sub>18</sub>). თავი შემკული აქვს ლურჯი მინის თოთხმეტნახნაგა მძივით, რომელიც ოქროს ვარდულებშია ჩასმული. თვალი მოოქროვილი იყო. ნაკლულია, პატინირებული და ირიზებული. სიგრძე — 4.7 სმ, თვალის დმ — 0.8 სმ. აღმოჩნდა იქვე. ინვ.№171.

4. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ.XLIV<sub>18</sub>). ზემოაღწერილის მსგავსი, მხოლოდ ერთი ოქროს ვარდულით. ნაკლული, პატინირებული და ირიზებული. თვალის დმ — 0.7 სმ. აღმოჩნდა იქვე. ინვ.№172.

### სამარხი №123

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის 6 და გადახურულია 3 ფილით. გამართულია დას.-აღმ. ღერძზე. სამარხის გრძივ კედლებად ორ-ორი ფილაა გამოყენებული. სამარხი ძლიერ დაზიანებული იყო — სახურავი ჩაქცეული, ასევე სამხრეთის კედლის დას. ნაწილი თავის დროზევე ჩანოლილა სამარხში. სამარხის ზომებია: 2.15×0.9×0.76 მ (შიდა ზომები: 1.88×0.79×0.8 მ). იატაკი მიწატეხილია. სამარხში აღმოჩნდა 3 მიცვალებულის ჩონჩხი. ორი გულაღმა გამოტყევილი თავით დასავლეთით იყო დასვენებული. ჩრდ. მიცვალებულს ხელები მუცელზე ეწყო; ერთის ძვლები კი მიხვეტილი იყო (ტაბ.XLV<sub>1-2</sub>).

სამარხში აღმოჩნდა:

1. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ.XLV<sub>3</sub>). თავი სოკოსებრი აქვს. პატინირებულია. სიგრძე — 6.3 სმ. აღმოჩნდა №2 მიცვალებულის თავის არეში. ინვ.№173.

### სამარხი №124

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის 4 და გადახურულია 2 ფილით (აღმ. ფილა: 0.44×0.34×0.05 მ; დას. ფილა: 0.8×0.23×0.05 მ). გამართულია დას.-აღმ. ღერძზე. სამარხის ზომებია: 0.57×0.8×0.2 მ (შიდა ზომები: 0.56×0.17×0.23 მ). იატაკი თიხატეხილია. სამარხში დაკრძალულია ბავშვი. ძვლები მიხვეტილი იყო დასავლეთ ნაწილში (ტაბ.XLV<sub>4-5</sub>).

სამარხში აღმოჩნდა:

1. საყურე ბრინჯაოსი (ტაბ.XLV<sub>6</sub>). თავებგახსნილი რგოლია, შუაში შემსხვილებული. დმ — 1.1 სმ. აღმოჩნდა თავის ქვეშ. ინვ.№120.

### სამარხი №125

ორმოსამარხია ქვიშაქვის 3 ფილით გადახურული (შუა ფილა: 0.77×0.61×0.08 მ). გამართულია დას.-აღმ. ღერძზე. დაზიანებულია: სახურავის აღმ. ფილა არ შემორჩა, ხოლო დასავლეთის ფილა დაშლილია. საკრძალავი ორმო წარმოადგენს ნაგრძელებული ფორმის კუთხეებმომრგვალებულ სწორკუთხედს. სამარხის ზომებია: 1.5×0.77 მ. იატაკი თიხატეხილია. სამარხში დაეკრძალათ ზრდასრული გულაღმა, გამოტყევილი, თავით დასავლეთით. ხელები ტანის გასწვრივ ქონდა ჩამოშვეული (ტაბ.XLV<sub>7-8</sub>).

სამარხში აღმოჩნდა:

1. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ.XLV<sub>9</sub>). ღერო თავისკენ შემსხვილებულია და ყელთან დაბრტყელებული. თავი ნიჩბისებური აქვს. დაბრტყელებულ ადგილას, ორივე მხარეს ჯვარედინი ნაჭდევითაა შემკული. ნაკლულია და პატინირებული. სიგრძე — 4.4 სმ. აღმოჩნდა მიცვალებულის თავის არეში. ინვ.№121.

### სამარხი №126

ორმოსამარხია. გადახურულია ქვიშაქვის 3 ფილით (აღმ. ფილა:  $0.4 \times 0.28 \times 0.04$  მ; შუა ფილა:  $0.27 \times 0.53 \times 0.04$  მ; დას. ფილა:  $0.54 \times 0.33 \times 0.07$  მ). გამართულია დას.-აღმ. ღერძზე. სამარხის ზომებია:  $0.9 \times 0.54$  მ. იატაკად კარგად მოტკეპნილი კონგლომერატია გამოყენებული. სამარხში დაეკრძალათ ბავშვი, გულაღმა, გაშოტილი, თავით დასავლეთისკენ. შემორჩენილია მხოლოდ კიდურები (ტაბ. XLV<sub>10-11</sub>).

სამარხში ინვენტარი არ აღმოჩნდა.

### სამარხი №127

ორმოსამარხია. გადახურულია ქვიშაქვის 3 ფილით, რომლებიც დამტვრეულია. გამართულია დას.-აღმ. ღერძზე, ჩრდილოეთისკენ გადახრით. საკრძალავი ორმო წარმოადგენს წაგრძელებულ ფორმის კუთხეებმომრგვალებულ სწორკუთხედს. სამარხის ზომებია:  $1.1 \times 0.64$  მ. იატაკად კარგად მოტკეპნილი თიხაა გამოყენებული. სამარხში დაეკრძალათ ბავშვი, გულაღმა, გაშოტილი, თავით დასავლეთისკენ. ხელები ტანის გასწვრივ ქონდა დალაგებული. თავი არ ქონდა (ტაბ. XLVI<sub>1-2</sub>).

სამარხში აღმოჩნდა:

1. სამაჯური ბრინჯაოსი (ტაბ. XLVI<sub>4</sub>). თავებგახსნილი მრგვალგანივკვეთიანი რგოლია. თავები დაბრტყელებული და დაკეჭნილი აქვს. დმ — 4.3 სმ, რკალის სისქე — 0.4 სმ. აღმოჩნდა მიცვალებულის მარცხენა მაჯის ძვლებთან. ინვ. №138.
2. საბეჭდავი სარდიონისა (ტაბ. XLVI<sub>3</sub>). წარმოადგენს სფერულ მძივს, ჩამოსაკიდი ხვრელით. მძივის ერთი მხარე წაკვეთილია და მასზე ამოკვეთილია ჩაჩოქილი ქურციკი პროფილში მარჯვნივ. დაზიანებული და ირიზებულია. დმ — 1.3 სმ, გემის ზომები:  $1.1 \times 0.8$  სმ. აღმოჩნდა მიცვალებულის მარჯვენა მაჯის ძვლებთან. ინვ. №139.
3. მძივები მოყვითალო ფერის პასტისა (ტაბ. XLVI<sub>5</sub>), 6 ცალი. ცილინდრული ფორმის, დახალული. სიგრძე — 1.5-1.7 სმ, დმ — 0.6 სმ. აღმოჩნდა მიცვალებულის მარცხენა მაჯის ძვლებთან. ინვ. №140.

### სამარხი №128

ორმოსამარხის ნაშთია. გადახურულია ქვიშაქვის ფილებით, რომლის დასავლეთის ნაწილი არ შემორჩა, ხოლო დანარჩენები დამტვრეულია. გამართულია დას.-აღმ. ღერძზე. იატაკად თიხაა კარგად მოტკეპნილი. სამარხში დაეკრძალათ ზრდასრული გულაღმა გაშოტილი, თავით დასავლეთისკენ (ტაბ. XLVI<sub>6-7</sub>).

სამარხში ინვენტარი არ აღმოჩენილა.

### სამარხი №129

ქვასამარხის ნაშთი. შედგენილი იყო ქვიშაქვის ფილებით. ძლიერ დაზიანებული და ფრაგმენტული: გრძივი კედლების ნაწილები ჩამტვრეული იყო სამარხში, საერთოდ არ იყო შემორჩენილი აღმოსავლეთის ფილა. სახურავის ფილებიდან ნაწილი ზედ იყო დამხობილი, ნაწილი არ შემორჩა. გამართულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე. სამარხის შემორჩენილი ზომებია:  $1.77 \times 0.93$  მ. სამარხში შემორჩენილი იყო ძვლების მხოლოდ ფრაგმენტები, ძლიერ არეული (ტაბ. XLVI<sub>8-9</sub>).

### სამარხი №130

ქვასამარხია. დაზიანებულია და მიწით სავსე. შედგენილია ქვიშაქვის ფილებით. ჩრდილოეთის

კედლის დას. ნაწილში ჩადგმულია მეორე პატარა ფილა. სახურავიდან მხოლოდ შუა ფილა შემორჩა სრულად ( $0.43 \times 1.15 \times 0.2$  მ). გამართულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე. კუთხეებსა და სახურავს შორის სიცარიელები რიყის ქვითა და ტალახითაა შევსებული. სამარხის ზომებია:  $1.84 \times 0.8 \times 0.9$  მ (შიდა ზომები:  $1.93 \times 0.7 \times 0.65$  მ). იატაკი თიხატყეპნილია. სამარხში დაკრძალული იყო ზრდასრული გულაღმა, გამოტილი, თავით დასავლეთით. ხელები უწყვია ტანის გასწვრივ (ტაბ. XLVI<sub>10-11</sub>).

სამარხი უინვენტაროა.

### სამარხი №131

ქვასამარხია. დაზიანებული და მინით სავსე. შედგენილია ქვიშაქვის ფილებით, სამხრეთის კედლად ორი ქვაა გამოყენებული. სახურავის ფილებიდან მხოლოდ აღმ. ფილაა შემორჩენილი ( $0.77 \times 1.22 \times 0.18$  მ), დანარჩენი სამარხშია ჩატეხილი. გამართულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე. ჩრდილოეთის კედლის დას. კიდე მეორედ გამოყენების დროს ჩამოუტყეხავთ და შემდეგ შეუვსიათ ქვითა და ტალახით. კუთხეებსა და სახურავს შორის სიცარიელები რიყის ქვითა და ტალახითაა შევსებული. სამარხის ზომებია:  $2.1 \times 1.22 \times 0.98$  მ (შიდა ზომები:  $1.8 \times 0.68 \times 0.87$  მ). იატაკი თიხატყეპნილია. სამარხში დაკრძალული იყო ორი ზრდასრული გულაღმა, გამოტილი, თავით დასავლეთით. ხელები ტანის გასწვრივ ქონდათ დალაგებული. ჩონჩხები ძლიერ დაზიანებულია (ტაბ. XLVII<sub>1-2</sub>).

სამარხი უინვენტაროა.

### სამარხი №132

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის 4 და გადახურულია 3 ფილით (აღმ. ფილა:  $0.9 \times 1.4 \times 0.14$  მ. შუა ფილა:  $0.6 \times 1.5 \times 0.1$  მ. დას. ფილა:  $0.83 \times 1.2 \times 0.12$  მ). გამართულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე. კედლის ფილების დამუშავების დროს კიდეები მოუმტვრევიათ, ამიტომ კონსტრუქცი-აში შექმნილი სიცარიელები ამოუშენებიათ ტალახითა და ქვით. კუთხეებში გამოყენებული იყო კირხსნარი. სამარხის ზომებია:  $2.3 \times 1.5 \times 0.87$  მ (შიდა ზომები:  $1.8 \times 0.72 \times 1.1$  მ). იატაკი თიხატყეპნილია. სამარხში დაკრძალული იყო ორი მიცვალებული: ჩრდილოეთით — ზრდასრული (ქალი), სამხრეთით — ბავშვი. ორივე იწვა გულაღმა, გამოტილი, თავით დასავლეთით. ხელები ტანის გასწვრივ ქონდათ დალაგებული (ტაბ. XLVII<sub>3-4</sub>).

სამარხში აღმოჩნდა:

1. საკინძი ოქროსი (ტაბ. XLVII<sub>6</sub>). თავი შედგენილია ოქროს ერთმანეთთან მაღალი ტიხრით დამაგრებული ორი ფირფიტისაგან. ზედა ფირფიტის შუაში გაკეთებულია ოქროსავე მაღალი თვალბუდე, რომელშიც მინის თვალი ზის. თვალბუდის გარშემო ფირფიტაზე ცვარას ბურთულების ორი მწკრივი შემოუყვება. გვერდითა ტიხარი გახვრეტილია სიმეტრიულად მთელს პერიმეტრზე და მასში ჩამაგრებულია ბრინჯაოს ღერაკები, რომლებზეც ასხმული იყო მარგალიტის 14 მძივი. თავის ქვედა ფირფიტის ცენტრში გაკეთებულია ბრინჯაოს სასახსრე რგოლი, რომელზეც მოძრავადაა მიმაგრებული საკინძის ბრინჯაოს ღერო. საკინძი პატინირებულია, მინის თვალი ირიზებული და გატეხილი, აკლია მარგალიტის მძივები. საკინძის სიგრძე — 6.2 სმ, თავის დმ - 1.5 სმ, თავის სისქე — 0.3 სმ. აღმოჩნდა ზრდასრული მიცვალებულის თავის ქალასთან (თხემთან). ინვ. №218.
2. საკინძი ოქროსი (ტაბ. XLVII<sub>7</sub>). ზემოაღწერილის ანალოგიური (წყვილი). შემორჩენილია მხოლოდ თავი. შერჩენილი აქვს მინის თვლის ნაშთი. დმ — 1.6 სმ, სისქე — 0.3 სმ. აღმოჩნდა იქვე. ინვ. №219.
3. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ. XLVII<sub>8</sub>). თავი შემკული აქვს ბრინჯაოს ვარდულებში მოქცეული პასტის მწვანე ცრემლისებური ფორმის მძივით. სიგრძე — 9.8 სმ. პატინირებული და გატეხილია. აღმოჩნდა თავის ქალის მარჯვენა მხარეს. ინვ. №220.
4. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ. XLVII<sub>9</sub>). ზემოაღწერილის ანალოგიური. აკლია ზედა ვარდული. ნა-



კლუბი, გატეხილი და პატინირებულია. სიგრძე — 6.7 სმ. აღმოჩნდა თავის ქალის მარცხენა მხარეს. ინვ.№221.

5. საკინძის თავი (ტაბ.XLVII<sub>11</sub>) პასტის მწვანე, ცრემლისებური მძივია. სიგრძე — 1.7 სმ, დმ — 1.1 სმ. აღმოჩნდა თავის ქალასთან. ინვ.№222.

6. საკინძის თავი (ტაბ.XLVII<sub>12</sub>) პასტის მწვანე, 6 ნახნაგოვანი ცილინდრის ფორმის. სიგრძე — 1.3 სმ, დმ — 0.5 სმ. აღმოჩნდა იქვე. ინვ.№223.

7. საკინძი ძვლის (ტაბ.XLVII<sub>10</sub>), ხელის მტევნის გამოსახულებიანი თავით. ყელზე წიბო შემოსდევს. გატეხილია ორად. სიგრძე — 13 სმ. აღმოჩნდა მარცხენა ბეჭზე. ინვ.№224.

8. სანელსაცხებლე მინის (ტაბ.XLVII<sub>5</sub>). ირიზებულია. ნაგრძელებული ფორმის. უქუსლო, მუცელი გოფირებული აქვს, ყელი მაღალი და ცილინდრული, ბაკო შიგნით ჩაკეცილი. სიგრძე — 13.7 სმ, მუცლის დმ — 2.1 სმ, ყელის დმ — 1 სმ. აღმოჩნდა მარჯვენა მტევანთან. ინვ.№225.

### სამარხი №133

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის 4 და გადახურულია 3 ფილით (აღმ. ფილა: 0.87×1.17×0.12 მ. შუა ფილა: 0.57×1.27×0.11 მ. დას. ფილა: 0.37×1.18×0.11 მ). გამართულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე. ჩრდილოეთის კედლის დას. კიდე ხელმეორედ გამოყენებისას ჩამოუტეხავთ, შექმნილი სიცარიელე კი, ისევე როგორც კუთხეებსა და გადაბმის ადგილებში დარჩენილი ღიობები, ამოუვსიათ ტალახითა და ქვით. სამარხის ზომებია: 1.95×1.27×0.96 მ (შიდა ზომებია: 1.8×0.65×0.93 მ). იატაკი თიხატკეპნილია. სამარხში დაკრძალული იყო დედაკაცი გულამა, გაშოტილი, თავით დასავლეთით, ხელები ტანის გასწვრივ ელაგა (ტაბ.XLVII<sub>13-14</sub>).

სამარხში აღმოჩნდა:

1. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ.XLVII<sub>13</sub>). შვიდნახნაგა ცრემლისებური ფორმის მძივით. პატინირებული. სიგრძე — 8.5 სმ. აღმოჩნდა მიცვალებულის თხემთან. ინვ.№226.

2. საკინძი რკინის (ტაბ.XLVII<sub>17</sub>). თავი შემკული ჰქონდა სარდიონის შვიდნახნაგა ცილინდრული ფორმის მძივით. ნაკლული და დაჟანგულია. დმ — 0.7 სმ. აღმოჩნდა თავის ქალის მარცხენა მხარეს. ინვ.№227.

3. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ.XLVII<sub>16</sub>). თავი შემკული აქვს მინის რვანახნაგოვანი შინდის ფორმის მძივით. ნაკლულია, პატინირებული და ირიზებული. სიგრძე — 7.7 სმ. აღმოჩნდა მიცვალებულის თავთან. ინვ.№228.

4. საკინძის თავი (ტაბ.XLVII<sub>18</sub>). წარმოადგენს ცისფერი მინის რვანახნაგა შინდის ფორმის მძივს. ირიზებულია. დმ — 0.7 სმ. აღმოჩნდა მიცვალებულის თხემთან. ინვ.№229.

5. დანა რკინისა (ტაბ.XLVII<sub>19</sub>). ნაკლული: შემორჩენილია მხოლოდ პირის ფრაგმენტი. ოდნავ მოხრილი. დაჟანგული. შემორჩენილი სიგრძე — 5.5 სმ, სიგანე — 1.9 სმ. აღმოჩნდა მიცვალებულის ყელსა და ქვედა ყბას შორის (შესაძლოა ყბის ჩამოვარდნის შემდეგ მოექცა შუაში). ინვ.№230.

### სამარხი №134

ქვასამარხია<sup>15</sup>. დაზიანებულია: სახურავიდან მხოლოდ ერთი ფილა შემორჩა. შედგენილია ქვიშაქვის ფილებით (სახურავის აღმ. ფილა: 0.8×1.45×0.08 მ). გამართულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე. სამარხის ზომებია: 1.05×0.85 მ (შიდა ზომებია: 1.7×0.8×0.82 მ). იატაკი თიხატკეპნილია. სამარხში დაკრძალული იყო სამი მიცვალებული გულამა, გაშოტილი, თავით დასავლეთით. პირველად დაუკრძალავთ ზრდასრული სამარხის შუაში. შემდეგ მასზე დაუსვენებიათ მოზარდი, ხოლო ბოლოს, სამარხის სამხრეთ კედელთან დაუკრძალავთ ზრდასრული, რომელსაც

<sup>15</sup> სამარხი სცილდებოდა საკვლევი მონაკვეთის ფარგლებს, ამიტომ მისი სრულად გამოჩენა არ მოხერხდა.

ხელები ბოქვენს ქვეშ ქონდა ამოღებული (ტაბ. XLVIII<sub>1,2</sub>).

სამარხი უინვენტაროა.

### სამარხი №135

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის 4 ფილით. გადახურული იყო ასეთივე 3 ფილით (აღმ. ფილა:  $0.73 \times 1.06 \times 0.14$  მ. შუა ფილა:  $0.5 \times 1.16 \times 0.14$  მ). გამართულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე. სამარხი დაზიანებულია: სახურავის დასავლეთის ფილა სამარხშია ჩამტვრეული. სამარხის ზომებია:  $1.96 \times 0.9 \times 0.66$  მ (შიდა ზომებია:  $1.8 \times 0.76 \times 0.77$  მ). იატაკი თიხატკეპნილია. დაკრძალული იყო ერთი ზრდასრული გულალმა, გაშოტილი, თავით დასავლეთით (ტაბ. XLVIII<sub>3,4</sub>).

სამარხი უინვენტაროა.

### სამარხი №136

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის 4 ფილით. გადახურული იყო ასეთივე 3 ფილით. სამარხი დაზიანებულია: სახურავის ყველა ქვა სამარხშია ჩამტვრეული. გამართულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე. სამარხის სამხრეთი კედლის დასავლეთი კიდე ხელმეორედ გამოყენების დროს ჩამოუტეხავთ და შემდეგ შეუვსიათ ტალახითა და ქვით. სამარხის ზომებია:  $1.9 \times 0.96 \times 0.82$  მ (შიდა ზომებია:  $1.87 \times 0.62 \times 0.77$  მ). იატაკი თიხატკეპნილია. სამარხში დაკრძალული იყო ორი ზრდასრული გულალმა, გაშოტილი, თავით დასავლეთით. ხელები ტანის გასწვრივ ქონდათ ჩამოშვებული (ტაბ. XLVIII<sub>5,6</sub>).

სამარხში აღმოჩნდა:

1. ბეჭედი ბრინჯაოსი (ტაბ. XLVIII<sub>7</sub>). მრგვალგანივკვეთიან რკალზე დარჩილული აქვს თხელი ფირფიტოვანი ოვალური ფარაკი, რომელზეც გამოსახულება ყოფილა. პატინირებული და გატეხილია ორ ნაწილად. რკალის დმ — 1.9 სმ, ფარაკის დმ - 1 სმ. აღმოჩნდა ჩრდილოეთით დაკრძალული მიცვალებულის მარცხენა ხელის ფალანგზე. ინვ. №231.

### სამარხი №137

ქვასამარხია. დაზიანებულია: არ აქვს სახურავის დას. ფილა. შედგენილია და გადახურულია ქვიშაქვის ფილებით (სახურავის აღმ. ფილა:  $0.8 \times 1.0 \times 0.14$  მ. შუა ფილა:  $0.57 \times 1.17 \times 0.17$  მ). გამართულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე. სახურავსა და კედლებს შორის დამატებით ფილებია შეყუდებული. სამარხის ზომებია:  $2.0 \times 1.17 \times 0.8$  მ (შიდა ზომებია:  $1.8 \times 0.75 \times 0.9$  მ). იატაკი თიხატკეპნილია. სამარხში 5 მიცვალებული იყო დაკრძალული თავით დასავლეთით. მათგან სამი მიუხვეტავთ სამხრეთ კედელთან, ორი კი ერთმანეთზეა დაკრძალული სამარხის ჩრდილოეთ ნაწილში გულალმა, გაშოტილი (ტაბ. XLVIII<sub>8,9</sub>).

სამარხში აღმოჩნდა:

1. საკინძი რკინის (ტაბ. XLVIII<sub>10</sub>), თავი შემკული აქვს პასტის ლურჯი სფერული მძივით და ბრინჯაოს ვარდულებით. დაჟანგული და პატინირებული. ნაკლული. სიგრძე — 6.4 სმ. აღმოჩნდა მიხვეტილი მიცვალებულის თავთან, სამარხის ცენტრალურ ნაწილში. ინვ. №232.

2. სამაჯური ბრინჯაოსი (ტაბ. XLVIII<sub>11</sub>), მრგვალგანივკვეთიანი თავებგახსნილი რგოლია. თავები დაბრტყელებული აქვს და ზედაპირი წერტილოვანი ქდეებითაა შემკული. პატინირებულია. დმ — 5 სმ, სისქე — 0.8 სმ. აღმოჩნდა მიხვეტილი მიცვალებულის ძვლებში. ინვ. №233.

### სამარხი №138

ქვასამარხია. ძლიერ დაზიანებული: სახურავის ფილები ჩამტვრეულია სამარხში. შედგენილია ქვიშაქვის ფილებით. გამართულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე. სამხრეთის კედლის დას.

კიდე ხელმეორედ გამოყენებისას ჩამოუტეხავთ და შემდეგ ამოუშენებიათ რიყისა და ნატეხი ქვით. ასევე კიდეებმომტვრეულია და ამოვსებული დასავლეთის ფილაც. სამარხის ზომებია:  $2.1 \times 1.1 \times 0.8$  მ (შიდა ზომებია:  $1.9 \times 0.9 \times 1.0$  მ). იატაკი თიხატკეპნილია. სამარხში დაკრძალული იყო 4 მიცვალებული გულაღმა, გაშოტილი, თავით დასავლეთით. ჯერ დაუკრძალავთ მიცვალებული ჩრდილოეთ ნაწილში, შემდეგ სამხრეთის კედელთან, რომელზეც მოგვიანებით დაუსვენებიათ მოზარდი. სულ ბოლოს კი სამარხის შუაში ჩაუსვენებიათ მეოთხე ზრდასრული, რომელსაც ხელები ბოქვენზე ეწყო (ტაბ.XLIX<sub>1-2</sub>).

სამარხში აღმოჩნდა:

1. საკინძი რკინის (ტაბ.XLIX<sub>3</sub>). თავი შემკული აქვს პასტის სფერული მძივითა და ბრინჯაოს ვარდულით. ნაკლული. პატინირებული და დაჟანგული. სიგრძე — 4.5 სმ. აღმოჩნდა №1 მიცვალებულის თავის არეში. ინვ.№234.
2. საკინძი რკინის (ტაბ.XLIX<sub>4</sub>). თავი ნიჩბისებრი ფორმის აქვს. დაჟანგული. სიგრძე — 8.7 სმ. აღმოჩნდა იქვე. ინვ.№235. "
3. მშვილდსაკინძი რკინის (ტაბ.XLIX<sub>5</sub>). მუხლსახსრიანი. მშვილდი დაფანჯრული აქვს. ნაკლული. დაჟანგული. სიმაღლე — 2 სმ. შემორჩენილი სიგრძე — 3.2 სმ. აღმოჩნდა №4 მიცვალებულის ნეკნების ძვლებში. ინვ.№236.

### სამარხი №139

ქვასამარხია<sup>16</sup>. შედგენილია და გადახურულია ქვიშაქვის ფილებით. გამართულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე. სამარხის სამხრეთის კედელი სიმაღლეში ორი ქვისგან შედგება. კიდეები რიყის ქვითა და ტალახით აქვს შევსებული. სამარხის ზომებია:  $2.1 \times 1.2 \times 1.0$  მ (შიდა ზომებია:  $1.92 \times 0.88 \times 0.74$  მ). იატაკი თიხატკეპნილია. დაკრძალული იყო სამი მიცვალებული. სუყველა თავით დასავლეთით. პირველად დაკრძალული ორი მიცვალებული მიენიათ სამარხის ჩრდილოეთ კედელთან და ბოლოს სამარხის ცენტრალურ ნაწილში დაეკრძალათ დედაკაცი გულაღმა, გაშოტილ მდგომარეობაში (ტაბ.XLIX<sub>6-7</sub>).

სამარხში აღმოჩნდა:

1. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ.XLIX<sub>8</sub>). თავი შემკული აქვს პასტის შვიდნახნაგა შინდისებური ფორმის ჭრელი მძივით. პატინირებულია და ნაკლული. სიგრძე — 5.7 სმ. აღმოჩნდა სამარხის ცენტრალურ ნაწილში. ინვ.№237.
2. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ.XLIX<sub>9</sub>). ზემოაღწერილის ანალოგიური. გატეხილი და პატინირებულია. სიგრძე — 5.8 სმ. აღმოჩნდა იქვე. ინვ.№238.

### სამარხი №140

ქვასამარხია<sup>17</sup>. შედგენილია და გადახურულია ქვიშაქვის ფილებით. გამართულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე. სამარხის გრძივ კედლებს ორ-ორი ფილა აქვს დადებული. კიდეები რიყის ქვითა და ტალახით აქვს შევსებული. სამარხის ზომებია:  $2.1 \times 1.2 \times 1.0$  მ (შიდა ზომებია:  $1.92 \times 0.88 \times 0.74$  მ). იატაკი თიხატკეპნილია. სამარხი გაძარცვულია, ძვლები არეული და ფრაგმენტული (ტაბ.XLIX<sub>10-11</sub>).

<sup>16</sup> სამარხის სრულად გამოჩენა ვერ მოხერხდა, რადგან მდებარეობს საპროექტო ტერიტორიის საზღვარზე და ნაწილობრივ შედის სხვა კერძო მესაკუთრის ტერიტორიაზე.

<sup>17</sup> სამარხი სცილდებოდა საკვლევი მონაკვეთის ფარგლებს, ამიტომ მისი სრულად გამოჩენა არ მოხერხდა.

### სამარხი №141

ქვასამარხია. ძლიერ დაზიანებული: არ აქვს სახურავის ქვები, სავსეა მიწით. შედგენილია ქვიშაქვის ფილებით. გამართულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე. სამარხის ზომებია:  $1.85 \times 0.86 \times 0.6$  მ (შიდა ზომებია:  $1.9 \times 0.7 \times 0.7$  მ). იატაკი თიხატკეპნილია. სამარხში თავიდანვე უნდა ჩავარდნილიყო კედლის ან სახურავის ანამტვრევი, რამაც დააზიანა მიცვალებულის თავი და ტორსის ნაწილი. დაკრძალული იყო ერთი ზრდასრული გულაღმა, გაშოტილი, თავით დასავლეთისკენ. მარჯვენა ბოქვენზე ედო, მარცხენა — მუცელზე. სამარხში ინვენტარი არ აღმოჩენილა (ტაბ.XLIX<sub>12-13</sub>).

### სამარხი №142

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის ფილებით. გადახურულია 3 ქვიშაქვისა და ერთი დიდი რიყის ქვით (აღმ. ფილა:  $0.68 \times 1.1 \times 0.11$  მ. შუა ფილა:  $0.55 \times 1.12 \times 0.12$  მ. დას. ფილა:  $0.64 \times 1.1 \times 0.1$  მ). გამართულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე. სამარხის გრძივი კედლები მოკლე მოსულა, ამიტომ დასავლეთ ნაწილში პატარა ფილები ჩაუმატებიათ. კიდეები რიყის ქვითა და ტალახით აქვს შევსებული. სამარხის ზომებია:  $2.0 \times 1.2 \times 0.73$  მ (შიდა ზომებია:  $1.9 \times 0.78 \times 0.82$  მ). იატაკი თიხატკეპნილია. დაკრძალული იყო ორი ზრდასრული გულაღმა, გაშოტილი, თავით დასავლეთით. ჯერ დაუკრძალავთ სამარხის შუაში, ხოლო შემდეგ მის სამხრეთით და ნაწილობრივ მასზეც დაუსვენებიათ მეორე (ტაბ.L<sub>1-2</sub>).

სამარხი უინვენტარო იყო.

### სამარხი №143

ქვასამარხია. ძლიერ დაზიანებული: გვერდები შიგნითკენ აქვს გადაწეული, აკლია სახურავის დას. ფილა, სავსეა მიწით. შედგენილია ქვიშაქვის ფილებით. გადახურული ყოფილა 3 ქვიშაქვისავე ფილით (აღმ. ფილა:  $0.7 \times 1.0 \times 0.14$  მ. შუა ფილა:  $0.54 \times 1.1 \times 0.08$  მ). გამართულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე. სამარხის ჩრდილოეთი კედლის დასავლეთ ნაწილში მეორე ფილაა ჩამატებული. კიდეები რიყის ქვითა და ტალახით აქვს შევსებული. სამარხის ზომებია:  $2.1 \times 1.1 \times 0.9$  მ (შიდა ზომებია:  $1.73 \times 0.84 \times 0.86$  მ). იატაკი თიხატკეპნილია, კუთხეებში კირხსნარითაა გადალესილი. სამარხში დაკრძალული იყო ზრდასრული გულაღმა, გაშოტილი, თავით დასავლეთით. ხელები ტანის გასწვრივ ქონდა დალაგებული (ტაბ.L<sub>3-4</sub>).

სამარხი უინვენტაროა.

### სამარხი №144

ქვასამარხია. დაზიანებული: არ აქვს დას. კედელი, სახურავის ფილებიდან დასავლეთის არ შემორჩა, შუა — სამარხშია ჩატეხილი, სავსეა მიწით. შედგენილია ქვიშაქვის ფილებით. გადახურული ყოფილა 3 ქვიშაქვისავე ფილით (აღმ. ფილა:  $0.82 \times 1.2 \times 0.14$  მ). გამართულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე. სამარხის ზომებია:  $1.84 \times 1.2 \times 0.8$  მ (შიდა ზომებია:  $1.63 \times 0.79 \times 0.9$  მ). იატაკი თიხატკეპნილია. დაუკრძალავთ ორი მიცვალებული: ჯერ ბავშვი სამხრეთ კედელთან, შემდეგ ზრდასრული. ორივე დაკრძალული იყო გულაღმა, თავით დასავლეთისკენ. ზრდასრულს ხელები ჰორიზონტალურად და იდაყვებში ნახევრად მოკეცილი ჰქონდა. ფეხები კი მუხლებში განზიდული (ტაბ.L<sub>5-6</sub>).

სამარხი უინვენტაროა.

### სამარხი №145

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის ფილებით. დაზიანებულია: სახურავის ფილებიდან მხოლოდ აღმ. ფილა შემორჩა ( $0.73 \times 1.21 \times 0.12$  მ), დანარჩენი ჩატეხილია სამარხში. სამარხი მიწითაა სავსე. გამართულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე, მცირედ სამხრეთისკენ გადახრილი. სამარხის

ჩრდ. კედლის დას. კიდე ხელმეორე გამოყენების დროს ჩამოუმტვრევიათ და შემდეგ ამოუყვანიათ ტალახითა და ქვით. სახურავის აღმ. ფილის ქვეშ ამოყუდებულია მეორე ფილა. სამარხის ზომე-ბია:  $1.95 \times 1.21 \times 1.0$  მ (შიდა ზომე-ბია:  $1.8 \times 0.8 \times 0.7$  მ). იატაკი თიხატკეპნილია. სამარხში მინიმუმ 4 მიცვალებული დაუკრძალავთ. პირველი მიცვალებულის ძვლები მიუხვეტავთ და დაულაგებიან ნაწილი სამხრეთის, ნაწილი კი — აღმოსავლეთის კედელთან. მეორე დაუკრძალავთ ჩრდილოეთ ნაწილში და მესამე მიცვალებულის დაკრძალვისას კიდევ უფრო მიუხვეტავთ ჩრდ. კედელთან. მესამე დაუკრძალავთ მასზე. ბოლოს დაუკრძალავთ მეოთხე, რომლის ძვლები სამარხში მინის ჩაყრისა და ქვის ჩაყარდნის დროს დაზიანდა და აირია. მიცვალებულები, გარდა მიხვეტილისა, დასვენებული იყვნენ გულაღმა, გამოტილი, თავით დასავლეთით (ტაბ. L<sub>7-8</sub>).

სამარხი უინვენტაროა.

### სამარხი №146

სამარხის ნაშთი. დაზიანდა XX ს. 70-იან წლებში ბეტონის ფილების ჩადგმის დროს. გამართულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე. სამარხში დაეკრძალათ ერთი ზრდასრული, თავით დასავლეთისკენ. შემორჩა მხოლოდ თავის ქალა (ტაბ. L<sub>1-2</sub>).

სამარხში აღმოჩნდა:

1. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ. L<sub>3</sub>). თავზე წამოცმული აქვს ცრემლისებური ფორმის მინისებური პასტის ლურჯი მძივი. პატინირებული და ირიზებული. სიგრძე — 8.4 სმ. ინვ. №239.
2. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ. L<sub>4</sub>). ზემოაღწერილის ანალოგიური. პატინირებული და ირიზებულია. სიგრძე — 8.5 სმ. საკინძები აღმოჩნდა თხემსა და თავის მარჯვენა მხარეს. ინვ. №240.

### სამარხი №147

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის 4 და გადახურულია 3 ფილით (აღმ. ფილა:  $1.1 \times 1.35 \times 0.13$  მ. შუა ფილა:  $0.62 \times 1.22 \times 0.1$  მ. დას. ფილა:  $0.48 \times 1.14 \times 0.16$  მ). გამართულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე, მცირედ ჩრდილოეთისკენ გადახრით. კიდეები რიყის ქვითა და ტალახით იყო შევსებული. სამარხის ზომე-ბია:  $2.18 \times 1.35 \times 0.7$  მ (შიდა ზომე-ბია:  $1.9 \times 1.0 \times 1.12$  მ). იატაკი თიხატკეპნილია. დაკრძალული იყო ორი მიცვალებული გულაღმა გამოტილი, თავით დასავლეთით. ჯერ დაუკრძალავთ ჩრდ. ნაწილში ზრდასრული, რომელსაც ხელები ტანის გასწვრივ ქონდა დალაგებული, ხოლო შემდეგ მისთვის სამხრეთით მიუწვენიათ ქალი. მას ხელები ბოქვენს ქვეშ ელაგა (ტაბ. L<sub>5-6</sub>).

სამარხში აღმოჩნდა:

1. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ. L<sub>7</sub>). თავი ორკაპა აქვს, რომელიც შემკულია მარგალიტის მძივებსა და ოქროს ვარდულებში მოქცეული მწვანე ფერის ქვის ცილინდრული მძივი. პატინირებულია და გატეხილი ორ ნაწილად. სიგრძე — 6.9 სმ. თავის სიგანე — 0.7 სმ. აღმოჩნდა სამხრეთით დაკრძალული ქალის ლავინის ძვლებთან. ინვ. №241.
2. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ. L<sub>8</sub>). ზემოაღწერილის ანალოგიური. პატინირებული და ნაკლულია: აკლია თავის ერთი ნაწილი და ღეროს წვერი. სიგრძე — 4.1 სმ. აღმოჩნდა იქვე. ინვ. №242.
3. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ. L<sub>9</sub>). სამკაპა თავით, რომელიც შემკულია ოქროს ვარდულებში მოქცეული მარგალიტის მძივებით. პატინირებული და ნაკლულია. გატეხილია ორ ნაწილად. სიგრძე — 5.7 სმ, თავის სიგანე — 1.2 სმ. აღმოჩნდა იქვე. ინვ. №243.
4. ბეჭედი სარდიონისა (ტაბ. L<sub>11</sub>). მხრებსა და რკალზე შემოსდევს ქედი. განიერი მხარე წაკვეთილი აქვს და გემისთვის გამზადებული. დმ — 2.4 სმ, ფარაკის სიგანე — 0.6 სმ. აღმოჩნდა ქალის მენჯთან. ინვ. №244.
5. საკინძი რკინის (ტაბ. L<sub>10</sub>). ჯვრისებრ შვერილებზე წამოცმულია მარგალიტის სფერული მძივები, რომელთა თავზე ოქროს ვარდულებია დასმული. ნაკლული, დაჟანგული. შემორჩენილი სიგ-

რძე — 2.6 სმ. აღმოჩნდა ჩრდილოეთით დაკრძალული მიცვალებულის თავის ქვეშ, მარჯვენა მხარეს. ინვ.№245.

### სამარხი №148

ორმოსამარხია ქვიშაქვის 3 ფილით გადახურული (აღმ. ფილა არ შემორჩა, შუა ფილა:  $0.43 \times 0.7 \times 0.08$  მ. დას. ფილა:  $0.45 \times 0.67 \times 0.07$  მ). დაზიანებულია: აღმოსავლეთის ნაწილი მონყვეტილი აქვს. გამართულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე. საკრძალავი ორმო წარმოადგენს ნაგრძელებული ფორმის კუთხეებმომრგვალებულ სწორკუთხედს. სამარხის ზომებია:  $0.92 \times 0.73$  მ. მიცვალებული დაკრძალული იყო  $0.42$  მ-ის სიღრმეში სახურავიდან. იატაკი თიხატყეპნილია. სამარხში დაკრძალული იყო მოზარდი გულალმა, გამოტილი, თავით დასავლეთისკენ. მარჯვენა ხელი ბოქვენს ქვეშ ჰქონდა ამოღებული, მარცხენა — ტანის გასწვრივ ედო (ტაბ. LI<sub>12-13</sub>).

სამარხში აღმოჩნდა:

1. საკინძის თავი (ტაბ. LI<sub>14</sub>), მინის (ან მთის ბროლის) შინდისებრი, 8 წახნაგოვანი მძივით და ვერცხლის ვარდულით. სიგრძე — 2.1 სმ, დმ — 1.3 სმ. აღმოჩნდა მიცვალებულის თხემის არეში. ინვ.№246.
2. საკინძის თავი (ტაბ. LI<sub>15</sub>). წარმოადგენს მინის (ან მთის ბროლის) რვანახნაგოვან შინდისებურ ფორმის მძივს, რომელიც რკინის ღერაკზე იყო წამოცმული. სიგრძე — 1.7 სმ, სმ — 1.3 სმ. აღმოჩნდა იქვე. ინვ.№247.
3. რგოლი რკინისა (ტაბ. LI<sub>16</sub>), თავგახსნილი. დმ — 1.8 სმ. დაჟანგული. აღმოჩნდა მარჯვენა ხელის ფალანგებთან. ინვ.№248.

### სამარხი №149

ქვასამარხია შედგენილი ქვიშაქვის 4 და გადახურული 3 ფილით (აღმ. ფილა:  $0.8 \times 1.14 \times 0.09$  მ. შუა ფილა:  $0.53 \times 1.22 \times 0.09$  მ. დას. ფილა:  $0.48 \times 1.17 \times 0.12$  მ). გამართულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე, მცირედ სამხრეთისკენ გადახრით. სამარხის ზომებია:  $1.9 \times 1.22 \times 0.93$  მ (შიდა ზომებია:  $1.69 \times 0.82 \times 0.84$  მ). იატაკი თიხატყეპნილია. სამარხში დაეკრძალათ ორი ზრდასრული, ორივე გულალმა, გამოტილი, თავით დასავლეთისკენ. ჯერ დაუკრძალავთ სამარხის ჩრდ. ნაწილში, ხოლო შემდეგ სამხ. ნაწილში. №1 მიცვალებულს მარჯვენა ბოქვენზე ედო, მარცხენა ტანის გასწვრივ. №2 მიცვალებულს ორივე ხელი ტანის გასწვრივ აქვს დალაგებული (ტაბ. LI<sub>16-17</sub>).

სამარხი უინვენტაროა.

### სამარხი №150

ქვასამარხია შედგენილი ქვიშაქვის 4 და გადახურული 3 ფილით. დაზიანებულია: სახურავის შუა ფილა სამარხშია ჩატეხილი, დას. ფილა კი გატეხილია (აღმ. ფილა:  $0.77 \times 1.3 \times 0.09$  მ). გამართულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე. სამარხის ზომებია:  $2.15 \times 1.3 \times 0.74$  მ (შიდა ზომებია:  $1.9 \times 0.75 \times 0.62$  მ). იატაკი თიხატყეპნილია. სამარხში დაეკრძალათ სამი მიცვალებული: მოზარდი და ორი ზრდასრული. პირველად დაკრძალული მოზარდი მიუხვეტავთ ჩრდილოეთ კედლისკენ, შემდეგი მიცვალებული დაუკრძალავთ ჩრდ. ნაწილში, ბოლო კი — სამხრეთ ნაწილში. ორივე დასვენებული იყო გულალმა, გამოტილი, თავით დასავლეთისკენ. №3 მიცვალებულს მარცხენა ხელი ტანის გასწვრივ ედო, მარჯვენა მუცელზე (ტაბ. LII<sub>1-2</sub>).

სამარხში აღმოჩნდა:

1. ბეჭედი ბრინჯაოსი (ტაბ. LII<sub>3</sub>). ოვალურგანივკვეთიანი რკალი გადადის მრგვალ ფარაკში, რომელშიც ამოჭრილია ასეთივე ფორმის თვალბუდე. მასში მინისებური პასტის ლურჯი და ბრტყელი თვალი ზის. ბეჭდის დმ — 2.3 სმ, ფარაკის დმ — 1.1 სმ, თვალბუდის დმ — 0.8 სმ. პატინირებულია, თვალი ამოვარდნილი. ეკეთა №3 მიცვალებულს მარცხენა ხელის ფალანგზე. ინვ.№249.

### სამარხი №151

ქვასამარხია შედგენილი ქვიშაქვის 4 და გადახურული 3 ფილით (აღმ. ფილა:  $0.68 \times 1.13 \times 0.1$  მ. შუა ფილა:  $0.6 \times 1.12 \times 0.15$  მ. დას. ფილა:  $0.58 \times 0.87 \times 0.11$  მ). გამართულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე. სახურავსა და კედლებს შორის სივარდიე ტალახითა და ნატეხი ქვითაა შევსებული. სახურავის ფილას ეტყობა სოლის კვალი. სამარხის ზომებია:  $1.9 \times 1.15 \times 0.8$  მ (შიდა ზომებია:  $1.6 \times 0.65 \times 0.7$  მ). იატაკი თიხატყეპნილია. სამარხში დაკრძალული იყო დედაკაცი გულაღმა, გამოტილი, თავით დასავლეთისკენ. ხელები ტანის გასწვრივ ქონდა დალაგებული (ტაბ. LII<sub>4-5</sub>).

სამარხში აღმოჩნდა:

1. საკინძები ბრინჯაოსი (ტაბ. LII<sub>6</sub>), სფერული თავით. 2 ცალი. ნაკლული და პატინირებული. შემორჩენილი სიგრძე — 2.5-4 სმ. აღმოჩნდა თავის ორივე მხარეს. ინვ. №250.
2. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ. LII<sub>7</sub>). თავი შემკულია თეთრი პასტის ცილინდრული მძივით, რომელიც ეყრდნობა ღერაკზე გაკეთებულ ნიბოს. თავი ბოლოვდება მარგალიტის იოტით. პატინირებული. სიგრძე — 6 სმ. აღმოჩნდა მიცვალებულის თავის არეში. ინვ. №251.

### სამარხი №152

ქვასამარხია შედგენილი 6 და გადახურულია 3 ქვიშაქვის ფილით (სახურავის აღმ. ფილა:  $0.26 \times 0.48 \times 0.13$  მ. შუა ფილა:  $0.43 \times 0.53 \times 0.1$  მ. დას. ფილა:  $0.25 \times 0.7 \times 0.11$  მ). დაზიანებულია: სამხრეთის კედელი სამარხშია ჩანოლილი. გამართულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე. სამარხის ზომებია:  $1.25 \times 1.54 \times 0.58$  მ (შიდა ზომებია:  $0.97 \times 0.28 \times 0.34$  მ). იატაკი თიხატყეპნილია. სამარხში დაკრძალული იყო ბავშვი გულაღმა, გამოტილი, თავით დასავლეთისკენ. მარცხენა მენჯზე უდევს, მარჯვენა ტანის გასწვრივ. ფეხები მუხლებში მკვეთრად განზიდული აქვს (ტაბ. LII<sub>8-9</sub>).

სამარხი უინვენტაროა.

### სამარხი №153

ქვასამარხია შედგენილი ქვიშაქვის 4 და გადახურულია 3 ფილით (აღმ. ფილა:  $0.8 \times 1.23 \times 0.12$  მ. შუა ფილა:  $0.51 \times 1.2 \times 0.05$  მ. დას. ფილა:  $0.57 \times 1.2 \times 0.07$  მ). გამართულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე. ძალიან ღრმადაა მიწაში ჩასმული. სახურავზე დანყობილი იყო ქვიშაქვისავე ორი ფილა და სტელა (ინვ. №269) ასომთავრული წარწერით (ტაბ. XXVIII). სამარხის ზომებია:  $1.95 \times 1.3 \times 0.8$  მ (შიდა ზომებია:  $1.6 \times 1.0 \times 1.15$  მ). იატაკი თიხატყეპნილია. სამარხი კოლექტიურია. დაუკრძალავთ 6 მიცვალებული სხვადასხვა პერიოდში. ერთი მიცვალებულის ძვლების ნაწილი მიხვეტილი იყო სამარხის სამხრეთ ნაწილში, მეორე მიცვალებული მიწეული იყო ჩრდილოეთ კედელთან. ამათზე ზემოდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ დაუკრძალავთ კიდევ ოთხი ზრდასრული. მიცვალებულები დასვენებულები იყვნენ გულაღმა, გამოტილი, თავით დასავლეთით (ტაბ. LII<sub>10-11</sub>).

სამარხში აღმოჩნდა:

1. ბეჭედი რკინის (ტაბ. LII<sub>12</sub>). სადა რკალია, ფარაკის გარეშე. ძლიერ დაჟანგული და გატეხილი. დმ — 2 სმ. აღმოჩნდა ჩრდილოეთით დაკრძალული მიცვალებულის (გვიან დაკრძალულის) მენჯთან. ინვ. №252.
2. სასაფეთქლე ბრინჯაოსი (ტაბ. LII<sub>17</sub>). წარმოადგენს თავებგახსნილ რგოლს, რომელსაც სამი ნიბო აქვს გარკვეული ინტერვალით. ნაკლული, გატეხილი და პატინირებულია. აღმოჩნდა ჩრდილოეთით, პირველად დაკრძალული მიცვალებულის ხერხემლის არეში. ინვ. №253.
3. მძივები (ტაბ. LII<sub>13</sub>) 3 ცალი: 1. მომწვანო მინის სფერული, ერთი მხარე დაბრტყელებული და ოთხნახნაგოვანი აქვს. დმ — 1.2 სმ. 2. ლურჯი პასტის ცილინდრული ფორმის. აქვს ტალღური ორნამენტი. სიგრძე — 1.5 სმ, დმ — 0.6 სმ. 3. სარდიონის, სფერული. დმ — 0.7 სმ. აღმოჩნდა ჩრდილოეთით, პირველად დაკრძალული მიცვალებულის ხერხემლის არეში. ინვ. №254.

4. მძივები მინისებური პასტის (ტაბ. LII<sub>14</sub>). 2 ცალი. ბრტყელი და მრგვალია. გამჭოლი ხვრელით. დმ — 1.6-1.9 სმ. აღმოჩნდა იქვე. ინვ. №255.

5. ამულეტები მინისა (ტაბ. LII<sub>15</sub>). 3 ცალი. წარმოადგენს დისკოებს, რომელთა ერთ მხარეზე კარგად ჩანს მუქი საღებავით შესრულებული ფიგურების კონტურები. დმ — 1.5-1.9 სმ. აღმოჩნდა იქვე. ინვ. №256.

6. მძივები სარდონის, პასტისა და მინისა (ტაბ. LII<sub>16</sub>), სფერული ფორმის. 62 ცალი. დმ — 0.3-0.6 სმ. აღმოჩნდა იქვე. ინვ. №257.

### სამარხი №154

ქვასამარხია შედგენილი და გადახურული ქვიშაქვის ფილებით<sup>18</sup>. გამართულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე. სამარხის ზომებია: 1.06×0.86 მ (შიდა ზომებია: 1.8×0.76×0.76 მ). იატაკი თიხატკეპნილია. სამარხში დაკრძალული იყო სამი მიცვალებული თავით დასავლეთით. ორი ზრდასრული მიუწვევიათ სამხრეთისკენ და ჩრდილოეთი ნაწილი გაუნთავისუფლებიათ ბავშვისთვის, რომელიც დაუსვენებიათ გულაღმა გამოტილი, თავით დასავლეთისკენ (ტაბ. LIII<sub>1-2</sub>).

სამარხში აღმოჩნდა:

1. საკინძი რკინის (ტაბ. LIII<sub>3</sub>), პასტის ცილინდრული თავით. შემორჩენილია მხოლოდ თავი. მძივის სიგრძე — 1.3 სმ, დმ — 1 სმ. აღმოჩნდა სამარხის ცენტრალურ ნაწილში. ინვ. №258.

### სამარხი №155

ქვასამარხია შედგენილი და გადახურული ქვიშაქვის ფილებით<sup>19</sup>. გამართულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე. გრძივ კედლებზე პატარა ფილებია დალაგებული. სამარხის ზომებია: 1.1×0.95 მ (შიდა ზომებია: 2.0×0.9×0.8 მ). იატაკი თიხატკეპნილია. სამარხში დაუკრძალავთ სამი მიცვალებული გულაღმა, გამოტილი, თავით დასავლეთით. პირველად დაკრძალული მიცვალებული მიუხვეტავთ დასავლეთის კედელთან. მეორე დაუკრძალავთ სამხრეთ კედელთან (მარჯვენა მხარეზე უდევს), ბოლოს კი ჩრდილოეთ ნაწილში დაუსვენებიათ ზრდასრული, მუცელზე დანყობილი ხელებით (ტაბ. LIII<sub>4-5</sub>).

სამარხში აღმოჩნდა:

1. აბზინდა ბრინჯაოსი (ტაბ. LIII<sub>6</sub>). ორმაგი: ოვალური რგოლი შუაში გატიხრულია და ამოღარული. მის ცენტრში გაკეთებულია გამჭოლი წრე, აბზინდის ენის დასამაგრებლად. აბზინდის რკალზე გადადის დაბრტყელებული და თავმოკაუჭებული, ერთმანეთის სანინაააღმდეგოდ განლაგებული ორი ენა. პატიინირებულია. სიგრძე — 4.3 სმ, სიგანე — 2.6 სმ. აღმოჩნდა სამხრეთით დაკრძალული მიცვალებულის წელის არეში, ხერხემლის მალეებთან. ინვ. №259.

### სამარხი №156

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის 4 და გადახურულია 3 ფილით (აღმ. ფილა: 0.75×1.2×0.07 მ. შუა ფილა: 0.44×1.14×0.1 მ. დას. ფილა: 0.5×1.24×0.12 მ). გამართულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე. სამარხის ზომებია: 1.8×1.23×0.82 მ (შიდა ზომებია: 1.9×0.8×0.9 მ). იატაკი თიხატკეპნილია. სამარხში დაკრძალული იყო ზრდასრული გულაღმა, გამოტილი, თავით დასავლეთით. ხელები ტანის გასწვრივ ქონდა დალაგებული (ტაბ. LIII<sub>7-8</sub>).

სამარხი უინვენტაროა.

<sup>18</sup> სამარხის სრულად გამოჩენა ვერ მოხერხდა, რადგან ნაწილობრივ შედის სხვა კერძო მესაკუთრის ტერიტორიაზე.  
<sup>19</sup> სამარხის სრულად გამოჩენა ვერ მოხერხდა, რადგან ნაწილობრივ შედის სხვა კერძო მესაკუთრის ტერიტორიაზე.



### სამარხი №157

ორმოსამარხის ნაშთი. შემორჩა მხოლოდ დასავლეთი ნაწილი. გამართული იყო დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე. გადახურული იყო ქვიშაქვის ფილით. მიცვალებული დაუკრძალავთ 0.3 მ სიღრმეზე სახურავიდან. იატაკად თიხა მოუტკეპნავთ. დაკრძალული იყო ბავშვი გულაღმა, გამოტილი, თავით დასავლეთით. შემორჩა მხოლოდ თავისა და მკერდის ნაწილი (ტაბ. LIII<sub>9-10</sub>). სამარხში ნივთები არ აღმოჩენილა.

### სამარხი №158

ქვასამარხია შედგენილი და გადახურული ქვიშაქვის ფილებით<sup>20</sup>. გამართულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე. სამხრეთის კედელი ორი ფილისგან შედგება. სამარხის ზომებია: 1.8×0.95 მ (შიდა ზომებია: 1.9×1.0×0.82 მ). იატაკი თიხატკეპნილია. სამარხში დაკრძალული იყო ორი ზრდასრული გულაღმა, გამოტილი, თავით დასავლეთისკენ. ხელები ტანის გასწვრივ ულაგიათ. პირველად დაუკრძალავთ სამარხის ჩრდილოეთ ნაწილში, ხოლო შემდეგ სამხრეთ ნაწილში (ტაბ. LIV<sub>1-2</sub>).

სამარხი უინვენტაროა.

### სამარხი №159

ორმოსამარხის ნაშთი. გადახურული იყო ქვიშაქვის ფილებით. სამარხი დაზიანებულია XX ს. 70-იან წლებში რკინა-ბეტონის კონსტრუქციის მშენებლობის დროს. გამართულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე. სამარხის ზომებია: 1.6×0.8 მ. იატაკი თიხატკეპნილია. დაკრძალული იყო ერთი მიცვალებული, გულაღმა გამოტილი თავით დასავლეთისკენ. ხელები ტანის გასწვრივ ქონდა დაწყობილი (ტაბ. LIV<sub>3-4</sub>).

სამარხი უინვენტაროა.

### სამარხი №160

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის ფილებით და გადახურულია 3 ასეთივე ფილით. დაზიანებულია: სახურავის დასავლეთის ფილა ჩატეხილია სამარხში (აღმ. ფილა: 0.76×1.0×0.13 მ. შუა ფილა: 0.4×1.06×0.16 მ). გამართულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე. სამარხის ზომებია: 1.8×0.95×0.7 მ (შიდა ზომებია: 1.6×0.63×0.5 მ). იატაკი თიხატკეპნილია. სამარხში დაკრძალული იყო ზრდასრული, გულაღმა გამოტილი, თავით დასავლეთისკენ. ხელები ბოქვენზე ეწყო. დაუსვენებიათ სამარხის ჩრდილოეთ ნაწილში (ტაბ. LIV<sub>5-6</sub>).

სამარხი უინვენტაროა.

### სამარხი №161

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის 4 ფილით. დაზიანებულია: სახურავი არ შემორჩა. დასავლეთის თავკედელი სამარხში იყო ჩაქცეული. გამართულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე. სამარხის ზომებია: 1.9×1.0×0.8 მ (შიდა ზომებია: 1.9×1.1×0.8 მ). იატაკი თიხატკეპნილია. სამარხი კოლექტიურია: დაკრძალულია ოთხი მიცვალებული, ყველა თავით დასავლეთით. პირველი ორი მიცვალებული მიუხვეტავთ სამარხის ჩრდილოეთ კედელთან. №3 დაუსვენებიათ ნაწილობრივ მიხვეტილი მიცვალებულების ძვლებზე ოდნავ მარჯვენა გვერდზე. ქვედა კიდურები მუხლებში ოდნავ მოხრილი ქონდა. №4 მიცვალებულის დაკრძალვისას №3-ც ოდნავ მიუწევიათ და ისე დაუკრძალავთ გულაღმა გამოტილი, ხელები ტანის გასწვრივ აქვს დაწყობილი (ტაბ. LIV<sub>7-8</sub>).

<sup>20</sup> მდებარეობს XX ს. 70-იან წლებში აშენებული ბეტონის კონსტრუქციის ქვეშ, ამიტომ მისი სრულად გამოჩენა არ მოხერხდა.

სამარხში აღმოჩნდა:

1. საკინძის ფრაგმენტი ბრინჯაოსი (ტაბ. LV<sub>9</sub>). მრგვალგანივკვეთიანი ღეროა. ნაკლული და პატინირებულია. აღმოჩნდა სამარხის №3 მიცვალებულის თავის ქალასთან. ინვ. №260.

### სამარხი №162

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის 4 ფილით. დაზიანებულია: არ აქვს სახურავი. სამხრეთის კედელი ჩატეხილი და ჩაქცეულია სამარხში. აკლია აღმ. თავკედელი. გამართულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე. სამარხის ზომებია: 1.7×1.0×0.8 მ (შიდა ზომებია: 1.6×0.8×0.8 მ). იატაკი თიხატკეპნილია. სამარხი თავიდანვე დაზიანებულა, მიცვალებულთა ძვლები ცუდადაა დაცული. სამარხი კოლექტიურია: დაკრძალულია სამი მიცვალებული, ყველა თავით დასავლეთისკენ. ორი მიცვალებული მიუხვეტავთ სამარხის სამხრეთ ნაწილში და გათავისუფლებულ ჩრდილოეთ კედელთან დაუკრძალავთ ზრდასრული გულალმა გაშოტილი, ხელები ტანის გასწვრივ აქვს დაწყობილი (ტაბ. LV<sub>1-2</sub>).

სამარხში აღმოჩნდა:

1. ბეჭედი ვერცხლის (ტაბ. LV<sub>6</sub>). მრგვალგანივკვეთიანი ღეროზე მირჩილულია ყვავილის ფორმის თვალბუდე. თვალი არ შემორჩა. პატინირებულია. დმ — 2 სმ. აღმოჩნდა სამარხის ცენტრალურ ნაწილში, მიხვეტილი მიცვალებულის ძვლებში. ინვ. №261.
2. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ. LV<sub>3</sub>). თავი სოკოსებრი ფორმის აქვს. პატინირებული და გატეხილია ორ ნაწილად. სიგრძე — 9.6 სმ. აღმოჩნდა ჩრდილოეთით დაკრძალული №3 მიცვალებულის თავის ქალასთან. ინვ. №262.
3. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ. LV<sub>4</sub>). ზემოაღწერილის ანალოგიური. პატინირებული და ორად გატეხილი. ღერო ოდნავ მოხრილი აქვს. სიგრძე — 9.7 სმ. აღმოჩნდა იქვე. ინვ. №263.
4. საკინძი რკინის (ტაბ. LV<sub>5</sub>). თავი შემკული აქვს ცისფერი პასტის ელიფსური მძივით და ბრინჯაოს ვარდულებით. დაჟანგული, ირიზებული და ნაკლულია — აკლია ღერო. მძივის დმ — 1.1 სმ. აღმოჩნდა იქვე. ინვ. №264.
5. საყურე ბრინჯაოსი (ტაბ. LV<sub>7</sub>). წარმოადგენს მრგვალგანივკვეთიან თავებგახსნილ რგოლს. პატინირებულია. დმ — 1.5 სმ. აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ კედელთან მიხვეტილი მიცვალებულის თავის ქალასთან. ინვ. №265.
6. მშვილდსაკინძის ფრაგმენტი რკინისა (ტაბ. LV<sub>8</sub>). შემორჩენილია მუხლი და მშვილდის ნაწილი. ძლიერ დაჟანგულია. ტიპი არ ირკვევა. აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ კედელთან. ინვ. №266.

### სამარხი №163

ქვასამარხია. შედგენილია ქვიშაქვის 4 კარგად გათლილი ფილით და გადახურულია სამით (აღმ. ფილა: 1.0×1.4×0.15 მ. შუა ფილა: 0.37×1.7×0.2 მ დას. ფილა: 0.85×1.5×0.2 მ). გამართულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე. სამარხის ზომებია: 2.0×1.2×1.4 მ (შიდა ზომებია: 1.7×0.96×1.2 მ). იატაკი თიხატკეპნილია. სამარხი კოლექტიურია: დაკრძალულია 10 მიცვალებული. ბოლოს დაკრძალული მიცვალებული დაუსვენებიათ სამარხის სამხრეთ ნაწილში გულალმა, გაშოტილი, თავით დასავლეთით. ფეხები მუხლებში ოდნავ განზიდული აქვს, ხელები იდაყვებში მოხრილი მუცლის არეში აქვს დალაგებული. დანარჩენი მიცვალებულები მიხვეტილია სამარხის ჩრდილოეთ კედელთან (ტაბ. LV<sub>9-10</sub>).

სამარხში აღმოჩნდა:

1. სანელსაცხებლე (ტაბ. LV<sub>11</sub>) თეთრი ფერის გამჭირვალე მინისა. ძირი ბრტყელი და ოდნავ შეზნექილი აქვს, მუცელი გამობერილი, ყელი მაღალი და ცილინდრული, პირი გადაშლილი და შიგნით ჩაკეცილი. სიმაღლე — 5.6 სმ, მუცლის დმ — 3 სმ, ყელის სიმაღლე — 3 სმ, დმ — 1.4 სმ, პირის დმ — 1.9 სმ. აღმოჩნდა მიხვეტილი მიცვალებულის ძვლებში. ინვ. №267.
1. საკინძი ბრინჯაოსი (ტაბ. LV<sub>12</sub>). თავი მკვეთრად მოხრილი აქვს. პატინირებულია. სიგრძე — 5 სმ. აღმოჩნდა ბოლოს დაკრძალული მიცვალებულის თავის ქალასთან. ინვ. №268.

## სამაროვნის ანალიზი

სამაროვანზე სხვადასხვა პერიოდში გათხრილია 175 სამარხი. ამათგან 152 ქვასამარხია, 17 ორმოსამარხი, ერთი ქვის კვადრებით ნაგები აკლდამა (№10), ერთი კომბინირებული სამარხი (№6), 2 თიხისფილასამარხი (№11, 110) და ორიც სამარხის ნაშთი.

სამარხები მჭიდროდაა განლაგებული. ისინი მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 0.6-1 მ. სიღრმეზეა გამართული. მათთვის ორმოები ჩაჭრილია ქვა-ღორღიან კონგლომერატში. ქვის ფილების გამაგრებისთვის ორმოს კედლებსა და ქვის ფილებს შორის სიცარიელე ქვიანი მიწითაა შევსებული (ტაბ. I-II).

სამარხები გამონაკლისის გარეშე დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ, მეტ-ნაკლებად ჩრდილოეთისკენ გადახრით, რაც წელიწადის სხვადასხვა დროს მიწის ამოსვლის მდებარეობით იყო განპირობებული.

სამაროვანზე გათხრილი ქვაყუთები შეკრულია ქვიშაქვის ოთხიდან ექვსამდე ფილით და ყველას აქვს ორიდან ოთხამდე ფილით შედგენილი ბანური სახურავი. ფილები მეტ-ნაკლებადაა დამუშავებული. უსწორმასწორო კედლის ქვების სიმაღლის გასასწორებლად და კედლებს შორის სიცარიელების შესავსებად გამოყენებულია ან თავად ქვიშაქვისავე ნატეხები, ანდა რიყის ქვები და ტალახი (ტაბ. I-II). იშვიათ შემთხვევაში დაფიქსირდა კუთხეებში კირხსნარის ხმარების შემთხვევები. იატაკად ქვაყუთებში უმეტესად გამოყენებულია კონგლომერატზე კარგად მოტკეპნილი თიხამიწა. ორ შემთხვევაში კი მოგებული იყო თიხის ფილებით და ბტყელი კრამიტის ნატეხებით (სამარხი №19 და 28). სწორედ ამ №28 სამარხში იატაკის, კუთხეებში სიცარიელების შესავსებად უხმარიათ კირხსნარი. ქვასამარხებში გამოირჩეოდა ერთი — ქვიშაქვის ფილებით შედგენილი დიდი ზომის ქვაყუთი (№118). იგი ნაგები იყო კარგად დამუშავებული ოთხი ფილით და გადახურული იყო სამით. დასავლეთ კედლის ძირში, ქვიშაქვისავე ფილით მოწყობილი იყო სასთუმალი, ხოლო გრძივი კედლების ძირში ქვიშაქვის მთლიანი ფილით გაკეთებული იყო თარო. სასთუმალიც და თაროც სრულად იყო გადალესილი კირხსნარით. კირხსნარი იყო ნახმარი კედლისა და სახურავის გადაბმის ადგილებშიც. იატაკად კენჭოვანი შავი ქვიშა გამოყენებით (ტაბ. XLIII<sub>4-6</sub>; LXXV).

ორმოსამარხები კონგლომერატში გაჭრილი ნაგრძელებული ფორმის კუთხეებმომრგვალებული სწორკუთხეადაა, რომლებშიც იატაკად მოფენილია თიხამიწა. საკრძალავი ორმოს ზომები ძირითადად მიცვალებულის ზომებს ემთხვევა. უმეტესობა გადახურული იყო ქვიშაქვის 1-დან 4-მდე ფილით, ერთი კი — №51 სამარხი — თიხის ფილებით.

სამაროვანზე გაითხარა ორი თიხისფილა სამარხი (№11 და 110), რომლებიც შედგენილი იყო თიხის ერთი ზომის ფილებით და გადახურული იყო ბანურად ქვიშაქვის და თიხის ფილებით. მცხეთაში თიხისფილასამარხები მიკვლეულია სამთავროზე (№86, 50, 84, 124, 151, 185, 602, 605 და სხვ), ბაიათხევში (№11, 14, 16, 19), კარსნისხევში (№14). სამარხები, როგორც წესი, ბანურსახურავიანია, მათში დაკრძალულთა პოზა კი დროის შესაბამისად — როგორც წარმართული, ისე ქრისტიანულია. აღნიშნული სამარხები II-IV სს. თარიღდება (ბიბლიური 1983; ნიკოლაიშვილი... 1995: 98; ნიკოლაიშვილი 1993: 62).

სამაროვანზე ერთ-ერთი უძველესი უნდა იყოს კირქვის კვადრებით ნაგები აკლდამა (№10), რომლის შემტკიცებისთვის გამოყენებულია კირხსნარი და ტალახი (ტაბ. XII<sub>1-5</sub>). აკლდამის არასაფასადე მხარე ნაკლებ დამუშავებული კვადრებითაა ნაგები. ბევრია არათანმიმდევრულად ჩალ-

აგებული გამირებიანი კვადრები, რაც მათ მეორად გამოყენებას მონმოზს. აკლდამას იატაკი კენჭებითა და კირხსნარით მოკირწყლული ქონდა. სამარხი საუკუნეთა შემდეგ გადაუკეთებიათ მისი ხელმეორე გამოყენების დროს: ზემოთკენ დაუვიწროვებიათ, დანგრეული კედლები ქვიშაქვის ნაკლებდამუშავებული ქვებითა და ტალახით მოუსწორებიათ, ხის ჩასასვენებლის ჩასადგმელად ჩაუჭრიათ მოკირწყლული იატაკიც. მცხეთაში მსგავსი კვადრებით ნაგები სამარხი ნაგებობები აღმოჩენილია სამთავროს სამაროვანზე (№416,430,485,597) და მცხეთისგორაზე (№11). ისინი III-IV სს. თარიღდება. უნდა აღინიშნოს, რომ სამთავროს კვადრებით ნაგებ სამარხებშიც მასალის მეორედ გამოყენებასთან გვაქვს საქმე, რადგან ისინიც ადრეული ხანის სამშენებლო მასალითაა ნაგები (მანჯგალაძე 1985: 96-97; აფაქიძე... 1995: 19; ნიკოლაიშვილი... 1985: 133)

ასევე ერთ-ერთი უძველესი უნდა იყოს სამაროვანზე მიკვლეული ერთადერთი კომბინირებული სამარხი - №6 (ტაბ. X<sub>5,გ</sub>; LXXIII<sub>1</sub>). გრძივი კედლები ნაგებია ქვიშაქვის ტეხილებით, რიყის ქვით და აგურით, დულაბად გამოყენებულია სილა და კირი. შიგნიდან შებათქაშებულია. სამარხის განივ კედლებად გამოყენებულია ქვიშაქვის კარგად დამუშავებული ნარიბანდებიანი თითო ფილა, რომლის წყალობითაც, ისინი მჭიდროდ იყო მიდგმული გრძივ კედლებზე. სამარხების განივ კედლებად ნარიბანდებიანი დამუშავებული ფილების გამოყენება გვხვდება სამთავროს სამეფო რანგის №905 აკლდამაში, არმაზისხევის №1,2,3,4,5,8,9,18 სამარხებში, რომლებიც ერისთავთა ოჯახის სამარხებია და II-III სს. თარიღდება. ასევე, №12,13,19,48 ერისთავთა რანგის IVს. დათარიღებულ სამარხებში, ოღონდ ამ შემთხვევაში უკვე ფილები დამუშავებული აღარაა (აფაქიძე... 1996: 7-42; აფაქიძე... 1955). რაც შეეხება ამოშენებულგვერდებიან სამარხებს, როგორც მეცნიერები შენიშნავენ, ისინი IV საუკუნიდან ჩნდება. მათ განივ კედლებად ზოგჯერ დამუშავებული ქვიშაქვის ფილა აქვთ. მსგავსი სამარხებია: მცხეთისგორის №11,14,20 და ახალი არმაზის №3,14 სამარხები. მეცნიერები მათ IV-V სს. და ადრეფეოდალური ხანით ათარიღებენ (ნიკოლაიშვილი... 1985: 133; აფაქიძე... 1978: 99-102), თუმცა, უნდა შევნიშნოთ, რომ ახალი არმაზის №3 სამარხში აღმოჩენილ ინვენტარს ზუსტი პარალელები ეძებნება IV ს. მცხეთის სამაროვანზე აღმოჩენილ მასალაში (აფაქიძე... 1978: 99-102). ფიქრისგორის №6 სამარხის გვიანანტიკურ პერიოდით დათარიღებას მასში აღმოჩენილი არტიფაქტებიც ამყარებს.

ფიქრისგორის სამაროვანზე გათხრილი სამარხებიდან 75 ინდივიდუალურია, 16 ბავშვისაა, დანარჩენი 88 კოლექტიურია.

სამაროვანზე ერთმნიშვნელოვნად გაბატონებულია მიცვალებულთა დაკრძალვა გულაღმა გაშოტილი, თავით დასავლეთით (მხოლოდ ორი შემთხვევა იყო, როცა მიცვალებული დაკრძალული იყო სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ — სამარხი №6 და 13 და ერთ შემთხვევაში დაკრძალული იყო მარცხენა გვერდზე ხელ-ფეხ მოკეცვით). განსხვავებული იყო კიდურების მდებარეობა: დაფიქსირდა ფეხების მოხრა სამხრეთით ან ჩრდილოეთით, მუხლებში განზიდვა და ოდნავ მოხრა, გადაჯვარედინება, ცალი ფეხის მუხლში მოხრა და მეორის ქვეშ ამოდება. ხელების მდებარეობიდან გაბატონებული იყო მათი ჩამოშვება ტანის გასწვრივ. დაფიქსირდა მკერდზე, მუცელზე ან ბოქვენზე დანყობის ცალკეული შემთხვევებიც. განსაკუთრებით საინტერესო იყო ერთ შემთხვევაში ხელების ამოდება ბოქვენს ქვეშიდან, ორ შემთხვევაში — მარჯვენა ხელის ამოდება თავქვეშ და ერთ შემთხვევაში სახის წინ დადება და რიგ შემთხვევებში ხელების დანყობა მხრებზე.

ინდივიდუალურ სამარხებში მიცვალებულთა უმეტესობა დასვენებული იყო სამარხის შუა ნაწილში. იყო შემთხვევები, როცა ისინი სამარხის რომელიმე (ჩრდილოეთ ან სამხრეთ) ნაწილში დაესვენებინათ და წინასწარ გაემზადებინათ ადგილი მომდევნო მიცვალებულისთვის, თუმცა შემდეგ რატომღაც აღარ დაეკრძალათ. რაც შეეხება კოლექტიურ სამარხებს, დაფიქსირდა როგორც დროის მოკლე მონაკვეთში (ძირითადად ერთი ოჯახის წევრები უნდა დაეკრძალათ), ისე დროის სხვადასხვა პერიოდში დაკრძალვის შემთხვევები. საოჯახო საკრძალავთა შემთხვევაში, უმეტესად მიცვალებულთა ძვლები ხელუხლებელი იყო, ანდა პირველად დაკრძალული მიცვალებული მცირედ იყო მიწეული გვერდითა კედლისკენ, ხოლო გათავისუფლებულ ადგილში დაესვენებინათ მომდევნო მიცვალებულები. არასაოჯახო საკრძალავთა შემთხვევაში კი, პირველი მიცვალებულები მიხვეტილები იყვნენ რომელიმე კედელთან, ხშირად ისე, რომ ძვლები მხოლოდ ერთ კუთხეში იყო მოგროვილი, ხოლო დანარჩენ ნაწილში მომდევნო მიცვალებულები დაეკრძალათ. კოლექტიური სამარხები ერთმანეთისგან გამოირჩეოდა იმითაც, რომ საოჯახო საკრძალავების შემთხვევაში ინვენტარი უმეტესად ხელუხლებლად იყო დატოვებული, ხოლო მრავალჯერადი

გამოყენების შემთხვევებში თავდაპირველ მიცვალებულებს ინვენტარი თითქმის აღარ ქონდათ. ამ თვალსაზრისით გამოჩნაკლისს წარმოადგენდა №31 და 119 სამარხები, რომლებშიც ერთ-ერთი გამორჩეული ინვენტარი აღმოაჩნდა სწორედ მიხვეტილ მიცვალებულს. ცხადია, სამარხებში, რომლებიც სხვა ინდივიდებისთვის იყო განკუთვნილი და ზომებით არ შეესაბამებოდა მასში დაკრძალულს, გამოსავალის სახით მიცვალებულებს ასვენებდნენ ან დიაგონალზე, ან ფეხების მუხლებში მოხრით, ანდა ფეხების მუხლებში განზიდვით.

როგორც აღინიშნა, ფიქრისგორაზე სამარხთა ნახევარი რამდენიმესგზისაა გამოყენებული. საინტერესოა, რომ 2016 წ. გათხრილ სამარხთა აბსოლუტურ უმრავლესობაში დაფიქსირდა სამარხთა ხელმეორედ გამოყენების ერთი წესი - გრძივი კედლების დასავლეთის კიდის ჩამოჭრა სამკუთხედად და იქიდან მიცვალებულთა შესვენება, შემდეგ კი სიცარიელის შევსება ნატეხი ქვითა და მიწით. როგორც ჩანს, აღნიშნული წესი დროის ერთ მონაკვეთში მოქმედებს (სამარხთა გამართვიდან მალევე). სამარხთა სხვა ეპოქებში გამოყენების დროს კი მსგავსი წესი არ გვხვდება.

სამაროვანზე სამარხთა სხვა ეპოქებში გამოყენების რვა შემთხვევაა დადასტურებული. თითოეულში საკრძალავად გამოყენებით ადრეული საუკუნეების სამარხები: ერთ შემთხვევაში კვადრებით ნაგები აკლდამა №10, ერთ შემთხვევაში კომბინირებული სამარხი №6 და შვიდიც ქვაყუთი. მათში აღმოჩენილმა მასალამ საშუალება მოგვცა სამარხთა მეორედ გამოყენების დრო დაგვეზუსტებინა. მაგალითად, ქვასამარხი №7-ის ხელმეორედ გამოყენების დროს გადაუხსნიათ აღმოსავლეთის ფილა და იქიდან შეუსვენებიათ მიცვალებული, შემდეგ ფილა ბოლომდე ველარ მიუსვამთ და შექმნილი სიცარიელის ამოსავსებად უხმარიათ ლარიანი კრამიტი, რომელიც X-XI საუკუნეებისთვისაა მახასიათებელი. კომბინირებულ სამარხ №6-ში აღმოჩენილმა ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე VIII მონეტამ (1025-1028 წწ) ცხადყო, რომ გვიანანტიკური ხანის საკრძალავი XI საუკუნეში ხელახლა იყო გამოყენებული. ორი ქვაყუთის შემთხვევაში სამარხთა გვიან გამოყენების ფაქტს ნათლად ადასტურებდა მიცვალებულთა შორის სქელი მიწის ფენის არსებობა. სამ შემთხვევაში კი სამარხებში მიცვალებულთა დაკრძალვამ ხის ჩასასვენებელში და მათზე შემოკრულმა მაქმანის დეტალებმა ცხადყო, რომ მიცვალებულები XIX საუკუნეში დაეკრძალათ.

აქვე, კიდევ ერთ საინტერესო ფაქტზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება, რომელიც ასევე სამარხთა შემდგომ პერიოდში გამოყენების შემთხვევაზე მიუთითებს: №153 სამარხის თავზე დაღებულ გახლდათ რამდენიმე ქვიშაქვის ფილა, როგორც ჩანს, სამარხის კედლებად გამზადებული, რომელიც შემდეგ აღარ გამოყენებიათ. შესაძლოა, ამ შემთხვევაშიც მიცვალებული უკვე არსებულ ადრეულ სამარხში ჩაასვენეს (თუმცა, რომელი იყო ასეთი სამარხი, ჩვენთვის უცნობია). ამ ფილებთან ერთად აღმოჩნდა ქვიშაქვითვე გაკეთებული უხეშად დამუშავებული ხუთნახნაგოვანი სტელა (სიმაღლე - 73 სმ, სიგანე - 30 სმ, სისქე - 24 სმ) (ტაბ.LXXII). მის მართხუთხა თავზე მარტივი ჯვარია ამოკანრული, ხოლო შედარებით უკეთ დამუშავებულ საფასადე მხარეს, ზედა ნაწილში ღრმა კვეთით ორი ასომთავრული გრაფემაა მოცემული: „კ“ და „ნ“. პალეოგრაფთ. ჯოჯუას მოსაზრებით, გრაფემები ეპიტაფია უნდა იყოს და გარდაცვლილის სახელს უნდა აღნიშნავდეს, ამ შემთხვევაში გრაფემები შეიძლება ნაკითხულ იქნეს, როგორც "კ{ონო}ნ" (თავად სახელი კონონი მცხეთის მიდამოებში მოქმედ შიომღვიმის მონასტერში ჯერ კიდევ მე-6 საუკუნეშია დადასტურებული). პალეოგრაფიული მონაცემებით სტელა შეიძლება IX-X სს. დათარიღდეს. სტელის ასეთი დათარიღება კიდევ ერთხელ ამაგრებს ჩვენს მიერ შენიშნულ ფაქტს, იმის თაობაზე, რომ X-XI საუკუნეებში სამაროვნის გამოყენების არა ცალკეულ და შემთხვევით ფაქტებთან უნდა გვეკონდეს საქმე, არამედ დამკვიდრებულ ტრადიციასთან. აღნიშნულ პერიოდში ფიქრისგორის სამაროვანი კვლავ მოქმედებს. როგორ შემოინახა ამდენი ხნის მანძილზე სოციალურ მეხსიერებაში ფიქრისგორის სამაროვნის არსებობის ფაქტი, ამ ეტაპისთვის ძნელი სათქმელია.

ფიქრისგორის სამაროვანზე გათხრილი სამარხებიდან ინვენტარი აღმოჩნდა 85 სამარხში. სამარხეული ინვენტარი წარმოდგენილია: სანელსაცხებლებით, მშვილდსაკინძებით, საკინძებით, საყურეებით, საკიდებით, აბზინდებით, ბეჭდებით, კილიტით, სასაფეთქლე რგოლებით, სამაჯურებით, მიძივებით, საკულტო დანიშნულების ნივთებით, იარაღით და მასთან დაკავშირებული დეტალებით და მონეტებით.

**1. სანელსაცხებლები** ნ. უგრელიძისეული კლასიფიკაციით სამ ჯგუფში ერთიანდება:

1. წაგრძელებული სანელსაცხებლები (ინვ.№50, 55, 78), რომელთაც ბაკო შიგნით ჩაკეცილი აქვთ, პირი ოდნავ გადაშლილი, დაბალი ყელი ტანისკენ გარდამავალ ნაწილში ოდნავ გაფართოებული. მოგრძო, მხრებდაქანებული, ვიწრო ტანი ქვემოთკენ თანდათანობით მსხვილდება და მრგვალი, გამოყოფილი ძირით სრულდება. ძირზე „ფხიანი“ ნაწიბური აქვთ. მინა ღია მწვანეა, ირიბებული (ტაბ.LVI<sub>1-3</sub>, LXXVI<sub>1</sub>). მსგავსი სანელსაცხებლები აღმოჩენილია სამთავროს სამაროვნის 1939 წ. N უბნის №122 და 126 ქვასამარხებში, ავჭალისკარის №2 და 48 სამარხებში (მასალა ინახება დიდი მცხეთის არქეოლოგიური სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალის ფონდში). ნ. უგრელიძის კლასიფიკაციით, ასეთი სანელსაცხებლები XI ტიპს ქმნიან და IV-V სს. თარიღდება. VI ს-დან კი მხოლოდ გადმონაშთის სახით ფიქსირდება (უგრელიძე 1967: 31-32,46,105).

2. ინვ.№37 და 56 სანელსაცხებლები, რომელთაც ბაკო შიგნით ჩაკეცილი აქვთ, პირი გადაშლილი, საშუალო სიმაღლის ყელი ძირისკენ თანდათანობით ვიწროვდება და ტანისაგან მკვეთრად გამოიყოფა. ტანი სფერული აქვთ, ძირი - მრგვალი. №56 სანელსაცხებლეს ძირზე აქვს ფხიანი ნაწიბური (ტაბ.LVI<sub>4-5</sub>, LXXVI<sub>2</sub>). მსგავსი სანელსაცხებლები აღმოჩენილია სამთავროს №24 ქვასამარხში, №7, 136, 163, 164, 168, 171, 199, 265, 303, 444 ქვასამარხებში, ავჭალისკარის №45 და 47 სამარხებში (მასალა ინახება დიდი მცხეთის არქეოლოგიური სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალის ფონდში). ეს სანელსაცხებლები ნ. უგრელიძის კლასიფიკაციით XV ტიპის II ქვეტიპში ერთიანდება, IV-V სს. თარიღდება და მომდევნო საუკუნიდან მხოლოდ გადმონაშთის სახით გვხვდება (უგრელიძე 1967: 34,46).

3. ინვ.№51, 267 და მმ№11315 სანელსაცხებლები „კოლბისებურ“ სანელსაცხებლებს მიეკუთვნება და ნ. უგრელიძის კლასიფიკაციის XXII ტიპში ერთიანდება. აქვს შიგნით ჩაკეცილი პირის კიდე, გადაშლილი პირი, საშუალო სიმაღლის ყელი, გამობერილი ტანი და ბრტყელი ორნავ შედრეკილი ძირი (LVI<sub>6-8</sub>, LXXVI<sub>3</sub>). კოლბისებრი სანელსაცხებლები იმ სანელსაცხებლების რიგს მიეკუთვნება, რომლებიც გავრცელებულია როგორც IV-V სს, ისე VI-VIII სს. სამარხებში (უგრელიძე 1967: 38, 64-65). ფიქრისგორის სანელსაცხებლებიდან, ინვ.№51 IV-V სს. უნდა მივაკუთვნოთ, რადგან ამავე პერიოდისთვის დამახასიათებელ სანელსაცხებელთან ერთადაა აღმოჩენილი (ინვ.№50). ამავე პერიოდის უნდა იყოს ინვ.№267, რომელიც მიხვეტილ მიცვალებულს აღმოაჩნდა. მმ№11315 კი VI-VII სს. უნდა დათარიღდეს.

4. ნ. უგრელიძის კლასიფიკაციის XVII ტიპს მიეკუთვნება სამაროვანზე აღმოჩენილი ინვ.№158 და 225 სანელსაცხებლები. მათ აქვთ გადაშლილი და შიგნით ჩაკეცილი პირი, მაღალი ცილინდრული ყელი, წაგრძელებული და ოთხივ მხრივ ღრმად შეზნექილი ტანი. ძირზე აქვს ნაწიბური (LVI<sub>9-10</sub>, LXXVI<sub>4</sub>). ამ ჯგუფის სანელსაცხებლები ნ. უგრელიძის მიხედვით IV-V სს. სამთავროს სამარხებში ჩნდება (უგრელიძე 1967: 35-36).

5. ცალკე დგას ინვ.№141, რომელსაც სქელი კედლები, საშუალო სიმაღლის წაკვეთილი და ძაბრისებრი ყელი და მრგვალი მუცელი აქვს (LVI<sub>11</sub>, LXXVI<sub>5</sub>). ამგვარი სანელსაცხებლები ნ. უგრელიძეს გაერთიანებული აქვს XIX ტიპში, რომლებიც გვხვდება IV-V სს. სამარხებში, მაგრამ განსაკუთრებით მრავლად წარმოდგენილია VI-VIII სს. სამარხებში (უგრელიძე 1967: 60). ვინაიდან, ფიქრისგორის ინვ.№141 სანელსაცხებლესთან ერთად სხვა ინვენტარი არ აღმოჩენილა (და სამარხი არც გაძარცვულია), ვფიქრობთ, ისიც VI-VII სს. უნდა დათარიღდეს.

**2. იარაღი** სამაროვანზე მხოლოდ 3 დანიტაა წარმოდგენილი (ინვ.№122,185,230). ისინი დამზადებულია რკინისა და ბრინჯაოსგან. დანები მცირე ზომისაა ორი მათგანი პირმოხრილია, ერთი კი ხანჯლისებური. პირმოხრილი დანები დიდი ალბათობით ვაზის სასხლავი იარაღი უნდა იყოს. ხანჯლისებური დანა ბიმეტალურია: პირი რკინის აქვს, ხოლო ტარი ბრინჯაოსი (ტაბ.LVII<sub>1-3</sub>, LXXVI<sub>6-8</sub>).

აქვე განვიხილავთ დანის საქარქამე ორ სალტესაც (ინვ.№208), რომლებიც ბრინჯაოსგანაა დამზადებული. ორივე მათგანს გადაბმის ადგილას ხის ნაშთი აქვს შერჩენილი, რაც იმას მოწმობს, რომ ქარქამე ხის უნდა ყოფილიყო (ტაბ.LVII<sub>4</sub>, LXXVI<sub>9</sub>).

საინტერესოა, რომ სამაროვანზე აღმოჩენილი დანებიც და ქარქამის სალტეებიც ან მიცვალებულთა თავის ქვეშ, ანდა მის სიახლოვეს აღმოჩნდა და არა მხოლოდ მამაკაცებს ქონდათ ჩატანებული, არამედ ქალსაც. ვფიქრობთ, საქმე გვაქვს არა ნივთის პატრონისთვის ჩატანების უბრალო ფაქტთან, არამედ რელიგიურ რიტუალთან, რომლის გადმონაშთიც უნდა იყოს ეთ-

ნოგრაფიულ ყოფაში დაცული ჩვეულება ბავშვებისთვის თავქვემ დანის დადებისა ავი თვალისგან დასაცავად.

**2. მშვილდსაკინძები** სამაროვანზე 11 ცალია აღმოჩენილი. მათგან ერთი ბრინჯაოსია, ორი ბრინჯაოსი რკინის ენით, რვა კი რკინისა. ფიბულებიდან ოთხი ფრაგმენტულადაა შემორჩენილი და მათი ტიპის ზუსტი განსაზღვრა არ ხერხდება (ინვ.№31, 66, 236, 266). დანარჩენები ტიპოლოგიით ასე ჯგუფდებიან: 1. ჭვინტიანი მშვილდსაკინძები (ინვ.№6, 194, მმ№11323) ორი ქვეტიპით წარმოდგენილი: ა) ბრტყელი, საშუალო სიმაღლის მშვილდით, მთლიანი ბუდით, სახსრიანი მუხლით და ბ) საშუალო სიმაღლის სამკუთხაგანიკვეთიანი მშვილდით და ორბურთულა ლერძაკიანი მუხლით (ტაბ. LVII<sub>9,11</sub>, LXXVII<sub>1</sub>). ნ. აფხაზავას კლასიფიკაციით ისინი II ჯგუფის I და II სერიის I და II ვარიანტებს მიეკუთვნება. მკვლევარის შენიშვნით, ჭვინტიანი მშვილდსაკინძები საქართველოში ჩრდ. კავკასიიდან უნდა გავრცელებულიყო VI საუკუნეში, ჯერ მუხლზამბარიანი ვარიანტების სახით, ხოლო შემდეგ მალევე მუხლსახსრიანიც, რომელიც მხოლოდ ქართლისთვის ჩანს დამახასიათებელი (აფხაზავა 1979: 20-23). ჭვინტიანი მშვილდსაკინძების ქართლში გამოჩენის თარიღი გადახედვას მოითხოვს, რადგან ის უფრო ადრეულ კომპლექსებში უკვე ჩნდება. ასეთია მაგალითად, სამთავროს №71 სამარხი, რომელიც მასალის მიხედვით ზუსტად თარიღდება IV ს. I ნახევრით (მანჯგალაძე 1985: 45-46).

2. მშვილდსაკინძები №11304 და 11308 (ტაბ. LVII<sub>12-13</sub>) ორივეს სწორი ცხვირი, მთლიანი ბუდე აქვს. ერთს თანაბრად მორკალული მშვილდი, მეორეს მუხლისკენ შემალღებული. მუხლზამბარიანობა თუ მუხლსახსრიანობა არ ირკვევა ძლიერი დაჟანგულობის გამო. ნ. აფხაზავას კლასიფიკაციით აღნიშნული ფიბულები III ტიპში ერთიანდება. მათი გავრცელება ქართლის მოსახლეობაში V საუკუნითაა დათარიღებული, რასაც ადასტურებს მათი აღმოჩენა ამავე საუკუნის მონეტებთან ერთად (აფხაზავა 1979: 26-27). ფიქრისგორის სამაროვანზე ისინი ერთი და იმავე სამარხშია აღმოჩენილი, რომელიც ინვენტარის მიხედვით V ს. II ნახევარზე ადრეული ვერ იქნება.

3. №19 და №47 მშვილდსაკინძები (ტაბ. LVII<sub>14-15</sub>) ტიპოლოგიურად ერთნაირია: ბუდეაბმული, მუხლსახსრიანი, ორნილადი ფიბულებია, რომელთაც მშვილდი თანაბრად მოხრილი და ბუდის ასაბმელთან ჩახრილი აქვთ. რკინის მშვილდსაკინძს ბუდე ასაბმელთან აქვს ჩამოქლომებული, ბრინჯაოსას კი – ახვეული და მთლიან რკალზე ზამბარასავით დახვეული. ნ. აფხაზავას კლასიფიკაციით ორივე მშვილდსაკინძი I ჯგუფის II სერიის II ვარიანტის მშვილდსაკინძებს მიეკუთვნება, რომელთა გავრცელების ქრონოლოგია IV ს. II ნახევრიდან VI საუკუნემდე მოდის. მათი მსგავსი ცალეები აღმოჩენილია მარტაზისხევეში, სამთავროზე, ურბნისში, სტირფაზში, მოდინახეზე (აფხაზავა 1979: 12-13).

**3. საკინძები:** ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია სამაროვანზე. უკვე შემუშავებული ტიპოლოგიზაციის მიხედვით საკინძები ორ ჯგუფში ერთიანდება: ერთი მასალისგან დამზადებული და შედგენილი საკინძები. თითოეული მათგანი ასევე რამდენიმე ტიპად იყოფა:

**I ჯგუფის I ტიპი:** მთლიანადსხმული ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს და რკინის საკინძები, რომელთაც თავი ბურთივით ან სფეროსებურად აქვთ შემსხვილებული (ინვ.№2,7,10,18,32,46,87,92,143,152,173,178,179,180,188,214,215,217,235,250,262,263) (ტაბ. LVIII<sub>1</sub>, LXXVIII<sub>1</sub>). ასეთი საკინძები დაფიქსირებულია მაგალითად, სამთავროს №317 (1939 წ. N) და №578 (1946 წ.) IV-V სს. ქვის-სამარხებში (აფხაზავა 1979: ტაბ. IX<sub>3</sub>, X<sub>24</sub>), ტუიაქოჩორას V-VI სს. №10 სამარხში (ნიკოლაიშვილი 1978: 161, სურ.637), სოფელ მაგრანეთში, საცხვრეგორაზე (ჯორბენაძე 1982: ტაბ. XIX<sub>4,5</sub>), თრანის ბალების VI-VII სს. №4 სამარხში (ჯორბენაძე 1982: სურ.14,616), მოდინახეს გვიანანტიკური ხანის №5 და №36,43,45 სამარხებში (ნადირაძე 1975: 46, ტაბ. XVII<sub>11,12</sub>; ბრავაძე... 2002: 102-103, სურ.207,221,229) და აღმოსავლეთ საქართველოს ადრეული შუასაუკუნეების თითქმის ყველა სამაროვანზე. ისინი აღმოჩენილია ჟინვალის სამაროვანზეც, სადაც IV ს. ორმოსამარხებში უკლებლივ გულ-მკერდის არემია აღმოჩენილი და ტანისამოსის შესაკრავია, V-VI სს. ქვასამარხებში კი ყველა თავის ქალის არემია დაფიქსირდა და შესაბამისად, ქალის თავსაბურავისა და თმის ვარცხნილობისათვის იყო განკუთვნილი (ჩიხლაძე 2005: 196). ფიქრისგორაზე აღმოჩენილი ამ ჯგუფის საკინძები ყველა თავის ქალის მიდამოებშია აღმოჩენილი.

ფიქრისგორაზე აღმოჩენილ ამ ჯგუფის საკინძებში უმრავლესობას ზუსტი ანალოგები მოეძებნება, რაც მნიშვნელოვანია მათი დათარიღებისთვის. მაგალითად, ინვ.№92 – ვერცხლის სა-

კინძების — ანალოგი აღმოჩენილია მოდინახეს №36 სამარხში, რომელიც IV-V სს. მიჯნითაა დათარიღებული (აფხაზავა 1979: ტაბ.VII<sub>15</sub>). ფიქრისგორის №54 სამარხში ამ საკინძეთა გარდა არაფერი აღმოჩენილა, ამდენად, სამარხის დათარიღებისთვის მოდინახეს სამარხის ასაკით უნდა ვიხელმძღვანელოთ.

**I ჯგუფის II ტიპი:** ბრინჯაოს მთლიანადსხმული საკინძები, რომელთა თავი გირჩისებრია (ინვ.№68) (ტაბ.LVIII<sub>2</sub>). ასეთი საკინძები აღმოჩენილია სამთავროს (აფხაზავა 1979: ტაბ.III-VII), არმაზისხევის (აფაქიძე... 1955: ტაბ.XVII<sub>22</sub>, XVI<sub>18</sub>), მცხეთიგორის (ნიკოლაიშვილი... 1985: 143-145, სურ.811,817), მუხათგვერდის VI-VIII სს. სამარხებში (ხეცურიანი 1985: 155, სურ.886-889), ერწო-თიანეთის (ჯორბენაძე 1982: ტაბ.XIX<sub>6</sub>), თხოთის მთის სამაროვნის (მირიანაშვილი 1983: 106,107, ტაბ.160,173) და სხვა კომპლექსებში. ასეთივე საკინძი აღმოჩნდა ჟინვალის სამაროვნის №371 ორმოსამარხში, რომელიც ვარახრან V-ის დრაქმის მიხედვით V ს. I ნახევრით თარიღდება (ჩიხლაძე 2005: 196). ამდენად, გირჩისებურთავიანი ბრინჯაოს საკინძები აღმ. საქართველოში V-VIII სს. პერიოდში ჩანს გავრცელებული.

**I ჯგუფის III ტიპი:** საკინძები მთლიანადსხმული ბრინჯაოსი (ინვ.№36,110,112,121,156), რომელთა თავი წარმოადგენს პატარა დისკოზე ნიჩბისებურად გაშლილ ბოლოს (ტაბ.LVIII<sub>3</sub>, LXXVIII<sub>2</sub>). ამავე ჯგუფში ერთიანდება ბრინჯაოსავე საკინძი ასევე ნიჩბისებურად გაშლილი თავით (ინვ.№174), რომელსაც დანარჩენებისგან მხოლოდ კვადრატული და გამჭოლხვრელიანი ყელი გამოარჩევს. ამ ტიპის საკინძები აღმოჩენილია სამთავროს V-VI სს. №566 ქვასამარხში (აფხაზავა 1979: ტაბ. XI<sub>8-9</sub>).

**I ჯგუფის IV ტიპში** ერთიანდება ბრინჯაოს ორი საკინძი (მმ№11305), რომელთაც ყელი დისკოსებურად აქვთ დაბრტყელებული, თავი კი რგოლითაა მოცემული (ტაბ.LVIII<sub>4</sub>). მსგავსი რგოლისთავიანი საკინძი აღმოჩენილია ახალი არმაზის IV-V სს. დათარიღებულ №4 სამარხში და ასევე მარტაზისხევის სამაროვნის №11 სამარხში (VI-VII სს.) (აბუთიძე... 1988: 653-656).

**I ჯგუფის V ტიპში** ორი საკინძია გაერთიანებული (ინვ.№91, მმ№14311). ესაა მთლიანადსხმული ბრინჯაოს საკინძები, რომელთაც თავი ბრონეულის ნაყოფის ფორმის აქვთ (ტაბ.LVIII<sub>5</sub>). ბრონეულის გამოსახულებიან საკინძებზე ქვემოთ გვექნება საუბარი, ამიტომ აქ მხოლოდ იმას შევნიშნავთ, რომ მსგავსი საკინძები ამ მცენარის გამოსახულებიანი საკინძებიდან პირველად ვრცელდება IV საუკუნიდან და V საუკუნეში ფართოდ გამოიყენება.

**I ჯგუფის VI ტიპი** ბრინჯაოს ერთი საკინძითაა წარმოდგენილი (ინვ.№90). მისი თავი კიდებისკენ ოდნავ შემსხვილებული ტოლმკლავა ჯვრის გამოსახულებაა (ტაბ.LVIII<sub>6</sub>). მსგავსი ფორმის საკინძების პირდაპირი ანალოგი ჩვენ ვერ მოვიძიეთ, თუმცა ჯვრის ფორმის საკინძები, რომლებიც ძირითადად მძივებითაა შემკული, ადრეშუა საუკუნეების (V-VII სს.) სამარხებში კარგად დასტურდება (ჯორბენაძე 1982: 74; აფხაზავა 1979: ტაბ.XIV<sub>7</sub>,XXX<sub>53</sub>; ნიკოლაიშვილი 1978: 160-161; ჭილაშვილი 1964: 85; ტყემელაშვილი 1957: 155).

**I ჯგუფის VII ტიპში** ერთიანდება ძვლისგან დამზადებული ორი ქვეტიპის საკინძები (ტაბ.LIX<sub>1-2</sub>). პირველებს მრგვალგანიკვეთიანი ღერო აქვთ, თავისკენ უფრო მსხვილი და ბოლოსკენ წანვეტილებული. საკინძეთა მეორე ქვეტიპი ფიგურულთავიანია (ინვ.№42,52,89,115,150 მმ№11301). ამ ქვეტიპში შედის ხელის მტევნის გამოსახულებიანი საკინძი. მსგავსი საკინძები მზადდებოდა როგორც ძვლისგან ისევე ბრინჯაოსგან. ისინი საკმაოდ გავრცელებულია V-VIII სს. აღმოსავლეთ საქართველოს სამაროვნებზე (მცხეთის, ჟინვალის, ივრის ხეობის, ურბნისის სამარხები), გვხვდება ხერსონესში, მინგეჩაურში. მეცნიერთა ნაწილი მათ სამების სიმბოლოსთან აკავშირებს (ჯორბენაძე 1982: 70-72; ჭილაშვილი 1964: 58,121-124; ნიკოლაიშვილი 1978: 165-167).

**II ჯგუფის** საკინძები სხვადასხვა მასალისგანაა შედგენილი და რამდენიმე ტიპად იყოფა:

**II ჯგუფის I ტიპი** მოიცავს ბურთულა მძივით თავშემკულ ბრინჯაოსა და რკინის საკინძებს (ტაბ. LIX<sub>3</sub>, LXXVIII<sub>3</sub>). მძივები წარმოდგენილია ძონის, სარდიონისა და მარგალიტის თვლებით, რომლებიც ეყრდნობიან ღერაკის ნიბოს. საკინძეთა ნაწილის შემთხვევაში, ძირითად მძივზე დასმულია მარგალიტის მომცრო ზომის თვლები (ინვ.№34,35,41,65,69,74,145,177, მმ№11296).

ბურთულა მძივით თავშემკული საკინძები აღმოჩენილია მცხეთაში (აფაქიძე... 1955: ტაბ.XVII<sub>22</sub>,



სურ.28), სამთავროს V ს. №726 ქვასამარხში, მოდინახეს V ს. №36 სამარხში (აფხაზავა 1979: ტაბ.VII<sup>4,13,17</sup>), მაგრანეთის საცხვრეგორის V-VI სს. №3 სამარხში (ჯორბენაძე 1982: 52-55, 73,76 სურ.12), მუხათვერდში VI-VIII სს. №43 სამარხში (ხეცურიანი 1985: 158, სურ.904), თხოთის მთის სამაროვანზე (მირიანაშვილი 1983: 174), საირხეში (ნადირაძე 1975: ტაბ.17<sup>8,11,12</sup>), ჟინვალის (ჩიხლაძე 2005: 199) და ქართლის თითქმის ყველა სამაროვანზე. ამ ტიპის საკინძების გავრცელების დიაპაზონი IV საუკუნის ბოლოდან VII საუკუნის ჩათვლით პერიოდს მოიცავს და ისინი ძირითადად თავსამკაულსა და თმის ვარცხნილობის სამაგრს წარმოადგენენ (აფხაზავა 1988: 66-67).

**II ჯგუფის II ტიპი** თავის მხრივ რამდენიმე ქვეტიპად იყოფა: I — მწვანე ქვის, მინის, პასტის, მარგალიტისა და მარჯნის სფეროსებური მძივით და ოქროს ან ბრინჯაოს ვარდულებით შემკული ბრინჯაოსა და რკინის საკინძები (ინვ.№1,8,39,40,83,114,167-170,190,191,197,232,234,251 მმ№11296,11299,11312,11318) (ტაბ.LX<sub>1</sub>, LXXVIII<sub>4</sub>); II — მინის, პასტის, მარჯნის ელიფსური მძივითა და ვარდულებით შემკული ბრინჯაოს საკინძები (ინვ.№210,212,264, მმ№11314) (ტაბ.LX<sub>2</sub>); III — სარდიონის, გიშრის, პასტის, ან მინის ელიფსური, დანახნაგებული ფორმის მძივით თავშემკული ბრინჯაოს საკინძები, რომელთა ერთი ნაწილი ბრინჯაოს ან ვერცხლის ვარდულებით ბოლოვდება (ინვ.№33,228,229,237,238,246,247, მმ№11309) (ტაბ.LX<sub>3</sub>, LXXVIII<sub>5</sub>); IV — სარდიონის, პასტისა და მინის ცრემლისებური მძივებით თავშემკული ბრინჯაოსა და რკინის საკინძები, რომელთა ერთი ნაწილის მძივებს თავზე მარგალიტის პატარა მძივი აქვს დასმული, ხოლო მეორე ნაწილი ბრინჯაოს ან ოქროს ვარდულებშია მოქცეული (ინვ.№15,134,146,187,220,221,222,226,239,240 მმ№11311) (ტაბ.LXI<sub>1</sub>); V — პასტის ცრემლისებური, დანახნაგებული მძივით შემკული ბრინჯაოს საკინძები, რომელთა ერთი ნაწილი ბრინჯაოს ვარდულებშია მოქცეული (ინვ.№87,113) (ტაბ.LXI<sub>1</sub>); VI — პასტის ცილინდრული მძივებითა და ოქროს ან ბრინჯაოს ვარდულებით შემკული ბრინჯაოს და რკინის საკინძები (ინვ.№165,192,201,258) (ტაბ.LXI<sub>2</sub>, LXXVIII<sub>6</sub>); VII — სარდიონის ან პასტის ცილინდრულ-წახნაგოვანი მძივითა და ოქროს, ვერცხლის ან ბრინჯაოს ვარდულებით თავშემკული ბრინჯაოსა და რკინის საკინძები (ინვ.№128,136,147,162,163,186,223,227) (ტაბ.LXI<sub>2</sub>, LXXVIII<sub>7-8</sub>); VIII — მინის მრავალწახნაგა მძივებით თავშემკული ბრინჯაოს საკინძები, რომელთა ერთი ნაწილი ოქროს ვარდულებითაა დამშვენებული (ინვ.№159,160,171,172) (ტაბ.LXII<sub>1</sub>, LXXVIII<sub>9</sub>).

ამ ტიპის ქინძისთავთა მსგავსი საკინძები აღმოჩენილია ადრეშუა საუკუნეების ქართლის სამეფოს თითქმის ყველა სამაროვანზე (მაგ.: სამთავროს (აფხაზავა 1979: ტაბ.VII<sub>5</sub>); მცხეთისგორის (ნიკოლაიშვილი... 1985: 133-134, 144-145), ალევის (აფხაზავა 1988: 67-70, ტაბ.V<sub>9-11</sub>, X<sub>3-5,7</sub>, X<sub>4</sub>, XX<sub>30-31</sub>); თხოთის მთის (მირიანაშვილი 1983: 140), ჟინვალის სამარხებში (ჩიხლაძე 2005: 200). ამ მონაცემების შეჯერებით აღნიშნული საკინძები V-VII სს. ჩანს გავრცელებული და ყველა შემთხვევაში თავსამკაულსა თუ ვარცხნილობის დეტალია.

ფიქრისგორის სამაროვნის შემთხვევაში, მშვენივრად ივლება მიჯნები V ს. და VI-VII სს. საკინძეთა შორის. პირველ შემთხვევაში, საკინძები გაცილებით დახვეწილი და დამუშავებული ნაკეთობებია, რომელთა უმეტესობა ოქროს ვარდულებითაა დამშვენებული, ხოლო მომდევნო საუკუნეების საკინძები მათ ხარისხით აშკარად ჩამოუვარდებათ.

**II ჯგუფის III ტიპი** ასევე რამდენიმე ქვეტიპის საკინძებითაა წარმოდგენილი: — ბრინჯაოს საკინძი ორად განტოტვილი თავით, სარდიონის ან პასტის ბურთულა მძივებით შემკობილი, რომელზეც ზოგ შემთხვევაში მარგალიტის იოტებია დასმული (ინვ.№88,117) (ტაბ.LXII<sub>2</sub>). მსგავსი საკინძები აღმოჩენილია სამთავროს №15,41,204 სამარხებში, ალევის №8,35 სამარხებში (აფხაზავა 1988: ტაბ.IV<sub>15</sub>, XVIII<sub>2-4</sub>) და „საცხვრეგორის“ №3 სამარხში (ჯორბენაძე 1982: სურ.12-239). ისინი VI-VII სს. თარიღდებიან. II — ბრინჯაოს საკინძები სამადგანტოტვილი თავით — ე.წ. ჯვრის ტიპის საკინძები, რომელზეც მარგალიტის ან მინის მძივებია წამოცმული (ინვ.№118,175,176) (ტაბ.LXII<sub>2-3</sub>, LXXVIII<sub>10</sub>). III — ბრინჯაოს სამკაპა საკინძები, რომლებიც ბოლოვდება ოქროს ვარდულებში მოქცეული მარგალიტის მძივებით (ინვ.№127,243,245) (ტაბ.LXII<sub>4</sub>, LXXVIII<sub>11</sub>); IV — ბრინჯაოს ორკაპა საკინძები, რომლებზეც წამოცმულია მწვანე პასტის ცილინდრული მძივები, მარგალიტის იოტები და ოქროს ვარდულები (ინვ.№241,242) (ტაბ.LXII<sub>5</sub>, LXXVIII<sub>12</sub>).

ორკაპა და სამკაპა საკინძები, რომელთა ნაწილს მეცნიერები ჯვრისებურთავიან საკინძებსაც უწოდებენ, ადრეშუა საუკუნეების ყოფითი კულტურის ელემენტთა ერთ-ერთი სახეობაა და ისინი სხვადასხვა ვარიაციებითაა წარმოდგენილი (აფხაზავა 1988: 69-70). ფიქრისგორის სამარხებში აღმოჩენილმა ინვ.№241-242 საკინძებმა კი კიდევ ერთი, აქამდე უცნობი, ვარიაცია შემატა მათ

რიცხვს.

**II ჯგუფის IV ტიპი** წყვილ საკინძს შეიცავს: ბრინჯაოს ლეროზე დამაგრებული გიშრის ქვირულ და რელიეფური მძივით თავშემკულ საკინძებს (მმ№11295) (ტაბ.LXIII<sub>2</sub>). მსგავსი საკინძების სხვაგან აღმოჩენის ფაქტი ჩვენთვის უცნობია.

**II ჯგუფის V ტიპი** ერთი ნიმუშითაა წარმოდგენილი: ბრინჯაოს ლერაკზე წამოცმული სოკოსებური ნიჟარა (ტაბ.LXIII<sub>1</sub>). მსგავსი საკინძი აღრეშუა საუკუნეთა სამარხებში ჩვენთვის უცნობია.

**II ჯგუფის VI ტიპში** ერთიანდება ბრინჯაოსა და რკინის საკინძები, რომელთაც თავი მარჯნის ბრონეულის ყვავილის ან ნაყოფის ფორმის მძივითა და ოქროს ან ბრინჯაოს ვარდულებით აქვს შემკული (ინვ.№9,153,154,196,211,216) (ტაბ.LXIII<sub>3</sub>, LXXVIII<sub>13</sub>).

ზოგადად ბრონეულის ყვავილისა და ნაყოფის გამოსახულებიანი თავით შემკული საკინძები (როგორც ლითონისა, ისე სხვადასხვა მასალის მძივისგან დამზადებული) აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის ყოფით კულტურაში V საუკუნიდან ჩნდება და განსაკუთრებით ვრცელდება მომდევნო პერიოდიდან (ტყეშელაშვილი 1956: 155; უგრელიძე 1967: 69, 74-75; ნიკოლაიშვილი 1979: 73; ჯორბენაძე 1982: 74; პაჭიკაშვილი 2006: 97-106; აფხაზავა 1988: 71-76; ჩიხლაძე 2005: 198-201; ხეცურიანი 1985: 152-161). მარჯნის ბრონეულის ყვავილის ან ნაყოფის გამოსახულებიანი საკინძებს მეცნიერები სხვადასხვაგვარად განსაზღვრავენ, მაგალითად, ო. ტყეშელაშვილი სხვა მძივებით თავშემკულ საკინძებთან ერთად IV-VIII სს. ნაკეთობად მიიჩნევდა (ტყეშელაშვილი 1957: 158), ბ. ჯორბენაძე – VI-VIII საუკუნეთა ნივთებად განიხილავდა (ჯორბენაძე 1982: 74), ვ. ჩიხლაძე V-VIII სს. სამარხებში აღმოჩენილად ასახელებს (ჩიხლაძე 2005: 200), ხოლო ნ. აფხაზავა მარჯნის ბრონეულისთავიანი საკინძებს VII ს. შუიდან VIII ს. I ნახევრამდე გავრცელებულ სამკაულად მიიჩნევს (აფხაზავა 1988: 74-76). ვფიქრობთ, აღნიშნული თარიღი გადასინჯვას მოითხოვს, რადგან, მარჯნის ბრონეულის ნაყოფისა და ყვავილის გამოსახულებიანი საკინძეთა გავრცელება ქართლის მოსახლეობაში V ს. ბოლოდან უკვე უნდა იწყებოდეს. ჩვენი მოსაზრების სასიკეთოდ მეტყველებს 2006 წ. წინამურის ველზე გათხრილი ქვასამარხი №101, რომელშიც ამ ტიპის საკინძებთან ერთად აღმოჩნდა ნ. უგრელიძისეული კლასიფიკაციის XV ტიპის სანელსაცხებლე. ასეთი სანელსაცხებლები მკვლევარის მიხედვით IV-V სს.-შია გავრცელებული და მომდევნო საუკუნეებში თითქმის აღარ გვხვდება. ამის გათვალისწინებით, წინამურის სამარხი V ს. ბოლოთი მაინც უნდა დათარიღდეს (დიღმელაშვილი 2010: 25-26). უფრო მეტია სამთავროს სამაროვანზე მარჯნის ბრონეულის გამოსახულებიანი საკინძების VI ს. სამარხებში აღმოჩენის შემთხვევები (დიღმელაშვილი 2010: 149-151). რაც შეეხება, ამ ტიპის საკინძების გავრცელების ზედა თარიღს, როგორც ჩვენ თვალი გავადევნეთ, ზედა ზღვრად VIII საუკუნის მიჩნევა ერთგვარად დაეფუძვნა სამთავროს სამაროვანზე №619 (1946 წ.) და №679 (1947 წ.) სამარხებში არაბული ფელსის აღმოჩენას (საინტერესოა, რომ იმავე №619 სამარხში აღმოჩნდა ლეონ I (V ს.) მონეტაც) (უგრელიძე 1967: 74-75). მაგრამ უკანასკნელ წლებში, არაბულ ფელსად მიჩნეული მონეტები სასანურ მონეტებად განისაზღვრა<sup>21</sup>. ამდენად, თარიღი – VIII საუკუნე – ვფიქრობთ, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.

ფიქრისგორაზე აღმოჩენილი ბრონეულის ნაყოფის და ყვავილის გამოსახულებიანი საკინძების ერთი ნაწილი დახვეწილი ნაკეთობაა და სწორედ ამ დახვეწილ ნაკეთობას აქვს ოქროს ვარდულები, ხოლო მეორე ნაწილი უფრო უხეში, მასიური და ბრინჯაოს ვარდულებით შემკულია. ვფიქრობთ, ის სოციალური ყოფის გამოხატულება უნდა იყოს, რადგან სამარხები რომლებშიც ისინი აღმოჩნდა ძირითადად მაინც V-VI სს. უნდა დათარიღდეს (№3 (2014 წ.) სამარხი ინვენტარის მიხედვით VI ს. უნდა თარიღდებოდეს, №65 სამარხი ერთი მხრივ ორწილადი აზინდის და მეორე მხრივ მიცვალებულთა დაკრძალვის სტატიგრაფიის (პერიოდულობის) საფუძველზე V-VI სს. უნდა განისაზღვროს, ხოლო №119 სამარხის შემთხვევაში, ბავშვის დაკრძალვის პერიოდი, რომელსაც ბრონეულის ყვავილიანი მძივით შემკული საკინძი აღმოაჩნდა, ასევე V-VI სს. უნდა მოდიოდეს).

**II ჯგუფის VII ტიპში** გაერთიანებული საკინძები გამორჩეულია და ერთმანეთისგან განსხვავებუ-

<sup>21</sup> მონეტების სასანური წარმოშობა დაადასტურა მედეა ნონელიამ.

ლი. მათ აერთიანებს ინკრუსტაცია, ცვარას ტექნიკა და მასალა: ყველას ბრინჯაოს ღერო და ოქროს თავი აქვს.

I ქვეტიპში ორი სახის საკინძი ერთიანდება (ტაბ. LXXIII<sub>4-5</sub>, LXXVIII<sub>14</sub>): 1. ნყვილი საკინძი (ინვ. №70,71), რომელთა თავი წარმოადგენს ოქროს ოთხკუთხედ თვალბუდე. ზურგის და პირის ფირფიტა ერთმანეთთან მიმაგრებულია გვერდითა ნახნაგზე დარჩილული წვრილი სარტყლით. გვერდებზე დასმულია 13-14 ცვარას ბურთულა. ზურგი სადაა, პირის მხარეს გაკეთებულია ორი ბუდე, მთავარ ბუდეში ზის ძონის თვალი, ხოლო მის თავზე, პატარა ბუდეში ჩასმულია ლურჯი პასტა. თვალბუდე ქვემოთა ნახნაგზე გაკეთებული აქვს ოქროსავე მუხლი (ინვ. №71 მუხლის მაგივრად სამი გაცალკევებული ღერო აქვს მორჩილული), რომელშიც სპილენძის ღერაკია გაყრილი. საკინძის სპილენძისავე ღერო ამ მუხლშია შესმული და სიმაგრისათვის ოქროს თვალბუდეშია ჩამაგრებული. ინვ. №71 საკინძის ღერო თავის დროსვე დაზიანებულია და სახსარში მისი მიმაგრებისთვის ოქროს შუა რგოლსა და სპილენძის ღეროზე შემოხვეულია სპილენძის მავთული. 2. სპილენძის ღერაკიანი საკინძი ოქროს თავით (მმ №4483). ის წარმოადგენს ოქროს ფურცლისგან დამზადებულ სამყურა ფოთლისებურ თვალბუდეს, რომელშიც ჩასმულია ძონის თვალი. თვალბუდე გარშემო ცვარას მწკრივი შემოსდევს.

პირველი საკინძების ანალოგი ჩვენთვის მხოლოდ ერთია ცნობილი. ის სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი ფ. ბაიერნის გათხრების დროს, თუცმა, უცნობია მისი კონტექსტი<sup>22</sup>. რაც შეეხება ამ საკინძეთა ცალკეულ დეტალებს ისინი გვიანანტიკური ხანის ძეგლებზე მეორდება (ცვარას გამოყენება, ინკრუსტაცია). სწორედ ამ დეტალებით, ისინი მსგავსია ტუიაქორორას IV ს. №4 სამარხში აღმოჩენილი საკინძებისა (ნიკოლაიშვილი 1978: 158-159).

II ქვეტიპის საკინძი (ინვ. №72) ორწილადია (ტაბ. LXXIII<sub>6</sub>, LXXVIII<sub>15</sub>): ღერო სპილენძისაა. მასზე დასმულია სპილენძისავე საყრდენი რგოლი, რომელზეც დარჩილულია ოქროს დაფანჯრული, ელიფსური, ოთხნახნაგიანი ფუყე ბურთულა. თითოეულ ნახნაგზე ამოჭრილია თვალის ფორმის ბუდე, რომელშიც ინკრუსტაციის წესით ჩასმული იყო ძონის ასეთივე ფორმის თვლები. საკინძი ბოლოვდება მარგალიტის პატარა მძივით. საკინძს ანალოგი აღმოჩენილია სამთავროს სამაროვანზე ფ. ბაიერნის გათხრების დროს, თუმცა კონტექსტი და თარიღი უცნობია<sup>23</sup>. ცალკეული დეტალებით მას მსგავსები ეძებნება (მაგალითად, ასეთივე ჩარჩოს მქონე საკინძი აღმოჩენილია მოდინახეს IV ს. №3 სამარხში, ჟინვალის III-IV სს. №357 სამარხში (აფხაზავა 1979: XII16; ჩიხლაძე 1999: ტაბ. XXXV)). განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ სამთავროს №905 მდიდრულ სამარხში (III ს.) აღმოჩენილი საკინძები, რომელთაც საკინძებისგან განსხვავებით, ცვარას ბურთულები აქვთ დამატებული (აფაქიძე... 1996: 27-28).

III ქვეტიპის საკინძი ინვ. №73 ორწილადია (ტაბ. LXXIII<sub>7</sub>): სპილენძის ღეროზე წამოცმულია ოქროს გავარსიანი (ცრუცვარას) მავთულით გაკეთებული ჭვირული ბიკონუსი, რომლის შუა ნაწილი მავთულის სარტყელია. მასზე პროპორციულად მიმაგრებულია ასეთივე მავთულით გაკეთებული ოთხფურცელა ვარდულები. საკინძი ბოლოვდება პატარა მარგალიტის მძივით. საკინძს ჩვენთვის ცნობილ არტეფაქტებში ანალოგი არ ეძებნება.

როგორც ვხედავთ, აღნიშნული ოქროს საკინძების ცალკეული დეტალები მსგავსებებს პოულობს ძირითადად გვიანანტიკურ, კერძოდ IV ს. სამკაულთან, ამიტომ ვფიქრობთ, ამ შემთხვევაშიც ისინი შორს არ უნდა გაცდეს ამ თარიღს. ამავე სამარხში აღმოჩენილი ფრინველისა (იხვის ?) და ჯვრების გამოსახულებიანი აქატის საბეჭდავის ასაკის გათვალისწინებით კი, ვფიქრობთ, სამარხი V საუკუნის დასაწყისს არ უნდა სცდებოდეს.

IV ქვეტიპის საკინძი ერთ-ერთი არქაული უნდა იყოს (ტაბ. LXXIII<sub>8</sub>, LXXVIII<sub>16</sub>). ესაა ბრინჯაოს ღეროზე წამოცმული ოქროს ზარაკისებური ფირფიტა, რომელზეც ცვარასა და ოქრომკედის პრინციპით ვოლუტებია დასმული (ინვ. №204). დიდი ალბათობით, მასში ძვირფასი თვალი უნდა მჯდარიყო. მსგავსი საკინძები (მაგრამ სადა ოქროს სამაგრებით) აღმოჩენილია რუსთავის სამა-

<sup>22</sup> საკინძი დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის სამთავროს ფონდში. გამოქვეყნებული აქვს პ. უვაროვას: Уварова П. Коллекции Кавказского Музея. Археология. Т. V. Тифлис. 1902г.  
<sup>23</sup> საკინძი დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის სამთავროს ფონდში. გამოქვეყნებული აქვს პ. უვაროვას: Уварова П. Коллекции Кавказского Музея. Археология. Т. V. Тифлис. 1902г.

როვანზე და გამთხრელთა მიერ IV-V სს. არის დათარიღებული (პაჭიკაშვილი 2014: 81).

V ქვეტიპის საკინძები წყვილია (ინვ.№205-206) (ტაბ. LXIII<sub>10</sub>, LXXVIII<sub>17</sub>). ესაა ბრინჯაოს ღეროზე მიმაგრებული ოქროს მოცვარული ოთხი ტიხარი, რომელშიც პასტის ცრემლისებური თვალია ჩასმული.

VI ქვეტიპის საკინძი (ინვ.№218-219) ასევე წყვილია (ტაბ. LXIII<sub>9</sub>, LXXVIII<sub>18</sub>). მათი თავი შედგენილია ოქროს ერთმანეთთან მაღალი ტიხრით დამაგრებული ორი ფირფიტისაგან. ზედა ფირფიტის შუაში გაკეთებულია ოქროსავე მაღალი თვალბუდე, რომელშიც მინის თვალი ზის. თვალბუდის გარშემო ფირფიტაზე ცვარას ბურთულების ორი მწკრივი შემოუყვება. გვერდითა ტიხარი გახვრეტილია სიმეტრიულად მთელს პერიმეტრზე და მასში ჩამაგრებულია ბრინჯაოს ღერაკები, რომლებზეც ასხმული იყო მარგალიტის მძივები. თავის ქვედა ფირფიტის ცენტრში გაკეთებულია ბრინჯაოს სასახსრე რგოლი, რომელზეც მოძრავადაა მიმაგრებული საკინძის ბრინჯაოს ღერო. მსგავსი საკინძები აღმოჩენილია თრანის ბალების №4 სამარხში, რომელიც ბ. ჯორბენაძემ შედარებითი ანალიზის საფუძველზე V-VI სს. დაათარიღა. ხოლო ასეთივე საკინძებად დაასახელა არმაზისხევის და ახალი ჟინვალის მასალა (ჯორბენაძე 1982: 57-58, 74-75, აფაქიძე... 1955: 144, ტაბ. CXVIII<sub>26,29</sub>; Рамишвили... 1979: 190). მედალიონისებურთავიანი მოცვარული საკინძები აღმოჩენილია ქვემო ალევის სამაროვანზეც, რომელთაც ნ. აფხაზავა VII ს. ათარიღებს (აფხაზავა 1988: 85-87). ფიქრისგორის №132 სამარხში აღმოჩენილი ინვენტარის ურთიერთმიმართების საფუძველზე (სანელსაცხებლე, საკინძები), ვფიქრობთ, აღნიშნული სამარხი V ს. უნდა განისაზღვროს.

#### 4. საყურები. სამაროვანზე ორი განსხვავებული ტიპითაა წარმოდგენილი:

**I ტიპში** ოქროს ორი წყვილი და ერთი საყურე ერთიანდება (ტაბ. LXIV<sub>1</sub>, LXXVII<sub>8</sub>), მათგან ინვ.№13-14 და 203 სრულადაა შემორჩენილი, №16-17 კი მხოლოდ საკიდების სახით. ინვ.№13-14 ორწილადაა: ყურში გასაყრელი რკალი ოქროსია, ხოლო მოძრავი ღერო — ბრინჯაოსი. რკალი გვერდზე გახსნილია, მასზე მირჩილულ ყუნწზე ჩამოკიდულია ბრინჯაოს ღერო, რომელზეც აცმულია ოქროს ვარდულებში მოქცეული პასტის და მარგალიტის ბურთულა მძივები. ასეთივე უნდა ყოფილიყო ინვ.№16-17 საყურეებიც, რომელთა მხოლოდ საკიდები შემორჩა. ესაა ბრინჯაოს ღერაკზე აცმული სარდიონისა და მარგალიტის ბურთულა თვლები, რომლებიც ოქროს ვარდულებითაა ერთმანეთისგან გამოყოფილი. რაც შეეხება ინვ.№203-ს ესეც წარმოადგენს ოქროს ყურში გასაყრელ რგოლს თავისი ჩამკეპით და რგოლზე მირჩილული ორი საკიდით, რომელზეც ჩამოკიდულია ბრინჯაოსა და ოქროს ღერაკებზე ასხმული ოქროს რგოლები, სარდიონისა და მარგალიტის მძივები. განსახილველი საყურეები მცირე სახესხვაობებით ძლიერ დამახასიათებელი სამკაულია ქართლის მოსახლეობისათვის. მსგავსი საყურეები აღმოჩენილია სამთავროს №5 (1938 წ. N), ურბნისის №5 და 10, არმაზისხევის №2,40,41,42,43,49, ახალგორის და მოდინახეს №17,18,29 სამარხებში, რომლებიც ზუსტად თარიღდებიან IV საუკუნით (აფაქიძე... 1955: 40-46, 110-128; ქილაშვილი 1964: სურ.348; ნადირაძე 1975: გვ.54-55, სურ.7; აფხაზავა 1979: 70-71, ტაბ.V<sub>10</sub>). შესაბამისად, ფიქრისგორის საყურეებიც IV ს. უნდა დათარიღდეს. №8 სამარხში აღმოჩენილი ინვენტარი წინააღმდეგობაში არ მოდის ამ დათარიღებასთან, ამდენად, ვფიქრობთ, სამარხის ასაკად IV ს. მივიჩნით.

**II ტიპში** ვაერთიანებთ ერთი მასალით დამზადებულ თავგახსნილ რგოლებს (ტაბ. LXIV<sub>2</sub>, LXXVII<sub>9</sub>). მათგან ერთი ოქროსია (ინვ.№106) და წარმოადგენს ოვალური მოყვანილობის გასაყრელთან გახსნილ რგოლს. იგი ქვედა ნაწილში მსხვილდება და ოთხნახნაგად იშლება. ანალოგიური საყურე აღმოჩენილია სამთავროს №970 სამარხში, რომელიც III-IV ს. I ნახევრით თარიღდება (აფაქიძე... 2001: 24-28). მსგავსი, მაგრამ უნახნაგო, ვერცხლისა და ბრინჯაოსგან დამზადებული საყურეები დადასტურებულია მცხეთისგორის №1 სამარხში, სამთავროს №542,564,591 სამარხებში, ავჭალისკარის სამარხებში და ყველა შემთხვევაში III-IV სს. I ნახევრით თარიღდება (ნიკოლაიშვილი... 1985: 132-133, მანჯგალაძე 1985: 90-94, 104). ფიქრისგორის საყურე ე.წ. წინიბოსებრი საყურეების ნაირსახეობად უნდა მოვიაზროთ. ასეთი საყურეები, რომლებიც უმეტესად ოქროსაგანაა დამზადებული (თუმცა, გვხვდება ვერცხლისა და ბრინჯაოსიც), ფართოდ გავრცელებულ ტიპს წარმოადგენს და გვხვდება სამთავროს სამაროვნის 1938-39 წლების №29,41,53,89,104,240,806,826 სამარხებში (Ивашенко 1980: 102-103; ბიბილური 1983ბ: 167-168), 1976-1977 წწ. №110,246 (მანჯგალაძე 1985: 48-49,57), 1981წ. №605 (ბიბილური 1983ა: 39-

43), არმაზისხევის №3 ბერსუმა პიტიახმისა და №9 (აფაქიძე... 1955: 49,99), ქუშანანთგორის №4ა (რამიშვილი 1979ა: 44-45,84), ახალი ჟინვალის №5 (რამიშვილი 1983: 93-94), ჟინვალის №232,357,476 (ჩიხლაძე 1999: 81, ტაბ. XXXI, XXXV, LXII) და სხვა სამარხებში. ყველა მათგანი თარიღდება III-IV სს.

ფიქრისგორის №58 სამარხში სხვა ნივთი არ აღმოჩენილა, და ვინაიდან ამ საყურის ანალოგი III-IV ს. I ნახევრის სამარხშია აღმოჩენილი, ამასთან, მას დიდი ხნის ხმარების კვალი არ ემჩნევა, ამიტომ აღნიშნული სამარხიც ამავე პერიოდით უნდა დათარიღდეს.

ამავე ტიპის საყურეთა რიცხვს მიეკუთვნება სამაროვანზე აღმოჩენილი ბრინჯაოს საყურეებიც (ინვ. №120, 133, 148, 149), თავთან გახსნილი, და შუაში შემსხვილებული ღერძით, თუმცა, ვინაიდან ისინი დახვეწილობით ჩამორჩებიან ინვ. №106-ს, შესაძლოა უფრო გვიანი პერიოდით დათარიღდნენ. საინტერესოა, რომ აღნიშნული საყურეები ყველა შემთხვევაში თითო ცალად დადასტურდა სამარხში და ყველა შემთხვევაში ისინი მამაკაცის სამკაულს წარმოადგენენ.

**5. სასაფეთქლე რგოლები** სამაროვანზე სულ ოთხი ცალია აღმოჩენილი, ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი მავთულისგანაა დამზადებული და უსახურია (ინვ. №253, მმ №11297, 11319, 11322).

**6. საკიდები** ფიქრისგორის სამაროვანზე 3 ცალია აღმოჩენილი (ინვ. №11, 12, 26). ყველა ოქროსია. მათგან ორი — ინვ. №11-12 ერთმანეთის ანალოგია. აქვთ ზარაკისებრი მოყვანილობა. წარმოადგენენ ყუნწზე მიმაგრებულ ნახევარწრიულ ორმაგ ფურცელს, რომლებიც ერთმანეთთან ვიწრო ფირფიტითაა შეერთებული. წინა მხარეს, კიდეზე ჰორიზონტალურად და შუაში ვერტიკალურად მირჩილული აქვთ ჩალარული სარტყელი (ტაბ. LXIV<sub>3</sub>, LXXVII<sub>6</sub>). მსგავსი ოქროს საკიდები აღმოჩენილია სამთავროს №501 და არმაზის დასახლების №11 სამარხებში, რომლებიც III-IV სს. თარიღდება (მანჯგალაძე 1985: 65) და არმაზისხევის №1 (ასპარუგის), №3 (ბერსურმას) და №6, II-III სს. სამარხებში (აფაქიძე... 1955: 30, 49-50, 72).

მესამე საკიდი (ინვ. №26) ორწილადაა (ტაბ. LXIV<sub>4</sub>, LXXVII<sub>7</sub>): ოქროს თავებგახსნილ რგოლზე მირჩილულია ყუნწი, მასზე ჩამოკიდულია ოქროსავე ღერაკი, რომელზეც წამოცმულია ოქროს ბიკონუსური ფორმის ძივი, მწვანე პასტის თვალი და ოქროს ორი ვარდული. ანალოგიური საკიდი თანადროულ მასალაში ჩვენთვის უცნობია, მაგრამ თავისი ტიპოლოგიით ის ძალიან გავს ჩვენს მიერ უკვე განხილულ I ტიპის საყურეებს, ამიტომ ვფიქრობთ მისი ასაკიც ამავე პერიოდით — IV ს. უნდა დათარიღდეს. ამ საკიდის ასაკი კარგად ეთანხმება ამავე სამარხში აღმოჩენილ მხრებნიბოიან ოქროს ბეჭდის (ინვ. №24) ასაკს, რომელიც III საუკუნეშია ფართოდ გავრცელებული, თუმცა გვხვდება IV საუკუნის სამარხებშიც (იხილეთ ქვემოთ).

**7. აბზინდა** ხუთი ცალია სამაროვანზე აღმოჩენილი (ინვ. №45, 142, 209, 259, მმ №11321). ყველა ბრინჯაოსია და ორ ჯგუფად ერთიანდებიან: ერთწილადა და ორწილადა აბზინდები. ერთწილადა აბზინდები თავის მხრივ წარმოდგენილია სამი ქვეჯგუფით: ა) ოვალური ფორმის მრგვალგანივკვეთიანი რკალის მქონე აბზინდები (ინვ. №45, 142), ბრტყელი ენა მოკაუჭებული და რკალზე გადასული აქვთ (ტაბ. LXV<sub>1-2</sub>, LXXVII<sub>3</sub>). ასეთივე ფორმის აბზინდა აღმოჩენილია ჟინვალის ნაქალაქარზე №110 ორმოსამარხში, რომელიც გამთხრელს ახ.წ. III ს. აქვს დათარიღებული (ჩიხლაძე 2015: 41-42, ტაბ. XX<sub>29</sub>), ერნოში, ს. ჯიჯეთში გათხრილ სამარხში, რომელსაც ბ. ჯორბენაძე VI-VII სს. ათარიღებს (ჯორბენაძე 1982: 61-62, 79, ტაბ. XVIII<sub>15</sub>); ბ) ე.წ. „ჰერალდიკური“ აბზინდა (მმ №11321). ჩარჩო მართკუთხედაა, ფარაკი მომრგვალებული და „შეისრული“, ენა შუაში გაკეთებულ ნახვრეტზეა დამაგრებული, მოკაუჭებულია და ჩარჩოზე გადადის (ტაბ. LXV<sub>3</sub>). ჰერალდიკური აბზინდები ფართოდაა ცნობილი VI-VII საუკუნეების აღმ. ევროპასა და კავკასიაში. აღმოჩენილია საქართველოს თანადროულ სამარხებშიც. მაგალითად, სამთავროს №1 (1939 წ. N უბანი), №216 (1940 წ. შ უბანი), №675 (1947 წ. N უბანი), №810 (1958 წ.) სამარხებში (აფხაზავა 1979: 46-47); გ) ნახევარწრიულჩარჩოიანი ორმაგი აბზინდა (ინვ. №259), ბრტყელი რკალზე გადასული ენით (ტაბ. LXV<sub>4</sub>, LXXVII<sub>4</sub>). ანალოგიური აბზინდა საქართველოში აღმოჩენილ და გამოქვეყნებულ მასალაში ჩვენთვის უცნობია, მაგრამ ცალმაგი ნახევარწრიული აბზინდები ნ. აფხაზავას IV-V სს. აქვს დათარიღებული (აფხაზავა 1979: 45).

რაც შეეხება ორწილად აბზინდებს, ის ერთი ცალია სამაროვანზე აღმოჩენილი (ინვ. №209) (ტაბ. LXV<sub>5</sub>, LXXVII<sub>5</sub>). ქამარზე დასამაგრებელი ფარაკი მრგვალია, აქვს შუაში გაჭრილი ენა, რომელიც ორადაა გაკეცილი და დამაგრებულია მანჭვლით. ენაში მოძრავადაა შესმული მრგვალი აბზინ-

დის რკალი და ენა, რომელიც თავთან მოკაუჭებულია და აბზინდის რკალზე ზემოდან გადადის. ასეთივე აბზინდა აღმოჩენილია ჟინვალის სამაროვნის №17 ორმოსამარხში, რომელიც III ს. თარიღდება (ჩიხლაძე 2015: 36-37, ტაბ. LI<sub>50</sub>). ნ. აფხაზავა კი მსგავს აბზინდებს IV-V სს. ათარიღებს (აფხაზავა 1979: 42-43).

საინტერესოა, რომ ფიქრისგორაზე აღმოჩენილი აბზინდები მამაკაცთა ინვენტარს წარმოადგენს (არ გვაქვს მონაცემები 1975 წ. გათხრილ სამარხზე, რომელშიც „ჴერალდიკური“ აბზინდა აღმოჩნდა).

**8. ბეჭდები** ერთ-ერთი მრავალრიცხოვანია მოპოვებულ მასალაში. გვაქვს როგორც ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოსა და რკინისგან დამზადებული ბეჭდები, ისე ნახევრადძვირფას ქვებში ნაკვეთი და მინის ბეჭდები. ისინი ტიპოლოგიურადაც განსხვავდებიან ერთმანეთისგან:

1. ბეჭედი ოქროსი (ინვ. №24) (ტაბ. LXV<sub>6</sub>, LXXVIII<sub>19</sub>), გვერდებისკენ განზიდული რკალი სამნახნაგია, მკვეთრად გამოხატული კონტურებით. ბეჭედს ჴორიზონტალური მხრები აქვს. მხრებთან რკალი ფართოვდება და მსხვილდება. მხრები გადადის კვადრატული ფორმის თვალბუდეში. ბუდე ოდნავ შედრეკილძირიანია. თვალბუდეში ნაკვეთილი ჴირამიდის ფორმის მომწვანო ფერის მინის თვალი ჴის. ანალოგიური ბეჭედი, ჩვენთვის ცნობილ მასალებში არ გვხვდება, მაგრამ მისი მახასიათებელი — განზიდული, მხრებთან შემსხვილებული და სამნახნაგია რკალი — კარგადაა ცნობილი თავად მცხეთის სამაროვნებიდან (სვეტიცხოველი V №29 სამარხი, სამთავროს 1976-1980 წწ. №124, 134, 164, 207, 257, 605). ამ ტიპის ბეჭდები ჴუსტად თარიღდება III საუკუნით (ლორთქიფანიძე 1954: 23-24), თუმცა იმავე სვეტიცხოვლისა და სამთავროს სამაროვანზე ის არა მხოლოდ III საუკუნის სამარხებში ჩნდება, არამედ III-IV სს. დათარიღებულ სამარხებშიც (მანჯგალაძე 1985: 99-107; აფაქიძე... 1989: 45-46, 54-57).

2. ბეჭდები ოქროსი (ინვ. №38, 93) (ტაბ. LXV<sub>7,8</sub>, LXXVIII<sub>20</sub>). ორივეს დაკეჭნილი, მავთულოვანი რკალი აქვს. ინვ. №38-ის შემთხვევაში, რკალზე მირჩილულია ნაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმის, შუაში გაგანიერებული, შედრეკილძირიანი თვალბუდე, რომელშიც ამობურცული, ორნახნაგოვანი ოვალური ძონის თვალი ჴის. ინვ. №93-ის შემთხვევაში კი, თვალბუდე კვადრატულია და მის ორივე მხარეს, მხრებზე მომცრო ჴომის მრგვალი თვალბუდეებია დასმული. თვალბუდეებში მწვანე პასტის და მარგალიტის თვლებია ჩასმული. მსგავსი დაკეჭნილრკალიანი ბეჭდები აღმოჩენილია არმაზისხევის №43-ე ქვის სამარხში, რომელიც IV ს. თარიღდება (აფაქიძე... 1955: 119-124), ასევე სამთავროს №2, 134, 705, 976 სამარხებში, რომლებიც III-IV სს. თარიღდება (მანჯგალაძე 1985: 73-74).

ფიქრისგორის ინვ. №93-თან ერთად სამარხში აღმოჩნდა ასევე V საუკუნის სასანური მონეტები, რაც ცხადყოფს, რომ ამ შემთხვევაში ადრეული ბეჭდის გვიანი დროის (ერთი საუკუნით მაინც) სამარხში ჩატანების შემთხვევასთან გვაქვს საქმე. რაც შეეხება ინვ. №38-ს, ამ შემთხვევაშიც, №30 სამარხში აღმოჩენილია საკინძები, რომელთა ასაკი, ვერაფრით ვერ დაინევს V საუკუნეზე დაბლა. ამიტომ, ამ შემთხვევაშიც, ვფიქრობთ, ბეჭედი გვიანი დროის სამარხში უნდა იყოს ჩატანებული.

3. ბეჭედი ოქროსი (მმ №4481) (ტაბ. LXV<sub>9</sub>). მრგვალგანივკვეთიანი რკალი მირჩილულია მრგვალ თვალბუდეზე, რომელშიც პასტის მძივი მჯდარა. მსგავსი ბეჭედი აღმოჩენილია სამთავროს №870 სამარხში, ხოლო ანალოგიური მოყვანილობის ინვენტარი ცნობილია სამთავროს №612 სამარხიდან, რომელსაც მკვლევარები რკალთან მცირედ გახსნილობის გამო საყურეებად მიიჩნევენ (აფაქიძე... 1995: 18). ორივე სამარხი გვიანატკური პერიოდისაა.

4. ბეჭედი ვერცხლისა (ინვ. №27) (ტაბ. LXV<sub>10</sub>). შემორჩენილია მხოლოდ თვალბუდე. ოვალური ფორმის თვალბუდეში ძონის ასეთივე თვალი ჴის. თვალბუდის ოთხივე მხარეს მისმულია კოპები. ანალოგიური ბეჭდები ქართლის სამაროვნებზე ჩვენთვის უცნობია, მაგრამ ბეჭდის გვერდებზე მისმული კოპები დამახასიათებელია გვიანანტიკური პერიოდის ბეჭდებისთვის (მსგავსი ბეჭდები აღმოჩენილია სამთავროზე) (ლორთქიფანიძე 1954: 53, 61).

5. ბეჭედი ვერცხლისა (მმ №11316) (ტაბ. LXV<sub>11</sub>). რკალი ოვალური ფორმისაა, მხრები მეტ-ნაკლებად კუთხოვანი. რომბისებური ფარაკის თავები დამაგრებულია გულის მოყვანილობის ორგან გახვრეტილ ფირფიტაზე.

6. ბეჭედი ვერცხლისა (ინვ.№94) (ტაბ.LXV<sub>12</sub>). რკალი ბრტყელია და მასზე მთლიანად დაუყვება ღარი. რკალზე დარჩილულია ბრტყელი მრგვალი თვალბუდე, რომელშიც ასეთივე ფორმის ლურჯი მინის თვალი მჯდარა.
7. ბეჭდები ბრინჯაოსი და ვერცხლისა (ინვ.№95,124,135,261) (ტაბ.LXV<sub>13</sub>, LXVI<sub>1-3</sub>, LXXVIII<sub>21</sub>). რკალი მრგვალგანივკვეთიანი აქვთ, რომელზეც მირჩილულია მრგვალი, ოვალური ან მართკუთხა მაღალი თვალბუდე. მათში გამოირჩევა ინვ.№135, რომელსაც მართკუთხა თვალბუდე მოოქროვილი აქვს და მასში ძონის ამობურცული თვალი ზის. ვინრო წახნაგებზე კი მარგალიტის მძივები აქვს მიმაგრებული. იდენტური ბეჭედი ჩვენთვის უცნობია აღმოსავლეთ საქართველოს სინქრონულ ძეგლებზე, თუმცა ცალკეული დეტალებით მსგავსი ბეჭდები ადრეშუა საუკუნეების სამაროვნებზე ბევრია.
8. ბეჭედი ბრინჯაოსი (ინვ.№249) (ტაბ.LXVI<sub>4</sub>), აქვს ბრტყელგანივკვეთიანი რკალი, რომელიც მხრებთან ფართოვდება და გადადის დაბალ მრგვალ თვალბუდეში. მასში ლურჯი პასტის ბრტყელი თვალი ზის, არაა გამორიცხული მძივის გატეხილი ნაწილი იყოს. მსგავსი ფორმის ბეჭდები აღმოჩენილია მცხეთის სხვადასხვა სამაროვნის გვიანანტიკურ და ადრეული შუა საუკუნეების სამარხებში (ბაიათხევი (ნიკოლაიშვილი... 1995: 97-134), სამთავრო, კამარახევი<sup>24</sup>), მოდინახეს ამავე პერიოდის სამაროვანზე (ბრაგვაძე... 2002: 102-103) და სხვა. მასთან ერთად სამარხში სხვა ინვენტარი არ აღმოჩენილა, ამდენად, სამარხის თარიღად ადრეული შუა საუკუნეები უნდა მივიჩნიოთ.
9. ბრინჯაოს ბეჭდები (ინვ.№184,231) (ტაბ.LXV<sub>15-6</sub>, LXXVIII<sub>21</sub>) მრგვალგანივკვეთიანი ღეროთი. ერთს ოდნავ გაფართოებული ოვალური ფარაკი აქვს, ხოლო მეორეს მრგვალი და გაშლილი მხრიანი ფარაკი. ორივე ბეჭედი საბეჭდავია (იხ. ქვემოთ, გემა-ინტალიოებში).
10. რკინისა და ბრინჯაოსგან დამზადებული ბეჭდები (ინვ.№20,43,49,63,64,129,11303) (ტაბ.LXV<sub>17</sub>, LXXVIII<sub>22</sub>), რომელთაც მრგვალგანივკვეთიანი რკალი და მასზე დარჩილული მრგვალი ფირფიტოვანი თვალბუდე აქვთ. თვალბუდეში მჯდარა მინის ბრტყელი ან ნაკვეთილკონუსური თვალი. ყველა ბეჭედი ნაკლულია და ძლიერ დაზიანებული. №20,63,64 ბეჭდები IV-V სს. დათარიღებული მასალის შემცველ კომპლექსებშია აღმოჩენილი, ამიტომ ვფიქრობთ, მსგავსებიდან გამომდინარე, ინვ.№43,49,11303-ც ამავე პერიოდით შეიძლება დათარიღდეს.
11. რკინის ბეჭედი (ინვ.№96) (ტაბ.LXVII<sub>1</sub>). მრგვალგანივკვეთიანი ღერო მსხვილდება და გადადის მოგრძო ფარაკში. ძლიერ დაჟანგულია, ამიტომ გაურკვეველია იყო თუ არა გამოსახულება ფარაკზე.
12. ბრინჯაოს და რკინის სადა რგოლებისგან დამზადებული ბეჭდები (ინვ.№53,181,252) (ტაბ.LXVII<sub>1</sub>).
13. რკინის ბეჭდები მრგვალგანივკვეთიანი რკალით (ინვ.№199,207,213), რომელიც მხრებთან ოდნავ მსხვილდება და მრგვალ ფარაკში გადადის. ძლიერი დაჟანგულობის გამო გამოსახულებების არსებობის დადგენა შეუძლებელია (ტაბ.LXVII<sub>1</sub>).
14. მინის ბეჭედი (ინვ.№61). მწვანე ფერისაა. წარმოადგენს სადა, ბრტყელგანივკვეთიან რგოლს. მსგავსი ბეჭდები დამახასიათებელია ადრეშუა საუკუნეების პერიოდისთვის.
15. სხვადასხვა ჯიშის ქვისგან დამზადებული ბეჭდები, სულ 8 ცალია (ინვ.№57-60,76,77,189,244) (ტაბ.LXVII<sub>2</sub>, LXVIII<sub>1,4</sub>, LXXVIII<sub>23</sub>). მათგან ოთხი სარდიონისაა, ერთი ქალცედონისა, სამიც აქატისა. ყველა ერთი ფორმისაა: რკალი შიგნიდან ბრტყელია, გარედან ამობურცული. ერთ მათგანს რკალის დაწახნაგებული (დაკეჭნილი) აქვს (ინვ.№58). რკალი მხრებისკენ ფართოვდება და გადადის რკალის ნაკვეთით მიღებულ საბეჭდავ ნაწილში. საბეჭდავის ზედაპირი ბრტყელი და ოვალურია. მსგავსი ფორმის ბეჭდები აღმოჩენილია სამთავროს სამაროვნის №450 (1940 წ. N), №734 (1948 წ. N), №909, მოგვთაკარის №6, ბაიათხევის №11,20,35, ავჭალისკარის №45 და საგურამოში №1

<sup>24</sup> მასალის ერთი ნაწილი გამოუქვეყნებელია. დაცულია დიდი მცხეთის სახელმწიფო არქეოლოგიურ მუზეუმ-ნაკრძალში.

სამარხებში. ყველა მათგანი III-V სს. განეკუთვნება. აღნიშნული ფორმის ბეჭდები მ. ლორთქიფანიძეს ჴენკელის დამონებებით დათარიღებული აქვს III-IV სს., ხოლო ქ. რამიშვილს ბივარის დამონებებით — IV-V სს. (ლორთქიფანიძე 1954: 46,50; რამიშვილი 1979ბ: 100-101, 126-127).

ქვაში ნაკვეთი ბეჭდების მკვლევართა მიერ მიღებული დათარიღება III-V სს. სრულად ეთანხმება ფიქრისგორაზე აღმოჩენილი ბეჭდების თანმხლებ არტეფაქტთა თარიღებს.

ფიქრისგორის სამაროვანზე 9 გემა-ინტალიოა აღმოჩენილი. მათგან ოთხი ქვაში ნაკვეთი ბეჭედი, ერთი წითელი სარდიონის თვალია, რომელიც ბეჭედში უნდა მჯდარიყო, მაგრამ სამარხში ის არ აღმოჩენილა ორი ბეჭდის ფარაკზე მოცემული საბეჭდავია, ორიც სარდიონისა და ბრინჯაოსგან დამზადებული ჩამოსაკიდი საბეჭდავები, რომელთა გაფართოვებული გვერდი ნაკვეთილია და მასზე გამოსახულებაა დატანილი (სამაროვანზე აღმოჩენილ გემა-ინტალიოებზე მ. მშვილდაძის კვლევა იხილეთ ქვემოთ).

**9. კილიტები** სამაროვანზე სულ 2 ცალია აღმოჩენილი (მმ№4482) (ტაბ. LXXIX<sub>1</sub>). ორივე ოქროსია და ტიპიურია გვიანანტიკურ პერიოდში ქართლის სამაროვანზე აღმოჩენილი კილიტებისა (ნიკოლაიშვილი... 1995: 115; ნიკოლაიშვილი... 2012: 67-81; ბიბილური 1983ა: 39-43).

**10. სამაჯურები** სამაროვანზე წარმოდგენილია ბრინჯაოს, რკინისა და მინის სამაჯურების ხუთი ტიპით (ტაბ. LXXIX<sub>2-6</sub>): I. რკინის მრგვალგანივკვეთიანი თავგახსნილი რგოლი (ინვ. №132); II. ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი თავგახსნილი რგოლი, რომლის ბოლოებიც დაბტყელებული და დაჭდეულია (ინვ. №138, 233) (ტაბ. LXXIX<sub>1,2</sub>). III. რკინის ბრტყელგანივკვეთიანი სამაჯური მრგვალი ფარაკისებრი ჩანართებით (ინვ. №195) (ტაბ. LXXIX<sub>3</sub>). IV. ბრინჯაოს მავთულოვანი სამმაგი გრენილი (ინვ. №82), რომლის ბოლოები ერთმანეთზე კაუჭის საშუალებით იყო დამაგრებული. აღნიშნული ტიპის სამაჯურები დროის საკმაოდ ფართო მონაკვეთშია გავრცელებული (ელინისტური პერიოდიდან ვიდრე ადრე შუა საუკუნეებამდე). აღმოჩენილია ჟინვალში, წინამურში, სამთავროში (ჩიხლაძე 2015: 10-12, 21-24, ტაბ. III<sub>284</sub>, IV<sub>294</sub>, X<sub>369</sub>; მანჯგალაძე 1975: სურ. 337). V. მინის მრგვალგანივკვეთიანი მთლიანი რგოლი (ინვ. №137) (ტაბ. LXXIX<sub>4</sub>).

**11. მძივები** ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაპოვარია სამაროვანზე. ისინი აღმოჩენილია როგორც ქალის სამკაულის დეტალებად, ისე ბავშვის ამულეტებად. დამზადებულია ძონის, სარდიონის, მთის ბროლის, პასტის, მინისა და ბრინჯაოსგან (ტაბ. LXX). ფორმითაც საკმაოდ მრავალფეროვანია: მრგვალი, სფერული, ბრტყელი, ცილინდრული, კასრული, ნაკვეთილგვერდიანი და იოტისებური. სამაროვანზე ერთ-ერთი მრავალრიცხოვანია ძონის მძივები. ისინი ორი ტიპისაა: კარგად დამუშავებული, მოზრდილი სფეროსებრი და პატარა ზომის, ნაკლებ დამუშავებული, მრგვალი ფორმის. ორივე ფორმის მძივები აღმოჩენილია ერთი მხრივ, ოქროს მასალის შემცველ, ხოლო მეორე მხრივ ერთიდაიგივე პერიოდის სამარხებში, რაც მათ ერთდროულ გავრცელებაზე მიუთითებს. განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა №8 სამარხში სფეროსებრი ფორმის მძივების დაფიქსირება სარდიონის ასეთივე მძივებთან ერთად, რამაც საშუალება მოგვცა დამაჯერებლად გვეთქვა, რომ ქალბატონს ყელზე ეკეთა ძონისა და სარდიონის მონაცვლეობით შედგენილი მძივი. სარდიონის მძივები ფართოდ გავრცელებული სამკაულია ძვ.წ. III ათასწლეულიდან, ვიდრე ადრეშუასაუკუნეებამდე. მაგ. ჟინვალის სამაროვანზე სარდიონის მძივები, რომლებიც რაოდენობრივად მესამე ადგილასაა, VI-VIII სს. სამარხებში საერთოდ აღარ ჩნდება (ჩიხლაძე... 2015: 202).

სამაროვანზე აღმოჩენილი მთის ბროლის მძივები ბიკონუსური და წახნაგოვანია. ისინი დადასტურდა №6 სამარხში, ძონის პატარა ზომის მძივებთან ერთად და ორივე ეკუთვნოდა პირველად დაკრძალულ დედაკაცს.

პასტის მძივები სამაროვანზე წარმოდგენილია კასრისებრი, მილაკისებრი, სფეროსებრი, მრგვალი ფორმით.

რაც შეეხება მინის მძივებს, ისინი ძირითადად ან სფეროსებრია ანდა იოტები.

სამაროვანზე აღმოჩნდა ბრინჯაოს მძივებიც (4 ც.). ისინი ორი სახისაა: კასრისებრი და ცრემლისებრი.

სამაროვანზე აღმოჩენილი მძივების ერთი ნაწილი ყელსამკაულია, მეორე ნაწილი ბავშვის ხელზე



დაფიქსირდა, რაც მათ ამუღებდად გამოყენებას მონობს, მესამე ნაწილი კი ვინაიდან რკინის მშვილდსაკინძზე მიმაგრებულ ბრინჯაოს ჯაჭვის ბოლოებზე იყო ჩამოკიდული, ტანსაცმლის სამკაული უნდა ყოფილიყო.

**12. საკულტო ნივთები:** ამ ტიპის ინვენტარი სამაროვანზე მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი: ერთი ბრინჯაოს ზარაკით, რომელიც ტიპიურია ადრეშუა საუკუნეების სამარხებში აღმოჩენილი ზარაკებისა, ორი ერთნაირი ძვლის კვირისტავით და სამი მინის დისკოთი. მათგან განსაკუთრებით გამოსაყოფია სწორედ მინის დისკოები (ტაბ. LXIX<sub>1</sub>). ესაა სამი თეთრი მინის დისკოსებრი ფირფიტა, რომელთა ზედაპირზე შავი კონტურებით ნახატებია შესრულებული. ერთ მათგანზე ფრინველის სქემატური გამოსახულება იკითხება, ხოლო მეორეზე ადამიანის პორტრეტია პროფილში მარცხნივ. მსგავსი ნივთები ჩვენთვის ცნობილ სამარხებულ მასალაში არ გვხვდება, ამიტომ რა დანიშნულების იყო აღნიშნული სამი მინის დისკო, ძნელი სათქმელია. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ მათი აღმოჩენა მიცვალებულის მკერდის არეში, მინისებური პასტის ასეთივე დისკოებთან ერთად, რომლებიც მათან განსხვავებით მოუხატავია და ამავე დროს გამჭოლი ხვრელით, რამეზე ასაცმელად, გვაფიქრებინებს, რომ ისინი ამუღების ფუნქციის მატარებლები უნდა ყოფილიყო.

**14. მონეტები** წარმოდგენილია ერთი ოქროს და 9 ვერცხლის მონეტით.

ოქროს მონეტა (სამარხი №6) ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე VIII-ისა (1025-1028 წწ.) (ტაბ. LXXI<sub>23</sub>). ავერსზე გამოსახულია კეისრის ბიუსტი. სახე წვერ-ულვაშიანი აქვს, თავზე თვლებითა და ჯვრით შემკული გვირგვინი ადგას, რომლის ორივე მხრიდან მომცრო თვლებით და ბოლოში ორი მსხვილი თვალის შემკული თითო საკიდი ეშვება. შემოსილია ლორწონით. მარჯვენა ხელში ჯვრითა და თვლებით მოოჭვილი ლაბარუმი უჭირავს, მარცხენაში — მაპა. მხრიდან მხრამდე შემოსდევს ლეგენდა: „CWNSTAN bASILES ROM“. გამოსახულება ჩასმულია სამმაგ ნერტილოვან რკალში. რევერსზე მაცხოვრის ბიუსტია მოცემული. თავის გარშემო ნერტილოვანი შარავანდედი აქვს, რომელშიც ჯვარია ჩანერილი. შემოსილია კვართით. მარჯვენა ხელით აკურთხებს, მარცხენაში თვლებით მოოჭვილი სახარება უპყრია. გარშემო შემოსდევს ლეგენდა: „IhSXIS REX REGNANTIVM“. გამოსახულება ჩასმულია სამმაგ ნერტილოვან რკალში. მონეტა ინონის 4.42 გრამს.

კონსტანტინე VIII მონეტები საქართველოში მხოლოდ ორ ადგილასაა აღმოჩენილი: ერთი ესაა ახალციხის მიდამოებში, სადაც 1906 წ. ნაპოვნ განძში 5 ოქროს მონეტა შედიოდა, და მეორე სოფ. დვირი (ბორჯომის რაიონი), სადაც, 1930-იან წლებში აღმოჩენილ განძში 22 ოქროს მონეტა იყო კონსტანტინე VIII-ისა (დუნდუა... 2006: 211-221; აბრამიშვილი 1956: 107-121; აბრამიშვილი 1965: 94-95,131).

ფიქრისგორაზე აღმოჩენილი მონეტა ადრეშუასაუკუნეების სამარხში მეორადი გამოყენების დროს დაკრძალული მიცვალებულის მარჯვენა წვივთან აღმოჩნდა, რაც იმას ნიშნავს, რომ სამარხის მეორად გამოყენებას ადგილი XI ს. პირველ ნახევარში ჰქონდა.

სამაროვანზე აღმოჩენილი დანარჩენი მონეტები ვერცხლისაა (ტაბ. LXXI<sub>97-105</sub>). ყველა ირანის შაჰის პეროზის (459-484 წწ.) მიერაა მოჭრილი მისი მეფობის სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ზარაფხანაში<sup>25</sup>. პეროზის მონეტები აღმოსავლეთ საქართველოში აღმოჩენილია თიანეთში, მცხეთაში, ურბნისში, ბოლნისში, როგორც განძების სახით, ისე არქეოლოგიური გათხრების დროსაც. როგორც მკვლევარები მიუთითებენ, V ს. დასასრულიდან VII საუკუნემდე აღმოსავლეთ საქართველოს ფულად მიმოქცევაში გამოკვეთილი ადგილი უჭირავს სასანურ დრაქმებს, რაც დაკავშირებულია სასანიანთა იმპერიის სამხედრო და პოლიტიკურ წარმატებებთან ამიერკავკასიაში (დუნდუა 2006: 149-156).

ფიქრისგორის მონეტების განძი აღმოჩნდა №57 სამარხში ერთმანეთზე მიჯრით, მიცვალებულის ბარძაყთან. როგორც ჩანს, მიცვალებულს ხელში ეჭირა. ამავე სამარხში აღმოჩენილი თანმდევი ინვენტარი ზუსტად ეთანხმება მონეტათა მოჭრის პერიოდს. ამდენად, ვფიქრობთ, სამარხი V ს. ბოლოთი უნდა დათარიღდეს.

<sup>25</sup> მონეტები განსაზღვრა მ. ნონელიამ და აღნიშნულ საკითხზე კვლევა ქვემოთაა წარმოდგენილი.

მასალის ანალიზი და სამარხთა აგებულება გვაძლევს საშუალებას ვიფიქროთ, რომ IV-VII საუკუნეებში ფიქრისგორის ტერიტორია მცხეთის მოსახლეობის საშუალო ფენის წარმომადგენლების სასაფლაოს წარმოადგენდა. აქ აღმოჩენილ ინვენტარს უმეტეს შემთხვევაში პარალელი ეძებნება ქართლის სამეფოს გვიანანტიკურ და ადრეული შუა საუკუნეების სამაროვნებზე აღმოჩენილ ინვენტართან, ყველაზე მეტად კი თავად მცხეთის ტერიტორიიდან მომდინარე არტეფაქტებთან, ამდენად, ისინი ამ პერიოდის ყოფით კულტურაში დამკვიდრებული მოდის ნაწილია, რომელთა უდიდესი ნაწილი ადგილობრივ სახელოსნოებში ჩანს დამზადებული.

### დათარიღებისთვის:

ერთი მხრივ სამაროვანზე აღმოჩენილი მასალის ანალიზმა და მეორე მხრივ სამარხების აგებულებამ და მიცვალებულთა დაკრძალვის პერიოდულობამ, საშუალება მოგვცა მასალის შემცველი კომპლექსები მეტ-ნაკლები სიზუსტით დაგვეთარიღებინა და ზოგადად, სამაროვნის ფუნქციონირების პერიოდი განგვესაზღვა. ამ მონაცემებზე დაყრდნობით ინდივიდუალური სამარხები №8,58,92,124 - IV ს., №36,70,101,114,116,125,127,151 — IV-V სს, ხოლო №40,107,133,146,149 — V-VI სს. თარიღდება.

სამარხები ორი მიცვალებულით №11,18,112 - IV ს-ისაა, №31,32,43,147 — IV-V სს., №24,35,42,52,95,102,132 — V საუკუნისა, ხოლო №85,111,136 — V-VI საუკუნეების.

კოლექტიური სამარხებიდან №34,54,67,81,100,123,155 — IV-V სს-ისაა, №2,3,22,33,47,48,65,75,87,94,121,138,139,154,162 — V-VI სს-ის, ხოლო №83 — VI-VII საუკუნეებისა.

ცალკე უნდა შევჩერდეთ №6 სამარხზე. ერთი მხრივ სამარხის აგებულება, მეორე მხრივ აქ აღმოჩენილი მესამე მიცვალებულის კუთვნილი ნივთები, რომლებიც კარგად თარიღდება IV საუკუნით (გარდა მონეტისა), მეტყველებს, რომ სამარხი IV საუკუნის დასაწყისში მაინც უნდა გაემართათ. ამავე საუკუნეში მეორედ და მესამედ გამოუყენებიათ, ხოლო XI ს. პირველ ნახევარში უკვე მეოთხედ (კონსტანტინე VIII მონეტის მიხედვით) დაუკრძალავთ მიცვალებული.

დროის სხვადასხვა პერიოდში ფუნქციონირება კარგად დასტურდება №19 სამარხის შემთხვევაში. ერთი მხრივ ამ სამარხის იატაკად თიხის ფილების გამოყენებამ, და მეორეს მხრივ №2 მიცვალებულისთვის V საუკუნისთვის დამახასიათებელი ფიბულის აღმოჩენამ, გვაფიქრებინა, რომ სამარხი გვიანანტიკურ პერიოდში უნდა იყოს გამართული, V ს-ის დასაწყისში მეორედ გამოყენებული, ხოლო მესამედ - უფრო გვიან.

ასეთივეა №30 სამარხის შემთხვევა: სამარხი პირველად IV ს. ბოლოს გაუმართავთ, მეორეჯერ მალევე — V ს. დასაწყისში გამოუყენებიათ, ხოლო მესამედ — უფრო გვიან, მაგრამ ისევ V საუკუნეში.

მსგავს სიტუაციასთან გვაქვს საქმე №37-ე სამარხის შემთხვევაში. პირველი და მეორე მიცვალებულები IV ს. დაუკრძალავთ. მოგვიანებით კი, არაუგვიანეს V ს. დასაწყისისა, სამარხი ბოლოჯერ გამოუყენებიათ.

რაც შეეხება №57 სამარხს, ის V საუკუნის შუა ხანებში მაინც ჩანს გამართული, მეორეჯერ მასში მიცვალებული დაუკრძალავთ V ს. ბოლოს, რასაც ადასტურებს მის ხელში აღმოჩენილი პეროზ მეფის მონეტები. VI საუკუნის დასაწყისში კი სამარხი მესამეჯერაა გამოყენებული.

მრავალჯერ გამოყენებული სამარხებიდან კარგად თარიღდება №119 სამარხიც. ის IV ს. გაუმართავთ, ყველა მომდევნო გამოყენების შემთხვევა კი VI ს. მიეკუთვნება.

IV-VI სს. გამართულია №78,96,122,137,153,163 სამარხები, მაგრამ ისინი ისევ გამოყენებულია გაცილებით გვიან — შესაძლოა შუა საუკუნეებში.

რაც შეეხება 1975 წ. გათხრილ ინვენტარიან სამარხებს, მათი ქრონოლოგიური ჩარჩოს განსაზღვრა უფრო პირობითია, რადგან არქეოლოგიურ დოკუმენტაციაში ძირითადად არაა მითითებული

ლი ინვენტარის კუთვნილება ამა თუ იმ მიცვალებულისათვის. ამიტომ მათი თარიღი მხოლოდ ზოგადად IV-VII სს. შეიძლება განისაზღვროს.

როგორც ვხედავთ, ინვენტარიანი სამარხები მთლიანად ექცევა IV-VI საუკუნეების პერიოდში. ვფიქრობთ, დანარჩენი, უინვენტარო სამარხებიც ამავე პერიოდში უნდა გაემართათ. შესაბამისად, ფიქრისგორის სამაროვანი IV-VII საუკუნეებში ფუნქციონირებადი სამაროვანია, რომლის სამარხები ცალკეულ შემთხვევებში X-XI სს. გამოუყენებიათ, ხოლო ნაწილი XIX საუკუნეში.

ბოლოსთვის გვინდა შევჩერდეთ ერთ საკითხზე, რომელიც ფიქრისგორის სამაროვნის №8 სამარხმა წარმოშვა. საქმე ეხება ვარდულიანი საკინძების გავრცელების ქრონოლოგიას. ნ. აფხაზავას შენიშვნით, ვარდულიანი საკინძები მხოლოდ V საუკუნიდან ჩნდება და განსაკუთრებით მრავლდება მომდევნო საუკუნეებში. ასევე უფრო მოგვიანო პერიოდის საკინძებად მიიჩნევენ ცრემლისებური მძივებით შემკულ საკინძებსაც (აფხაზავა 1988: 66-67). მკვლევარის აზრი თითქმის უცვლელად იყო გაზიარებული მასალების დათარიღებისას, და ცრემლისებური მძივითა და ვარდულებით შემკულ საკინძებს ზოგადად V-VII საუკუნეებით ათარიღებდნენ. ფიქრისგორის №8 სამარხში ასეთი საკინძის აღმოჩენამ კარგად დათარიღებულ - IV საუკუნის მასალასთან ერთად (საკინძები, საყურეები, მძივები), ვფიქრობთ, ეს მოსაზრება გადასასინჯი გახადა. მეორეს მხრივ, თუ გავითვალისწინებთ ზოგად მოდურ ტენდენციებს, რომელიც ეპოქების მიუხედავად ერთნაირად მოქმედებს და იმას, რომ ვარდულების გამოჩენა ქართლის მოსახლეობაში IV საუკუნეში საყურეებზე კარგად დასტურდება, ვფიქრობთ, შეუძლებელია, იმავე დროს ის არ გამოეყენებინათ საკინძებშიც და სულ მცირე რამდენიმე ათწლეული დასჭირვებოდა მისი ერთი სამკაულიდან მეორე სამკაულის შემადგენლობაში გადასვლას.

## ფიქრისგორის სამაროვნის გლიპტიკური კვლევა

ნაშრომში განვიხილავთ ფიქრისგორის სამარხებში 2014-2016 წლებში არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად აღმოჩენილ გლიპტიკურ მასალას, რომელიც პირველად შემოგვაქვს სამეცნიერო მიმოქცევაში. მათი რაოდენობა არცთუ ისე დიდია და სულ ათი ნიმუშით შემოიფარგლება. ზემოაღნიშნული საბეჭდავების შესწავლას დიდი მნიშვნელობა ენიჭება გვიანანტიკური და ადრე-ფეოდალური პერიოდის ქართლის ეკონომიკური, კულტურული, პოლიტიკური კავშირ-ურთიერთობების გასაანალიზებლად.

ფიქრისგორის სამარხებში აღმოჩენილი საბეჭდავები ძირითადად სასანური გლიპტიკის ნიმუშებს წარმოადგენს, რომელთა შემოსვლა ქართლში უმეტესად IV საუკუნიდან იწყება და მთელ სასანურ პერიოდში გრძელდება. უპირველესად გვინდა აღვნიშნოთ, რომ მკვლევართა აზრით, სასანური გემების სპეციფიკური ხასიათის გამო, მათი მხოლოდ სტილისტურ ანალიზზე დაყრდნობით თარიღის დადგენა საკმარისი არ არის. სასანური გემების შიდა ქრონოლოგიის დასადგენად სამარხეული კომპლექსების თარიღები ერთ-ერთი აუცილებლად გასათვალისწინებელი პირობა უნდა იყოს.<sup>26</sup> ჩვენც ფიქრისგორის სამარხებში აღმოჩენილი გლიპტიკური ძეგლების დასათარიღებლად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ სამარხეულ კომპლექსებში აღმოჩენილი მასალის ანალიზსა და თარიღს.

ფიქრისგორის სამარხებში დაფიქსირებული გემების გამოსახულებების თემატიკა სასანიანთა ირანის გლიპტიკაში გავრცელებულ თემატიკას უკავშირდება. კერძოდ, სამარხებში აღმოჩენილია საბეჭდავები მორიელის, ნახევარმთვარისა და რვაქიმიანი ვარსკვლავის, საკურთხეველის (ათაშდანი), სვასტიკის მსგავსი ნიშნისა (?), ფრინველის (იხვი?), ქუჩურციკის... გამოსახულებით. განვიხილოთ თითოეული მათგანი შინაარსის მიხედვით.

მორიელი (?) (ინვ.№25. ტაბ.LXVIII,), უპირველესად გვინდა აღვნიშნოთ, რომ როგორც ცალკე, ისე წყვილად გამოსახული მორიელი საკმაოდ ხშირად გვხვდება გვიან ანტიკურ ხანაში, განსაკუთრებით რომის ძღვევამოსილი ლეგიონების დისლოცირების ადგილებში. ბიზნაში მორიელი სიყალბის სიმბოლოა. მასვე მიეწერება მეწეობა (გამცემლობის, გამყიდველობის ნიშანი)<sup>27</sup>. ფ. აკერმანი მორიელს ასტრალურ კულტს უკავშირებს<sup>28</sup>. ითვლებოდა, რომ ვინც ამ ნიშანს ატარებდა, შესაბამისი თანავარსკვლავედის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა. ამავე აზრს იმეორებს ინგლისის ტერიტორიაზე აღმოჩენილ გემებთან დაკავშირებით მ. ჰენიგი<sup>29</sup>. ო. ნევეროვის თვალსაზრისით, მორიელს, ისევე როგორც ლომს, გვიან ანტიკურ ხანაში ხშირად რომის ლეგიონის ნიშნებსა და კულტებს უკავშირებენ<sup>30</sup>. ვითვალისწინებთ რა ინტალიოზე გამოსახული მორიელის გამოსახულების სტილს, ინტალიოსა და ბეჭდის ფორმას, გემას ზოდიაქოს ნიშნად მივიჩნევთ და ვასკვნით, რომ სავსებით შესაძლებელია, ფიქრისგორის №6 სამარხში დაფიქსირებული მორიელის გამოსახულება შესატყვისი თანავარსკვლავედის სიმბოლური გამოსახულება იყოს.

ზოდიაქოს გამოსახულებებზე ცნობილი იყო ხალხში ძველი შეხედულება, თითქოს ისინი განაგებდნენ ადამიანის სხეულის გარკვეულ ნაწილებს და იფარავდნენ მათ სხვადასხვა სნეულე-

<sup>26</sup> ქ. რამიშვილი, სასანური გემები საქართველოში, თბ., 1978, გვ. 18.

<sup>27</sup> **Lexikon der christlichen Ikonographie.** Allgemeine Ikonographie, Rom-Freiburg-Basel-Wien, II, 1970, გვ. 179.

<sup>28</sup> **Ph. Ackerman, Sasanian Seals,** dans AU Pope, A Survey of Persian Art. 1938, გვ. 804.

<sup>29</sup> **M. Henig, A Corpus of Roman Engraved Gemstones from British Sites,** 8 (1), Oxford, 1978, გვ. 134.

<sup>30</sup> **О. Я. Неверов, Геммы античного мира,** Москва, 1982, გვ. 121.

ბებისგან. ამიტომ ამ სახის გამოსახულებების ტარებას გარკვეული მაგიური, მფარველობითი მნიშვნელობა ჴქონდა<sup>31</sup>.

ფიქრისგორის №31-ე სამარხში აღმოჩენილია ოთხი საბეჭდავი. მათ შორის სამი მთლიანი ქვის საბეჭდავი ბეჭედი და ერთი მინის მრგვალი, ნაკვეთილი კონუსის ფორმის ინტალიო. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს №31-ე სამარხში დაფიქსირებული ქალცედონისაგან დამზადებული მთლიანი ქვის საბეჭდავი ნახევარმთვარისა და რვაქიმიანი ვარსკვლავის გამოსახულებით (ინვ.№58. ტაბ. LXVIII<sub>3</sub>). ნახევარმთვარისა და რვაქიმიანი ვარსკვლავის ერთად გამოსახვა, რომელიც სათავეს პართიის ეპოქაში იღებს, სასანური ირანის პერიოდში იმპერიის სიმბოლოს წარმოადგენდა და მისი მმართველების სამეფო გვირგვინზე გამოისახებოდა<sup>32</sup>.

III საუკუნის პირველ ნახევარში ნახევარმთვარე და ვარსკვლავი პარსას მბრძანებლის ნიშნად ითვლებოდა. არდაშირ I-ის (224-241 წწ.) მონეტებზე წარმოდგენილია: 1. ანფასში კულახით, ნახევარმთვარითა და ვარსკვლავით; 2. პროფილში პართული კულახით, ნახევარმთვარესა და ვარსკვლავთან ერთად. ცნობილია ხუთი ვერცხლის დრაქმა შაბურ I-ის (241-272 წწ.) გამოსახულებით პარსას სამეფო გვირგვინით – კულახით, რომელზეც ნახევარმთვარე და ვარსკვლავი გამოსახული. მეორე მხარეს მისი მამა პაპაკია წარმოდგენილი. პაპაკისა და შაბურის პორტრეტები გამეორებულია გრაფიტოებზე პერსეპოლისიდან<sup>33</sup>.

ქალცედონისაგან დამზადებული მთლიანი ქვის საბეჭდავზე არსებულ ნახევარმთვარისა და ვარსკვლავის გამოსახულებას ჩვენც სასანიანთა ირანის სიმბოლოდ მივიჩნევთ. გამოსახულება მკაფიოდ არის ნაკვეთი. ქვა კარგად არის გათლილი და გაპრიალებული. ბეჭედი მთლიანად გაპრიალებულია. სამარხეული ინვენტარის, ბეჭდის ტიპის, გამოსახულების სტილისა და კვეთის მანერის მიხედვით, საბეჭდავი IV-V საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს.

ფიქრისგორის №31-ე სამარხში დაფიქსირებულია აგრეთვე, მთლიანი ქვის საბეჭდავი ბრონეულის ყვავილის გამოსახულებით (ინვ.№59. ტაბ.LXVIII<sub>4</sub>) ბრონეული სასანურ გლობტიკურ ძეგლებზე დამკვიდრდა კანონიკური ძლიერად სტილიზებული სახით – მოგრძო ოვალური „მუცელი“ ყვავილისა, სამი ნანვეტებული ფურცლით დაბოლოებული<sup>34</sup>.

ბრონეული უძველესი დროიდან ნაყოფიერებისა და გამრავლების სიმბოლო გახლდათ და, შესაბამისად, ნაყოფიერების კულტებს, კერძოდ ქალ ღვთაებებს უკავშირდებოდა. ძველ შუამდინარეთში იგი ღმერთების ქორწინების ცერემონიის ერთ-ერთ მთავარ ატრიბუტს წარმოადგენდა (ენლილს მიართმევდნენ)<sup>35</sup>. მას ღვთაებათა ძღვენიში საპატიო ადგილი ეკავა სარგონ II-ის სამეფო ანალების მიხედვითაც.<sup>36</sup> ბრონეული იყო დემეტრას სიმბოლო, ჴერასა და აფროდიტეს საკულტო მცენარე, ირანული ქალღვთაება ანაჴიტას (სასანიანთა გვარის მთარველი ქალღვთაება. ავტ.) ერთ-ერთი ატრიბუტი. რომში იუნონას ხელზე მოთავსებული ბრონეული ქორწინებას განასახიერებდა. თავად ბრონეულის წითელი ყვავილები სიყვარულის გამოხატულებას წარმოადგენდა, რომლისგანაც ქორწინების დღეს ახალდაქორწინებული წყვილებისთვის გვირგვინები ინვენბოდა<sup>37</sup>. ებრაელებისთვის იგი ღვთისგან აღთქმული ქვეყნის სიმბოლოდ ითვლებოდა: „შეასრულე უფლის მცნებები, რადგან შენს ღმერთს მიყავხარ მადლიან ქვეყანაში, ხორბლისა და ქერის, ყურძნისა და ლეღვის და ბრონეულის ქვეყანაში“ (II რჯული, 8:6-8).

სტილიზებული მცენარის ყლორტები და ყვავილები ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია სასანური ხელოვნებისა. მსგავსი ორნამენტი ამკობს ლითონის ჴურჭელს, კერამიკას... არსებობს

<sup>31</sup> D. H. Bivar, Catalogue of the Western Asiatic Seals in the British Museum. Stamp Seals, pt. 2. The Sassanian Dynasty, London, 1969, გვ. 27.  
<sup>32</sup> Michael G. Morony, Iraq After the Muslim Conquest, Gorgias Press LLC, 2005, გვ. 39-40.  
<sup>33</sup> В.И. Луконин, Культура сасанидского Ирана, Москва, 1971, გვ. 28, 158-162.  
<sup>34</sup> ქ. რამიშვილი, მცენარეული მოტივი სასანურ გემებზე და ზოგიერთი კავშირები ადრექრისტიანული ხანის ქართულ ძეგლებთან, ძიებანი, №6, თბ., 2000, გვ. 60-61.  
<sup>35</sup> B. Lion, Les banquets des dieux, Dossiers d'Archeologie, №280, 2003, გვ. 3-7.  
<sup>36</sup> B. Lion, C. Michel, Un banquet a la cour assyrienne. Dossiers d'Archeologie, №280, 2003, გვ. 11-14.  
<sup>37</sup> Encyclopedie des symboles. München, 1989, გვ. 289-290.

მოსაზრება იმის შესახებ, რომ სამი ნანვეტებული ფურცლის ხაზგასმა და საერთოდ სამფურცელა ყვავილების, ან სამნაწილადი აყვავებული მცენარის გამოსახვა სასანურ გლიპტიკაში უკავშირდება ზოროასტრული პანთეონის სამი ძირითადი ღვთაების – აჴურამაზდას, მითრას და ანაჴიტას ტრიადას<sup>38</sup>. შაჴის ან მისი მეუღლის მიერ ბრონეულის ყვავილის ბოძება ხშირად პრივილეგიების მინიჴებასაც ნიშნავდა<sup>39</sup>.

ბრონეულის ყვავილი უნდა იყოს წარმოდგენილი ცნობილი პიტიახშის თასზე არმაზისხევიდან, სადაც დიდგვაროვანს დამახასიათებელი მანერით უჴყრია ხელში ყვავილი... ერთ-ერთი მკაფიო მაგალითი ბრონეულის სიმბოლური მნიშვნელობისა არის ბალტიმორის მუზეუმის ვერცხლის თასი, სადაც საზეიმო სამოსში გამონყობილი შაჴის მეუღლეს თავზე ხურავს ვერძის რჴებიტა და ბრონეულის ნაყოფით შემკული თავსაბურავი. მკვლევართა აზრით, როგორც ჩანს, ზოგიერთ შემთხვევაში ბრონეული, ან მისი ყვავილი გაიგივებული იყო ზოროასტრულ ძირითად სიმბოლოსთან, ცეცხლის ალთან. ამით უნდა აიხსნას მისი გამორჩეული როლი საკარო რიტუალებში. მაგალითად, ინვესტიტურის სცენა ბარმი დილაქის ერთ-ერთ რელიეფზე, სადაც მაგუჴატი ქარტირი, ტრადიციული ძალაუფლების გვირგვინის ნაცვლად დედოფალს აწვდის ბრონეულის ყვავილს<sup>40</sup>.

სამწილადი (ბრონეულის მსგავსი) ყვავილის გამოსახვა საკმაოდ ხშირია საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირებულ ადრექრისტიანულ ძეგლებზეც. ზემოაღნიშნული მცენარეები ქართველებისთვისაც ნაყოფიერებისა და სიუხვის სიმბოლური გამოხატულება უნდა ყოფილიყო, რაც კარგად ჩანს როგორც ეთნოგრაფიული, ისე არქეოლოგიური მასალიდან. როგორც ქ. რამიშვილი მიიჩნევს, სამფურცელა ყვავილის, და საერთოდ სამნაწილადი მცენარის ხშირი გამეორება ჩვენს ძეგლებზე არ უნდა ყოფილიყო შემთხვევითი, ან მექანიკურად გადმოტანილი. აქ იგი შესაძლოა ქრისტიანული სამი სანყისის — წმინდა სამების მიმანიშნებელი იყოს<sup>41</sup>. მართლაც, ადრექრისტიანულ ეპოქაში მცენარეები, რომლებიც სამფურცელა სტილიზებული ფორმით გამოისახებიან ქრისტიანულ დატვირთვას იღებენ. მაგალითად, ბრონეულმა ყურძნისა და სხვა მცენარეული სახეობების მსგავსად წმინდა მცენარის დატვირთვა შეიძინა და მისი მიღება ზიარების სინონიმად იქცა. ამ პერიოდის ძეგლებზე ხშირადაა წარმოდგენილი სცენები, როცა ფრინველები თუ ცხოველები ბრონეულის ხეს ან თავად ბრონეულს ეტანებიან (რომაული კატაკომბები, სირია-პალესტინის ტაძრები...)<sup>42</sup>.

სამარხული ინვენტარის, ბეჴდის ტიპის, გამოსახულების სტილისა და კვეთის მანერის მიხედვით, ფიქრისგორის №31-ე სამარხში დაფიქსირებული ბრონეულის ყვავილის გამოსახულებიანი მთლიანი ქვის საბეჴდავი IV-V საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს.

მზის ღვთაებას უკავშირდება სასანურ გლიპტიკაში ზოროასტრიზმის საკურთხევლის (ათაშდანის) გამოსახვა, რომელიც თავის მხრივ, სასანიანთა ტახტის საყრდენადაც მიიჩნევა. სწორედ ათაშდანია გამოსახული ფიქრისგორის №31-ე სამარხში აღმოჩენილ მთლიანი ქვის ინტალიოზე (ინვ.№60. ტაბ.LXVIII).

ზოროასტრული საკურთხევლის გამოსახვა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს სასანიანთა დინასტიის წარმომადგენლების მონეტებზე უკვე III საუკუნიდან. მაგალითად, მეფეთა მეფის არდამირ I-ის სპილენძის მონეტების რევერსზე. ავერსზე თვით შაჴინშაჴია გამოსახული...<sup>43</sup> ზოროასტრიზმის იდეურ მამად ქარტირი იქცა, რომელიც სახელმწიფო რელიგიის პირველი კანონის

<sup>38</sup> ქ. რამიშვილი, მცენარეული მოტივი სასანურ გემებზე და ზოგიერთი კავშირები ადრექრისტიანული ხანის ქართულ ძეგლებთან, ძიებანი, №6, თბ., 2000, გვ. 60.

<sup>39</sup> К.В. Тревер, Новое «сасанидское» блюдо Эрмитажа, Сборник посв. акад. И.А. Орбели. Москва-Ленинград, 1960, гв. 256-270.

<sup>40</sup> ქ. რამიშვილი, სასანური გემები საქართველოში, თბ., 1978, გვ. 37. В.И. Луконин, Культура сасанидского Ирана, Москва, 1971, гв. 112.

<sup>41</sup> ქ. რამიშვილი, მცენარეული მოტივი სასანურ გემებზე და ზოგიერთი კავშირები ადრექრისტიანული ხანის ქართულ ძეგლებთან, ძიებანი, №6, თბ., 2000, გვ. 61.

<sup>42</sup> M. T. Olszewski, L'image et sa fonction dans la mosaïque byzantine des premières basiliques en Orient. Cahiers Archéologiques, 43. Picard, 1995, гв. 11-12.

<sup>43</sup> об. В. Г. Луконин, Культура сасанидского Ирана (Иран в III-V вв. Очерки по истории культуры), Москва, 1969, гв. 39.

შემქმნელი და მისი მოციქული იყო<sup>44</sup>.

სამარხეული ინვენტარის, ბეჭდის ტიპის, გამოსახულების სტილისა და კვეთის მანერის მიხედვით, ფიქრისგორის №31-ე სამარხში დაფიქსირებული საკურთხევლის გამოსახულებიანი მთლიანი ქვის საბეჭდავი IV-V საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს.

ამავე სამარხშია დაფიქსირებული მინის (?) ინტალიო რკინის ბეჭედში სვასტიკის მსგავსი ნიშნის (?) გამოსახულებით (ინვ.№63. ტაბ.LXVI<sub>10</sub>). როგორც ფ. აკერმანი აღნიშნავს, სასანურ გემებზე გამოსახული ყველა სიუჟეტი სხვადასხვა სახის რელიგიურ წარმოდგენებსა და ასტრალურ კულტებს უკავშირდება... მათ შორის სვასტიკა მზის ღვთაებას<sup>45</sup>. გამონაკლისს არც ჩვენს მიერ შესასწავლი გემა წარმოადგენს. სვასტიკის გამოსახულება მინის ინტალიოზე მზის ღვთაებასთან კავშირში უნდა განვიხილოთ.

ნაკვეთილი კონუსის ფორმის ქვა, რომლის პირი მცირე მხარეზეა, ბრტყელია და ოვალური, დამახასიათებელია ადრეული ხანის, კერძოდ III-IV საუკუნეების ძეგლებისთვის.<sup>46</sup> საბეჭდავი ირიზებულია, გამოსახულება ძალზედ ცუდად იკითხება. სამარხეული ინვენტარისა და ინტალიოს ფორმის მიხედვით, საბეჭდავი ვფიქრობ, IV საუკუნით შეიძლება დათარიღდეს.

№37 სამარხში აღმოჩენილია მთლიანი ქვის საბეჭდავი ფრინველის (იხვი?) გამოსახულებით, რომლის წინ და ზურგთან ორი ჯვარია მოცემული (ინვ.№76. ტაბ.LXVIII<sub>4</sub>). ფრინველის გამოსახვა უცხო არ იყო სასანური ხელოვნებისთვის. სასანურ ხელოვნებაში ფრინველს სხვადასხვა დანიშნულება ჰქონდა, რომელთა შესახებაც საუბარი შორს წაგვიყვანდა. იხვთან დაკავშირებით კი აღვნიშნავთ, რომ იგი მეტწილად ქსოვილების და ვერცხლის ჭურჭლის მოხატვაში გვხვდება, როგორც დეკორატიული ფრინველი<sup>47</sup>. ჩვენთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ფრინველთან ერთად გამოსახული ორი ჯვარი, რომელიც, ჩვენი აზრით, ქრისტიანულ რელიგიას უნდა დაუკავშიროთ. შესაბამისად, მასზე უფრო დანვრილებით შევჩერდებით.

ქრისტიანობის გავრცელება ქართლის ტერიტორიაზე ახ.წ. I საუკუნიდან ხდება. III საუკუნისათვის ქრისტეს მოძღვრების მიმდევრებს უკვე ელიტარული წრის წარმომადგენლებშიც ვხვდებით. IV საუკუნის ქართლში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა, რაც ქართლის მეფის მირიანის ქრისტიანად მოქცევას უკავშირდება<sup>48</sup>. გვინდა აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ ადრეულ ქრისტიანობასთან დაკავშირებული საკმაო მასალაა აღმოჩენილი აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე<sup>49</sup>.

რაც შეეხება სასანიანთა ირანს, შაბურ I-ისა (241-272 წწ.) და ნერსეს (293-302 წწ.) პერიოდში ფართოდ ვრცელდება ქრისტიანობა ირანში, სადაც ბევრი ქრისტიანი დასახლდა, რის საფუძვლადაც ანტიოქიდან დევნილი (დეპორტირებული) კლირები იქცნენ, რომელთაც მიაწერენ კიდევ პირველი საეპისკოპოსოების დაარსებას იმპერიაში<sup>50</sup>. ირანის მახლობელ ოლქებსა და თვით ირანშიც (მესინა, სუზი, რევ-არდაშირი, ბაჰრეინი) 225 წლამდე უკვე იყო დაარსებული ქრისტიანული საეპისკოპოსოები<sup>51</sup>. არ არის გამორიცხული, რომ მათი რიცხვი გაზრდილიყო შაბურ I-ის წარმატებული ლაშქრობების შედეგად ქვეყანაში შეყვანილი ტყვე რომაელი ლეგიონერების ხარჯზე, რომლებიც მხედველობაში ჰყავთ მოგვიანო ხანის ქრისტიან ავტორებს. ყოველ შემთხვევაში, პირველი ქრისტიანული თემები იქმნებოდა ირანის შემდეგ ქალაქებში: შად-შაბური, ბეჰ-შაბური, ანტიოქ-შაბური<sup>52</sup>. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ III ს-ის მეორე ნახევარში

<sup>44</sup> К. В. Тревер, В. Г. Луконин, Сасанидское серебро, Москва, 1987, გვ. 27.  
<sup>45</sup> А. Я. Борисов, В. Г. Луконин - Сасанидские геммы, Москва, 1963, გვ. 34. Ph. Ackerman, Sasanian Seals, SPA, I, 1938.  
<sup>46</sup> ქ. რამიშვილი, სასანური გემები საქართველოში, თბ., 1978, გვ. 40.  
<sup>47</sup> Christopher J. Brunner, Sasanian stamp seals in The Metropolitan Museum of Art. New York, 1978, გვ. 109.  
<sup>48</sup> M. Mshvildadse, The Religious policy of Mirian the king of Kartli, „Pro Georgia“, Journal of Kartvelological Studies, Centre for East European Studies, Oriental Institute, University of Warsaw, t. 21, Warsaw 2011, pp.39-42.  
<sup>49</sup> მ. მშვილდაძე, ადრეული ქრისტიანობა საქართველოში, თბ., 2008.  
<sup>50</sup> Histoire du Christianisme: des origines à nos jours, sous la dir. de J. M. Mayeur, C. et L. Pietri, A. Vaches. . . 2. Naissance d'une chrétienté: 250-430, sous la responsabilité de Charles et Luce Pietri, avec la collabor. de J. Viarne, L. Brottier, A. Chauvot, Y. Puval. Paris, 1995, გვ. 96.  
<sup>51</sup> В. Г. Луконин, Культура сасанидского Ирана (Иран в III-V вв. Очерки по истории культуры), Москва, 1969, გვ. 71-72.  
<sup>52</sup> M. L. Chaumont, Les Sassanides et la christianisation de l'Empire iranien au III siecle de notre ere. «Revue de l'histoire des Religions», CLVI, №2, 1964, გვ. 165-202.

სასანიანთა ირანი საგარეო პოლიტიკიდან გამომდინარე, არა თუ დევნიდა ქრისტიანებს, არამედ რომის იმპერიიდან გამოქცეულ ახალი მონოთეისტური რელიგიის მიმდევრებსაც კი იფარებდა<sup>53</sup>.

სასანურ გლიპტიკაში სწორედ III საუკუნიდან ფართოდ მკვიდრდება ან მარტო, ან სხვა სიმბოლოებთან შერწყმული, ან კიდევ წარწერიანი ჯვრის გამოსახულებები, რომლებიც არ არის გამორიცხული, მართლაც ქრისტიანობის გავლენით იქმნებოდა. მაგრამ არსებობს საბეჭდავები, რომლებზეც ზოროასტრული წარწერებია დატანილი და როგორც ა. ბივარი აღნიშნავდა, მსგავსი გამოსახულებებიანი საბეჭდავები მხოლოდ ქრისტიანების კუთვნილებად ვერ ჩაითვლება<sup>54</sup>. სამარხეული ინვენტარის, ბეჭდის ტიპის, გამოსახულების სტილისა და კვეთის მანერის (მკვეთრი, რეალისტური კვეთა და ფორმები...) მიხედვით, რაც ძირითადად ადრეული სასანური პერიოდი-სათვის არის დამახასიათებელი, შესაძლებელია, საბეჭდავი ან.წ. IV საუკუნით დათარიღდეს.

ფიქრისგორის სამარხებში აღმოჩენილ საბეჭდავებზე გვხვდება ჩლიქოსანი ცხოველის – ქურციკის გამოსახულებაც (ინვ.№139. ტაბ.LXVIII<sub>გ</sub>; ინვ.№202. ტაბ.LXVIII<sub>დ</sub>). ქურციკის სიმბოლური დატვირთვა ანტილოპას, ირმის ან თხის სიმბოლური დატვირთვის მსგავსია. ქრისტიანულ სიმბოლიკაში მტაცებლისგან გაქცეული ქურციკი ამქვეყნიური ვნებებისაგან გაქცევას განასახიერებს. ეგვიპტელებთან ქურციკი თხასთან ერთად ღვთაება სეთის ატრიბუტი იყო მის ტიფონურ ასპექტში. ჰორი, რომელიც ფეხით თელავდა ქურციკს, ტიფონურ ძალებზე გამარჯვებას განასახიერებდა. ბერძნულ-რომაულ მითოლოგიაში ქურციკი ღვთაება დიანას ატრიბუტია. ინდუსებთან ქურციკი ანტილოპასთან ერთად მთვარის ღმერთის ჩანდრის გადაადგილების საშუალებას წარმოადგენდა. ღვთაება შივის ეტილიც ანტილოპებთან და ქურციკებით შებმული გადაადგილდებოდა. შუმერულ-სემიტურ მითოლოგიაში ასტარტას ატრიბუტად გვევლინებოდა. ქურციკი ზოგჯერ ღვთაება ეასთან ერთად ჩნდებოდა. იგი სულის ემბლემას წარმოადგენდა. ქურციკს უძველესი დროიდან იკონოგრაფიულად ლომისაგან, ან პანტერისაგან გაქცეულს, ან მათ ხახაში მყოფს გამოსახავდნენ, რითიც სულის ვნებებისაგან დევნა და შეუცნობადის აგრესიული, თვითგამანადგურებელი მხარე გამოისახებოდა<sup>55</sup>. ქურციკი გვევლინება ირანული და ინდური ქარის ღვთაების ვაიუს თანმხლებად...

ცხოველთა სამყაროს, მათ შორის ქურციკების გამოსახვა დამახასიათებელია სასანური გლიპტიკისათვის. საქართველოს ტერიტორიაზე არაერთი სასანური საბეჭდავია აღმოჩენილი ზემოაღნიშნული სიუჟეტით. შეიძლება ითქვას, ცხოველთა სამყარო ერთ-ერთი საყვარელი თემაა სასანიანთა იმპერიის ქვისმჭრელებისა. სასანიანთა ირანის კულტურის იმპორტთან ერთად აღნიშნული სიუჟეტები გავრცელებას იწყებს მეზობელ ქვეყნებში. გამონაკლისს არც ქართლი წარმოადგენდა. ფიქრისგორის სამაროვანზე აღმოჩენილი ქურციკისგამოსახულებიანი საბეჭდავები ამ ფაქტის ნათელ დადასტურებად შეიძლება ჩაითვალოს. გამოსახულების სტილის, საბეჭდავის ფორმისა და სამარხეული ინვენტარის მიხედვით, №127 ორმოსამარხში აღმოჩენილი სარდიონის საბეჭდავი (ინვ.№139. ტაბ.LXVIII<sub>გ</sub>) V-VI საუკუნეებით, ხოლო №119 ქვასამარხში დაფიქსირებული ბრინჯაოს საბეჭდავი (ინვ.№202. ტაბ.LXVIII<sub>დ</sub>) IV საუკუნით უნდა დათარიღდეს.

ფიქრისგორის სამარხებში აღმოჩენილი გლიპტიკური ძეგლების დასამზადებლად ძირითადად გვხვდება მთლიანი ქვის საბეჭდავები, რომლებიც სასანური გლიპტიკისთვის არის დამახასიათებელი. მათ დასამზადებლად გამოყენებულია მთლიანი ქვის საბეჭდავების სამი ფორმა: 1. მთლიანი ქვის თლილი ბეჭდები. ასეთი ბეჭდების რკალი შიგნიდან ბრტყელია, გარედან ამოზურცული და ზოგ შემთხვევაში დანახნაგებული, მხრებისკენ ფართოვდება და გადადის საბეჭდავ ნაწილში, რომელიც რკალის ზედა ნაწილის ნაკვეთით მიიღება. პირი ბრტყელია და ოვალური. ბეჭდების ეს ფორმა IV-V სს-თვის არის დამახასიათებელი<sup>56</sup>. ფიქრისგორის სამარხებში აღმოჩენილი ამ ფორმის საბეჭდავები დამზადებულია სარდიონის (ინვ.№25, ტაბ.LXVIII<sub>გ</sub>; ინვ.№59, სურ. ტაბ.LXVIII<sub>გ</sub>; ინვ.№60, სურ. ტაბ.LXVIII<sub>დ</sub>), ქალცედონისა (ინვ.№58, სურ. ტაბ.LXVIII<sub>გ</sub>) და აქატისგან

<sup>53</sup> მ. მშვილდაძე, ადრეული ქრისტიანობა საქართველოში, თბ., 2008, გვ. 48-55.  
<sup>54</sup> A. D. H. Bivar Catalogue of the Western Asiatic Seals in the British Museum: Stamp Seals II: The Sassanian Dynasty, London, 1969, გვ. 27.  
<sup>55</sup> X.Э. Керлот, Словарь символов, Москва, 1994, გვ.130.  
<sup>56</sup> A. D. H. Bivar Catalogue of the Western Asiatic Seals in the British Museum: Stamp Seals II: The Sassanian Dynasty, London, 1969, გვ. 21-22; რამიშვილი ქ., სასანური გემები საქართველოში, თბ., 1978, გვ. 41.



(ინვ.№76, სურ. ტაბ.LXVIII<sub>4</sub>); 2. ე.წ. ელიფსური საბეჭდავები. რომელთა უმრავლესობასაც აქვს ნახვრეტი ზონრის გასაყრელად. პირი წაკვეთილ მხარეზეა, ბრტყელია და ოვალური, სადაზედა-პირიანია, თანაბრად გაპრილებული. ბეჭდის ეს ფორმა ვრცელ ქრონოლოგიურ პერიოდს მოიცავს<sup>57</sup>. ფიქრისგორის სამარხში აღმოჩენილი ამ ფორმის საბეჭდავი (ინვ.№139, სურ. ტაბ.LXVIII<sub>6</sub>) დამზადებულია სარდიონისგან; 3. ლითონის ამავე ფორმის საბეჭდავი, რომელსაც ყოველთვის აქვს ნახვრეტი ზონრის გასაყრელად. პირი ამ ფორმის საბეჭდავებზე უფრო ხშირად ბრტყელი ან ოვალურია... ლითონის საბეჭდავები უმთავრესად ჩამოსხმით არის დამზადებული<sup>58</sup>. ფიქრისგორის სამარხში აღმოჩენილი ამ ფორმის საბეჭდავი (ინვ.№202, ტაბ.LXVIII<sub>6</sub>) დამზადებულია ბრინჯაოსაგან.

ფიქრისგორის სამარხებში დაფიქსირებულია აგრეთვე, თვლიანი საბეჭდავები და ფარაკიანი ბეჭდები. თვლიანი საბეჭდავი სულ ორი ეგზემპლარია აღმოჩენილი. პირველი ოვალური ფორმის მონათალო ფერის სარდიონის ინტალიო მორიელის (?) გამოსახულებით (ინვ.№25, ტაბ.LXVIII<sub>6</sub>) და მეორე, მრგვალი ფორმის მინის (?) ინტალიო რკინის ბეჭედში სვასტიკის მსგავსი ნიშნის (?) (მნათობის) გამოსახულებით (ინვ.№63, ტაბ.LXVI<sub>10</sub>). ორივე ინტალიოს წაკვეთილი კონუსის ფორმა აქვს, რომელთა პირი მცირე მხარესაა. ინტალიოს ეს ფორმა დამახასიათებელია III-IV სს-თვის<sup>59</sup>.

ფიქრისგორის სამაროვანზე აღმოჩენილი ორი ფარაკიანი ბეჭედი ბრინჯაოსგან არის დამზადებული (ინვ.№184,231, ტაბ.LXVI<sub>5-6</sub>). პირველ მათგანზე (ინვ.№184, ტაბ.LXVI<sub>5</sub>) დატანილია ცხოველის სტილიზებული გამოსახულება, რომელიც ბეჭდის ფორმისა და სამარხეული ინვეტარის მიხედვით შესაძლებელია IV-V სს-ით დათარიღდეს, ხოლო მეორე ფარაკიანი ბეჭედი, რომელზეც არსებული გამოსახულების წაკითხვაც ბეჭდის პატინიზაციის გამო ძნელდება (ინვ.№231, ტაბ.LXVI<sub>6</sub>), ფორმის მიხედვით ადგილობრივ ნაწარმად შეიძლება ჩაითვალოს (ამ ფორმის ბეჭედებზე არსებული გამოსახულებანი შინაარსით სასანურ სიუჟეტებს უახლოვდება, იმავდროულად მთელ რიგ განმასხვავებელ ნიშნებსაც შეიცავს), მაგრამ შინაარსის გამო, მათ სასანურ მასალას მიაკუთვნებენ. ამ ფორმის ბეჭდები ძირითადად V-VIII სს-ის სამარხებისთვისაა დამახასიათებელი<sup>60</sup>.

ფიქრისგორის სამარხებში დაფიქსირებული როგორც ინტალიოები, ისე მთლიანი ქვის საბეჭდავები ძირითადად კარგად არის დამუშავებული. ქვები კარგად არის შემონახული. მათი როგორც ზედა, ისე ქვედა ნაწილი კარგად არის გათლილი. დროის ფაქტორის გამო დაზიანებულია ა) სვასტიკის მსგავსი ნიშნის (?) მრგვალი ფორმის მინის (?) ინტალიოს რკინის ბეჭედის (ინვ.№63, ტაბ.LXVI<sub>10</sub>) ნაწილი (თვალბუდე, რკალის მცირე ნაწილი), რომელიც დაჟანგული ფორმით არის შემორჩენილი; ბ) ქურციკის გამოსახულებიანი მთლიანი ქვის საბეჭდავი (ინვ.№139, ტაბ.LXVIII<sub>5</sub>); გ) ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედი ცხოველის სტილიზებული გამოსახულებით (ინვ.№184, ტაბ.LXVI<sub>5</sub>); დ) საბეჭდავი მთლიანი ქვისა, ბრინჯაოსი ქურციკის გამოსახულებით (ინვ.№202, ტაბ.LXVIII<sub>6</sub>) და ე) ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედი (ფარაკზე არსებული გამოსახულების წაკითხვა ბეჭდის პატინიზაციის გამო ძნელდება), რომლის რკალიც ორ ნაწილად არის გატეხილი.

<sup>57</sup> ქ. რამიშვილი, სასანური გემები საქართველოში, თბ., 1978, გვ. 41.

<sup>58</sup> ქ. რამიშვილი, სასანური გემები საქართველოში, თბ., 1978, გვ. 42.

<sup>59</sup> A. D. H. Bivar, Catalogue of the Western Asiatic Seals in the British Museum: Stamp Seals II: The Sassanian Dynasty, London, 1969, გვ. 21; რამიშვილი ქ., სასანური გემები საქართველოში, თბ., 1978, გვ. 40.

<sup>60</sup> ქ. რამიშვილი, სასანური გემები საქართველოში, თბ., 1978, გვ. 45, 47.

**კ ა ტ ა ლ ო გ ი**

**1. (ინვ.№25) 28.07.2014 წ. ფქქრქსგორქს სქმქრქვქნქ. სქმქრქვქ №6, კონბქნქრქვქუღქ, მრქვქლქვქერქდ (3) გქმქოყქნქვქუღქ. სქლრქმქ — 0.75 მ.**

ინტქლიო მონქთქლო ფერქს სქრდქონქსქ. ბრტყქელი, ოვქლურქ ფორმქს. კარგქდ გქპრქქლქვქუღქ, ძქრშქ ოდნქვ გქნქერქ.

პქრზქ გქმოსქსუღქლქ მორქეღქ (?) (ტქბ.LXVIII<sub>7</sub>). გქმოსქსუღქლქ სქკმქოდ სქქქმქტურქდქქ შესრუღქლქვქუღქ. კვეთქ არ არქს ღრმქ. გქმოსქსუღქლქ მთლქქნქდ ავსქვს ინტლქოს პქრს. ფონქ გქპრქქლქვქუღქლქ.

მსგქვსქ გქმოსქსუღქლქბქბქ იბქლქვ: Борисов А. Я., Луконин В. Г., Сасанидские Геммы, Ленинград, 1963, №№686,692; Christopher J. Brunner, Sasanian stamp seals in The Metropolitan Museum of Art. New York, 1978, gv.113; [http://www.sigilla.at/HtmlEn/main\\_introduction.html](http://www.sigilla.at/HtmlEn/main_introduction.html) №№0096; Brandt E., Crun A., Gercke W., Antike Gemmen in deutschen Sammlungen I. 3, №№2173, 2692, 3415; Richter G., Catalogue of Engraved Gems Greek, Etruscan and Roman, №533; Walters H. B., Catalogue of the Engraved Gems and Cameos, Greek, Etruscan an Roman, in the British Museum, №№ 2525, 2529.

**დქცუღობქ:** ინტქლიო კარგქდ არქს შემონქსუღქ.

**ზომქბქ:** ინტქლიოს ზედქპქრქს სქგრქქ — 7 მმ, სქგქნქ — 5 მმ, ფუძქს სქგრქქ — 10 მმ, სქგქნქ — 8 მმ. სქმქლღქ — 5 მმ.

**გქმოსქსუღქლქბქს სტქლქს მქხქედქთ, ინტქლიო აბ. წ. IV სქუკუქნქთ თქრქლდქბქ.**

იგქვე მქცვქლქვქუს ეკუთვნქს შემდქეგქ ნქვთქბქ: ოქქროს ბექქედქ (ინვ.№24), ოქქროს სქკქდქ (ინვ.№26), ვერცხლქს ბექქედქს ოვქლურქ თვქლბუღქ (ინვ.№27), მძქვებქ ძონქს (ინვ.№28), მძქვებქ მთქს ბროლქს, მრქვქლწნქნქგქვქნქ (ინვ.№29), მძქვებქ პქსტქს, კქსრქსქბრქ, 2 ცქლქ (ინვ.№30).

**2. (ინვ.№58) 1.08.2014 წ. ფქქრქსგორქს სქმქრქვქნქ. სქმქრქვქ №31, ქვქყუთქ, დქკრძქლღქლქქ ორქ მქცვქლქვქუღქ. სქლრქმქ — 0.85 მ.**

**სქბექქდქვქ ბექქედქ მთლქქნქ ქვქსქ, ქქლცქედონქს (ტქბ.LXVIII<sub>3</sub>).** ბექქედქს რქქლქ მზრქბქსკქნ ოდნქვ ფქრთოვდქბქ, მქგნქდქნ ბრტყქელიქ. გქრქედქნ ამობურცუღქ დქ დქნქსნქგქბუღქ. რქქლქს ზედქნქნქლქ ნქკვეთქლქქ დქ ნქრმქოდგქნს სქბექქდქვქს პქრს. პქრქ ოვქლურქქ დქ ბრტყქელი.

პქრზქ გქმოსქსუღქლქ **ნქხვექრმთვქრქ დქ რქვქქქმქქნქ ვქრსკველქვქ** (ტქბ.LXVIII<sub>3</sub>). გქმოსქსუღქლქ მქქქფქოდ არქს ნქკვეთქ. ქვქ კარგქდ არქს გქთლქლქ დქ გქპრქქლქვქუღქ. ბექქედქ მთლქქნქდ გქპრქქლქვქუღქლქ.

მსგქვსქ გქმოსქსუღქლქბქბქ იბქლქვ: Christopher J. Brunner, Sasanian stamp seals in The Metropolitan Museum of Art. New York, 1978, gv.113; [http://www.sigilla.at/HtmlEn/main\\_introduction.html](http://www.sigilla.at/HtmlEn/main_introduction.html) , №№0379, 0392, 1332.

**დქცუღობქ:** ბექქედქ კარგქდ არქს შემონქსუღქ.

**ზომქბქ:** ინტქლიოს პქრქს სქგრქქ — 13 მმ, სქგქნქ — 6 მმ, ბექქედქს სქმქლღქ — 23 მმ, რქქლქს შქდქ დმ — 14 მმ, რქქლქს გქრქ დმ — 24 მმ.

**გქმოსქსუღქლქბქს სტქლქს, ბექქედქს ფორმქსქ დქ სქმქრქვქუღქ ინვენტქრქს მქხქედქთ, ინტქლიო აბ. წ. IV-V სს-ქთ უნდქ დქთქრქლდქს.**

იგქვე მქცვქლქვქუს ეკუთვნქს შემდქეგქ ნქვთქბქ: სქნელსქცხქბლქ მქყქვქსფრო ფერქს მქნქსქ (ინვ.№55), სქნელსქცხქბლქ მქმწვქნქ ფერქს მქნქსქ (ინვ.№56), ბექქედქ აქქქტქსქ (ინვ.№57), ბექქედქ სქრდქონქსქ ბრონქუღქლქს ყვქვქლქს გქმოსქსუღქლქბქთ (ინვ.№59), ბექქედქ თქფლქსფერქ სქრდქონქსქ ცქცხლქს სქკურთხქვეღქლქს (ქთქშდქნქ) გქმოსქსუღქლქბქთ (ინვ.№60), ბექქედქ მწვქნქ მქნქ-

სა (ინვ.№61), ბეჭედი ბრინჯაოსი (ინვ.№62), რკინის ბეჭდის ნაწილი (თვალბუდე) მინის თვლით სვასტიკის მსგავსი ნიშანის (?) (მნათობის გამოხატულება) გამოსახულებით (ინვ.№63), რკინის ბეჭდის ნაწილები (თვალბუდე, რკალი) (ინვ.№64), საკინძები ბრინჯაოსი, წყვილი (ინვ.№65), მშვილდსაკინძი რკინის, ბრინჯაოს ჯაჭვითა და პასტის მძივებით (ინვ.№66).

**3. (ინვ.№59) 1.08.2014 წ. ფიქრისგორის სამაროვანი. სამარხი №31, ქვაყუთი, დაკრძალულია ორი მიცვალებული. სიღრმე — 0.8 მ.**

**საბეჭდავი ბეჭედი მთლიანი ქვისა, სარდიონის (ტაბ. LXVIII<sub>1</sub>).** ბეჭდის რკალი მხრებისკენ ოდნავ ფართოვდება, შიგნიდან ბრტყელია. გარედან ამოზურცული. შუაში ნახნაგი გასდევს. რკალის ზედა ნაწილი ნაკვეთილია და წარმოადგენს საბეჭდავის პირს. პირი ოვალურია და ბრტყელი.

პირზე გამოსახულია **ბროწეულის ყვავილი** (ტაბ. LXVIII<sub>1</sub>). გამოსახულების ძირითადი ნაწილი (ბროწეულის ყვავილი და ნიადაგის ზოლი) მკაფიოდ არის ნაკვეთი. ქვა კარგად არის გათლილი და გაპრიალებული. ბეჭედი მთლიანად გაპრიალებულია.

მსგავსი გამოსახულებები იხილეთ: Christopher J. Brunner, Sasanian stamp seals in The Metropolitan Museum of Art. New York, 1978, gv.118; [http://www.sigilla.at/HtmlEn/main\\_introduction.html](http://www.sigilla.at/HtmlEn/main_introduction.html), №№0406, 0996,

**დაცულობა:** ბეჭედი შედარებით კარგად არის შემონახული. ოდნავი ანატკეცები აქვს რამდენიმე ადგილას.

**ზომები:** ინტალიოს პირის სიგრძე – 14 მმ, სიგანე – 7 მმ, ბეჭდის სიმაღლე – 19 მმ, რკალის შიდა დმ – 13 მმ, რკალის გარე დმ – 23 მმ.

**გამოსახულების სტილის, ბეჭდის ფორმისა და სამარხეული ინვენტარის მიხედვით, ინტალიო ახ. წ. IV-V სს-ით უნდა დათარიღდეს.**

იგივე მიცვალებულს ეკუთვნის შემდეგი ნივთები: სანელსაცხებლე მოყავისფრო მინისა (ინვ.№55), სანელსაცხებლე მომწვანო ფერის მინისა (ინვ.№56), ბეჭედი აქატისა (ინვ.№57), ბეჭედი ქალცედონისა ნახევარმთვარისა და რვაქიმიანი ვარსკვლავის (ინვ.№58), ბეჭედი თაფლისფერი სარდიონისა ცეცხლის საკურთხეველის (ათაშდანი) გამოსახულებით (ინვ.№60), ბეჭედი მწვანე მინისა (ინვ. №61), ბეჭედი ბრინჯაოსი (ინვ.№62), რკინის ბეჭდის ნაწილი (თვალბუდე) მინის თვლით სვასტიკის მსგავსი ნიშანის (?) (მნათობის გამოხატულება) გამოსახულებით (ინვ.№63), რკინის ბეჭდის ნაწილები (თვალბუდე, რკალი) (ინვ.№64), საკინძები ბრინჯაოსი, წყვილი (ინვ.№65), მშვილდსაკინძი რკინის, ბრინჯაოს ჯაჭვითა და პასტის მძივებით (ინვ.№66).

**4. (ინვ.№60) 1.08.2014 წ. ფიქრისგორის სამაროვანი. სამარხი №31, ქვაყუთი, დაკრძალულია ორი მიცვალებული. სიღრმე — 0.85 მ.**

**საბეჭდავი ბეჭედი მთლიანი ქვისა, თაფლისფერი სარდიონის (ტაბ. LXVIII<sub>2</sub>).** ბეჭდის რკალი მრგვალი ფორმის, შიგნიდან ბრტყელია. გარედან ამოზურცული. რკალის ზედა ნაწილი ნაკვეთილია და წარმოადგენს საბეჭდავის პირს. პირი ოვალურია და ბრტყელი.

პირზე გამოსახულია **ცეცხლის საკურთხეველი (ათაშდანი)** (ტაბ. LXVIII<sub>2</sub>). გამოსახულება სქემატურია. მკაფიოდ არის ნაკვეთი. დიდი ოსტატობით არ გამოირჩევა. ქვა კარგად არის გათლილი და გაპრიალებული. ბეჭედი მთლიანად გაპრიალებულია.

მსგავსი გამოსახულებები იხილეთ: რამიშვილი ქ., სასანური გემები საქართველოში, თბ., 1978, ტაბ. VII, №91; Göbl R., Der sasanidische Siegelkanon, 1973, tab. 33, #98 a; Zakharow A., Gemmen und Siegel des Museums Georgiens, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, V, 1930, ტაბ. III, №№97,98; [http://www.sigilla.at/HtmlEn/main\\_introduction.html](http://www.sigilla.at/HtmlEn/main_introduction.html), №№0140,1126.

**დაცულობა:** ბეჭედი კარგად არის შემონახული. ოდნავი ანატკეცები აქვს რამდენიმე ადგილას.

**ზომები:** ინტალიოს პირის სიგრძე – 12 მმ, სიგანე – 6 მმ, ბეჭდის სიმაღლე – 17 მმ, რკალის შიდა დმ – 13 მმ, რკალის გარე დმ – 23 მმ.

**გამოსახულების სტილის, ბეჭდის ფორმისა და სამარხეული ინვენტარის მიხედვით, ინტალიო ახ. წ. IV-V სს-ით უნდა დათარიღდეს.**

იგივე მიცვალებულს ეკუთვნის შემდეგი ნივთები: სანელსაცხებლე მოყავისფრო მინისა (ინვ. №55), სანელსაცხებლე მომწვანო ფერის მინისა (ინვ. №56), ბეჭედი აქატისა (ინვ. №57), ბეჭედი ქალცედონისა ნახევარმთვარისა და რვაქიმიანი ვარსკვლავის (ინვ. №58), ბეჭედი სარდიონისა ბრონეულის ყვავილის გამოსახულებით (ინვ. №59), ბეჭედი მწვანე მინისა (ინვ. №61), ბეჭედი ბრინჯაოსი (ინვ. №62), რკინის ბეჭდის ნაწილი (თვალბუდე) მინის თვლით სვასტიკის მსგავსი ნიშანის (?) (მნათობის გამოხატულება) გამოსახულებით (ინვ. №63), რკინის ბეჭდის ნაწილები (თვალბუდე, რკალი) (ინვ. №64), საკინძები ბრინჯაოსი, წყვილი (ინვ. №65), მშვილდსაკინძი რკინის, ბრინჯაოს ჯაჭვითა და პასტის მძივებით (ინვ. №66).

**5. (ინვ. №63) 1.08.2014 წ. ფიქრისგორის სამაროვანი. სამარხი №31, ქვაყუთი, დაკრძალულია ორი მიცვალებული. სიღრმე — 0.87 მ.**

ინტალიო მინისა (?) რკინის ბეჭედში. ინტალიოს პირი მრგვალი, ამობურცული და თავნაკვეთილი ფორმის (ტაბ. LXVI<sub>10</sub>).

პირზე გამოსახულია სვასტიკის მსგავსი ნიშანი (?) (მნათობის გამოხატულება). გამოსახულება ძალზედ ცუდად იკითხება. კვეთა ზედაპირული.

რკინის ბეჭედს შემორჩენილი აქვს დაჟანგებული თვალბუდე და რკალის ძალზედ მცირე ნაწილი (ტაბ. LXVI<sub>10</sub>).

**დაცულობა:** ინტალიო დაფარულია პატინით შემორჩენილია ბეჭდის თვალბუდე და რკალის მცირე ნაწილი ძალზედ დაჟანგებულ მდგომარეობაში.

**ზომები:** ინტალიოს პირის ქვედა დმ – 15 მმ, ინტალიოს პირის ზედა დმ – 11 მმ, თვალის სიმაღლე — 5 მმ. ბეჭდის ფარაკის დმ – 15 მმ.

**გამოსახულების სტილის, ბეჭდის ფორმისა და სამარხეული ინვენტარის მიხედვით, ინტალიო ახ. წ. IV-V სს-ით უნდა დათარიღდეს.**

იგივე მიცვალებულს ეკუთვნის შემდეგი ნივთები: სანელსაცხებლე მოყავისფრო მინისა (ინვ. №55), სანელსაცხებლე მომწვანო ფერის მინისა (ინვ. №56), ბეჭედი აქატისა (ინვ. №57), ბეჭედი ქალცედონისა ნახევარმთვარისა და რვაქიმიანი ვარსკვლავის (ინვ. №58), ბეჭედი სარდიონისა ბრონეულის ყვავილის გამოსახულებით (ინვ. №59), ბეჭედი თაფლისფერი სარდიონისა ცეცხლის საკურთხეველის (ათაშდანი) გამოსახულებით (ინვ. №60), ბეჭედი მწვანე მინისა (ინვ. №61), ბეჭედი ბრინჯაოსი (ინვ. №62), რკინის ბეჭდის ნაწილები (თვალბუდე, რკალი) (ინვ. №64), საკინძები ბრინჯაოსი, წყვილი (ინვ. №65), მშვილდსაკინძი რკინის, ბრინჯაოს ჯაჭვითა და პასტის მძივებით (ინვ. №66).

**6. (ინვ. №76) 2.08.2014 წ. ფიქრისგორის სამაროვანი. სამარხი №37, ქვაყუთი, დაკრძალულია სამი მიცვალებული. სიღრმე — 0.37 მ.**

**საბეჭდავი ბეჭედი მთლიანი ქვისა, ბეჭედი ზოლებიანი (თაფლისფერი თეთრი ზოლებით) აქატისა (ტაბ. LXVIII<sub>4</sub>).** ბეჭდის რკალი მხრებისკენ ოდნავ ფართოვდება, შიგნიდან ბრტყელია. გარედან ამობურცული. რკალის ზედა ნაწილი ნაკვეთილია და წარმოადგენს საბეჭდავის პირს. პირი ოვალურია და ბრტყელი.

პირზე გამოხატულია **ფრინველი (იხვი?)**, რომლის წინ და ზურგთან ორი ჯვარია მოცემული (ტაბ. LXVIII<sub>4</sub>). გამოსახულება სქემატურია. მკაფიოდ არის ნაკვეთი. ქვა კარგად არის გათლილი და გაპრიალებული. ბეჭედი მთლიანად გაპრიალებულია.

მსგავსი გამოსახულებები იხილეთ: Christopher J. Brunner, Sasanian stamp seals in The Metropolitan Museum of Art. New York, 1978, გვ.108; [http://www.sigilla.at/HtmlEn/main\\_introduction.html](http://www.sigilla.at/HtmlEn/main_introduction.html), №№1117,1558.

**დაცულობა:** ბეჭედი კარგად არის შემონახული.

**ზომები:** ინტალიოს პირის სიგრძე – 13 მმ, სიგანე – 6 მმ, ბეჭდის სიმაღლე – 19 მმ, რკალის შიდა დმ – 14 მმ, რკალის გარე დმ – 24 მმ.

**გამოსახულების სტილის, ბეჭდის ფორმისა და სამარხეული ინვენტარის მიხედვით, ინტალიო IV საუკუნით უნდა დათარიღდეს.**

იგივე სამარხში აღმოჩნდა: საკინძი ოქროსი. ორწილადი (ინვ.№70), საკინძი ოქროსი. ინვ.№70-ის წყვილი (ინვ.№71), საკინძი ოქროსი (ინვ.№72), საკინძი ოქროსი (ინვ.№73), საკინძი ბრინჯაოსი მარგალიტის მძივით (ინვ.№74), საკინძი ბრინჯაოსი (ინვ.№75), ბეჭედი აქატისა (ინვ.№77).

**7. (ინვ.№139) 7.04.2016 წ. ფიქრისგორის სამაროვანი. სამარხი №127, ორმოსამარხი (ტაბ.XI<sub>8-12</sub>). სიღრმე — 0.2 მ.**

**საბეჭდავი მთლიანი ქვისა სარდიონის (ტაბ.LXVIII<sub>6</sub>), ე.წ. ელიფსური საბეჭდავი.** პირი წაკვეთილ მხარეზეა, ბრტყელია და ოვალური, სადაზედაპირიანია. საბეჭდავს აქვს ნახვრეტი ზონრის გასაყრელად.

**პირზე გამოსახულია ქურციკი პროფილში მარჯვნივ (ტაბ.LXVIII<sub>6</sub>).** მსგავსი გამოსახულებები იხილეთ: მსგავსი გამოსახულებები იხილეთ: ქ. რამიშვლი, სასანური გემები საქართველოში, თბ., 1978, tab. III, №№34,35; Göbl R., Der sasanidische Siegelkanon, 1973, ტაბ. 19, 52°, 52b, 52i; Bivar D. H., Catalogue of the Western Asiatic Seals in the British Museum. Stamp Seals, pt. 2. The Sassanid Dynasty, London, 1969, ტაბ. 19, FH 6,8, 11,12; Кибальнич Т. В., Южнорусские геммы, Берлин, 1910, ტაბ. I, 24.

**დაცულობა:** ბეჭედი დაზიანებული და ირიბებულია.

**ზომები:** ინტალიოს პირის სიგრძე – 11 მმ, სიგანე – 8 მმ, ბეჭდის სიმაღლე – 19 მმ, რკალის შიდა დმ – 4 მმ, რკალის გარე დმ – 13 მმ.

**გამოსახულების სტილის, საბეჭდავის ფორმისა და სამარხეული ინვენტარის მიხედვით, ინტალიო V-VI საუკუნეებით უნდა დათარიღდეს.**

იგივე სამარხში აღმოჩნდა: სამაჯური ბრინჯაოსი (ინვ.№145), მძივები მოყვითალო ფერის პასტისა, 6 ცალი (ინვ.№147).

**8. (ინვ.№184) 17.04.2016 წ. ფიქრისგორის სამაროვანი. სამარხი №67, შემორჩენილია სამარხის ნაშთი (ტაბ.XVIII<sub>6,9</sub>).**

ბეჭედი ბრინჯაოსი (ტაბ.LXVI<sub>5</sub>) რკალი თანდათან გადადის ოვალურ, დაბრტყელებულ ფარაკში, რომელზეც ცხოველის სტილიზებული გამოსახულებაა დატანილი (ტაბ.LXVI<sub>5</sub>). გამოსახულება ძალიან სქემატურია და ანაბეჭდზე დაბალ რელიეფს იძლევა. ძალზედ ცუდად იკითხება.

**დაცულობა:** ბეჭედი პატიინიზებულია.

**ზომები:** ინტალიოს პირის სიგრძე – 11 მმ, სიგანე – 6 მმ, ბეჭდის სიმაღლე – 18 მმ, რკალის შიდა დმ – 18 მმ, რკალის გარე დმ – 20 მმ.

**გამოსახულების სტილის, ბეჭდის ფორმისა და სამარხეული ინვენტარის მიხედვით, ინტალიო IV-V საუკუნეებით უნდა დათარიღდეს.**

იგივე სამარხში აღმოჩნდა: დანა რკინისა (ინვ.№194).

**9. (ინვ.№202) 7.04.2016 წ. ფიქრისგორის სამაროვანი. სამარხი №119, ქვასამარხი (ტაბ.XX). სიღრმე — 0.91 მ.**

**საბეჭდავი მთლიანი ქვისა, ბრინჯაოსი (ტაბ.LXVIII<sub>5</sub>).** ე.წ. ელიფსური საბეჭდავი. პირი წაკვეთილ მხარეზეა, ბრტყელია და ოვალური, სადაზედაპირიანია. საბეჭდავს აქვს ნახვრეტი ზონრის გასაყრელად.

**პირზე გამოსახულია მწოლიარე ჩლიქოსანი ცხოველი, ქურციკი პროფილში მარჯვნივ (ტაბ.LXVIII<sub>5</sub>).**

გამოსახულება სქემატურია. კვეთა არ არის ღრმა. მსგავსი გამოსახულებები იხილეთ: ქ. რამიშვილი, სასანური გემები საქართველოში, თბ., 1978, ტაბ. III, №№34,35; Göbl R., Der sasanidische Siegelkanon, 1973, ტაბ. 19, 52°, 52b, 52i; Bivar D. H., Catalogue of the Western Asiatic Seals in the British Museum. Stamp Seals, pt. 2. The Sassanid Dynasty, London, 1969, ტაბ. 19, FH 6,8, 11,12; Christopher J. Brunner, Sasanian stamp seals in The Metropolitan Museum of Art. New York, 1978, gv. 100, №89 (antilopa); Кибальчич Т. В., Южнорусские геммы, Берлин, 1910, ტაბ. I, 24.

**დაცულობა:** ბეჭედი პატინიზებულია.

**ზომები:** ინტალიოს პირის სიგრძე – 11 მმ, სიგანე – 10 მმ, ბეჭდის სიმაღლე – 10 მმ, რკალის შიდა დმ – 4 მმ, რკალის გარე დმ – 14 მმ.

**გამოსახულების სტილის, საბეჭდავის ფორმისა და სამარხეული ინვენტარის მიხედვით, ინტალიო IV საუკუნით უნდა დათარიღდეს.**

იგივე სამარხში აღმოჩნდა: მშვილდსაკინძი ბრინჯაოსი (ინვ.№203), სამაჯურის ფრაგმენტები რკინისა (ინვ.№204), საკინძი ბრინჯაოსი (ინვ.№205), საკინძი ბრინჯაოსი (ინვ.№206), სტილოსი (?) ძვლის. თავ-ბოლო წანვეტებული წკირია. ნაკლულია და გატეხილია სამ ნაწილად (ინვ.№207), ბეჭედი რკინისა. შესქელებული ფარაკით (ინვ.№208), (ინვ.№209) საყურეები ბრინჯაოსი, თავებ-გახსნილი, ტანშესქელებული რგოლი. წყვილი (ინვ.№209), საკინძი რკინისა. თავი შემკული აქვს პასტის მწვანე ცილინდრული და მარგალიტის მძივით (ინვ.№210), საყურე ოქროსი (ინვ.№212), საკინძი ოქროსი (ინვ.№213), საკინძი ოქროსი (ინვ.№214), საკინძი ოქროსი (ინვ.№215), ბეჭედი რკინის (ინვ.№216).

**10. (ინვ.№231) 26.04.2016 წ. ფიქრისგორის სამაროვანი. სამარხი №136, ქვასამარხი (ტაბ. XXII<sub>10-12</sub>). სიღრმე — 0.77 მ.**

საბეჭდავი ბეჭედი ბრინჯაოსი მრგვალი ფორმის, თხელი ფირფიტოვანი ოვალური ფარაკით. რომელზეც გამოსახულება ყოფილა. ფარაკი ბრტყელი (ტაბ. LXVI<sub>ა</sub>).

ფარაკის პირზე არსებული გამოსახულების ნაკითხვა ძნელდება. ბეჭდის პატინიზაციის გამო.

**დაცულობა:** ბეჭედი პატინიზებული და გატეხილია ორ ნაწილად.

**ზომები:** ინტალიოს პირის სიგრძე – 11 მმ, სიგანე – 10 მმ, რკალის შიდა დმ – 17 მმ, რკალის გარე დმ – 19 მმ.

**ამ ფორმის ბეჭდები V-VIII საუკუნეების სამარხებისთვის არის დამახასიათებელი.**

## სასანური მონეტების ბანი შიქრიშორის სამაროვნანი

2014 წელს №57 სამარხში, ოთხ ბეჭედთან ერთად აღმოჩნდა 9 ვერცხლის სასანური მონეტა ერთმანეთზე მიწყობილი, №2 და №3 მიცვალებულის მენჯის ქვემოთ და ბარძაყის თავთან, ვერცხლისა და ბრინჯაოს ბეჭდების გვერდით. ჩანს, რომ მონეტები მიცვალებულს ხელში უნდა სჭეროდა (ტაბ. XXVI<sub>5-11</sub>).

ყველა საფასე მოჭრილია მაღალი ხარისხის ვერცხლისგან შაჰ ფეროზის (459-484 წწ) მიერ. მონეტები კარგი დაცულობისა და აქვთ მკაფიო იკონოგრაფიული გამოსახულება.

ფეროზი იყო სასანიანთა დინასტიის მეთვრამეტე მეფე და ცნობილია, როგორც ირანის უიღბლო მეფე. ის იეზდიგერდ II-ის (438-457 წწ) უფროსი ვაჟი იყო. მამის გარდაცვალების შემდეგ, იეზდიგერდის უმცროსმა შვილმა ხორმიზდმა, ისარგებლა უფროსი ძმის დედაქალაქ ქტესიფონში არყოფნით და ძალაუფლება ხელთ იგდო. ფეროზი იმ დროს ირანის შორეული პროვინციის სისტანის მმართველი იყო და იქ იმყოფებოდა. მან დახმარება სთხოვა ეფთალიტების მეფეს ქუშ-ნევასს, რომელიც დაეხმარა მას ხორმიზდთან ბრძოლაში და სამეფო ტახტის დაბრუნებაში. ფეროზს მხარს უჭერდა სასანიანთა სამეფოს ცნობილი გვარის — მიჰრანიდების წარმომადგენელი რაჰამიტრი. ძმებს შორის წარმოებული დინასტიური ომის დროს ირანს ქტესიფონიდან მართავდა უფლისწულების დედა დენაგი. ეფთალიტებისა და მიჰრანიდების დახმარებით ფეროზმა მოახერხა ძმის დამარცხება და დატყვევება.

ისტორიული წყაროები გადმოსცემენ ორ საწინააღმდეგო ცნობას ხორმიზდის დატყვევებისა და მისი შემდეგი ბედის შესახებ. ზოგიერთი ისტორიკოსის მიხედვით უზურპატორი სიკვდილით დასაჯეს (Pourshariati 2008: 71). არის მეორე მოსაზრებაც, რომლის მიხედვით ფეროზმა აპატია უმცროს ძმას და სიცოცხლე შეუნარჩუნა.

ეფთალიტების მიერ განუული დახმარებისათვის, ფეროზმა უარი თქვა ზოგიერთ აღმოსავლეთ პროვინციაზე და ისინი ეფთალიტებს გადასცა (Массон 1971: 231).

ირანში წარმოებული სამოქალაქო ომის დროს კავკასიის ალბანეთის მეფე ვაჩე II აუჯანყდა ირანელებს და თავი დამოუკიდებელ მმართველად გამოაცხადა. გამეფებისთანავე ფეროზი ჯარით შეიჭრა ალბანეთში და დაიმორჩილა ის.

460 წ. დაიწყო უთანხმოება ირანსა და კიდარიტებს შორის. უთანხმოების მიზეზი გახდა ირანისთვის ხარკის გადაუხდელობა. ფეროზს არ ჰყავდა საკმარისი რაოდენობის ჯარი, მან ფინანსური დახმარებისათვის მიმართა ბიზანტიის იმპერატორს, მაგრამ უარი მიიღო (Zeimal 1996:130). ფეროზმა სამშვიდობო ზავი შესთავაზა კიდარიტების მეთაურს კუნკჰასს და ცოლად შესთავაზა თავისი და, თუმცა სასანიანთა მეფემ ის მოატყუა და დის მაგივრად სხვა, უფრო დაბალი წრის ქალი გაუგზავნა.

467 წ. ფეროზმა ეფთალიტების დახმარებით დაიპყრო ბალამი და საბოლოოდ გააძევა კიდარიტები ირანიდან (Zeimal 1996:130). ფეროზის მეფობას ირანში დაემთხვა შვიდწლიანი, 464-471 წლების შიმშილობა. მოუსავლიანობამ შეინირა მრავალი ათასი ადამიანის სიცოცხლე.

V ს. მეორე ნახევარში ჩრდილო-აღმოსავლეთით ირანს გაუჩნდა მრისხანე მეტოქე თურანელების შთამომავლების ეფთალიტების სახით, რომლებმაც უდალატეს ფეროზს და დაიპყრეს ბალხის ტერიტორია, რაც გახდა ეფთალიტებთან პირველი ომის დაწყების მიზეზი. ფეროზი ტყვედ ჩავარდა და ის მხოლოდ მას შემდეგ გაათავისუფლეს, როდესაც კონტრიბუციის ნაწილი - „ზუმე“

(ვერცხლის მონეტები) გადაიხადა (20 ვირით დატვირთული დრაქმები). ცნობილია, რომ ფეროზს ბიზანტიელებმა ასესხეს ფული. თავდაპირველად მან გასანთავისუფლებლად კონტრიბუციის მხოლოდ ნაწილის შეგროვება შეძლო, დარჩენილი თანხის შეგროვებამდე მან თავისი ვაჟი კავადი დატოვა ეფტალიტების კჳაგან ახშურვანის სამეფო კარზე (Livitsky 1996: 142).

ეფტალიტებთან მეორე ომის დროს, რომელიც შიმშილობის შემდეგ დაიწყო, ფეროზს ეხმარებოდა ქართლის მეფე ვახტანგ გორგასალი (Toumanoff 1963: 368-369) ირანელები კვლავ დამარცხდნენ და იძულებულნი გახდნენ დაედოთ ქვეყნისთვის სამარცხვინო ზავი. ეფტალიტებმა მძევლებად დაიტოვეს ფეროზის ქალიშვილი, ვაჟი კავადი და ირანის მთავარი მოგვი.

481 წ. ქართლში დაიწყო ირანელების წინააღმდეგ აჯანყება, ფეროზმა აჯანყების ჩასახშობად გამოგზავნა მმართველი ადურ გუშნასპი და მრავალრიცხოვანი ჯარი ადურნერსეს მეთაურობით, რომლებმაც აღადგინეს სასანიანთა მმართველობა ქართლში. სწორედ ამ დროს უნდა მომხდარიყო მტკვრის სამხრეთით მდებარე ქართლის ნაწილის ირანის საპიტიახშოდ ჩამოყალიბება. ამ ფაქტის დამადასტურებელია ბოლნისის სიონის სამშენებლო წარწერა, რომელიც ცნობილია თავისი ისტორიული შინაარსით. ტაძრის შენება დაწყებულია ფეროზ მეფის აღზევებიდან მეოცე წელს და დასრულებულია 15 წლის შემდეგ. სწორედ ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარებით უნდა აიხსნას ის, რომ წარწერებში ნახსენებია ირანის შაჴი და არა ქართლის მეფე ვახტანგ გორგასალი და რომ ტაძრის დეკორში წარმოჩენილია სასანური ხელოვნებისათვის დამახასიათებელი სახეები.

მეფობის ბოლო წლებში ეფტალიტებთან დადებული ზავის პირობებით უკმაყოფილო ფეროზმა დაარღვია ის. მან შეაგროვა 50 000-იანი ჯარი, ქვეყნის მართვა მიანდო თავის ძმას ბალაშს და თავს დაესხა ეფტალიტებს. ფეროზმა უარი განაცხადა ქუშ-ნავაზის მიერ შემოთავაზებულ ზავზე, რადგან ორ ომში წაგების გამო შურისძიება სურდა.

484 წ. ჴერეთში გაიმართა ბრძოლა, რომელიც ირანელების დამარცხებითა და ფეროზის სიკვდილით დასრულდა. ეფტალიტების მმართველმა ქუშ-ნავაზმა პატივი მიაგო ფეროზ მეფეს და მისი ცხედარი სპარსეთში გააგზავნა, რათა ის საკმარისი პატივით დაეკრძალათ.

